

ՀՅՈՒՆՅՈՒ

VI

2
0
1
2

Ր
Ճ
Ն
Ր
Ր
Ճ
Ն



2012 №6

UDC(უკ) 050(479.22)
ა-376

ISSN-2223-3312

ჯუმბარ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ათინათი

VI



გამომცემლობა „ანინაში“

თბილისი 2012



უფლის სეგლობელი

*მორიობა, ნინო მთებით მორიობა
 რა მოჭქონრა სანატრული ვაზის ჯვარი...
 ანა კარანდამა*

*ღურჯ ზეცირან მენ
 გვმფარველობ ნმინრა ნინო,
 იქნებ შენებრ იანუსზეც
 ქება გვეთქვა.
 მისი არ გვენამს,
 თრპირია არ გვინყინო,
 შენი ხაყით „ათინათის“
 გური ფეთქავს.
 გურიანაზ ხარაიხვირი*

მიტროპოლიტი თადეოზი (მირიან იორამაშვილი)

ეკლესია ქართული

ექღვნება სრულიად საქართველოს
 ნმინდა მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას
 მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის
 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
 ილია II-ის ლოცვა-კურთხევით

უფლის მშვენიერება
 გზა მძიმე და რა რთული,
 რამდენგვარ მტერს ერევა
 ეკლესია ქართული.
 მსოფლიო მზის ნათებით
 ცისკენ მზერაგართული...
 მართლმორწმუნე ქართველით -
 ეკლესია ქართული.
 ვით ბრწყინვალე მზით ველი
 ვარდის სურნელ დართული...
 რამდენ ტანჯვის მზიდველი -
 ეკლესია ქართული.
 ცად აღმფრენ გუმბათებით...
 მიწით ცად აღმართლი.
 მარადიულ ნათებით -
 ეკლესია ქართული.
 თავის ბრძენ მესაჭეთა
 მადლით, მართლით მართული...
 ქვეყნის მოჭირნახულე -
 ეკლესია ქართული.
 მყარად კლდეზე ნაგები,
 ჟამთ ნყვდიადმი სანთრით...
 თვით უფლისგან ნაქები -
 ეკლესია ქართული.
 ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის
 ნილხმვდომილად ცნობილი...
 პირველი მოცუქულის



ლოცვით მზეებრ შობილი.
 მადლით ათასფერადით...
 მისი განძით ყოველით...
 ალავერდით, გელათით,
 ელვებრ სვეტიცხოველით...
 ღმერთო, ტკბილმადლიანო,
 ზეცის წესი-წესია...
 სულ შენი გზით იაროს
 ქართულმა ეკლესიამ...
 ზეცით დარს რომ ადარებ,
 უტკბილესო მესიაც,
 ანგელოზებს პატარებს
 ვისიტ ფრთები შესხმიათ.
 ვისზე ფიქრით და ნატვრით
 ლოცვა უტკბილესია,
 სულ შენი გზით ატარე
 ქართული ეკლესია.
 2001წ. 14 ვარდობისთვე

მიტროპოლიტი თადეოზი**შენი სიცოცხლე ერს უხარია***უწმინდესს*

მაცხოვრის კვერთხის მპყრობელი ხელთა,
 შეჭიდებული უხილავ მტერთან,
 სიმხნით და ღვანლით აღურიცხველთა,
 ცად მიმართ უძღვი ცხოვართა შენთა.
 აყვავებული სანთლები ხატთან
 სიკეთის დღეთა იყვნენ მაცნენი,-
 სინმინდის მადლად და სასწაულად
 მშობელთა ლოცვით აღმონაცენნი.
 იმედმოსხმულან შენი დღეები
 სიხარულს ყოველს რომ უნილადებ,
 შენი ფიქრია შენი მამული
 სამარადისო ნათლით ბრწყინავდეს,
 თუ საქართველო წმიდა ჯვარია,-
 ნატრობ,- სამოთხის კართან იყოსო...
 შენი სიცოცხლე ერს უხარია,
 მრავალჟამიერ კათალიკოსო!..

*ლექსი დანერგულია ექსპრომტად
 უწმინდესის აღსაყდრების წლისთავზე
 გამართულ საზეიმო საღამოზე.*

უწმინდესს

ისევ გაბრწყინდა საღმრთო ქვეყანა
 შვიდი სინათლით და მშვიდი ფერით...
 არვის შეხვდება ჯერ პირველ ხანად
 აღტაცებათა ტაშით იბერი.
 ჟამი გამოსცდის ყველაფერს მართალს
 და ჰარმონიად შეჰკრავს ქაოსებს,
 შეწყდება ქროლვა სიკვდილის ქართა,
 მძლე იმედებად-საიქაოზე.

ნეტარ არიან მორწმუნენი...*ნეტარ არიან...*

ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან
 რადგან სიკვდილიც ვერ აშინებთ, რაც მთავარია,
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან, –
 შვილნი ნათლისა, ცის მამულში, ღმერთთან არიან...
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
 რადგან სიკეთეს ასხივებენ, მზეებრ არიან, –
 რადგან სიხარბემ მათი გული ვერ გადარია,
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
 ჰყვავის მათ სულში სიყვარული, მშვიდი დარია,
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
 უღვთოდ რამდენი სიბრმავე და სიმწუხარეა?...
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
 ვინ გცეს ნუგეში, როცა სულში ავი ბზარია?...
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
 მამულო შენი გადამრჩენი მხოლოდ ჯვარია...
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
 მამულო შენთვის თავდადება ზეცის კარია, –
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
 რწმენავ მომავლის იმედები შენ გაბარია,
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან,
 შენი სამკვიდრო ღმერთს შეჰვედრე – დედავ მარიამ...
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან...

1982 წ. ივნისი

მაყვალა გონაშვილი**სიყვარულის მასნავლებლო!**

მადლობა უფალს, თქვენ მოგანდოთ ბედი ქართლისა
 ლოცვით და ცრემლით აგივისიათ სიბრძნის სალარო,
 რადგან თქვენ მყავხართ, მზის ნათელი ადგას
 ჩემს მამულს,
 სამოციქულო ეკლესიის მამამთავარო.
 როდესაც ერი ირწეოდა, ვითარც ლერწამი,
 თქვენ გვაფრთხილებით, ნუ აჰყვებით შეშლილ
 ქარებსო,
 ერის ტკივილის ბეჭედი ხარ, სინმინდის მცველი,
 ბრძენო კეთილო, უნმინდესო, უნეტარესო.
 მეც ბევრჯერ მსაჯეს, თვალში ბენვიც არ შემარაჩინეს,
 ბევრჯერ ეს გული ნანამები, სევდით ამევსო,
 მადლობელი ვარ ნუგეშისთვის მწყემსო კეთილო,
 ღირსო მამაო, უნმინდესო უნეტარესო.
 ჟამს სიძულვილის, თქვენ სიკეთის გვასწავლით ანბანს,
 გიყვარდეთ მტერი, ნუგეში ეც მგლოვიარესო,
 შენ გზას მივყვებით სიყვარულის მასნავლებლო,
 ერის მოძღვარო, უნმინდესო უნეტარესო.

ნუნუკა გურალია

თქვენ ჩვენო სამწყსოს დიდო მამაო,
 ლოცვის ტაძარო წმიდათ-წმიდაო.
 სულის სალბუნო, სულის მკურნალო,
 ცაო ნათელო, დღეო მზიანო.
 ვითარც ხატება ყველას გულეში,
 კელაპტარივით ჩუმად ანთიხართ,
 შენ, საქართველოს უნმინდესი და
 უნეტარესი პატრიარქი ხართ.

მანანა დანგაძე**გთხოვ, დამიფარე**

უნმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს

ბევრჯერ ნაგვემს და ბევრჯერ მოცელილს
 სისხლის წვიმიან გზებზე მივლია,
 გთხოვ, დამიფარე შენი ლოცვებით,
 ერის მამავ და ბრძენო ილია!
 შენთან მოვედი ძე-შეცთომილი
 და ვიდრე მამალს დაუყვივლია,
 გთხოვ, გამინათო სული ცოდვილი,
 ერის მოძღვარო, მწყემსო ილია!
 ჩემო ტანჯულო მინავ და ცაო,
 თუ რამ მაცოცხლებს შენი ხიბლია,

ვერ გიერთგულე ხატ-სალოცავო,
 ვერ დავიხატე გულზე ბიბლია.
 მონანიების საკმეველს ვაკმევე,
 ვფრთხი, როგორც ხეზე ჩიტი ნიბლია,
 იქნება მივწვდე სამოთხის სარკმელს,
 ცა არ ნათდება, ირგვლივ ბინდია.
 მჯერა, ქვეყანას შენ გადაარჩენ,
 გაიღებ, რაც კი შესაწირია,
 მე კი დავუცდი უფლის განაჩენს,
 უნეტარესო, წმიდა ილია!
 ველარ ვუყურებ ძაძით შემოსილს,
 სული მძიმობს და ტკივილებს მისევს –
 ეს გოლგოთაა საქართველოსი,
 როგორც ენამა ჯვარცმული ქრისტე.
 მოდი, გაგვიძეხ, მშვიდო ქადაგო,
 ყოფა უშენოდ მიფერფლილია,
 გული ნატანჯი შენით ბადაგობს,
 შენ შემოგყურებს, მწყემსო ილია!
 გადაიდარებს, სისხლის წვიმები
 მტრედს გაუფანტავს ზეთისხილიანს,
 მიიღე ჩემგან შესაწირველი
 ნაგვემი სული, დიდო ილია!
 მხოლოდ ქრისტეს გზით, არა ოცნებით,
 წინ მიგვიძლოდეს შენი ხატება,
 უფლის რწმენა და შენი ლოცვები
 თან გვდევედეს, როგორც გამოცხადება!

ტარიელ ხარხელაური**უწმინდესა და უნეტარესს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს**

ბრძანე, მოძღვარო, გონებავ ერის,
უნდა ვდუმდეთ და უნდა ვიფრხილოთ?
სულებს გვირყვნის და გვინამლავს მტერი,
ვითმინოთ?!

როცა ჩვენ თვალწინ წმინდანებს რყვნიან,
უნწმინდეს შუბლებს ფურთხით ბილწავენ,
თუ შენთვის მკერდს არ მივუშვერ ტყვიას,
სამშობლოვ!

ხატად რისთვის გინამე.

ბრძანე, მოძღვარო, დღეს ერის გული
შენს გონებაზე მიბმული ფეთქავს,
ბრძანე მოძღვარო, გაიმცვრა სული,
დააავადა შიშმა და კეთრმა.

ბრძანე, მოძღვარო, ნათელს – ისე მწირს
შემოაძარცვეს კალთა ქარებმა,
ბრძანე, მოძღვარო, სისხლი სისხლის წილ,
დავუდოთ ზღვარი ამ მოკრძალებას!

თორემ სამშობლოს თავზე გვაქცევენ,
სამშობლოს ჩვენსას – უფლის მშვენიებას,
ალარ უშველის მერე არც ცრემლი
ჩვენს აღდგომას და აღმოცენებას.
ბრძანე, მოძღვარო,
ვგავარ საძვალეს
და ყველა ნერვი არის გამწყდარი,
მოძღვარო! დროშა გამოაბრძანე –
საქართველოსთვის ლოცვით დაგვძარი!
ბრძანე, ბრძენკაცო, ჯერ კიდევ დროა,
ვიდრე ძარღვებში სისხლი მოძრაობს,
ვიდრემდის ცრემლებს სისხლის გემო აქვთ,
ვიდრე სიკვდილი გვიღვინს, მოძღვარო!
ვიდრე ქართულ ჯიშს აქცევენ არცრად,
გადაუჭერენ მკერდზე არტახებს,
მთლად ეს სამყარო ქცეულა ნაცრად,
თუ საქართველო ამიპარტახეს!

ლამზირა შეყილაძე**უწმინდეს და უნეტარეს ილია მეორეს**

მადლ-შემოსილო წმინდა ილია,
სინწინდეთა გაქვს სავეს სხეული.
შენი მწეობა დიდზე – დიდია,
ამიტომა ხარ ღვთისგან რჩეული.

ციურ ნათებად დგებარ ერის წინ,
ტკბილმოუბარი, სიტყვაკაზმული.
შენი გალობა მთელ საქართველოს
მზის-სხივებად აქვს გადაქარგული.

სამშობლოს წრფელი სიყვარულისთვის
ხშირად თვალთავან გცვივა ცრემლები.

მუხლმოდრეკილი ხედები ალიონს
და ღვთიურ მადლით გვესაკმეველენი.

შენი ლოცვები ძილშიც ჩაგვესმის,
მრავალძარღვეული, ენით ქებული.
ჩვენი სამშობლო მალე გეხილოს
თავისუფალი, გაბრწყინებული.

ღმერთმა დაგლოცოს, უფლის რჩეულო,
შეუდრეკილო, ერთობ დიადო.
მიამწვერვალე სიმართლის აღმართს,
წამებულ ერთა საგანთიადოდ.
2011წელი.

თამრიკო ჯაჭვაძე

ერის მოძღვარი

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს

მამულისათვის ლოცვადაქცეული
სიცოცხლის წლები საით მიდიან?!
ქედუხრელია ქართული სული
და საქართველო ისევ დიდია.
დგას ამბიონზე გრაალის მცველი,
ვინც ერზე ფიქრში წლები ათია...
და დაღალული მთრთოლვარე ხელი
საკურთხეველზე სანთლად ანთია...
მიგვიძღვის ლოცვის საუკუნეში,
სული სპეტაკი, შუბლი ნათელი,

ქადაგებს ჩემი ერის ნუგეში
და ჭირსა შიგან –
გალობს ქართველი.
დაქანცულია ლოცვით ხელები,
სულიერ მამას უსმინე ერო,
რწმენით მალღდება შენი ტაძარი,
სამარადისო, საბედნიერო.
ნუ დაგვეხრები სიმართლის ფარო,
არ მოგვიშალო მადლით შენება...
იცოცხლეთ დიდი ერის მოძღვარო,
თორემ უთქვენოდ რა გვეშველება?!

გულნაზ ხარაიშვილი

მინდა, კალმით შენ... გიგალოზო, უნეტარესო
(აკოსტრიხი)

- მ - უხმოდრეკილი გევედრები წმინდა ილია,
 ი - მედი მომეც, ველარ ვუძლებ სიტყვას მოცვენილს.
 ნ - ავით გავცურე... მაგრამ უკვე ზღვაც დაღლილია,
 დ - არდმა დამახრჩო, დავემგვანე ცელით მოცველილს.
 ა - კვნესებულა ქარიშხალით კავკასიონი,
 კ - ივილმა ჭოტთა, სამშობლოში ძილი დამიფრთხო.
 ა - ისი დარდობს, იცრემლება, ტირის სიონი,
 ლ - ომი ღრიალებს... ჩემი მინა აღარ დამითმო.
 მ - იმტკიცე რწმენა, ერის მამავ, გიხმოზ იმედად,
 ი - არები მკლავს... სიყვარულით ამაგალობე.
 თ - იბავენ ჩემს გულს... მაპატიე სიტყვას გიბედავ,
 შ - ენ შემოგჩივლებ, შენი ლოცვით დამანყალობე.
 ე - კლებში არის საქართველო, მიტომ ვბორგავ და...
 ნ - ატყვიარი ვარ, მტკივა ძლიერ გულის არეში,
 გ - ალიაშია აფხაზეთი ცრემლით მოვთქვამ და...
 ი - მედი ჩემი მოყოლილა ყინვის ფარეხში.
 გ - ააცისკროვნებს შენი მაღლი დაღიან გულებს,
 ა - ნგელოზებსაც შეგვავედრებ დილის მირაჟზე.
 ლ - ოცვა-ვედრება დაამარცხებს ავის მოსურნეს,
 ო -, უწმინდესო. სულს გვიმშვიდებ ყოველ წირვაზე.
 ბ - უმი აქვს „ქარბუქს“, აიხანჯლა გული თორელის,
 თ - მობანამ კი, კოლხთა მოდგმა აანრიალა.
 უ - ნეტარესო, ტირის გორი, ტირის ქარელი,
 ნ - აწვიმარ გულში ქარმა ბუმი დაატრიალა.
 ე - რს აწყალობებს, შენი სიტყვა, დიდო იმედო,
 ტ - ოტს ჩამოხლეჩილს შეახორცებს, ღვთის რწმენის ძალა.
 ა - მიტომაა მთელი მრევლი შენ რომ მოგენდო,
 რ - ეკენ ზარები მოგროვდება დაშლილი ფარა.
 ე - რთადერთი ხარ, მხოლოდ შენი სიტყვა ვინამეთ,
 ს - ასწაულს ახდენ... შენ ხარ ჩვენი სულის სალბუნი,
 ო -, ერის მამავ... გასაჭირში ისევ გვინამლე,
 ხალხის იმედო, შენი სიტყვა არის „ფსალმუნი“.

დავით შემოქმედელი

აღსარება

მეუფე თადეოზს

რას მეტყვი, მამავ?! ვერ დავასრულე
 ნუთისოფელთან ჩემი წანწალი,
 გეზი აუცდა ამ გზებს საუღლეს,
 ჯიბრში მყავს ჯიქურ ბედი წანწალი.
 რაც ვიცოდვილე, წრიალებს სულში
 სულ ამინენა ფიქრის სამანი,
 ვერ ჩავრგე ნერგი ზესიყვარულში,
 ვერ ვამზეურე იასამანი.
 მამავ, იქნება, ეს გზაც ნისლია,
 და მირაჟ – მირაჟ დავალ ცეცებით,
 სანთლების შუქზე ლურჯი ბიბლია,
 თითქოს ცის შემთბარ სამოსს ვეხები.
 სხივი ცას მკრთალი სხივით ლამბავდა.
 სწუხდნენ ქარები, ნელი თუ მალი,
 და თავქვე მედო უფლის ლაბადა,
 მიწა მზის თბილი თავსასთუმალი.
 დავდივარ ასე სულის ხსნისათვის,
 სიტყვების ზვავის დამატყდა თქეში,
 და ერთი ციდა სტრიქონისათვის,
 რამდენი ღამე ჩამადნა ხელში.
 ხანდახან თითქოს სივრცე-მანძილი,
 წამში ჩემ თვალწინ უხმოდ დამთავრდა,
 რას მეტყვი, მამავ?! როცა დაღლილი,
 სულს ძლივს ვიბრუნებ დედის საფლავთან...
 გახიდული ვარ, ცხოვრების ჯვარზე,



*მიტროპოლიტი მეუფე თადეოზი
 (მირიან იორაბაშვილი)*

ხორციტ ვცოდებ და ლექსით ვმარხულობ,
 ჩემი ხმა ჩიტსაც არ ესმის გზაზე,
 მაშ, სტრიქონ-ხილვებს რისთვის ვნახულობ?...
 ახლა ცრემლ-ყინულ ბილიკზე დავალ,
 ვით სხივი ბინდში ნაფერკმთალები,
 და გზას ცისკრისკენ მიკვალავს, მამავ,
 იესოს თბილი ნატერფალები...
 დავით შემოქმედელი

ლამზირა შეყილაძე

თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტს - მეუფე თადეოზს (მირიან იორაბაშვილს)

დაგიხატია გულზე ბიბლია
 შენ საქართველოს თბილო მეუფევე,
 წმინდა ლოცვებით რწმენას გვიღრმავებ.
 შენ ხარ ვენახი, ვაზის ნაჟური,
 სულმნათი კვარით გზაკვალს გვინათებ.
 მადლი დანათის შენს სათნო სახეს
 და შენს თვალეში დგას სიყვარული.
 შენი ბაგენი ვარსკვლავებს აფრქვევს,
 სულს გილიცლიცებს მზე სიხარული.
 შენი გონების თვალთა სამზეო,
 შორეულ სიბრძნის ხეს აშრიალებს.
 აფრთოსნებულო, ფიქრის სავალი,
 ზეციურ სიღრმეს ათვალეირებს.

შენი მამულის თვალმარგალიტო,
 ცის მნათობებთან ლოცვით საუბრობ
 ამ სანუთროში სიკეთით ჩენობ,
 ესულხატები სულთა საუფლოს.
 შენ სიყვარულად მოსულხარ ქვეყნად,
 დაგიხატია გულზე ბიბლია.
 გახარებს ერის ერთიანობა
 და საქართველო შენი ბიბლია.
 ღმერთმა დაგლოცოს იყავ მზიანი,
 მადლით აგვესოს ზეცის თავანი.
 გემჩატებოდეს სული სვიანი,
 გაგიყვავილდეს ცისკენ სავალი.

მანანა დანგაძე**...და ველი მარადისობას**

მონინებით და პატივისცემით მეუფე თადეოზს

ვერ გაგიბედე, მამაო
ჩემი ცოდვებით მძიმება,
ჩემს სულს თავადვე ვწამალობ,
სინანულს ვისხამ მძივებად.
ბევრ ცოდვას ზიდავთ ისედაც,
ვხედავ, არ გზოგავთ არავინ
ვერცხლი ჩხრიალებს ქისიდან
მუცელმერთობის კარამდი.
მე ჩემს ჯვარს მივეზიდები,
ეკლით ავივლი გოლგოთას,

ერთ დროს ყვავილთა ხიდებით
ცელქი ბავშვობა მორბოდა.
შორით მოისმის ზარები,
ვერძნობ კელაპტრდება სინათლე,
წარსული მზით ნაზავები
მონანიებით იზამთრებს.
ნაგვემი სული ჩავრაზე
და დავუბნელე მზისობა,
ვდგავარ ეული შარაზე
და ველი მარადისობას.

23.12.11.

გულნაზ ხარაიშვილი

მიტროპოლიტ თადეოზს
(აკროსტიხი)

მ-ოგიახლოვდი... და შევიგრძენ უცებ ნუგეში,
ი - მედი მომეც, მიწყალობე, ჩვენო მეუფევ...
ტ-ირილი დავგმე, რადგან მოვხვდი ღმერთის უბეში,
რ-ამეთუ შენით, ჩემს დაჭრილ გულს ტკივილს მოურჩენ,
ო - მის ჭრილობებს, ლექსით აფრქვევ საკმეველს თითქოს,
პ-ოეტო ღვთისავ, შენი კალმით დარდებს გამყარე...
ო-ქრო არ მიყვარს... სიმდიდრისთვის არაფერს ვითხოვ,
ლ-ოცვამ მიშველა, რადგან ცრემლი ბევრი დავღვარე.
ი-ალბუზიდან ხმები მესმის, რაღაც ახალის...
ტ-ოროლას სტვენა და ლამაზი შაშვის გალობა.
თ-ბილი სიტყვებით აგიგია ლექსის ტაძარი,
ა-მოდის მზე და მოდის ღვთისგან დიდი წყალობა.
დ-ამაიმედე... უკვდავება შენით ვინამე,
ე-სმის ჩურჩული ჩალენილ გულს, ნაზი ენძელის.
ო,-დაჭილი ვარ... სულიწმინდით უკვე ვინამლე,
ზ-არის ხმა ისმის და ვიხილე ბალი ედემის.
ს-იკვდილი მოვკალ... მეუფეო, შენი იმედით...
მერე ნერგები გავახარე... სულის არემი.
საკურთხეველთან ჩემი ფეხით რწმენით მივედი,
აღარ დავრჩები არასოდეს სიმწუხარეში.



გურნაზ ხაჩაიშვილი

*ჟურნალ "ათინათის" მთავარი რედაქტორი
 ეუმბერ რეუაზას სახელობის მეცნიერებათა
 მრავალპროფილიანი საერთაშორისო
 აკადემიის პრეზიდენტი*

ჩემო მკითხველებო,
 გილოცავთ დამდეგ
 შობა-ახალწელს!
 ფეხბედნიერი
 ყოფილიყოს თქვენთვის
2013

რაა სიცოცხლე?

მე ასე მჯერა ყოფნა წამია,
 და ქარიც წაშლის ჩვენს ნაფეხურებს.
 ო, ეს ცხოვრება ზოგჯერ მწარეა,
 დარდის თავშალი მით მოვიხურე.
 იმედი მაინც ციმციმებს ცაზე,
 და აჩორჩქალდა გული მკერდიდან.
 რაა სიცოცხლე, თუ ლამაზ ხმაზე,
 სიმღერას კაცი თუ მოერიდა.
 გრძნობით „ურმული“ თუ არ ვიმღერე,
 თუ არ ვისმინე ხმა მეგობარის,
 თუ თქვენ საამოდ ველარ დავწერე,
 მაშინვე შესვით შესანდობარი.

მხატვრული განყოფილება

რევაზ მიშველაძე

რუსთაველის პრემიის ლაურეატი

არ შპიშინდა

რვასურათიანი პიესა პანტომიმის თეატრისათვის



მოქმედნი:

ზურაბ ფანცქალაძე – შიგადაშიგ დაბნეული ინტელიგენტი

- დედა
- პატარა მიმი
- ძალღი
- მოქადაგე
- მხვრინავი კაცი
- პირველი ნაძირალა
- მეორე ნაძირალა
- მესამე ნაძირალა
- ჭრიჭინობელა, რომელიც არ ჩანს
- მებუხრე, რომელიც ჩანს (მაგრამ სჯობს, არ ჩანდეს)
- მოდებილო ბიჭი
- სასტუმროს მორიგე

პირველი სურათი

მატარებლის სამი გრძელი სიგნალი.
 მატარებლის რახრახს ადევნებული მუსიკა.
 მატარებლის კუპე ნელ-ნელა ნათდება.
 ნარზე სხედან მესხანდრისზუფიანი მკაცრი გამო-
 მეტყველების კაცები.
 შუაში უზით ოცდაათნელსმიღწეული, ბეჭებშიმ-
 ველი ლამაზი ქალი.
 ლამაზ ქალს გვერდით ბავშვი უზის.
 ბავშვის გვერდით ერთი ადგილი თავისუფალია.
 მატარებლის დგანდგარში მგზავრები თავს იქეთ-

აქეთ აქანავებენ.
 მესხანდრეთაგან ზოგს ეძინება, თავს ჩაკიდებს.
 ლამაზი დედიკო ამოოდ ცდილობს ბავშვის დამშ-
 ვიდება-დაძინებას.
 ერთმა-ორმა უადგილო მგზავრმა ჩაიარა.
 დააპირეს კიდეც თავისუფალ ადგილას დაჯდომა,
 მაგრამ ბავშვის გვერდით „ვერ გარისკეს“ და გზა
 განაგრძეს.
 ...და აი, ვაგონში გამოჩნდა ჩვენი გმირი – ზურაბი.
 იგი გამხდარი, ანონილი, უსათვალო, მაგრამ ფერ-
 მკრთალი, დაღლილი ჩანს.
 ქალს ცარიელ ადგილზე მიუთითა; დაკავებული
 ხომ არ არისო.
 ქალმა ხელითვე ანიშნა, შეგიძლიათ დაბრძანდეთო.
 მოკალათდა ბავშვის გვერდით ზურაბი.
 მესხანდრეები თვლემენ და თავებს აძიგძიგებენ.
 ზურაბის წამება დაიწყო.
 ბავშვმა ჯერ თმებში ჩაავლო ორივე ხელი და ლო-
 ნივრად დაქაჩა.
 ზურაბმა გაუღიმა და ხელები „სიყვარულით“ გააშ-
 ვებინა.
 მერე პატარამ ყურებზე წაავლო ხელი.
 ზურაბს ყური ეწვის, მაგრამ ითმენს.
 რა მეტი გზა აქვს.
 წამიც და პატარამ თვინიერ ბიძიას ორივე ყურზე
 წაავლო ხელი.
 ზურაბს სიმწრისგან კურცხლები სცვივა.
 დედა ბავშვს ნაზად უწყურება.
 ზურაბი წამოდგა და გასვლა დააპირა.
 ბავშვმა პროტესტის ნიშნად პირი მოალო და ღრია-
 ლი ატეხა.
 მესხანდრეები შეიშმუშნენ.
 ორივე მესხანდრე ადგა, ზურაბს ხელი მოჰკიდა და
 უბოდიშოდ დააბრუნა თავის ადგილზე.
 ბავშვმა ტირილი შეწყვიტა და გაიხარა.
 დედა ტუქსავს და ჭკუას არიგებს.
 ცოტა ხანს ეყო პატარას დატუქსვა-დარიგება.
 მალე ზურაბის ცხვირს მიწვდა და გასავათებული
 მგზავრის ცხვირს იქეთ-აქეთ ატრიალებს.
 ზურაბი სასონარკვეთილია.
 მატარებელი დგანდგარ-რახრახით მიჰქრის.
 ლამაზი დედიკო უძღურია ურჩი შვილის წინაშე.
 შეწუხებული ქალი ცრმელებს იმენდს და ზურაბს
 ებოდიშება.
 ზურაბიც თავის მხრივ ამშვიდებს, რაც შეუძლია.
 აქაოდა, არა უშავს, ქალბატონო, ბავშვს ყველა-
 ფერი ეპატიებაო.
 გადის კიდეც რამდენიმე წუთი და პატარამ ზურაბს
 ორივე ხელი პირში ჩაუყო.
 ჩაუყო და ტუჩები გახევაამდე გაქაჩ-გამოქაჩა.

მეხანძრეები იცინიან.

დედა ადგილს ვერ პოულობს. ნამდაუნუმ ბოდიშს უხდის მამაკაცს (ზურაბს) თავისი ცელქი შვილის გამო.

ზურაბმა პირის გახვევის მცდელობა ველარ აიტანა, ბავშვს პირისთვის თითები გააშვებინა და წამოდგა.

ბავშვმა ისევ მორთო ღრიალი.

მეხანძრეები სწრაფად დასერიოზულდნენ.

ზურას ხელი სტაცეს და თავის ადგილას დააბრუნეს.

მატარებელი დგანდგარ-კივილით მიქრის.

პატარამ ახალი გასართობი მოიგონა:

ზურაბს ყელზე თავისივე კაშნი გამოაბა და მაგრად დაქაჩა.

ზურაბმა მეტი ველარ მოითმინა, ბავშვს კაშნისთვის ხელი გააშვებინა და სასონარკვეთილი გავიდა კუბიდან.

მას ორი მეხანძრე დაედევნა.

ბავშვი უფრო ენერგიულად ტირის.

მიანოდა დედამ სათამაშოები, მაგრამ პატარამ ყველაფერი გადაყარა.

დედა სასონარკვეთილია,

მატარებელი მიქრის.

ორიოდე წუთში მეხანძრეებს ხელფეხშეკრული, ამოდმობვანცალე, პირშიჩვარჩატენილი ზურაბი მოჰყავთ და ბავშვის გვერდით სვამენ.

ბავშვმა ტირილი შეწყვიტა, საიდანღაც მაკრატელი დაადრო და ზურაბის ყურებს მოსაჭრელად დაედირა.

სინათლე ქვრება.

ეს იმას ნიშნავს, რომ მატარებელი გვირაბში შედის.

დგანდგარი, ჭრიალი, მატარებლის სიგნალი.

ნათურა წამინამ ინთება.

ვაგონის კუპეს სინათლის ჩქერი გადაუვლის,

მაჟორულ მუსიკას კაცის ზმუილი შეერევა.

ვინ იცის, რას აკეთებს პატარა ონავარი.

მეორე სურათი

მხირაული, მაჟორული მუსიკა.

ზურაბს მოკლე თასმით ძალღი მოჰყავს.

ამაყად მოაბიჯებს, აქაოდა, შემომხედეთ, რა ჯიშინი ძალღი მყავსო.

მეორე ხელში ორი მტკაველის სიგრძე მსხვილი ჯოხი უჭირავს

სკამზე დაჯდა და ძალღის წვრთნას შეუდგა.

გადაადგო ჯოხი და ძალღს ანიშნა, მოიტანეო.

ძალღი ვერ მიხვდა დავალებას,

ჯოხისკენ ერთი გახედვა გაიხედა და ისევ პატრონს შესცქერის.

რა ჰქნას ზურაბმა, როგორ გააგებინოს ძალღს, რომ ჯოხია მოსატანი.

თვითონ დადგა ოთხზე, მივიდა ჯოხთან, დაავლო პირი, მოიტანა და ფეხებთან დაუგდო ძალღს.

მერე ისევ სკამზე მოკალათდა, ძალღს ჯოხი ცხვირთან მიუტანა, გადაადგო და ანიშნა, მომიტანეო.

ძალღი გაიქცა, მოუტანა ჯოხი და გამარჯვებულის ეირით შეაცქერდა პატრონს.

ზურაბმა მონონების ნიშნაც თავზე ხელი გადაუსვა ძალღს, ჯიბიდან შაქრის კვინტა ამოიღ და პირში ჩაუღო.

ყველაფერი კარგად მიდის.

ძალღმა პირველი გაკვეთილი – ჯოხის მოტანა

ნარმატებით დაძლია.

გადაადგებს ზურაბი ჯოხს.

ძალღი გაიქცევა და მოაქვს.

ყოველ მოედანზე მადლიერი ზურაბი ჭკვიან ძალღს შაქრით ასაჩუქრებს.

ასე მეორდება ბევრჯერ

ბოლოს ზურაბი დაიღალა.

შაქარიც შემოელია.

ძალღს თავზე ხელი გადაუსვა და ჯოხი გადაადგო.

ძალღმა ჯოხი მოიტანა.

ზურაბმა ჯიბეები ამოიბრუნა, შაქარი აღარ მაქვსო.

ძალღი კვლავ გაფაციცებით შესცქერის ხან ჯოხს, ხან ზურაბს.

ზურაბმა ჯოხი გადაადგო და ძალღს ხელების გადაჯვარედინებით ანიშნა, დღეს ამით დავამთავროთ, გვეყოფაო.

ძალღი გაიქცა და ჯოხი მოიტანა.

შენუხებული ზურაბი ძალღს ემიმიკება, გვეყოფა, ჯოხს მეტს ნუღარ მოიტანო.

ძალღმა პირით აიღო ძირს გადაადგებული ჯოხი და ზურაბს გაუნოდა.

ზურაბმა ჯოხი გამოართვა და ძალღს კიდევ ერთხელ გადაუსვა თავზე ხელი.

თან დაბეჯითებით უხსნის, ჯოხის მოტანა საჭირო აღარ არის, მითუმეტეს, რომ შაქარი გამითავდაო.

ძალღი ისეა ჯოხის მოტანის ექსტაზში შესული, რომ არაფრის გაგონება არ უნდა.

გადაადგებს ზურაბი ჯოხს.

ძალღს ისევ მოაქვს.

ისევ გადაადგებს, ისევ მოაქვს.

სასონარკვეთილმა ზურაბმა აღარ იცის, რა უყოს ჯოხს.

გადანყვიტა, შუაზე გატეხოს.

ეჯაჯგურება, მაგრამ ვერ გატეხა.

ლამის ტირილამდე მისულმა პატრონმა ჯოხი დატრიალებით, რა ძალა და ღონეც ჰქონდა, შორს მოისროლა.

თან ძალღს საყელოზე ექაჩება, რომ არ წავიდეს და არ მოიტანოს.

ძალღისა და კაცის ქიჩმაჩი კარგა ხანს გრძელდება.

ბოლოს ძალღმა იძალა, თავისი გაიტანა, პატრონს დაუსხლტა და ჯოხისკენ გაიქცა.

მაყურებლის ხარხარს მაჟორული მუსიკა ერთვის.

სინათლე თამაშობს.

ქვრება, ინთება, ქვრება, ინთება.

შუქ-ჩრდილებში ვხედავთ ზურაბს.

იგი თავანყვეტილი გარბის.

უკან თავისი ერთგული ძალღი მისდევს ჯოხით პირში.

სადაცაა დაენევა.

ზურაბი ხანდახან შიშით მოხედავს ძალღს და სირბილს უმატებს.

მესამე სურათი

მყუდრო ბინა.

სცენის სიღრმეში ბუხარი მოსჩანს.

ოჯახური იდილია.

ზურაბი გაზეთს კითხულობს.

ცოლი ქსოვს თუ კერავს (სულერთია).

გოგოს მუჭის სარკე მოუმარჯვებია და ისედაც ლამაზ წარბებს უკირკიტებს.

ბიჭი კომპიუტერს მიჭიჭინებია.

უეცრად ჭრიჭინობელას გაბმული, ენერგიული ჭრიჭინი გაისმა.

ჯერ გაეხარდათ.

რალაც ახალი ხმა, ახალი სიცოცხლე შემოვიდა სახლში.

ცოტა ხანში მოწყინდათ ჭრიჭინობელას ჯიუტი ჭრიჭინი.

ოჯახური იდილია გაქრა.

მყუდროება დაირღვა.

ოთხივენი გამალებით ეძებენ „დაუპატიჟებელ სტუმარს“.

კარადაში არ არის.

მაცივარში არ არის.

კომპიუტერში არ არის.

ყველაფერი ძირს გადმოალაგეს – ნიგნები, თევზები, გაუთავებელი თეთრეული...

ჭრიჭინობელა ჭრიჭინებს.

ნერვებმოშლილმა მეუღლემ შუბლი შეიხვია,

დადიან ბუზების საკლავი ფირფიტით, ცოცხით, აქანდაზით.

ერთმანეთის მიყოლებით, ფეხაკრეფით უახლოვდებიან „მსხვერპლს“.

მერე ერთმანად დასცხებენ ბუზსაკლავს, ცოცხლს, აქანდაზს...

ჭრიჭინობელა წამით ჩრდება და, როცა ოჯახის წევრები ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავენ, ისევ იწყებს ჭრიჭინს.

სანეპიდსადგურიდან მშველელნი გამოიძახეს.

ორმა თეთრხალათიანმა სანიტარმა უშველელბელი შპრიცი დააძრო.

შენამლავენ კარადას.

ჭრიჭინობელა წამით გაჩერდება.

სანიტრები წასვლას დააპირებენ და...

ჭრიჭინობელა ისევ იწყებს.

შენამლავენ მაცივარს.

ჭრიჭინობელა წამით გაჩერდება.

სანიტრები წასვლას დააპირებენ და...

ჭრიჭინობელა ისევ იწყებს.

ასე მეორდება რამდენჯერმე.

ბოლოს ჭრიჭინობელის გაჩუმების სპეციალისტებმა ეჭვი ბუზარზე აიღეს.

ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ ბუზარს და გულდასმით „შენამლეს.“

ესეც ასე... ჭრიჭინობელა დამარცხებულია.

სანიტრები ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავენ.

ოჯახის წევრები სანეპიდსადგურის უანგარო თანამშრომლებს მადლობით ემშვიდობებიან.

ისევ დაისადგურა იდილიამ ოჯახში.

ზურაბმა გაზეთი აიღო (მაგრამ რატომღაც უკუღმა უჭირავს).

ცოლი ქსოვს (იქნებ კვართზე ღილს აკერებს).

გოგომ მუჭის სარკე მოიმარჯვა.

ბიჭი კომპიუტერს მიუჯდა და ისევ გაისმა ჭრიჭინი.

ეს უკვე მეტისმეტია.

ცოლმა ისევ წაიკრა შუბლი.

გოგო მუჭის სარკით ნერვიულად მიმოდის.

ზურაბი და მისი მოსწრება ბიჭი გავარდნენ და

საიდანღაც მეზურე მოიყვანეს.

ქაფჩიან-სპეცტანსაცმიან მეზურეს, ოთხივენი ბუზრისკენ ანიშნებენ.

მეზურე თავს უქნებს, აქაოდა, ვიცი, როგორ არ ვიცი, მთელი ცხოვრება ჭრიჭინობელის გაჩუმების მეტი რა მიკეთებიაო.

მივა, ქაფჩას დაუკაკუნებს ბუზარს.

ჭრიჭინობელა წამით გაჩუმდება.

მეზურე საფეთქელთან თითს მიტანს, ხომ ხედავთ, რა ჭკვიანი ვარო.

ჭრიჭინობელა ისევ დაიწყებს.

ახლა სხვა ადგილას დაუკაკუნებს მეზურე. ჭრიჭინობელა წამით გაჩუმდება.

მოშორდება იმ ადგილს მეზურე და...

ჭრიჭინობელა კვლავ იწყებს ჭრიჭინს.

ბოლოს მეზურე ქაფჩას ბუზრისკენ გაიქნევს. ჭრიჭინობელა ჩუმდება. აქეთ გამოიქნევს – ჭრიჭინობელა იწყებს ჭრიჭინს.

ასე მეორდება რამდენჯერმე.

სხვა გზა არ არის. მეზურემ უფრო ქმედით ღონისძიებას უნდა მიმართოს.

ააცალა ერთი აგური ბუზარს.

ჭრიჭინობელა ისევ ჭრიჭინებს.

ააცალა მეორე აგური.

ჭრიჭინობელა ისევ ჭრიჭინებს.

ასე თანდათანობით, მეზურემ ბუზარი მთლიანად დაშადა და აგური იატაკზე დააწყო.

ბოლო აგური რომ აიღო, ჭრიჭინობელა, როგორც იქნა, გაჩუმდა.

ახლა მთავარია, ბუზარი ისე აშენდეს, რომ ჭრიჭინობელამ არ დაინახოს.

ფეხაკრეფით უახლოვდება მეზურე ყოფილი ბუზრის ადგილს.

ოჯახის წევრებიც იდუმალი ჩურჩულით აწვდიან აგურებს.

მეზურე ბუზარს აშენებს.

ჭრიჭინობელა დუმს.

რა ბედნიერებაა.

ბუზარი ააშენეს.

მეზურეს ყველანი პირზე კოცნით ემშვიდობებიან. ოჯახში კვლავ იდილიამ და სიმშვიდემ დაისადგურა.

ზურაბს გაზეთი ამჯერად წაღმა უჭირავს.

ცოლმა საქსოვი ყაისნალი მოძებნა.

გოგომ სარკე მოიმარჯვა.

ბიჭი კომპიუტერს მიუჯდა და..

ჰოი, საკვირველებავ!

ისევ გაისმა ჭრიჭინი.

ბიჭი ფანჯრიდან გადაძვრა.

გოგომ სარკე მოისროლა და დედასთან ერთად სახლიდან გაიქცა.

ორ სანიტარს ნერვიულად აღგზნებული ზურაბი, რომელიც თავს საეჭვოდ აქანავებს და ბუზრისკენ ხელს იშვერს, ნაძალადევი ხელკავით გაჰყავთ.

მეოთხე სურათი

ავისმომასწავებელი, განგაშისმსგავსი მუსიკა.

სინათლის წრეში სამი ნაძირალა ჩანს.

ისინი უტიფარი, გათამამებული, ქუჩას დაუფლებული ბიჭები არიან.

ერთმანეთს თითქოსდა რალაცას უყვებიან და ამა-ზრუნენად ხითხითებენ.

სცენაზე შემოდის უშნოდ გასუქებული, დონდლო, სათვალისანი ბიჭი.

ერთ-ერთმა ნაძირალამ თავისკენ უხმო. ბიჭი მიმ-ნდობი, კეთილი, გულუბრყვილო ღიმილით მათკენ ნამოვიდა.

სანამ ერთ-ერთ ნაძირალას რალაცას უხსნიდა, უკნიდან მეორე ნაძირალა იეპარა და ქუდი აჰხადა.

მსუქანი ბიჭი მისკენ შეტრიალდა.

ქუდის ამგლვეჯმა ქუდი მეორე ნაძირალას ესროლა.

ბიჭი ახლა მისკენ ნავიდა.

მეორე ნაძირალამ მესამე ნაძირალისკენ ისროლა ქუდი.

ასე აწვალევენ საცოდავ, მოდებილო ბიჭს.

ბიჭი თავზე ხელს ისვამს და ემუდარება მოძა-ლადეებს, თავზე მცივა და ქუდი დამიბრუნეთო.

ნაძირალები რისი ნაძირალები არიან, რომ უმწეო ბიჭი შეიცოდონ.

ერთი მათგანი გაუნოდებს ქუდს, აქაოდა, ჰა, ნაილე, გიბრუნებო, მაგრამ მიუახლოვდება თუ არა, „მსხვერპლი“ ქუდს, მეორე ნაძირალას გადაუგდებს. ახლა ცრემლმომდგარი, შეციებული, დონდლო მეორე ნაძირალისკენ გარბის.

მეორე ქუდს აწვდის.

დონდლო ადგილიდან არ იძვრის.

მეორე ნაძირალა დაბეჯითებით აწვდის, თითქოს-და ეუბნება, აჰა, ნაილე, სანამ მეჭიროს შენი ქუდიო. გახარებული ქუდწართმეული მისკენ გაიქცევა და ახლა მეორე ნაძირალა ქუდს პირველ ნაძირალას ესვრის.

ირგვლივ შემოჯარული მოქალაქენი ხარხარებენ.

ჩანს, გასართობი იშოვეს.

ამ დროს, სად იყო, სად არა, სცენაზე ზურაბი შემოვარდა.

მაჯაში სტაცა ქუდიან მოძალადეს ხელი, ძირს დააწვინა და ქუდი გააგდებინა.

დაგდებული ქუდი პატრონს გადაუგდო.

დონდლომ დაიჭირა ქუდი და გახარებული გაიქცა.

შეურაცხყოფილი მეორე ნაძირალა მაჯაზე ხელს ისვამს, აქაოდა, რა ღონიერი ყოფილა ეს უცნობი მოქალაქე, მაჯა მატკინაო.

ის არის ზურაბი გზის გაგრძელებას აპირებს, რომ ხდება სრულიად მოულოდნელი რამ:

პირველი ნაძირალა უკნიდან მიეპარა ზურაბს და ქუდი ააცალა.

ზურაბი მისკენ გაიქცა.

პირველმა ნაძირალამ მეორეს ესროლა ქუდი და ზურაბს ცარიელი ხელები აჩვენა, მე სადა მაქვს შენი ქუდიო.

ზურაბი ახლა მეორე ნაძირალასკენ გაიქცა.

მეორემ მესამეს გადაუგდო ქუდი.

და ასე ნაძირალებმა ზურაბი დონდლო ბიჭის მს-გავსად წრეში მოიქციეს.

ნაძირალებს შორის წუთიანი მიმორბენის შემდეგ ზურაბი სცენიდან გავარდა.

ნაძირალები ქუდს ესვრიან ერთმანეთს.

ზურაბი ჯოხმომარჯვებული დაბრუნდა.

მხიარული მუსიკა ტრაგიკულმა, ზარისმსგავსმა მელოდია შეცვალა.

გაიმართე ოთხთაბრძოლა.

ზურაბი ლომურად იბრძვის.

ხან ერთს გადაუჭერს სახრეს მხარ-წელზე, ხან – მეორეს.

ნაძირალებმაც იშოვეს იარაღი, ზოგმა ფიცრის ნატეხი აიღო, ზოგმა ქამარი შემოიხსნა.

შეშინებული მოქალაქეები გაიქცნენ.

უთანასწორო ჩხუბი გრძელდება.

ორი ნაძირალა იატაკზე გდია და ტკივილებისგან იკლანკება.

ზურაბი მესამეს ებრძვის.

გაისმის პატრულის სასტვენის ხმა.

ნაძირალებმა ერთმანეთი ძლივსძლივობით წა-მოაყენეს და ფორთხვაფორთხვით გაიქცნენ.

შემორბის წითელსამკლაურიანი კაცი და „მთავარ დამნაშავეს“ – ხელჯოხიან ზურაბს აკავებს.

რა შუაშია ზურაბი?

მეხუთე სურათი

ისმის იმერული, მხიარული, ტემპიანი სიმღერა.

სოფელს მთვარე ანათებს.

აშკარად ჩანს, სადღაც ქეიფობენ.

მთვარის ვერცხლისფერი ათინათი თანდათან გა-მოკვეთს იმერული ეზოს კონტურებს.

სცენის განაპირას სოფლური ჩეჩმა დგას.

ორი მასპინძელი აშკარად შეზარხობებულ ზურაბს უზოში შემოუძღვა.

პენიანად, იმერული მონინებით ანიშნებენ, შწმო-ბრძანდით, ამაღამ ჩვენთან მოისვენეთო.

ეზოში ძალღი მედიდურად მიმოდის.

ერთი მასპინძელი ზურაბს ჩეჩმისკენ ანიშნებს, აქაოდა, ჩეჩმა აქა გვაქვს, როცა გაგეხარდებათ, ისარ-გებლეთო.

ზურაბი მადლობის ნიშნად, გულზე ხელის მიტა-ნით თავს უქნევს და ძალღისკენ უთითებს.

ამის ნუ შეგეშინდებათო, მიმიკითვე ანიშნებს მას-პინძელი.

სტუმარ-მასპინძელი მხიარული მასლაათით გა-დიან. შორიდან ისმის იმერული „გალიაში რომ გაგ-ზარდე“.

შუალამეა.

ცივა.

ნიფხავ-პერანგში გამონყოფილი ზურაბი, როგორც ჩანს, თავისი კაცური საჭიროებისთვის ეზოში გამო-ვიდა და ჩეჩმისკენ გააბიჯა.

გაავიჯა, მაგრამ რალა გაბიჯებაა, ჩეჩმასთან ნა-გაზი წევს და ერთგულად დარაჯობს.

გადადგამს თუ არა ზურაბი ჩეჩმისკენ ნაბიჯს, ძალღი შეუღრენს.

ზურაბი ფეხზე-ფეხს ისვამს, თან ძალღს ემუდა-რება, შემიშვი ჩეჩმაშიო. ძალღს თხოვნის გაგონებაც არ სურს.

ზურაბმა გამოსავალს მიაგნო, ქვა აიღო და ეზოს სიღრმეში მოისროლა.

სოფლის ნაგაზი ქვისკენ გაიქცა.

ზურაბმა დრო იხელთა და ჩეჩმაში შევარდა.

ძალღმა მოირბინა.

მიხვდა, რომ მოატყუეს და ჩეჩმას ყეფა დაუნყო.

ორიოდე წუთის შემდეგ ზურაბი ჩეჩმიდან გამოს-ვლას და თავისი თბილი ლოგინისკენ წასვლას ცდი-ლობს.

თქვენს არ მომიკვდეთ, ძალღლი ამის ნებას არ აძლევდეს.

გამოაღებს ჩემის კარს ზურაბი თუ არა, ძალღლი გააფთრებით უყვავს.

შეშინებული ზურაბი კარს შეიკეტავს.

ასე გრძლედება კარგა ხანს.

ზურაბმა ხელი გამოყო და დამარცხების, თუ დანებების ნიშნად ჩემმაზე თავისი თეთრი კვართი (მაიკა) გადმოკიდა.

ძალღლი სტუმრის კაპიტულაციას არ ღებულობს.

შერიგების სურვილი არა აქვს ნაგაზს.

რა ჰქნას ზურაბმა?

სტუმარს სცივა.

ჩემმა ზურაბიანად ძიგდიგებს.

მაყურებელი ხარხარებს.

ზურაბმა ხელი გამოყო, ფათურით მოძებნა ქვა და ისევ მოისროლა ეზოს სიღრმეში.

ძალღლი ქვას აედევნა.

ზურაბი ჩემიდან გამოხტა და ტკუპ-ტკუპით გაიქცა სახლისკენ.

ნაგაზმა გზა მოუჭრა.

ახლა სიცივისგან გალურჯებული, აკანკალებული ზურაბი შუა ეზოში დგას.

ძალღლი არც იქით უშვებს და არც აქეთ.

დააპირებს თუ არა ნაბიჯის გადადგმას სტუმარი, ძალღლი საშინელ პროტესტს აცხადებს.

ცივა ზურაბს.

მეტი გზა აღარ დარჩენია ილაჯგანყვეტილ ზურაბს. პირში ოთხ თითს ჩაიდებს და რაც ძალი და ღონე აქვს დაუსტვენს.

სტვენაზე გულდაფეთებული, დაღვიძებულნი, ნიფხავ-პერანგოსანი მასპინძლები (მათი ცოლები და ქალიშვილები) შემორბიან სტვენაზე და ზურაბს ასეთ დღეში რომ იხილავენ ისტერიულ ხარხარს სტვენენ.

მეექსვე სურათი

სასტუმროს ღარიბული ნომერი.

შეზლონგზე კაცი წევს და ხვრინავს.

ხვრინავს ენერგიულად, თითქოს კრეისერი ღუზას უშვებს სრიალით ზღვაში.

შემოდის ზურაბი პატარა ჩემოდნით.

თავის შეზლონგზე ჩამოჯდება და მონყენილი სახით უსმენს მხვრინავს.

ზურაბმა ჩემოდანი კედელს ააყუდა, პიჯაკი სკამზე გადაკიდა და გაუხდელად წამოწვა შეზლონგზე.

კაცი ისევ უიმედოდ და უეჭველად ხვრინავს.

ზურაბმა ყურები დაიცო.

თავზე ბალიში დაიდო.

რა დააძინებს ამ ხვრინვაში.

იატაკზე დააკაკუნა.

მერე ფეხი დააბრაზუნა.

ფეხზე გაიხადა და ცალი ფეხსაცმელი ღონივრად დასცხო იატაკს.

თანამეთახე ისევ ხვრინავს.

ზურაბი წავიდა და წითელსამკლაურიანი მორიგე მოიყვანა.

აქაოდა, ნახეთ, როგორ ხვრინავს, ასეთ ვითარებაში დაძინება არ შემოიძლია და იქნებ სხვაგან გადამიყვანოთო.

წითელსამკლაურიანი მორიგე და ზურაბი კარებში

დგანან და...

საოცრება ხდება.

კაცი აღარ ხვრინავს.

მორიგემ დონიჯი გაიკეთა და ზურაბს შესცქერის, რატომ იტყუები, როდის ხვრინავსო.

ზურაბი ყელზე თითის მიდებით ანიშნებს, ნუ ნახვალ, ცოტა მოითმინეო.

იცადა, იცადა მორიგემ მაგრამ ამაოდ.

კაცი აღარ ხვრინავს.

მორიგემ თითი დაუქნია „მატყუარა“ ზურაბს და წავიდა.

წავიდა მორიგე და თანამეთახემ ისევ დაინყო ხვრინვა.

ახლა უფრო ღონივრად ხვრინავს.

ზურაბი ყურებში თითებს იცობს.

მერე ბალიშს თავზე იფარებს.

იატაკზე ფეხსაცმელს ურტყამს.

დგება და ისევ შემოჰყავს წითელსამკლაურიანი მორიგე.

შემოვიდნენ ფეხაკრეფით.

დაადგნენ თავზე სტუმარს.

აღარ ხვრინავს.

მორიგემ დონიჯი გაიკეთა.

მრისხანედ შესცქერის ზურაბს, აქაოდა რა ცილს სწამებ ამ პატიოსან კაცს, ხომ ხედავ გვრიტივით სძინავსო.

ერთხელ კდევ დაუქნია თითი ზურაბს, აქაოდა უკანასკნელად გაფრთხილებ, ამ საკითხზე მეტი აღარ შემანუხზო.

მორიგე გავიდა.

ზურაბი ტახტზე წამოწვა თუ არა, თანამეთახემ ისევ დაინყო ხვრინვა.

ნერვებმოშლილი, იმედგაცრუებული, სასონარკვეთილი ზურაბი ელდანაკრავივით წამოხტა, თავის ფეხსაცმელს, ჩემოდანს, პიჯაკს ხელი დაავსო და ფაცხა-ფუცხით გაიქცა.

მხვრინავმა ჯერ ცალი თვალით გამოიხედა.

მერე შეზლონგზე ჩამოჯდა.

მობილურს მიწვდა.

დარეკა.

ორიოდე წუთში ოთახში შალიფად ჩაცმული ულამაზესი გოგო შემოვიდა.

„მხვრინავი“ მიმიკით, შუბლზე ხელის მიდებით ტრაბახობს, აი, რა ყოჩალი ვარ, ჩემი თანამეთახე გავაქციეო.

ორივენი გულიანად იცინიან.

სინათლე თანდათან ქვრება.

სექსუალური მუსიკალური მოტივი.

გოგონა იხდის და სტუმრის გვერდით წვება.

მეშვიდე სურათი

ხალხის ყრიაშულს შერეული მაჟორული მუსიკა.

ვილაც მიკროფონს ამოწმებს.

„ერთი-ორი, ერთი-ორი, ერთი-ორი!“

თითქოსდა რევოლუციური, მოწოდებისმსგავსი, ოღონდ თავიდან ბოლომდე გაუგებარი პათეტიური ყვირილი ისმის მიკროფონში.

ტამის გრაილს წითელსამკლაურიანმა ბიჭებმა მოხდენილი ჩუქურთმებიანი ტრიბუნა მოიტანეს და სცენის შუაში დადგეს.

მალე ტაშის გრაილს დაბალი ტანის მოქადაგე გამოჩნდა და ტრიბუნასთან დადგა.

დადგა, მაგრამ ტრიბუნაში ჩაიმალა.

ალარ ჩანს.

სიმაღლე არ ეყო.

ვილაცამ ყუთი მოუტანა და ფეხრთით დაუდო.

დაბალი მოქადაგე იმ ყუთზე შედგა და, როგორც იქნა, მიკროფონს შეუპირისპირდა.

მის უკან გაბადრულსახიანი მეტაშეები განლაგდნენ.

მოქადაგემ დაიწყო.

დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო, ცეცხლი დაანთო ტრიბუნაზე.

კაკაფონიური მუსიკის ფონზე ქადაგებს.

სიტყვებს უაზროდ ისვრის.

ხელებს იქნევს.

თმები ფიურერივით ჩამოეშალა.

მეტაშეები (კლაკიორები) წამდაუნუნებულნი აწყვეტინებენ.

სცენისმარჯვენა კუთხეში გალია-საკანი გაჩნდა.

საკანში ხუთიოდე ტუსალი მოკალათებულა.

ისინი მოქადაგიდკენ ხელებს იშვერენ და რალაცას ყვირიან.

სად იყო, სად რა, ტაბურეტით ხელში სცენაზე ზურაბი გამოჩნდა.

ზურაბმა ტაბურეტის სკამი სცენის მარცხენა კუთხეში დადო, ზედ შედგა, მოქადაგისკენ ხელი გაიშვირა, სიტყვას ამბობს.

როგორც ჩანს, სიმართლეს ამბობს, რადგანაც მეტაშეები მისკენ ნელ-ნელა შებრუნდნენ.

მოქადაგე შეცბა.

ჯერ უსმინა „არამკითხე მოამბეს“.

მერე თითისქნევით შეეკამათა.

ბოლოს ყურებში თითები დაიცო.

მისმა წითელსამკლაურიანმა ამაღამ სცადა ტრიბუნა აერო და ექსტაზში შესული მოქადაგე სცენიდან გაეყვანა.

მოქადაგე ვიუტობს.

იგი ზურაბისკენ მუსტს იშვერს და ემუქრება.

კაკაფონიურ მუსიკას სტვენაც შეერია.

წითელსამკლაურიანებმა მოქადაგე შუაში ჩაიყვანეს, ტრიბუნა აიღეს და სცენიდან სტვენა-ღრიან-ცელის თანხლებით გავიდნენ.

ერთი წითელსამკლაურიანი მობრუნდა, ყუთი, რომელზეც მოქადაგე იდგა, ამოიღლია და წასულელებს გაეკიდა.

უეცრად პოლიციეს მანქანების, სირენების, წყლის შხუილის ხმა გაისმა.

შეშინებული ხალხი გარბის.

ზურაბი მარტო რჩება, მაგრამ სიტყვას აგრძელებს განწირული კაცის ხელების ქნევით და შთამბეჭდავი მიმიკებით.

წითელსამკლაურიანებმა ზურაბის ირგვლივ წრე შეკრეს.

ზურაბი შუაში მოიქცევს.

ისინი, როგორც კატები თავგს, ნელ-ნელა ნაბიჯ-ნაბიჯ ეპარებიან ზურაბს.

ზურაბი ისეა ქადაგებით გართული, რომ საფრთხეს ვერ ამჩნევს.

წამიც და ზურაბს თავზე ტომარა ჩამოაცვებს.

ზურაბი ხვანცალებს, ცდილობს თავი გაითავისუფლოს, მაგრამ ამაოდ.

წითელსამკლაურიანებმა ზურაბი ბანრით მაგრად შეკონეს, მხარზე გაიდეს და გზას გაუდგნენ ჩვენთვისაც და მაყურებლისთვისაც სრულიად გასაგები-მიმართლებით.

სამგლოვიარო მარში.

მერვე სურათი

ბრბოს ღრინაცელში წითელსამკლაურიანებს მოჰყავთ გაკოჭილი ზურაბი.

სამარშო, მბრძანებლურ-იმპრესიული მუსიკა.

გაკოჭილი ზურაბი წითელსამკლაურიანებმა სცენის შუაგულში დააყენეს.

ერთმა წითელსამკლაურიანმა ჯიბიდან დახვეული ეტრათი დააძრო და განაჩენს კითხულობს.

ერთ-ორი პატიოსანი კაცი ცრემლებს ინმენდს, მაგრამ რა ჰქნას, სხვა არაფერი შეუძლია.

წითელსამკლაურიანებმა ზურაბის კედელში ჩაშენება დაიწყეს.

სინათლე ნელ-ნელა მუქლურჯ, ბაცვერში გადადის.

ხელფეხშეკრული ზურაბი დგას.

სახეზე მთვარისფერი გადაჰკრავს.

წითელსამკლაურიანებს, იმ სამ ნაძირალას, მეხანძრისზურჩიანებს, მხვრინავ კაცსაც კი... ყველას მოაქვს აგური, ბლოკი, ქვა...

მოაქვთ და წითელსამკლაურიანებს წინ ულაგებენ. ზურაბის კედელში ჩაშენება გრძელდება.

ჯერ წელამდეა ჩაშენებული.

ზურაბი წარბმუხრელად დგას.

აჰა, მხრებამდე ჩააშენეს.

ბოლო აგურიც და... ჩააშენეს კაცი კედელში.

ღრინაცელი და მარშისებური მუსიკა უცებ შეწყდა.

სამარისებური სიჩუმე.

ამ დროს ჯერ ძლიერმა ქარმა დაჰბერა და უეცრად მიწისძვრამ შეარყია ყველა და ყველაფერი.

ადამიანები და ხეები ლერწმებით ირწევიან.

მიწაზე გართხმულნი ხელებს იშვერენ და შევლას ითხოვენ.

ყველაფერი თრთის და ცახცახებს.

სცენის შუაგულში აღმართული კედელი, რომელშიც ეს-ესაა ზურაბი ჩააშენეს, ნელ-ნელა ბლოკ-ბლოკ, აგურ-აგურ ინგრევა.

ბოლოს სულ დაინგრა.

სცენა კაშკაშა შუქმა აავსო.

ხელფეხშეკრული, გადარჩენილი ზურაბი დგას.

მასთან პირველი სურათიდან ჩვენთვის ცნობილმა პატარა მიმიმ მიიბრინა მაკრატლით ხელში.

პატარა მიმიმ ზურაბს შემოსალტული ბანარი ააჭრა.


ზურაბი თავისუფალია.

მან მიმი ხელში აიყვანა და ავანსცენისკენ წამოვიდა.

მაია ბუილიშვილი
ჟურნალისტი

ჰეგემონის ქორწილი

(ცისკიდურელ მეგობარს - თეიმურაზ შაქარაშვილს)



... როგორც სასახლის კედლები იხოცებოდნენ შავი ჭირით, მზის ამოსვლისას თითო-თითოდ რომ ჩაი-სუნთქავდნენ ხის ვინრო ტოტებზე ნებიერად განო-ლილ უცხო მხარის ნამიან ჰაერს, ხეხილიანი ბაღის ბოლოს მდგარი, სულ ასიოდე წლის მიყუჩებული დარბაზებიდან მოოქროვილი მდუმარების მოსმენის ხარჯზე რომ ავსებდნენ საკუთარ ჩურჩულს ვერაგუ-ლი იდუმალებით, მამასავით მზრუნველი ჰეგემონის დიად სიტყვებს კვერთხის ფითქინა მარმარილოზე დაკვრისთანავე რომ ავრცელებდნენ ყოველ კუთხე-კუნჭულში, ყვითელი, ხანშიშესული ბალახის ღეროე-ბთან ფხვიერი საფლავის აღმოჩენას რომ ლამობდნენ, ეგება სწორედ აქ, ქარის მიტაცებულ დიდგვაროვანთა საუკუნო სამფლობელოში დანყებულა ჟამთა უკომ-პრომისო ბრძოლა მუქ წითელ, ხელჯოხით შემართულ შემზარავ ხრწნასთან. აგურის კედლებმაც ხომ ზავი დადეს უმნო, ჟანგიან მავთულის მესერთან, სადღაც ბოლოში, მდინარეზე ჩაშვებულ ციცაბო ფერდობთან რომ შეამჩნიეს პერანგშელახული, ტალახით სახე-მოთხუპნული, თავადის ოჯახში გაზრდილი თავმდა-ბალი ვაჟი, თითქოს თამაშობდაო კი თქვეს მეყვავილე ქალებმა და სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდათ რომ ცამდე მიღწეული კოშკის ოქრო-ვერცხლით განყო-ბილი ვეებერთელა ჭიშკრიდან მცირე ზომის, მაგრამ ჯიშინი, მძიმე ხის მუქი კუბო გამოაბრძანეს, სწორედ ისამანს მოუნამლია თავადისშვილი.

ცისკიდურეთს ნაცრისფერი ღრუბლები გადაა-ფარეს. დედამინის ოთხივე მხარეს ოქროსფერფორე-ბიანი ფარდა გადმოკიდეს და ხუროების დახმარებით მჭიდროდ შეუერთეს ქაობად ქცეულ უკიდევანო სან-გრებს. მზეც ჩააქრეს თითის ერთი დაქნევით.

და იყო გლოვა.

... როგორც სასახლის კედლები იხოცებოდნენ შავი ჭირით.

ზეთისმცხებლები რომ გამოჩნდნენ, ჭიანჭამ კუბოს მაშინვე მხრით შეუდგა ხუთი შავწვერიანი ახალგაზრდა და ცამდე ანეული პანანინა სასახლე სამჯერ შემოატარა ყვითელი ყვავილებით განყობილ სუფრას. ჩამობნელებული სივრცე ანაზდად გაჭრა ზომაზე მეტად მოახლოებული თანამგზავრის მკრ-თაღმა სხვიმა და ყველაფრის დანახვისთანავე ყრუ ღმუილი აღმოხდა, გაიზარა, ათი ათასად დაიყო, თავგზააბნეული აქეთ-იქით დაიფანტა და რომ მიხვდა ვერასდიდებით შეეჭიდებოდა შალის ფარდაგებს, მუხლისჩოქა მდგარ რომელიღაც სულიერს დაუკი-თხავად შეეკედლა.

რა დაემართა ედემის ბაღს - ქვრივი ქალივით

გაჰკოდა მდიდრულ აივანზე გადმოდგარი დაბე-რებული ჰეგემონი და მისი ხმა სულს უფინროვებდა აქა-იქ მომტირალ უცხო სულიერს. მეხაზეებმა იასამ-ნის ბაღჩიდან გადაჭიმული ტერასა სწრაფად გაანყვეს და შუაში მობორიალე მწერები თავ-თავის ალაგს თავ-კუდმოგლეჯით შეეფარნენ. ცხენზე ამხედრებულმა რაინდმა ხელის ერთი მოძრაობით ხმალი ჰაერს კრა და ყველა შადრევანი ერთბაშად გაიტრუნა, წითელი ხალიჩა მხარეთეძოზე წამოგორდა და ზღაზვნით გაე-მართა სასახლის ყველა შესასვლელისკენ. მექორწინე ქალებმა შუაში მოიქციეს ორი კვადრატული შავი მინა, რომელის ზედაპირიც ნელ-ნელა სცილდებოდა ვარდის ფესვებს და დედამინის გულისკენ მიემარ-თებოდა, შავოსნებმა თეთრი თაიგულები უკუღმად მოისროლეს და უცნაურად ღრმა ორმოს სამუდამოდ უსახსოვრეს.

და იყო გლოვა.

... როგორც სასახლის კედლები იხოცებოდნენ შავი ჭირით.

და ბოლოს, ყველაფრის ბოლოს, ერთი ძალგამო-ცლილი, სახსრებმტკივანი მოხუცი იჯდება ტყავით განყობილ ხის სკამზე, მის წინ გაშლილ, სივრცის ბოლომდე მიღწეულ ტერასებს შმაგად მიაშტერდე-ბა და ვინ იცის, რა საამო გრძნობა იტრიალებს მის ცოცხალ-მკვდარ სულში, რა გრძნეული ჟრუანტელი დაუვლის მის დამპალ ხორცს, იქნებ უცებ არითმიაც დაემართოს იმ შადრევნების შემხედვარეს. სისხლის-ფერ კოქტილს დაბებრილი ტუჩებით ჩაებლაუჭება, სასაში უგემოვნოდ გადაუშვებს და ისევ ბოლო წლებ-ში გამომუშავებულ დახვენილ, მაგრამ უკმაყოფილო სახეს მიიღებს იმ გამომწვევი, მედიდური მიმიკების ნაცვლად, რომელსაც რამდენიმე ათეული წლის წინ ავტოპორტრეტად ხატავდა, როდესაც ამ ყველაფერზე ოცნებობდა! აქ არ იქნება ჩიტების ჟღურტული, არც სიმწვანეში მოთამაშე ცელქი ბაღლები, აღარც უკვე ჩამომჭკნარი, მაგრამ ერთ დროს ყველაზე ლამაზი ქალი... ამ ყველაფერს თავისი ადგილი ექნება ვეება ტერასების სიღრმეში, შავი მარმარილოები კი კვლავ აირიდებენ მოხუცის გამომცდელ მზერას, მის წიაღში გამოკეტილ შემზარავ სულებს.

ისამანს მოუნამლიაო, ისევ ამბობენ იმ მხარეში.

იკსა ტონგა ფენი

ბუკინგემის სასახლე, ბიგ ბენი, ჰაიდ პარკი, პიკა-დილი... ყოველდღე ამინდზე საუბარი, წვიმისა და ყა-ვის ერთმანეთში არეული სუნი, პატარა ყავახანა სო-პოში. წყნარი ჯაზური მუსიკის ჰანგები ძალიან მომ-წონდა და ამიტომაც ამ მშვიდი გარემოს ხშირი სტუ-მარი ვიყავი. იმ დღეს კი, ახლაც მახსოვს, ენერჯის რაღაც საოცარ მოზღვავებას ვგრძნობდი, მაგრამ ვერ ვიხარჯებოდი. განმუხტვისთვის რაღაც სხვა, ახალი გარემო მჭირდებოდა. სოპოში ყველა რჯულის, ასაკის და სექსუალური ორიენტაციის ადამიანი დაიარება.

რესტორნები, მაღაზიები, კაფე-ბარები, თეატრები, კლუბები ხალხით სავსეა.

ქუჩაში გავედი, სანაპიროს გავუყევი. სასწავლო სემესტრი ახალი დამთავრებული იყო და თავისუფალი დრო მქონდა. არ ვიცოდი, რა მეკეთებინა. გოგონებს დავუწეე თვალთვლება, ვაკვირდებოდი. ლონდონში ცივა, თუმცა უმეტესობას სანდლები აცვია, რამდენიმე ფეხშიშველასაც კი მოვკარი თვალი. მაგრამ ჩემი მზერა შავჩექმიანმა მიიპყრო. ჩუმად ავედევნე. საშუალო სიმაღლის გოგო იყო, გრძელი გაშლილი შავი თმით, კოხტა ტანზე შავი თხელი პალტო ლამაზ ნაკვეთს ვერ უფარავდა. ნეტა სახეც შესაფერისი ჰქონდეს, ვინატრე და გავასწარი. მერე ვიტრინასთან გავჩერდი და მისი ანარეკლი დავათვალიერე. სახე ნაცნობი მომეჩვენა, „ნამდვილად ქართველი უნდა იყოს, – გავიფიქრე, – რა ფერმკრთალია“. გამიმართლა, გოგონაც ვიტრინასთან შეჩერდა და მანეკენებს დაუწყა თვალთვლება.

– Hello, – მივესალმე ინგლისურად და გავუღიმე. გაკვირვებულმა შემომხედა.

– აქცენტით ქართველი უნდა იყო, – მოურიდებლად შემეკითხა და თან თვალებში ჩამაცქერდა.

მზერა გავუსწორე. „ღმერთო, რა ლამაზი თვალები აქვს, გიშერივით შავი და სხივჩამდგარი“ – გავიფიქრე. დიახ, – მივუგე და ხელი მეგობრულად გავუწოდე, – გავიცნოთ ერთმანეთი, მე ნიკა მქვია, სტუდენტი ვარ. შენ?

– მე ლოლა ვარ – თავისუფალი მხატვარი. სამუშაოს ვეძებ, – მითხრა და თან შინაურულად გამიღიმა. უხერხულობა ერთბაშად გაქრა. ქუჩას დიდი ხნის ნაცნობებივით გავუყევი.

– როდის ჩამოხვედი, ლოლ? – შევუმოკლე და გავუღამაზე სახელი.

– სულ ერთი კვირაა. მეგობარმა შემიფარა, მაღაზიაში მუშაობს გამყიდველად. მითხრა, რადგან ენა კარგად იცი, რამე სამუშაო აუცილებლად გამოგიჩინებო. ჰოდა, ალბათ ერთ-ორ კვირაში მუშაობას დავიწყებ.

– აქ თბილისიდან ჩამოხვედი?

– არა, იტალიიდან. იქ ვმუშაობდით მე და ჩემი ბავშვობის მეგობარი – გოჩა, მაგრამ საბუთები არ გვქონდა წესრიგში და დავვიჭირეს, დეპორტაციას გვიპირებდნენ. გამოძიების დასრულებამდე ქალებთან ჩამკეტეს ციხესავით შენობაში, ის კი – ჩვენ წინა შენობაში კაცებთან ერთად. ჩემს ოთახში სხვადასხვა რჯულის ქალი იყო განსხვავებული ზნე-ჩვეულებებით, მაგრამ მათ შორის ერთმა, ჩინელმა, სულ დამანყვიტა ნერვები.

– ფიზიკურად გეხებოდა?

– არა, საქმე სხვაგვარად იყო. რადგან ფანჯარას ვერ ვწვდებოდი, ასეთი ხერხი მოვიფიქრე: მაგიდაზე ავდიოდი, შემდეგ შევხტებოდი და ფანჯრიდან წინა შენობას ვხედავდი. ახტომისას კი ვეძახდი – გოჩა! გოჩა! გოჩა! მესმინებოდა ხოლმე. ამით ვმშვიდდებოდი, რომ მარტო არ ვიყავი და ჩემი მეგობარიც კარგად იყო.

ერთ დილას ჩინელის ხმამ გამაღვიძა, რას ვხედავ, დგას მაგიდაზე და ყოველ ახტომაზე ყვირის – გოცა! გოცა! მზადავს, თან მიყურებს და იცინის. მოკლედ, ასე დამცინოდა ყოველ დილით და მაბრაზებდა.

თავი ვერ შევიკავე, სიცილი ამიტყდა – სანყენად

არ მიილო, ჩინელს სიცილის შანსი მიეცა და ეპატიება.

– ჰო, ახლა სასაცილოდ მეჩვენება, მაგრამ მაშინ ნერვები დანყვეტაზე მქონდა. რამდენიმე დღეში გამომიშვეს, საბუთების მონესრიგება მოვახერხე და აქ ჩამოვედი, გოჩა კი სამშობლოში დააბრუნეს. ახლა აქ ვცდილობ დავიწყო საქმიანობა. სახლში უმუშევარი მშობლები მყავს სარჩენი და სხვა გამოსავალი არ მაქვს. შენ?

– No problems. აქ ვწავლობ და კმაყოფილი ვარ. ახლა არდადეგები მაქვს და მინდა, მაქსიმალურად განვიტვირთო და გავერთო.

ამ საუბარში ტურისტულ სააგენტოს მივადექით. სარეკლამო აბრაზე ლამაზი პეიზაჟის ფონზე ეწერა: „იპოვე საკუთარი თავი საოცრებათა კუნძულზე“.

– ლოლა, არ გინდა, საკუთარი თავი იპოვო?

– ალბათ ყველას უნდა და მეც მათ შორის.

– მოდი, ერთად ვეძებოთ და იქნებ მართლა ვიპოვოთ კიდეც.

ლოლამ არაფერი მიპასუხა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ფიქრობდა.

– მე ვფიქრობ, შანსი მოგვეცა... მოდი, ბედი ვცადოთ და ერთად წავიდეთ.

– საგზური ძვირი ეღირება, ვერ შევწვდები, ნიკ.

– მე მაქვს დანაზოგი. სიამოვნებით გეპატიჟები.

– შენ ხომ სულ არ მიცნობ. არც ჩემი ხასიათი იცი.

– რალა გაცნობა გინდა, მშვენივრად აზროვნებ, გულახდილი ხარ, თანაც მხატვარი. ხელოვანს კი მრავალფეროვნება სჭირდება.

რაც შემეხება მე, ნესიერი სტუდენტი ვარ. გარწმუნებ, ახლოს რომ გამიცნობ, უფრო დამიმეგობრდები.

– მაცდური წინადადებაა, მაგრამ მაინც ვფრთხილობ, რამე ხიფათს არ გადავეყაროთ.

– ცხოვრება რისკია, მოდი გავრისკოთ, თანაც გამოგიტყდები მარტო წასვლაც არ მინდა, – ლოლას პასუხი აღარ ვაცალე. ხელი მოვკიდე, ტურისტულ ბიუროში შევიყვანე და ორი საგზური შევუკვეთე.

– ლოლ, ჩაინერე ჩემი მობილური და შენიც მომეცი.

– ეს რალაც სიგიჟეს ჰგავს. კარგი, ჩაინერე. არ ვიცი, ჩემი მეგობარი რას იტყვის ამაზე.

– გოცა?

– არა, ანი, – გაეცინა ლოლას, – ვისთანაც ახლა ვცხოვრობ.

– აუსხენი, რომ გაიცანი სტუდენტი, ნიკა ტაბატაძე და მასთან ერთად მიდიხარ საოცრებათა კუნძულზე, საკუთარი თავის საპოვნელად. უთხარი, რომ ჩვენ თავგადასავალთა მძიებლები ვართ.

– შევთანხმდით, – გავუღიმე და გამოსამშვიდობებლად ხელი მეგობრულად ავუწიე.

მიხაროდა, ძალიან მიხაროდა, რომ ახალ სამყაროში მოვხვდებოდი ჩემს ახალ ნაცნობთან ერთად. ეს უფრო ზღაპარს ჰგავდა, მეგონა, ასეთი რამ მხოლოდ კინოში ხდებოდა. სახლში მივედი შხაპი მივიღე, მერე სანოლზე დავეწეი და ფიქრს მივეცი თავი. მოულოდნელად ფრედი ქოულის მუსიკა გავიგონე, ჰანგები მეზობელი ოთახიდან იღვრებოდა. გული გამინათდა, ჯაზური მუსიკა ჩემს სულში ღრმად აღწევდა. შორეულ ქვეყანაში გამგზავრების შიშის და სიამოვნების ნაზავმა ექსტაზში შემიყვანა. თვალები დავხუჭე, პლედში გავეხვიე და ტკბილად დავიძინე.

დათქმულ დღეს, დილის შვიდის ნახევარზე, ტურისტულ ბიუროსთან მივედი. ეჭვი მღრღნიდა, ვაითუ,

ლოლამ გადათქვას და არ მოვიდეს-მეთქი. მაშინ ჩემი მოგზაურობა უინტერესო გამოვიდოდა... ამ ფიქრებში ლოლაც გამოჩნდა. თხელი ყავისფერი ქურთუკი და ყავისფერი კედები ეცვა ლურჯ ჯინსზე, პატარა ზურგჩანთით ტურისტს ჰგავდა.

– გამარჯობა, ლოლა, პუნქტუალური ყოფილხარ. უმეტეს გოგოებს უყვართ დაგვიანება.

– არა, ნიკ, ეს სულ სხვა შემთხვევაა. ჩემი მეგობარი, ანი, გაკვირვებული დავტოვე, ვერ აფუხენი, რატომ მივიღე ეს გადაწყვეტილება. იმედია, დროზე ჩამოვალთ და ამ პერიოდში ალბათ ადგილიც განთავისუფლდება მალაზიაში.

– მაშ არაფერი გვაყოვნებს, Let`s go. წავიდეთ – დამიდასტურა ქართულად და ხელკავი გამიკეთა.

როდესაც თვითმფრინავი გამოვიცვალეთ, მაშინლა მივხვდი, ძალიან შორს მივფრინავდით, მაგრამ ამაზე ფიქრი უკვე გვიან იყო, ანდა რა ბიჭი ვიქნებოდი, შიში რომ გამომეხატა გოგოსთან, ამიტომ იუმორს მივმართე და ფანტაზიაც მოვიშველიე. მიშველა კიდევ, ვითომდა უცხოპლანეტელები დავინახე ილუმინატორიდან, თავზე ანტენებით და ლოლას ვანახებდი. ლოლა იცინოდა, მეც ვიცინოდი და ამით თანდათან ვმშვიდდებოდი.

როგორც იქნა, ჩავფრინდით. პირველი, რაც გავიგონე, დაფდაფების ხმა იყო. მოცინარე შავკანიანები, რომელთა თეთრი კბილები ხაზს უსვამდა მათ კეთილგანწყობას, გვესალმებოდნენ და ნარინჯისფერი ყვავილებით შემკულ ყელსაბამებს გვიკეთებდნენ. პატარა ავტობუსში ჩავსხედით. ლოლა ალტაცებას ვერ მალავდა: – ნიკ, ნახე, რა ლამაზი პალმებია! რა სიმწვანეა, რა ყვავილები, რა საინტერესო სახეებია!

ავტობუსში მუსიკა იყო ჩართული, ვიცანი „The Three Ladies of Blues“ – უნიკალური, შეხმატკბილებული სამი ქალბატონი მღეროდა. რალაც უცნაური ეროტიკული სისხლის მჩქეფარება ვიგრძენი და ტანში სიამოვნების ჟრუანტელმა დამიარა.

სასტუმროსთან მივედი. მთელი პერსონაჟი გარეთ გამოსულიყო. შინაურულად მოგვესალმნენ, თითქოს დიდი ხნის მეგობრები ვიყავით. ხმამალა იცინოდნენ, ხელს გვართმევდნენ, მათი გულწრფელი სიცილი მთელ ქუჩაზე ისმოდა.

სასტუმროს ფოეში წყნარი მუსიკა უკრავდა. მე და ლოლა გვერდიგვერდ ოთახებში დავგაბინავეს. ოთახში საკმაოდ დიდი სანოლი იდგა. სანოლზე კი დაახლოებით ოცი სხვადასხვანაირი ფერის და ზომის ბალიში ეწყო. იატაკზე ისეთი რბილი ხალიჩა ეგო, ფეხშიშველა სიარული მომინდა. თეთრი მარმარილოთი მოპირკეთებული აბაზანა თვალისმომჭრელად ქათქათა იყო, აივნიდან ხედი კი – განუმეორებელი. თითქმის ცხვირწინ ლურჯი, საოცრად ლურჯი ოკეანე იშლებოდა უამრავი თეთრიალქიანი გემით.

– ნიკ, მგონი, ზღაპარში ვართ! – შემომესმა ლოლას აღფრთოვანებული ხმა გვერდითა აივნიდან.

– ლოლ, ეს ალბათ მინიერი სამოთხეა. წამო ქვემოთ, ვივანშმოთ.

– ჩადი და მეც ახლავე მოვალ, – მითხრა და თავის ოთახში შევიდა.

რესტორანში დიდხანს ლოდინი არ დამჭირვებია. დავინახე წითელ სარაფანში გამოწყობილი ლოლა, თმებში თეთრი მაგნოლია გაეკეთებინა.

– ლოლ, რა მშვენიერი ხარ! – ალტაცება ვერ დავ-

მალე.

– გმადლობ, ნიკ. კარგია, შორტები რომ წამოიღე. სიცივიდან უცებ რა სიცხეში მოვხვდით! არ მეგონა, ასეთ საოცარ ბუნებას თუ ვნახავდი.

რესტორანში ადგილობრივი, ეგზოტიკური და პიკანტური საჭმელებით გაგვიმასპინძლდნენ – სალა-თები, შემწვარი თევზი რალაც სანელებლებით შეკმაზული... ვივანშმეთ, მერე ცოტა ვიცეკვეთ, მაგრამ, რადგან ძალიან დალილები ვიყავით მგზავრობით, მალე ჩვენს ოთახებს მივაშურეთ და უმალ ახალშობილებივით ჩაგვეძინა.

დილით რომ გავიღვიძე, მუქი სქელი ფარდები აივნის მთელ სიგრძეზე იყო ჩამოფარებული. არ ვიცი, ჩემს ოთახში როდის გაჩნდა შოკოლადისფერკანიანი ლამაზი გოგო, რომელმაც ცივი გემრიელი ხილის წვენი დამალევირა და ლოგინში ჩამიხტა. ეროტიკული მასაჟი ფეხებიდან დამიწყო ... სიამოვნებისა და მოულოდნელობისგან ამაკანკალა, მძლავრად მოვხვიე ხელი ლამაზ ქალს და გულში ჩავიხუტე. ცოტა ხანში კარი გაიღო და პატარა ტანის თეთრწვერიანი მოხუცი შემოვიდა ოთახში, თავი დამიკრა და ისეთი „სურნელოვანი“ სიგარეტი მომანოდა, რომ ფიზიკური სხეული საერთოდ დამავინწყა. გონს რომ მოვედი, საშინელი შიმშილი ვიგრძენი. აივანზე გავედი. ლოლა უკვე აივანზე შეზლონგში იწვა და ოკეანეს გასცქეროდა.

– ლოლა, ჩავიდეთ ქვემოთ, ძალიან მომშივდა.

– მეც. გელოდებოდი.

დავნაყრდით, მერე ქალაქში გავისეირნეთ. ბაზრობაზე ხელნაკეთი ნივთები შევიძინეთ. ლოლას ბავშვივით უხაროდა საჩუქრები. მერე აუზზე წავედით და ვიცურავეთ. ლოლას თეთრი, საოცრად ნაზი სხეული ჰქონდა. ანიმატორები აუზზე აფრიკულ ცეკვას გვასწავლიდნენ, დამსვენებლებმა ერთმანეთს ხელი ჩავკიდეთ და მხიარული ცეკვა ერთად შევასრულეთ.

მოსანევი, კონიაკი, სექსი – ყოველდღიური, განურჩეველი, უკონტროლო... გაუგებარი იყო, საიდან ჩნდებოდნენ ჩემს ოთახში და სად უჩინარდებოდნენ სხვადასხვა კანის ფერის და ჯურის ქალები, მარტო თუ ჯგუფ-ჯგუფად. ვცდილობდი, ტემპს არ ჩამოვრჩენოდი. მაქსიმალურად მომესწრო და გამესინჯა „აკრძალული ხილი“. ყოველ დილით თითქოს ცარიელი ფურცლიდან იწყებოდა ჩემი მღელვარე ცხოვრება.

– ნიკ! ნიკ! – ლოლას ხმა მომესმა და აივანზე გავედი, – ნიკ, სანამ შენ გეძინა, თითქმის მთელი კუნძული შემოვიარე. ქალაქში ვისეირნე. ასეთი მშვიდი, კეთილმოსურნე ხალხი იშვიათად მინახავს. ბავშვებივით უმანკო და გულწრფელი არიან. მე მგონი, ჩემეული ფილოსოფიაც აღმოვაჩინე: „ცუდად ჯდომას, შრომა კი არა, კარგი დროსტარება ჯობია“. რა კარგია ლალი ცხოვრება! – წამოიძახა ალტაცებულმა და ხელები ისე გაშალა, თითქოს ოკეანის გულში ჩახუტება უნდოდაო.

– ნიკ! მოიცა, – თქვა და აივნიდან ოთახში შევარდა, მერე მალევე გამოვიდა, – ნახე, რამდენიმე ჩანახატიც გავაკეთე.

ლოლამ აკვარელით შესრულებული რამდენიმე ნახატი გამომიწოდა, ძირითადად პორტრეტები. ყველა მათგანში საოცრად ზუსტად იყო მიგნებული ადგილობრივი მოსახლეობის – ქალების, ბავშვების, მოხუცების... – დამახასიათებელი ემოციურობა.

– ლოლა, რა კარგი ნახატები შეგიქმნია. ამ ადამია-

ნებს მართლაც კეთილი და საინტერესო სახეები აქვთ.

– სახლში რომ წავალ, ამ ნახატებს დიდ ტილოებზე გადავიტან. ასეთმა განუმეორებელმა ბუნებამ და ხალხმა ძალიან გამიმძაფრა ხატვის სურვილი. სულ მინდა, ვხატო და ვხატო, ამაში დიდ სიამოვნებას ვპოულობ. იმედია, ჩასვლისთანავე გამოფენას მოვანწყობ.

– ამაში მეც დაგეხმარები, ჩემი მეგობრები ლონდონში შენისთანა ნიჭიერ ადამიანებს ეძებენ და ეხმარებიან. აქ შანსი მოგვეცა, რომ შევიცვალოთ, კიდევ ერთხელ შევქმნათ ჩვენი თავი, – ვუთხარი და ჩემმა სიტყვებმა რატომღაც თვითონვე ჩამაფიქრა.

სალამოს საცეკვაოდ წავედით. ლოლას შაბიამნისფერი კაბა ეცვა, ძალიან უხდებოდა. პირველად ვნახე მაღალ ქუსლებზე შემდგარი. რუჯი კანზე უკვე მოჰკიდებოდა და უფრო მიმზიდველს ხდიდა. გვერდით ასეთი ლამაზი გოგო რომ მომყვებოდა, მეამაყებოდა. მე კი უცხო ქალებმა თითქმის ამომინურეს სექსუალური პოტენცია. არადა როგორ მინდოდა, ლოლასთან ერთად მეტი დრო გამეტარებინა.

ჯაზი ჩემს საყვარელ მელოდიას უკრავდა, პიანისტს მივუახლოვდი და ვთხოვე, ადგილი დაეთმო, სიამოვნებით დამთანხმდა. ოცნება ავისრულე, როიალს მივუჯექი და კლავიშებს თითები შევახე, შემდეგ თვალეები დავხუჭე და ნელ-ნელა როლში შევიჭერი. მგონი, ასე კარგად არასოდეს დამიკრავს. ხალხი მელოდიას აჰყვამ და რიტმს ტაში მიაყოლა. მოულოდნელად ხალხში ლოლას აღფრთოვანებულ სახეს მოვკარი თვალი, თვალცრემლიანი მიყურებდა. ავდექი და დაუთმე ადგილი პიანისტს, რომელმაც ჩემი მელოდიის დაკვრა გააგრძელა. მე კი ლოლასთან მივედი და საცეკვაოდ გამოვინვიე. ლოლა მომეხვია, ვიგრძენი, როგორ უძგერდა გული. თვალეებში ჩავხედე, ალტკინებული ბავშვის თვალეები ჰქონდა. თმები შევუსწორე და ტუჩებში ვაკოცე. უეცრად ვიგრძენი, როგორ გამომეცალა ძალა, მისი ტუჩები საოცრად თბილი და ტკბილი მეჩვენა. ძალა მოვიკრიბე, ხელში ავიყვანე და სასტუმროს კიბეები ჩქარა ავიარე.

ოთახში შევედით, საწოლზე ფრთხილად დავანვინე და ნაზად მოფერება დაუწყე. ბედნიერი ვიყავი, რადგან ჩემი გრძნობა სუფთა და ახალი იყო. ვგრძნობდი, რომ ლოლაც იმავეს განიცდიდა და ისიც ძალიან ბედნიერი იყო.

კიდევ კარგი, დროზე მივხვდი, ლოლა ჩემი ოცნების ქალი იყო, თორემ წინანდელი დღეები რომ გამეგრძელებინა, სულიერი და ფიზიკური გამოფიტვა, წონასწორობის სრული დაკარგვა არ ამცდებოდა.

ეზოში სუფთა ჰაერზე ჩავედი, სკამზე დავჯექი. უცებ ისევ ის პატარა თეთრწვერიანი მოხუცი მომიახლოვდა, დილაობით მოსაწვევი რომ მოჰქონდა ჩემს ოთახში. მომესალმა, მერე გვერდით მომიჯდა.

– ჩვენ ხშირად გვსტუმრობენ ჩვენი გარდაცვლილები.

– მკვდრები?

– დიახ. ისინი, ვინც ვერ იპოვეს თავიანთი გზა, ვერ შეიგრძნეს საყვარელი ადამიანები და ვერ შეიცნეს ცხოვრების ნამდვილი არსი. ისინი სიამოვნებაში „გარდაიცვალენ“ და მას შემდეგ ხშირად ჩამოდიან აქ. მე მათ მკვდრებს ვუწოდებ. შენ კი ... გადარჩი.

– გადავრჩი?

– დიახ. ყოველდღიური სიამოვნება პოვე ერთი საყვარელი ქალის გვერდით. ის ქალიც შენ გელოდა, თავიდანვე უარი გვითხრა მძაფრ შეგრძნებებზე... დიახ, გელოდა. შენ კი გეყო ძალა და მიაგენი საკუთარ თავს. ამიტომ ღირსი ხარ, დიდხანს დატკეპე ჭეშმარიტი ცხოვრებით და ახალგაზრდობა გაიხანგრძლივო, გირჩევ, ხშირად წარმოთქვა: „იკსა ტონგა ფენი“ – ეს აცტეკების ლოცვაა, ისინი სამას წელს ცხოვრობდნენ. ეს ფრაზა იმეორე და იმეორე, არ დაივიწყო. მოხუცმა სასტუმროს კარისკენ გაიხედა. თეთრებში გამოწყობილი ლოლა ჩემკენ მოდიოდა. ავდექი, მივუახლოვდი, ერთმანეთს მოვეხვიეთ და ვაკოცეთ. მივხვდით, რომ ცდუნების დამარცხება ორივემ მოვახერხეთ, რა თქმა უნდა, სხვადასხვაგვარად და აქ, ამ საოცარ კუნძულზე, ერთხელ და სამუდამოდ ვპოვეთ საკუთარი თავი...

ლიანა მელიქიძე ოსიაშვილი

ღმერთს და კაცს შუა მავალი



მასსოვს, როცა პატარა ვიყავი, როგორ ანთებდა დედაჩემი სანთელს და ღმერთს ჩემს უსუსურ თავს როგორ ავედრებდა, ჩემს და-ძმებთან ერთად. ისიც მასსოვს, როგორ ვუყურებდი ამ წმინდა რიტუალს. უბრალოდ, მომწონდა და მაინტერესებდა, როგორ ჩაიღვენთებოდა სანთელი და მეტი არაფერი...

მე მაშინ არც ღმერთი ვიცოდი, არც სანთელი და არც არავის რწმენა-ურწმუნოება მანალვლებდა. ვიცოდი მხოლოდ ის ნაწნავიანი, ხელნაკეთი თოჯინები, რომლებიც იმხანად ჩემად ითვლებოდა.

როცა წვიმასავით წამოსულმა წლებმა გამლუმპა თავისი განსაცდელებით: ტკივილებით, წყენებით, ღალატით, სიყვარულით, უბედურებით, უნდობლობით, ჭირ-ლხინობით, რაც ჩემს საყვარელ ადამიანებსაც ეფერებოდა თავზე, მაშინ მივხვდი რა იყო ღმერთი, რომ მეც, დედის მსგავსად, ჩემი საყვარელი ადამიანები უნდა მევედრებინა მისთვის - თავისი წყალობის კალთით დასაფარად.

რაც მეტი დრო გადიოდა, ვრწმუნდებოდი ღვთის სიძლიერეში და იმაშიც, რომ ღმერთსა და ჩემნაირ რიგითა შორის იყვნენ ისეთნიც, რომლებიც მას და ჩვენს შუა იყვნენ მავალნი... ვინ არიან ისინი?... ანაფორიანები? ტიტულიანები? დიახ! მაგრამ ვინ არიან ის დედაკაცნი, ვისაც არც ამდაგვარი ტიტული გააჩნიათ, არც მონაზვნის კაბა-თავსაბური მოუფარვიათ და ჩვენს და ღვთის შუა კი დადიან???

თუმცა იშვიათნი, მაგრამ არიან, თანაც ჩვენს გვერდით, თანაც ჩვენს თვალწინ. რომელთაც როგორც არ უნდა ვეცადოთ, მაინც ვერ მივაგებთ ღირსეულ პატივს. სწორედ ასეთია რჩეული, დიდი ქალბატონი, სპეტაკი გულის პატრონი: გულნაზ ხარაიშვილი, რომლის სახეში, მის თბილ კილოში, ქალნი თუ კაცნი, მასზე უფროსნი, მასზე უმცროსნი, მასში დედის ხმა-კილოს, დედის სახეს ვხედავთ... ხოლო მის მიერ ღმერთსა და კაცს შუა განვლილ გზას კი ერთი მშვენიერი, ღრმა შინაარსიანი სახელი, ჟურნალი "ათინათი" ჰქვია.

აკი ვახსენე, ძნელია ასეთ ადამიანს საკადრისი პატივი მივაგოთ მეთქი, მაგრამ თვითეულნი (როგორც თავლს ფუტკრებივით რომ ასევიან) თავისებურად მაინც ცდილობენ, ასეთ ღვთისნიერს, თავად პოეტ-

სა და რამდენიმე ყურადსაღები კრებულის ავტორს, გული მოუთბონ, თავისებურად მიეფერონ. ნიჭიერი პოეტი ქალბატონი თამარ ჯაჭვაცე მასზე ამბობს:

“იცინი, რადგან ხარობენ სხვები,
თუმც შენი დარდი გიდევეს უბეში,
რალაცას იტყვი, რალაცას ჰყვები,
თვით უნუგეში, სხვათა ნუგეში.”

გარდა იმ საინტერესო ბუნებისა, რითაც ქალბატონი გულნაზი თანაბრად ზრუნავს ყველაზე, რომ არ დარჩეს არავის ლიტერატურული დონის ლექსები თუ მოთხრობები ჟურნალ "ათინათში" გამოუმუშეურებელი, მას ერთი სათნო, ჩემთვის უცნაური ბუნებაც გააჩნია. მაგალითად: დაიწყებს რომელიმე პიროვნების ქება-დიდებას, საუბრობს მის სიღიადეზე, მის ბრწყინვალეობაზე, გამაცნობს და ჩემს წინ დგას ჩვეულებრივი ორხელიანი და ორფეხიანი ადამიანი, რომელთაგვართაც ხან წუთში ათასობით ვხედავ ხოლმე. და გამოდის, რასაც მე ასე ადვილად ვერ ვამჩნევ, თავად ხედავს და თან ამაცობს მათით. მე კი ისლა დამრჩენია, რომ ასეთი დიდი ბუნების ადამიანით, ჟურნალ "ათინათის", თუ არაერთი სკოლის დამფუძნებლით და სხვა მრავალი სასიკეთო იდეის ავტორით, ის ვიამაყო, რომ იგი, იმ ჩემი პატარა ქალაქიდანაა, რომელიც დედამიწას ძლივს ატყვია და რომელსაც ქალაქი რუსთავი ჰქვია.

ადამიანებისადმი დიდი სიყვარულის გამოხატვის გამო, აი რას წერს მასზე პოეტი იამზე ჭელიძე:

“ასხივებდა, აშუქებდა
დროის ჭიდილს მინასთან
და ტკივილებს აშუშებდა,
ჩვენ სუყველას გვიცავდა.”

ან განსვენებული გიზო ჭელიძე კი თვალნათლივ ხედავდა მასში სიკეთეს, მანდილის სინმინდეს და იმას, რომ მისი სახით ქალს კი არა, ძმას იხუტებდა.

“ღირსი ხარ მკერდზე იები ნაზი
მომოგიფინო თაიგულეზად,
სულით და გულით შენებრ ღამაზი
სხვა ქალი ქვეყნად არ მეგულეზა.
გვალაღებ, გვართობ მეგობართ კრებას,
სიკეთე არის შენში ბარდნილი,
ცდილობ ზეცაში ვარსკვლავთა კრეფას,
წმინდაა შენი ქალის მანდილი.
ვუცქერ შენს თვალებს, წამწამს ჩადრიანს,
უკვდავი არის შენი გამჩენი,
გულში გიხუტებ ქალს გულმადლიანს,
შენ და კი არა, ძმაი ხარ ჩემი.»

შეიძლება რომელიმე ჩემმა ოპონენტმა გულში გაივლოს: მე ღვთაებამდის ჩემი წიგნითაც, შუამავლის გარეშე, კაი მშვენიერად ავდივარო, მაგრამ ასეთს ვერავის დავეთანხმები, რადგან ჩვენი თითოეულის წიგნი, ვარდის თითო კოკორია, ჟურნალი «ათინათი» კი, ვარდთა კოკრების ის თაიგულია, რაც დაუჭნობლად მეტ დროს გაუძლებს, ვიდრე ცალ-ცალი კოკორი, რადგან ის საერთოა, სახალხოა, სასიქადულოა.

რამდენიმე ხნის წინ ჩვენმა ბრძენკაცმა, უწმინდეს-

მა და უნეტარესმა ილია მეორემ სახალხოდ ბრძანა: - შემთხვევით არაფერი ხდებოდა - ამ ნათქვამში პირადად მე დიდი სიბრძნე მესახება.

დიახაც, ვითომ შემთხვევითია სრულიად საქართველოს ბერძნულად წოდებული (დიდ მოღვაწეთა შვილი) ნუგზარ ნადარაიას, მიტროპოლიტი თადეოზის, ბატონ მირიან იორამაშვილის, მსოფლიოში ცნობილი მოგზაურის ჯუმბერ ლეჟავას, საქვეყნოდ ცნობილი მხატვრის ემელიანე (რეზო) ადამიას, დიდი სამეცნიერო მოღვაწის ლუარა სორდიას, ცნობილი პოეტების თამარ ჯაჭავაძის, ლამზირა შეყილაძის, კაცი ლეგენდა მანუჩარ მაჩაიძის, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორის დავით კაპანაძის, პროფესორების ვანო შუმბაკაშვილის, ირა დანელიას და ვინ მოთვლის ქართული ელიტის რამდენ წარმომადგენელთა ხელია შევლებული ქალბატონ გულნაზის მიერ დაარსებული ჟურნალი «ათინათის» საქართველოს მწვერვალზე გასაბრწყინებლად? არავითარი შემთხვევითობა, ეს ღვთის ნებაა.

«სახარეს სასკორავზე ეცყობაო», ჩვენს საყვარელ «ათინათს» ზედ შუბლზე ახატია რეზო ადამიას შეუდარებელი ქმნილება, წმინდა ნინოს უკვდავი, უსპეტაკესი სახე და წმინდა ჯვარი, რის გამოც ჟურნალის ხელში ალებისთანავე გეუფლება მისდამი მოკრძალება და მის წინ დაჩოქების სურვილი.

არც ის იყო შემთხვევითი, რომ ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიაში ასეთი ჟურნალის თითოეული ნომრის პრეზენტაციას ესწრებოდა ყოველთვის საქართველოს მთელი ელიტა: მწერლები, მხატვრები, პოეტები, ისტორიკოსები, სამართალმცოდნეები, იუმორისტები, სახელმწიფო მოღვაწენი.

ამ დიდ ადამიანთა თანადგომამ, უფლის ნებამ შეაძლებინა ქალბატონ გულნაზის ის შეუძლებელი, რასაც შვილის ცხედრის გვერდით ჟურნალის ნომრის არჩევარდნა ჰქვია. (ხოლო მისი პრეზენტაციის ჟამს ეს უდრეკი ქალბატონი თავს მაგიდაზე დებდა უცაბედად წამსკდარი ცრემლის დასაფარად, ასწევდა სადედოფლო სახეს და ხალხს არავითარ ცრემლს არ ანახებდა.)

ასეთ პრეზენტაციებზე ექსპრომტის მოყვარულთა პაექრობა იმართებოდა ხოლმე. (ბევრჯერ უმარჯვია ახალგაზრდა პოეტს ლელა ბასილაშვილს. იგი ამ დღეებში პირველი პირმშოს დედა გახდა და თქვენთან ერთად ვულოცავ ამ ბედნიერ დღეს, პატივცემულო მკითხველო.)

ვერც იმას დაერქმევა შემთხვევითობა, როცა ჟურნალის ბოლო ნომრის პრეზენტაცია შედგა იქ, სადაც სრულიად ქართველთა მუხლსადრეკი ადგილია, რაც ყველასათვის პრესტიჟულია და რასაც წმინდა სამების საკათედრო ტაძარი ეწოდება, რომელიც თითქმის მთლიანად თავზე დაჰყურებს ქრისტიანულ, სისხლით მონაპოვარ, სათაყვანებელ, დღეს არაერთგზის ფრთაშეკვეცილ, მრავალ ენით აუნერულ ჭირ-ვარამ ნანახ ქართულ მინას, რომელზედაც უთქვამთ: «ხელი რომ მოუჭირო, სისხლი დაედინებო.» რომლისთვისაც, არაერთ მის შვილს, არაერთ საუკუნეში სიცოცხლე არ დაუშურებია. («ცხრა ლახვარი რომ დამარტყან ცხრაჯერ გულში»).

ალბათ არც ის იყო შემთხვევითი, როცა სახალხო ენაზე მოსაუბრე «ათინათს» დაბადებისთანავე დიდი მომავალი, ერის სამსახური უგულთმისნეს ცნობილმა

მოღვაწეებმა. აი, რა ბრძანა «ათინათის» დაფუძნებისას ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ: მამ ავანთოთ სიბრძნის კიდევ ერთი სანთელი, გავერთიანდეთ სულიერად და დავიბრუნოთ დროებით წართმეული ტერიტორიები, ჩვენი ერთობა ხომ «მტრის სახრჩობელაა» და მოკეთისთვის მაღლით მაცოცხლებელი ჟანგბადი. გფარავდეთ ღმერთი, უფალი იესო ქრისტე, ამინ!

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიის ჟურნალ «ათინათს» გზა დაულოცეს აგრეთვე თბილისის სასულიერო აკადემიის ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პატროლოგიისა და დოგმატიკის კათედრის გამგემ ბატონმა ედიშერ ჭელიძემ, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, ქართული პროზის რაინდის ტიტულის მფლობელმა ბატონმა რეზო მიშველაძემ, სახელმწიფო მრჩეველმა, ექიმ ოფთალმოლოგმა ბატონმა ვახტანგ გაჩეჩილაძემ, აღიარებულმა მსახიობმა, მწერალმა ბატონმა გივი სიხარულიძემ, აფხაზური ენის სპეციალისტმა ქალბატონმა ირმა ოსიამ,

საყოველთაოდ ცნობილი ჟურნალ «რაჭველების» მთავარმა რედაქტორმა, ქალბატონმა ნინო რეხვიამვილმა და მრავალმა სხვა ცნობილმა ადამიანებმა.

ჩემს მიერ ღმერთს და კაცს შუა მავალ ადამიანად წოდებულ ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს (რამეთუ სწორედ ღმერთს უყვარს ჭეშმარიტი ხელოვნება, გონიერება, ცის სიმალემდე აყვანილი პოეზია, თავად ქრისტე ხომ პოეტი გახლდათ, დიდ ოვანეს თუმანიანსაც ხომ უბრძანებია: «ყველა ქართველი პოეტიო»). პოეტმა ვაჟა აქიმაშვილმა მიუძღვნა ლექსი - «ცოდნის მოძღვარი»

«აქვს სათნოება ცის ანგელოზის, თვალთა სხივები მზესთან სადარი, ღვთის ყურადღებით გამოირჩევა, ყველას შეიცნობს ისე, რაც არი. და გაოგნებულ მარტოობაში გულში დარეკა თითქოს მაისმა, ჩემი გულისთქმის შემფასებელი ბრძენი მზრუნველი ხმა რომ გაისმა.

მე გამაოცა მისმა მიდგომამ, განწყობამ, გრძნობამ თანადგომისა, ჩემი აზრების მანუგეშებლად მან რწმენა მომცა მეფე ლომისა... იგრძნო, გამანდო სად მიდიოდა, ჩემი ლექსების სიბრძნე და ზღვარი, ჩვენ მას ქალბატონ გულნაზს ვუწოდებთ ცხადად კი არის ცოდნის მოძღვარი.

ამ სხვადასხვა პოეტთა, სხვადასხვა დროს დანერვილი ლექსები ერთიდაიგივეს ღაღადებენ, თუ როგორ ეფერება, როგორ ესათუთება თითოეულ ადამიანს. ქალბატონი გულნაზი «მარტოობაში» როგორ «ბრძნულად მზრუნველობს» სხვებზე, ყველაზე, თითოეულზე. აღწერენ თუ როგორ სძენთ მათ თვითრწმენას.

«ათინათის» ბოლო ნომერში რედაქტორის მიერ წარმოჩენილია ნიჭიერ პოეტთა: მანანა დანგაძის, ამირან შალიკაშვილის (თბილისის პანტომიმის თეატრის დირექტორი), ნუნუკა გურალიას, ვაჟა აქიმიშვილის, მიტროპოლიტ თადეოზის (საბავშვო), ნანა დარჩიამვილის, ლამზირა შეყილაძის და სხვათა ლექსები. აქვია მეცნიერის ლუარა სორდიას «პოეზია პლანეტები», ნაილი ხარაიშვილის სხვადასხვა სფეროში მოკლე

მიმოხილვები (ერთგან იგი ამბობს: “გულნაზი ხარაიშვილის ლექსები ფრესკებთან ანთებული სანთლების ციმციმს მაგონებს, გულსა და სულს სითბოთი და სიყვარულით რომ ესაღბუნება). 141 გვერდზე განსვენებულ, ულამაზესი ასულის ეთუნა მირაშვილის ხსოვნაზეა საუბარი. თავისი ადგილი აქვს დათმობილი იუმორსაც... აქვეა ილო პატაშურის ნახატებიც. ჟურნალის ყდის მესამე გვერდზეა ცნობილი დიდი მანუჩარ მაჩაიძის ბუნების რეალურად ამსახველი ნახატები. (დარწმუნებული ვარ მისით აღფრთოვანებული ჟურნალის მკითხველი იფიქრებს: რეალურად ვსეირნობ ბუნებაში).

აღნიშნული ჟურნალის ნომერს წითელ ზოლად გასდევს მისი პირველი გვერდი. მასზე აღბეჭდილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის უნმინდესი და უნეტარესი ილია მეორის უმშვენიერესი სურათი და წმინდა ნინოს ფრესკა. ალბათ ათი თაობის ჟურნალისტთა ისტორიას შემურდება “ათინათის” ეს შესანიშნავი, უფაქიზესი გვერდი, რამეთუ მასზე მთლიანადაა სხვადასხვა პოეტთა მიერ ამ ფრესკისადმი თუ ჩვენი ნათელშუბლიანი ბრძენკაცისადმი მიძღვნილი ლექსები. მათ შორისაა თავად ქალბატონ გულნაზის აკროსტიქში შესრულებული უბრწყინვალესი ლექსი შედევი: მინდა კალმით შენ... გიგალობო უნეტარესო. აღარაფერს ვამბობ ბატონ სიმონ ზაქარაიას მიერ დანერილ პატრიარქისადმი მიძღვნილ ლექსზე. იმ პატრიარქზე, რომელიც მიმდინარე თუ გასული საუკუნის საქართველოს სულიერების საწინამდებარე მამისაა. პიროვნება, რომელმაც გასულ საუკუნეში ნიჩბებით და ტანკებით გასალენად გამზადებულ მისსავე მრევლს თავი არ მიანება გაჭირვების ჟამს და ბენჯელა გადაარჩინეს დიდი ძალისხმევით იმ პირთა ბედის წევისაგან ვინც ამჟამად სამუდამო ზეციურ სა-

სუფეველში განისვენებენ და ვისაც “ცხრა აპრილის გმირები” დაერქვა საქართველოს ისტორიაში.

“დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო”. დიას! ამჯერად თავად დამფუძნებელი ნახეთ ჟურნალ “ათინათისა”, ღვთისნიერი, მორწმუნე, მაღალზნობრივი, ნამდვილი ქართველი დედა, (“თვით უნუგეშო, სხვათა ნუგეში”) და ისე გამონახეთ ჟურნალი “ათინათი”

ამხელა საზოგადოებრივი ტვირთის მზიდველი ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი საოცრად თავმდაბალია, ალბათ ამადაცაა, რომ ხშირად უუბნებია: ჟურნალი “ათინათი” თითოეული თქვენგანისაა, ვისაც წვლილი მიგიძღვითო, ზრდილობისათვის ვეთანხმები... (აქ რომელ წვლილზეა საუბარი, მთელი ოციოდე წლით დადებული კალამი რომ ამალეზინა. მისსავე შეგულიანებით და თავისსავე რედაქტორობით წიგნი რომ გამომაცემინა “ორომტრიალი”, სადაც ჩემზე ასაკით უმცროსს ასეთი სტრიქონები რომ მოვუძღვინი?: “ნატკენი სული მომირჩინა და სიკეთის ფასიც გამაგებინა, წამომაცენა მომეფერა და... კალამი ისევ ამარებინა. ასეთნაირთა სახელი რადგან ატყვია ან-მყოს, გასწვდება მერმისს... ჩემს ცხოვრებაში პირველად მხოლოდ, მის ხმაში ჩემი დედის ხმა მესმის...)

და სწორედ, იმ დედის მიერ ნასწავლი ანთებული სანთლით, პირფერისსახვით ვლოცულობ, რომ კვლავ მრავალგზის შესძლებოდეს ქალბატონ გულნაზის კაცისა და ღმერთის, მკითხველისა და ავტორის რედაქტორ-დედისმიერი შუამავლობა...

კვლავ მრავალი “ათინათით” დაემშვენებინოს ჩვენი დიადი, წმინდა ნინოს მიერ ქრისტიანული ჯვრით დამოძღვრილი, სრულიად ნეტარი, ღვთის ნილხვედრ-სათაყვანებელი, მსოფლიოს პატარა, ლამაზი გულისცემა, მარადიული თაიგული... საქართველო.

ლიკა ოხანაშვილი

დაბადება

ფიქრები ღრუბლებივითაა, ზოგჯერ მოულოდნელად შეიყრება, ერთს გაიღვებს, მერე მაგრად დაიქუხებს და კოკისპირულად წამოვა იდეები. სწორედ აზრების ერთ-ერთმა ასეთმა თავსხმამ გამოიწვია ჩემი ამ ნაწერის დაბადება.

და რამ გამოიწვია ჩემი დაბადება?

დავიწყოთ იქიდან, რომ მე ვარ ერთ-ერთი რიგითი ქალაქის, ერთ-ერთი რიგითი სახელოსნოს, ერთ-ერთი რიგითი მუშა და ვცხოვრობ ამ პატარა ქალაქის, ერთი პატარა სახლის, პატარა ოთახში, დიდი იდეებითა და მომავლის არანაკლები გეგმებით.

ყველა დღე ერთნაირად იწყება. დილაუთენია მივუყვები გადახუნებულ ასფალტს და გულში იმ იმედზე ვფიქრობ, გაღვიძებისას რომ გამიჩნდა.

და მაინც არაფერი...

ისევ ბინძური სამყარო, სადაც ყველაფერს ფულის სუნი აქვს...

ისევ ლოთებითა და მეძავებით სავსე ქუჩები...

ისევ ის ხალხი - უსინდისობისგან შუბლისძარღვგანყვეტილები და სიმაძღრისგან - პერანგის ღილებ-გაგლეჯილინი...

მოკლედ, ჩემი ცხოვრება ვინრო კალაპოტში მდორედ იქამდე მიედინებოდა, ვიდრე ერთხელ, სახლში მისულს კარებში წერილი არ დამხვდა.

წერილებს მიჩვეული არ ვარ, მითუმეტეს, ასე დატოვებულს, ამიტომ, შიმშილის მიუხედავად, მუცელსა და ცნობისმოყვარეობას შორის არჩევანი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გავაკეთე, კონვერტი გავხსენი და კითხვა გაფართოებული თვალებით დავიწყე. წერილი ჩემი საუკეთესო მეგობრისგან იყო:

” გი, შენთვის არასდროს არაფერი მიჩუქნია, ამიტომ ახლა ამ წერილს გიტოვებ და იმედი მაქვს, ბოლომდე წაიკითხავ.

იცო, ხალხს ყოველთვის ბედნიერი ვეგონე. თუმცა, როგორ არ იცი, შენ ხომ ერთ-ერთი პირველი ხარ მათ შორის, ვინც სულ იმას მეუბნებოდა, რომ მხიარული და სიცოცხლით სავსე ვარ, მაგრამ გი, იქნებ სულაც არ არის ყოველთვის ისე, როგორც ჩვენ გვეჩვენება? ღიმილი ყველაზე ლამაზი ნიღაბია, რომელს ქვეშაც ხშირად მახინჯი სინამდვილე იმალება. ალბათ მეც ასე

ვიყავი, გი...

"ერთ ლოყაში რომ გაგარტყამენ, მეორე მიუშვირეო" - ასეა წესი. მე კი როგორ ვიქცეოდი? სანამ გამარტყამდნენ, იქამდე ვუშვერდი ორივე ლოყას. სულელი ვიყავი, სულელი, გი...

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მე მივხვდი, გი, რომ აქვეყნად თურმე ადამიანების ორი კატეგორია არსებობს: ერთნი, რომელნიც წარმატებას აღწევენ და მეორენი - რომელთაც პირველების შურთ. მე არ ვიცი, რომელ მათგანს მივეკუთვნები, მაგრამ ფაქტია, რომ მთელი ცხოვრება შურიან ადამიანებთან ვცხოვრობდი, გი! ხანდახან, მეც მშურს მათი და იცი, რატომ? იმიტომ, რომ ვხედავ, თუ რა ცოტაა საჭირო ისეთი ადამიანის სიხარულისთვის, რომელსაც საკუთარ ბედნიერებაზე მეტად სხვისი უბედურება ახარებს. ასე ამბობენ, გველი არ უნდა მოიშინაურო, თორემ, რომ გაიზრდება, ერთხელ მაინც უკბენს პატრონსო. ეგრეა, კი! ოღონდ, განა მარტო გველი? ადამიანის გაცნობაზე რთული მისი გამოცნობა ყოფილა, უბრალოდ, ალბათ უნდა ეცადო, რომ ყველა ადამიანში ნახო ის დადებითი თვისება, რის გამოც მასთან ურთიერთობის სურვილი გაგიჩნდება და ერთი უარყოფითიც, რის გამოც მას ბოლომდე არ მიენდობი.

ასეა გი, თუმცა, სამწუხაროდ ამას გვიან მივხვდი, ძალიან გვიანაც კი...

მაგრამ, არაუშავს, მე ყველას ყველაფერი ვაპატიე, რადგან ერთადერთი კარგი თვისება, რაც ყოველთვის გამაჩნდა, პატიების უნარია. ამას შენც გირჩევდი, რადგანაც ეს არის ადამიანის დასჯის ყველაზე მწარე ხერხი და ყველაზე სასტიკი განაჩენი, რომელიც კი შეიძლება მას გამოუტანო. შენ თვითონ წარმოიდგინე, რა იქნება, თუკი იჩხუბებ ადამიანთან და მეორე დღეს ისე მშვიდად გაუღიმებ, თითქოს არაფერი მომხდარა. აი, მაშინ კი კარგად უნდა დააკვირდე მის სახეს! ეს იქნება გაოცებისა და სინანულის ნაზავი შედეგილი სირცხვილისფრად. მერე კი ცოტა საკუთარ თავსა და გრძნობებსაც ჩაუფიქრდი. ოჰ, რა თავისუფლად და ბედნიერად იგრძნობ თავს. დიახ, ეს ისეთი სიამოვნებაა, თვით ომში გამარჯვება რომ მოგანიჭებდა, რადგან პატიება და შერიგებაც გამარჯვებაა. გამარჯვება მეტოქეზე, საკუთარ თავსა და სურვილებზე.

იცი, ხშირად როდესაც ცხოვრებაზე ვფიქრობ, შენი სიტყვები მახსენდება, როცა ერთხელაც აღელვებულმა დამირეკე და მითხარი, რომ ყველაფრისგან მობეზრებული თავის მოკვლას აპირებდი. იცოდე, ეს სისულელე არასოდეს გააკეთო! სიცოცხლე რომ ჩვენი საკუთრება იყოს, იქნებ გვეკონოდა კიდევ მისი ნებით დათმობის უფლება, მაგრამ ის მხოლოდ ჩვენ არ გვეკუთვნის და ეს გახსოვდეს კარგად! სამწუხაროდ, იშვიათად თუ ვფიქრობთ იმაზე, რომ ჩვენთვის იქნებ მომაბეზრებელი სიცოცხლეს, შესაძლოა ვილაცისთვის ძალიან ძვირფასი იყოს და თვითმკვლელობით, ფაქტიურად ასეთ ადამიანებსაც ვკლავთ. ერთი დაი-მახსოვრე, გი! თუკი იცი ან ფიქრობ, რომ არსებობს თუნდაც ერთი ადამიანი, რომელსაც უყვარხარ და რომელსაც შენი სიკვდილი გაანადგურებს, როგორც არ უნდა გიჭირდეს ცხოვრება, არასდროს იფიქრო თვითმკვლელობაზე. უბრალოდ, იცოცხლე იმ ადამიანებისთვის, რომელსაც შენ სჭირდები.

რაც მთავარია, იმეგობრე შენზე უკეთეს ადამიანებთან და ნუ შეგეშინდება იმის, რომ მათ ფონზე შესაძლოა ისეთი კარგი არც ჩანდე. მერწმუნე, გერჩიოს იყო უკანასკნელი შენზე უკეთეს მეგობრებში,

ვიდრე საუკეთესო - ყველაზე უარესებს შორის, რადგან როგორ ხალხთანაც გექნება ურთიერთობა, ისეთი გახდები შენც. გახსოვდეს, ქურდს ვერ გამოასწორებ და თუკი შენივე მეგობარი გაგქურდავს, არ გენყინოს, რადგან ეს შენი არჩევანი იყო. ასეა, გი!

გასაკვირია, მაგრამ ხანდახან, როცა ძალიან ბედნიერი ვიყავი, არ შემეძლო ამის მიზეზის ახსნა, ახლა კი, მართალია ამდენი ხნის შემდეგ, მაგრამ მაინც მივხვდი, რომ თურმე ბედნიერებას მიზეზი არ სჭირდება, მიზეზი უბედურებისთვისაა საჭირო და თუ ის არ არსებობს, ე.ი უკვე ბედნიერი ხარ. ჰოდა, დიდ ბედნიერებას გისურვებ ცხოვრებაში. იმედი მაქვს, კარგ ოჯახს შექმნი, ისეთს, როგორზეც ყოველთვის ოცნებობდი. ოღონდ კიდევ ერთი რჩევა უნდა მოგცე: ორმხრივი დიდი სიყვარულის გარეშე ცოლი არ მოიყვანო, რადგან ასეთი ქორწინება ცემენტის გარეშე აშენებული სახლივითაა და ერთმაც რომ გაიაროს შორიახლოს, მისი ბიძგები აუცილებლად დაანგრევენ.

შენი წარმატებების იმედი მაქვს, გი! ოღონდაც, ერთი ცუდი თვისება გაქვს, ნიჭიერი, თუმცა, გაუბედავი ადამიანი ხარ. ყოველთვის მგონია, რომ რაღაცის გეშინია. იქნებ, საკუთარი შესაძლებლობისაც? განა, საკუთარი თავის იმედი არ გაქვს? არა, ეგ არასოდეს გაიფიქრო! შენ ეს შეგიძლია, გესმის? ის, რისთვისაც მიუღწევია თუნდაც ერთ ადამიანს, ან ფიქრობ, რომ ვინმემ შეიძლება მიაღწიოს, შესაძლებელია შენთვისაც. აბა, რით არის სხვა შენზე უკეთესი? თავიდან ხომ ყველანი ერთნაირები ვიბადებით?! ცხოვრებაში არავის იმედი არ უნდა გქონდეს საკუთარი თავის გარდა და ბოლომდე, ნურც მას მიენდობი!

ეს არის ბოლო წერილი, რომელსაც გიგზავნი და შენ ველარასოდეს მიპოვი, რადგან როდესაც მას ნაიკითხავ, მე უკვე მონასტერში ვიქნები. ჰო, აქ უნდა გავაგრძელო დარჩენილი ცხოვრება და თუკი ამის შემდეგ, მე მხოლოდ სულის გამოკვებაზე ვიფიქრებ, შენ სხეულის გადარჩენაც მოგიწევს ამ ველურ სამყაროში. ამიტომ, იბრძოლე! იბრძოლე ბოლო წუთამდე და გახსოვდეს, რომ არსებობდა ადამიანი, რომელსაც ძალიან უყვარდი და რომელსაც შენი ბედნიერება უნდოდა...

«რაც ერთზე მეტად არ ღირს წასაკითხად, ის სრულიად არ ღირს წაკითხვად» - უთქვამს ვებერს და თუკი ჩემს წაწერს მეორედ მაინც დაუბრუნდება, გამოდის, რომ ტყუილად არ მიწვალა ამდენი..."

წერილმა ძალიან დამაბნია...

მთელი ღამე ვკითხულობდი, თავიდან ბოლომდე და პირიქით...

საერთოდ, ტირილი არ მჩვევია, მაგრამ ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც ცრემლების შეკავება ვერ შევძელი.

არ მახსოვს როდის გავიცანი, სად ან რა სიტუაციაში, მაგრამ ერთი კი დანამდვილებით ვიცოდი, არ ყოფილა მძიმე წუთები ჩემი ცხოვრებიდან, როდესაც ის გვერდით არ მედგა. ბავშვობიდან მოყოლებული დღემდე.

არ არის აუცილებელი ადამიანი მატერიალურად ან ფიზიკურად გეხმარებოდეს, როდესაც შენს პრობლემებზე ესაუბრები და მოთმინებით გისმენს, ეს უკვე დახმარებაა და ასეთი დახმარება მას არაერთხელ გაუწევია ჩემთვის...

ჩვენ ერთნაირები ვიყავით გემოვნებით, ხასიათით და რაც მთავარია მიზნებით...

ერთნაირად გვტკიოდა და ერთნაირად გვიხაროდა...

თითქმის ყოველთვის ერთად ვიდექით მაღაზიის ვიტრინების წინ და საათობით ვოცნებობდით ჩვენი სასურველი საგნების შეძენაზე...

საყვარელი ნიგნებიც ერთნაირი გვქონდა...

პერსონაჟებიც...

ვცდილობდით ერთმანეთი ხშირად გაგვეხარებინა და ამისთვის რაც შეგვეძლო, ყველაფერს ვაკეთებდით.

ერთმანეთს ვულოცავდით არამარტო იმ დღე-სასწაულებს, რაც ბუნებაში არსებობდა, არამედ იმასაც, რაც უბრალოდ ჩვენ გამოვიგონეთ ერთმანეთისთვის სიხარულის მისანიჭებლად.

არავინ მყავდა და ის იყო ერთადერთი, ვისი იმედიც ყოველთვის მქონდა და ვინც მთელი ჩემი ცხოვრება იცოდა...

ის იყო ყველაფრის სათავეც და ბოლოც...

მინევდა დობას, რადგან და ბავშვობაში გარდამეცვალა...

იყო ძმა, რომელიც არასდროს მყოლია და რომელზეც მხოლოდ ვოცნებობდი.

იყო დედაც და მამაც, რომელებიც ყოველთვის უფრთხილდებიან და არიგებენ შვილს.

იყო ნათელი, რომელიც შორეული წარსულიდან ჩემი ცხოვრების გასალამაზებლად შემოიჭრა...

იყო იმედი, რომელიც არასდროს კვდებოდა, თუნდაც სურვილი რეალობისგან ძალიან შორს ყოფილიყო...

იყო ყვავილი, რომლის დაჭკნობაც ვერასდროს წარმომედგინა...

ახლა კი?

დამრჩა ტკივილად, რომელიც არასდროს მომიშუმდება...

დამრჩა ფიქრებად, რომელიც არასდროს მომასვენებს...

დამრჩა სინდისის ქენჯნად, რადგან დამშვიდობების საშუალება არ მომცა, რათა კიდევ ერთხელ მეტყვა თუ როგორ მიყვარს...

დარჩა მონატრებად, რომელიც ვიცი, რომ არასდროს გაივლის...

დავკარგე ის ერთადერთი ადამიანიც, რომელიც მყავდა და დავრჩი ამ ბოროტ სამყაროში მარტოდ-მარტო...

მე კი ვინ ვიქნები ამის შემდეგ მისთვის?

დავრჩები ლოცვებში, რადგან ახლა ახლოა ღმერთთან...

დავრჩები წარსულის ლამაზ მოგონებად (თუკი ის საერთოდ სჭირდება...)

დავრჩები იმ ცხოვრების ცოცხალ დასტურად, რომელმაც ხშირად ატკინა გული...

ალბათ ცოდვა და ეგოისტობა იქნებოდა, მისთვის დარჩენა რომ მეთხოვა (მიუხედავად იმისა, რომ ამის საშუალება არც მოუცია) ამიტომ თავს ვირწმუნებ, რომ უკეთესი ცხოვრება აირჩია...

მიდის...

მე კი...რა?

თუმცა, მე დამრჩა წერილი, წერილი, რომელმაც პირველივე სიტყვიდან დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე...

და რა მოხდება შემდეგ?..

დღეები ერთნაირად აღარ იწყება.

თითქოს ჩემთვის მზეც სხვანაირად ამოდის...

კი, სამყარო ისევ ისეთი ბინძურია და ფულის სუნი ასდის ირგვლივ ყველაფერს...

ქუჩებიც ისევ ლოთებითა და მეძავებითაა სავსე...

ხალხიც ისევ ისეთია - უსინდისობისგან შუბლის-ძარღვგანყვეტილები და სიმაძღრისგან - პერანგის ღილებგაგლეჯილნი...

ოღონდ მე შევიცვალე...

შევიცვალე იმ წერილის შემდეგ და სწორედ აქედან იწყება ჩემი დაბადება...

გვანცა ხარაიშვილი

მე ზამთარი შემიყვარდა

შენ ზამთარი ხარ, მე კი ზაფხული... რომელი აჯობებს? მწვერვალზე სხივებს მოგამუქებ და თოვლივით დაგადნობ. გგონია გამექცევი? წყალი გახდები და აგაორთქლებ! ღრუბლად გაქცევი, სულ ახლოს რომ მყავდე. იფიქრებ, მოვერევიო და გზაზე გადამელობები? მოვიწყენ, შენს კალთებს მოფარებულნი... მერე გული აგიყუნდება და იტირებ... შეხედე, ისევ წყლად იქეცი! მე კი გაგიღიმებ და შენში არეკლილ საკუთარ თავს დავინახავ. ვითომ, ლამაზი ვარ? თუ სიხარულით მიბრწყინავს თვალები? ციდან ჩამოვალ და მაგრად ჩაგეხუტები... გული მიდულს და შენც აგადულე. მერე რა მოხდება? შენი დრო დადგება. მოხვალ, რაღაც ცრემლნარევი სიცივით, ტკივილნარევი სუსხით, სპეტაკი სითეთრით... გულიც გაგეყინება და მასთან ერთად მეც გამყინავ. აზვითდები, იბობოქრებ, ითარეშებ დედამინაზე... ბრაზმორეული დაღენავ სახლებს, ამოთხრი ხეებს, გაყინავ მდინარეებს. შეხედე... გათოშილი გოგო-ბიჭი ერთმანეთს ხელისგულებს უთბობენ. ყველაფერს მოსპობ, მხოლოდ მათ თვალებში ვერ ჩააქრობ სიცოცხლის ნაპერწკალს.

იქნებ, დაგავინწყდა ჯერ კიდევ შენში რომ ვარ? სხვისთვის საძაგელი, აუტანელი, ცივი და მიუკარებელი, ჩემთვის კი კვლავ საყვარელი... ერთი წუთით გაგახსენდები და მსწრაფლ მოიშორებ აბეზარ ფიქრებს. ძლიერი ხარ, ჩემი კი გემინია. ნუ, ნუ, არავის ვეტყვი შენ რომ ზამთარი ხარ, მე ზაფხული და მაინც... მაინც ერთნი რომ ვართ.

ქუჩაში მხოლოდ დაღენილი ტოტები, გაჩერებული მანქანები, ყინულის ლოდებილა ყრია... გაგიკვირდება და ამ დროს, აპარატივით ხელში ვიღაც დაგეძებს... გულმუცელი ამოგიტრიალდა სიხარულით, ამას ვგრძნობ... მან შენში სილამაზე დანახა და უნდა სამუდამოდ აღმექდოს ფირზე. ის ვარდისფერი სათვალთ კი არ გიცქერს, უბრალოდ, შენში მიძინებულ ზაფხულს ხედავს. შეუყვარდება... უნდა რომ სულ გიყუროს, ენატრები, შენი სუსხი ათბობს. აკი გითხარი, სულელი როდი ვიყავი შენში სილამაზე როცა დავინახე-მეთქი. პირველმა შეგნიშნე და ჩემი ხარ! სევდიანი თვალებით გიცქერს. კარგი რა, თორემ მეც შემეცოდები.

დღეები გარბის... ინურება შენი დრო, მაგრამ ჯერ ჩემიც რომ არ მოსულა? იდუმალი ხმა შემოგძახებს: „მორჩა, გათავდა!“ არ ვიცი რა ხდება, მაგრამ შენი გული გაღობას იწყებს. მიკვირს, ჩემი განთავისუფლება რად გადანყვიტე? რატომ გაქვს ცრემლიანი თვალები... განა ზამთარს ტირილიც შეუძლია? ასე მაგრად რატომ მეკვრი, როდის აქეთაა სითბო და სიცივე ერთმანეთს უგებენ... ვგრძნობ, რომ ძალა გეცლება. არ იდარდო, გულში ჩაგიკრავ და ერთად დაველოდებით გაზაფხულის მოსვლას...

არ მეგონა, ფირზე ყველაფერი სხვაგვარად თუ ჩანდა... აბა, როდის აქეთაა ჰარმონია ზამთარს და ზაფხულს შორის?

P.S. პირველი, დიდი ხნის შემდეგ. 7 თებერვალი, 2011წ.

წელს რაც პირველად ვიგრძენი

ცრურწმენები ჩემგან შორს! ყოველ ახალ წელს, სიყვარულის ქვასთან, წყაროსთან, ნაკადულთან თუ სხვა სიმბოლურ ადგილთან ჩაფიქრებული ერთი სურვილი – ბედნიერება – მეტად განყენებული, მაგრამ ძლიერ სანატრელი. ის, რაც გუშინ საკმარისი მეჩვენებოდა, დღეს უკვე ცოტაა. ის, რასაც ცოტა ხნის წინ სიხარულით ვაკეთებდი, სისულელედ მეჩვენება. საკუთარი თავის მტარვალად ვიქეცი. მომწონს. ჯობია ვანამო, ვიდრე მანამონ.

ყოველი დღე ერთმანეთს რაღაც უხილავი ძაფებით უკავშირდება ასევეა გრძნობებიც, ერთის გარეშე, მეორე ან სულ არ დაიბადება, ან ახალშობილი, მთლად გაუფერულდება მოგონებები... აღარ ვიცი უნდა დავივიწყო, თუ სათუთად ვატარო მკერდში, ოცნებები... სიცოცხლეს მილამაზებენ, თუმცა ვშიშობ, შხამად არ გადაიქცნენ. ოცნებები... ყველაზე ტკბილი, საშიში, სასურველი ოცნებები.

დღეს ყველაფერს ერთად ვგრძნობ: მენატრება, მეფიქრება, მეოცნებება, მეგრძნობა, მიყვარდება. ზღვასთან ვარ ახლოს, ეს ვიცი სულ მთლად გამთანგავს. ტალღები ხან მამშვიდებენ, ხან კი მაფორიაქებენ. ზღვა ერთადერთი ადგილია, სადაც ბევრი დრო გაქვს იფიქრო, მაგრამ არაფერზე ფიქრობ, მხოლოდ რაღაცებს გრძნობ. წელს ხომ ბევრი რამ ვიგრძენი. იმაზე მეტი, ვიდრე ცაში ვარსკვლავები, ოკეანეში თევზები, იდუმალებაა შენში...

სხეულში გამჯდარი, თითებისკენ დინებით წასული სიცივე, როცა თბილზე – თბილად გაცვია. ტირილი ფილმზე, როცა ვერ ხვდები, ეს სიუჟეტის გამოა, თუ ამ ცრემლებში მისი წილიც ურევია. თვალების, ტუჩების, კბილების, თმების მონატრება, როცა ისინი შენი არასოდეს ყოფილან. ბავშვური გაგიჟება. დევნა. ლოდინი. იმედგაცრუება. საღი აზრის გაურკვეველი მდებარეობა... ღმერთმა უწყის, ეს როდემდე გრძელდება. ბოლოს? ბოლოს ისევ მონატრება. ზღვაში ჩაკარგული ვნებების ნამიერი ხორცშესხმა. ტალღებთან საშიში თამაში. ჩაძირვა სულის სიღრმეებში და იქ დანახული სიცარიელე.

მზე ზღვაზე სტაფილოსფრად ჩაესვენა. ჩაესვენა ჩვენი მზეც. მხოლოდ, ჩემში დატოვა იასამნისფერ-ცისფერი ბილიკი-გონებისა და გულისკენ მიმავალი.

ჭოეზიჲ

ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტი მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)



ლოცვა მუხლმოყრით

ყოვლად კეთილო და სახიერო,
 დიდება შენდა ღმერთო ძლიერო...
 შენის სიკეთის, შენის სიკეთის
 ვინ გადიხადოს სამაგიერო?
 დიდება შენდა ღმერთო ძლიერო,
 დიდება შენდა ღმერთო ძლიერო...
 თვალშეუდგამი ნათლით ბრწყინავ შენ,
 ვძრნი უღირსების ჩემისა გამო...
 ვით წარმოვდგები მე შენს წინაშე
 ჩემი მზის დასვლის როს დგეს საღამო?
 ცხოვრება ჩემი სავსეა ბინით
 და არაფერი არ მიჩნს საამო
 ნეტარ არს, ვინაც განსწმინდა სული,
 ცრემლით, ვედრებით ღამისმთეველი,
 ვინც წინ აღუდგა საკუთარ სურვილს,
 ამაოების არ მიმთნეველი
 და აღავლინა ლოცვა უმანკო
 ტკბილ სასურველი, ვით საკმეველი.
 გამოუთქმელი საკვირველების,
 მიუწვდომლობის, ყოველივესი...
 სიბრძნის, სიკეთის, სახიერების -
 შენ ხარ მიზეზი,
 შენ ხარ მიზეზი...
 შენ გვედრები ყოვლად ცოდვილი,
 ქედდადრეკილი, მუხლმოყრით ესე:
 ნუ თანანარმწყმედ ცოდვათა ჩემთა,
 გულდამძიმებულს სანუთროს შხამით,
 და დაუშრეტელ ცეცხლის დამშრეტად
 მომმადლე ცრემლი დღითა და ღამით...
 ვინც მვედრებელთა ვედრებას ისმენ -
 მარადიული ტანჯვისგან მიხსენ.
 1974წ.

სხეული ჩემი იგლოვე სულო,
 ჩამოიცილე ცოდვანი მძიმე,
 ო, სიხარული თუკი გსურს სრული,-
 ჭეშმარიტების მიენდე იმედს.
 იყავ მარტივი მარად და მარად
 და ცრუ დიდების ნურარა გინდა,
 ჭეშმარიტება გექმნება ფარად
 და სიზმრებშიაც დარჩები წმიდა.
 თორემ... განკითხვის დღე გელის შენაც
 ცოდვილთა რისხვა, საშინელება...
 და თუ მაღალმა დაგკარგა რწმენამ,
 უსასოდ შეთენილს რა გეშველება?...
 1973წ. 22. XI.
 1978წ., 25 XII

ღვთივკურთხეულ ვენახო

უშენოდ ყოფნა მეშინის,
 ვკოცნი შენს წმიდა ჭრილობას,
 მემამაყება მე შენი
 ლამაზი დედა-შვილობა.
 შენი ცისკრების ჭირიმე,
 ღვთის წინ მავალო მართლადა,
 როს დამიდგება ჯერი მე,
 დაგადნე წმიდა სანთლადა.
 სიცოცხლე შენით იწყება,
 თვით უკვდავებაც შენა ხარ,-
 სიკვდილის გადავინყებავ,
 ღვთივ კურთხეულ ვენახო.
 იკურთხოს შენი ცა-მიწა,
 ყველა ყვავილი, ყველა ხე...
 ცრემლი გაშოროს უფალმა,
 სულ სიხარულში გვენახე.
 1978წ.

მცხეთის ჯვარი

დრო თუ ახალი სიცოცხლით ავსებს,
 სულში წარსულის ნალველიც წვეთავს,
 წლები მიემსხვრა გრანიტის ფრთაზე...
 რა აღარ ახსოვთ მასა და მცხეთას.
 გადუტანია ბევრი ვაება,
 გადაიარა ტკივილმა გულზე...
 დგას სანატრელი, ვითუკვდავება
 და საქართველოს მომავალს უმზერს.

იყვნენ მსახურნი ჭეშმარიტნი... ჭეშმარიტების

იყვნენ მსახურნი ჭეშმარიტნი ჭეშმარიტების,
 თვინიერ ცოდვის, ანგარების, ამაოების...
 მათ საფლავებზე მზე ამოდის ნათლის დიდებით
 და კამკამებენ მოელვარე საღამოები.

იყვნენ მსახურნი ჭეშმარიტნი ჭეშმარიტების,
ერთი სახელი ერქვა ყველას - კაცი კაცური...
შენ ვინც იმათი სიყვარულის ცეცხლით ინთები,
გასწი უშიშრად, ეს მღელვარე ზღვები გასცურე.
ნავსაყუდელი ელის მშვიდი ნაბრძოლ - ნანამებს,
ვით გაზაფხული მოსდევს ზამთარს-ამყვავებელი.
უკვდავებისთვის შესწირვიდე წარმავალ წამებს,
უსიყვარულო წუთისოფლის არ მყვარებელი.
იყვნენ მსახურნი ჭეშმარიტნი ჭეშმარიტების,
მოგვშუქებია ჩვენ იმათი დიდი ნათელი,
ვიართ ამ გზით, სიყვარულით, ჭირის დათმენით,
ოლონდ გვანთებდეს რწმენის ცეცხლი და
ჟრუანტიელი.
1977წ., ალავერდი

ჩემო წმიდა სატო

შენ ხარ ჩემი მზე და ჩემი სიხარული.
შენი მზე მათბობს და მიჩრდილებს ჩერო,
ჩემო წმიდა სატო, რწმენავ, სიყვარულო,
ტკბილო სალოცავო - მამულო ჩემო.
შეხე შენს იარებს, რა გზებით იარე,
მაინც არ გატყდი და სიმალეს ჩემო.
სიმღერით ირჩენდი ნახმლევ-ნატყვიარებს,
იმედით ცოცხლობდი - მამულო ჩემო.
დღე იყო დარით თუ ავდარით დამთვრალი,
სუსხი იანვრისა თუ ხვატი მკათათვის,-
აკვანში გენვინა ბევრი მზე და მთვარე,
ნანას ლილინები ცეცხლოვან ყრმათათვის...
1973წ.

რაა მთავარი? - იყო კაცში
გმირული სული
და მოუძებნის იგი პასუხს
ყოველგვარ კითხვას.
არასდროს არის დრო ახალი,
არც გარდასული,
გზაჯვარედინზე თუკი ყოფნა
არ გიყვარს დიდხანს.
მოდი, მოსძებნე ცხოვრებაში
ადგილი შენი,
გამოდი მზეზე გაბრუების
მავნე ჩეროდან
და დაამშვენე ესე აწყობ
იმგვარად შენით,
ვით მამულს გმირთა ცხოვრება და
ბრძოლა შვენოდა.

ნახვალ უბრალოდ მღილი თუ ნამი
როგორც ნასულა ცოდვით მრავალი,
მალლით გზა მოსჩანს თვალშეუდგამი
ეკლიანი და ძნელად სავალი.
გამხელს სინდისი და სჯის გონება,-
ქვეყნად კეთილი აკი იცოდი?
საშინელებად, საშინელებად,
დაგმურს კანონი მარადისობის.
ვით მოცარული ბედით მთამსვლელი,
ხავსსაც ვერსაით მოეჭიდები...

შორითლა უჭვრეტ ცრემლით თვალსველი
ნათლის სამეფოს-სავსეს დიდებით...
1978წ.

იონა ნათლისმცელისადმი

მზედ ანთებულო სანთელო,
შუქო მაღალის მზისაო,
დიდი მზის მახარობელო,
გამნათებელო გზისაო.
დიდება შენდა, დიდებაო,
ნათელო ჭეშმარიტებაო.
ოდეს მოევილინე ქვეყანასა,
ალსავსეს ცოდვათა ბინდებითა,
განათდა ყოველივე შენის მოსვლით,
გაბრწყინდა შენის დიდებითა,
დიდება შენდა, დიდებაო,
ნათელო ჭეშმარიტებაო.
გაქებდე, გიგალობდე, გადიდებდე
ღირს ვერ ვარ და მერიდებო,
ცოდვათა შენდობა გვიმეოხე,
ავცილდეს მწვეველ ცეცხლთა კიდებაო,
დიდება შენდა, დიდებაო,
ნათელო ჭეშმარიტებაო.
1973წ.

წმიდა გიორგისადმი

**იდიდოს შენი სახელი ყოვლთა ბოროტთა
მლახვრელი**

წმიდავ გიორგი ჰფარავდე
კეთილსა ქვეყანასაო,
გულდანყლულეზულს ჰკურნავდე,
თვალს აუხელდე ბრმასაო,
დააჯერებდე მოკვდავთა-
მთაზე შეადგამ მთასაო,
ვინც ვერა იცნას კეთილი
დააბრალებდეს თავსაო.
სიკეთის ზღვაში კეთილად
დააცურებდე ნავსაო,
ჭეშმარიტება მაღალი
გაგვინათებდეს გზასაო,
წმიდავ გიორგი ჰფარავდე
ქართველთა ქვეყანასაო.
1973წ.

ზედაზენს მთვარე ანათებს

ზედაზენს მთვარე ანათებს
ღრუბელზე გადმომდგარია.
ვინც მიჰყვა სოფლის სიყვარულს,
ახლა სულითაც მკვდარია.
შენ, ჩემო სულო ლოცვებში
ჟამი-ჟამ გაგიხარია,
სიცოცხლის გზაზე მიმავალს
ნულარ გეცვლება მხარია.
ღმერთი დიდია, ის გვიხსნის,
მტერო, ნუმც გაგიხარია...
ჯვარს გოლგოთაზე აიტანს,
გასწევს, ვინც კარგი ხარია.

როცა ვიღლები ამ ცხოვრების დავიდარაბით,
მოვა ნუხილი უცნაური და სუნთქვა მიჭირს,
გამახსენდება მე თბილელი აბო-არაბი,
სულით და გულით ქართველი და ნათელი ბიჭი.
ჩემო მამულო, სავარდევ და სასალამუროვ,
ცისკრის ნკრიალო და ურმულო შენ სალამურო,
შენთვის სიცოცხლე ტკბილი იყო, მაგრამ სიკვდილი,
შენთვის სიკვდილიც არ ყოფილა რამ სანაწური.
ცაი გაქვს სუფთა, გული თბილი,, სითბო უღვევი,
არ დაგკლებია საკვირველი სასწაულები,
ალალი გყავდა მუდამ შვილი, - ხარი, რა ხარი,-
სიბრძნის მოყვარე, მშვიდი, წყნარი და სულმაღალი
რას დავაბრალო? დღეს ქართველი ქართულ სულს
ექებს,
ჭკნება ყვავილი სიყვარულის - აზრობს სიცივე,
კაცი ვაჟკაცი, არა თევზი, თევზობას ვერ ძლებს
და მწუხარების წმინდა ცრემლი სულში ციმციმებს.
1978 წ.

და ვარკსვლავები ისე ჰყვავიან

ჰარმონიაქმნილ სამყაროს უმზერ,
ფიქრებში ხატავ ყოფილ ქაოსებს,
მიმწუხრის ლოცვა გელვრება გულზე
და ზენაარის სიბრძნე გაოცებს.
თავს ცა დაგხარის ნათლის მთოველი,
მიაყურადებ ვარსკვლავთა ციმციმს,
იდუმალა ირგვლივ ყოველი
და საიდუმლოს ამოხსნა გიმძიმს.
სადაც არ უნდა გაფრინდეს კაცი,
ჰქონდეს მიზანი მძაფრი და ზუსტი,
ვერსად გაასწრებს დროსა და მანძილს,
ერთგვარად მაინც დარჩება სუსტი.
თუმცა ფიქრების ოქროს ხვავია
შენს ირგვლივ, რასაც იმედი შველის...
და ვარსკვლავები ისე ჰყვავიან,
როგორც ლამაზი ოცნება შენი.
1973 წ.

სამშობლო, სამშოვლო გახსოვდეთ,
სამშობლო გიყვარდეთ მარადის,
მის გულში მზის სხივებს აქსოვდეთ,
უმისოდ სიცოცხლე არა ღირს
ვინც მისთვის ღამეებს ათენებს,
მამულს ეგულება ფარად ის...
გვახსოვდეს სამშობლო ქართველებს,
სამშობლო გვახსოვდეს მარადის!...

ასე იწყება ზაფხულის დღე -
ბულბულის სტვენით,
ყველა სულდგმელი შენ გიგალობს
კურთხეულ ენით,
დიდება შენდა შემოქმედო -
ცით მაღლის ფენით,
აღგვავსებს მძლავრი სიყვარულის

მარადი რწმენით.

როგორც ბუნება ანგელოზთა -
ცეცხლოვან ალის, -
მარად ზე სწრაფვით ცად მიილტვის
ღვთაებრივ ძალით,
ნეტარ ხილვათა, ჩვენც მოგვმადლე,
გვედრით, ო, კრძალვით
სიმშვენიერის შენის განცდა გონების თვალთ.
ვინ რა შესწიროს საკადრისი დიდებას შენსას
ყოვლის მპყრობელო, - ყოველივე
ბრძანდები როცა?
ვითა ყვავილი ადიდება და შეჭხარის მზესა
ეგრეთ შენ ზრუნვას ნუ მოაკლებ შენივ ხის რტოსა.

უფალი ყოველს მოგვკითხავს ტალანტს -
ვის რა შეგვეძლო და რა შევძელით...
იქ არ შეხვდები შურსა და ღალატს,
სადაც სიცოცხლე არის დღეგრძელი.
ბედნიერი ხარ თუ გადაურჩი
ამაოების დამლუპველ ჭიდილს,
თუ მოჩვენებითს, სამართლად ურჩი,
წარმავლობის აჩრდილად სთვლიდი.
შენ მარადიულს ელტვოდი მარად,
კლავდა წყურვილი უცხოთ მიგნების,
ცად კითხულობდი ვარსკვლავთა ბარათს
და საიდუმლოს ზეცის წიგნების.
ან, უშფოთველად... იყავი წყნარად,
შენი საუნჯე შენთან იქნების...
შეგინწყნარებენ სამოთხის კარად,
სად მზის ყვავილად გადაირგვები.

მტრედი

შენ სიცოცხლის სილამაზევე,
მშვენიერო თეთრო მტრედო, -
ნუგეშინისმცემლის ხატო,
სულის ღხენავ და იმედო.
სიხარულთან მყოფელი ხარ,
მარტოდ მყოფი არ ხარ ობლად,
თქვი საიდან მოფრენილხარ
ჩემი სულის მახარობლად.
ხან კამარას შეჰკრავ ცაში,
ხან გოგმანით იარები...
ნათელი ხარ, ნათელფერობ
სინათლესთან ზიარებით.

სვეტიცხოველი

საკვირველებავ ცისა და ქვეყნის,
მარად ელვებრი ნათლით მკრთომელო,
უკვდავებასთან განგებით შეყრილს
დიდება გშვენის, მიუნვდომელო...
მარადიულო სიმღერავ სულის,
უხილავ მადლით გვირგვინოსანო...
ნუგეშმცემელად ზეცად წასული
ჰგალობ მაღალთა შინა - „ოსანა“.

მაყვალა გონაშვილი

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

ჰალი

არა მარტოდენ მამულის, ანდა
 არა მარტოდენ წინაპრის ვალით,
 საქართველოში ათგზის ძნელია,
 იყო პოეტი და იყო ქალი.
 ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხშიშველი
 გაჰყვე ეკლიან უცნობ ბილიკებს,
 ვილაც ფეტვივით მოგაყრის ჭორებს,
 ვილაც ქარივით გაგაქილიკებს,
 ეს იმას ნიშნავს, ყოველ ცისმარე
 მზის სხივით ქსოვდე ჩალისფერ დროშებს
 და სიმართლისთვის ზღაპრის გმირივით
 რკინისგან ნაჭედს იცვამდე ქოშებს,
 ეს იმას ნიშნავს, რომ ცალი ხელით
 აკვანს არწვედე, სად სხივი ჩადგა,
 ხოლო მეორით კემსავდე ძველი
 მეტაფორებით გაცვეთილ ფარდაგს.
 იყო ერთგული დედა და ცოლი,
 თანაც ფეხდაფეხ სდიო ქარაშოტს,
 ეს იმას ნიშნავს, ვით ცეცხლს ფარვანა,
 სიკვდილს ბავშვივით შეეთამაშო.
 და სხვა კეკლუცი ქალების დარად,
 არ შეგისრულდეს ნატვრა აროდეს,
 არ იყოს ვინმე, სიმარტოვიდან
 შენს დასახსნელად მოუხაროდეს,
 ეს იმას ნიშნავს, არ განუგემონ,
 როცა სიცოცხლედ გიღირს ნუგეში,
 ეს იმას ნიშნავს, იყო ქალღმერთი
 კაცის და მინის მძიმე უღელში.
 არა მარტოდენ მამულის, ანდა,
 არა მარტოდენ წინაპრის ვალით,
 ჩემს სამშობლოში ათგზის ძნელია,
 იყო პოეტი და იყო ქალი.

ხიდი

მხოლოდ პირჯვრის წერა როდია უფლის რწმენა,
 მხოლოდ შეძახილი გმირობა როდია.
 დგებიან სულეთიდან შემკრთალი მამები
 და ღამით არეულ სიზმრებში მოდიან.
 მე კი იმ ბინდბუნდშიც თვალეხს ვერ ვუსწორებ,
 ვარ შიშნაჭამი და უჭმელი,
 მინიდან ზეცამდე რა ხელმა აზიდოს
 ეჭვებით დაბზარული ჭურჭელი?
 თვალნო, რა არ ნახეთ, როგორ არ დამევესეთ,
 რა ძალა გქონიათ, თვალეხო,
 მოძმესთან მოშულლენო, ოქროსთან
 მოშურნენო,
 მტერთან მიმდობნო და მხდალებო.
 სანამდის, სანამდის, სანამდის, სანამდის???
 სანამდის ძმანო და მამანო,
 ჩემო სატკივარო, ჩემო საფიცარო,
 ჩემო დარღვეული სამანო.
 ჭრილობა გახსნილა და გველის ამბორი
 არ მშველის ნამლად და მალამოდ.



უნდა სხივით გქსოვო, უნდა ცრემლით გკემსო
 ჩემო დაფლეთილო ალამო.
 სანამდის, სანამდის, სანამდის, სანამდის?
 სანამდის დანო და დედანო,
 არ თქვას უკეთურმა, შეხედეთ, ქართველნი
 მხოლოდ სატირალში სხედანო!
 სანამდის ვახაროთ ჩვენს ბაღში ეკალი,
 მტრის კარზე ვარდი და პირიშზე?
 რა ვუთხრა ჩემს შვილებს, რა თვალთ შევხედო?
 ან მკვდრებთან რა პირით მივიდე?
 უდედოდ ზეცისკენ გზას ვერ გაიგნებენ
 ბუდეს შერჩენილი ბარტყები,
 ხიდი ვართ ნამყოდან მომავლის ნაპირამდე,
 ვაი ჩვენ, თუ ერთხელ ჩავტყდებით!

ვის უნდა მოვიგოს ოცი ათასი

მე მინდა მოვიგო ოცი ათასი,
 მინდა მოვიგო, უსათუოდ უნდა მოვიგო!
 მე ვერ მოვიგე ვერცერთი ომი,
 ჩემი სამშობლო – შაგრენის ტყავი
 ხელში მადნება და იცრიცება...
 მე ვერ მოვიგე შენი გული,
 ვერც თავგანწირვით,
 ვერც სიყვარულით,
 ვერც აკვნებთან ღამეთა თევით,
 ვერც თურქეთში ჩანთების თრევით,
 ვერც ბაზრობაზე ხმაჩახლეჩამდე შეძახილებით,
 ვერც საკინძეზე შეწყვეტილი თეთრი ღილებით...
 ვერ შევიცვალე კილო და რწმენა,
 მე ვერ მივბაძე მავანს და მავანს,
 ცხადში ვარიდებ შვილებს თვალეხს და
 სიზმარში – მამას.
 უნდა მოვიგო ოცი ათასი, მინდა მოვიგო!
 თუმც არ ვარ ბედის ნებიერი – რჩეული შვილი,
 ის კი არა და, ოქროს თევზი ისე გაგუშვი,
 ერთი სურვილი რაა, ისიც არ მითხოვია,
 რადგან მამულის ტბაში სისხლის წვეთები
 კრთოდა...
 მუნჯი თევზივით თევზად ვიქეც... უიმედობის
 წყალში ვეშვები, რა წყალს მივცე სანყალმა
 თავი...

* * *

პირველად როდის დამტოვე ღმერთო?
 როდესაც შენი ხმა არ ვისმინე.
 იმ დღიდან ჩემში ურჩი მეორე
 ყალყზე დგება და ჩუმად სისინებს.
 იმ დღიდან შევრჩით ერთურთს მე და ხე,
 არც ხე განკაცდა, არც მე გავხვედი,
 და წერტილივით მოჩანს ამ ხიდან
 იმ ნალკოტისკენ გადასახედი.
 ცაში გაუდგამს ამ ხეს ფესვები
 და ქვესკნელს სწვდება შავი რტოებით,
 მე რა ვიცოდი ერთი ცოდვისთვის
 მამა შვილს ასე მიმატოვებდი.
 იმ დღიდან რტოებს მივდეგ და მივდეგ,
 ფოთოლთა ცვენაც ათასჯერ ვნახე,
 სადა ხარ, ზედა რატომ დავკარგე,
 ო, ერთხელ მაინც მიჩვენე სახე!
 მე გზა ამებნა ამ ხის ტოტებზე
 და მეშინია ზეცად დაცემის,
 აქ სანადიროდ ყოველ ცისმარე

ძალეებს გეშავენ მეფის კაცები.
 მიწიერ მეფეს ფერი აქვს მიწის,
 მე კი კვლავ მხიბლავს საოცარ ძალით,
 აკძალული ხის ნაყოფი მჟავე
 და მეორმოცე – დახშული კარი!
 რა ვქნა, თუ ისევ ურჩი ბავშვივით
 სილისგან ზღაპრულ კოშკებს ვაშენებ,
 ვიცი ამ ხეზე რტო თუ ჩამიტყდა,
 პირველად ხელს შენ შემომამშველებ.
 მე ისიც ვიცი, რომ ჩემზე დარდობ,
 მზის სანთელს მინთებ, გზა რომ გავიგნო,
 მე მესმის შენი, მამაუფალო,
 შენც გზაბვეულს უნდა გამიგო.
 ჩემივე ნებით ვეახელ ტკივილს,
 თვით ავიდეგნე იღბალი კოჭლი
 და სანთლისფერი მკრთალი თითებით
 მე უთენარო ლამეებს ვფხოჭნი.



ტარიელ ხარხელაური

*** * *!**

როდესაც ტკივილს ცრემლებს შევუფენ და ლოცვა ჩემი მოჰგავს მზის სუნთქვას, შემოვიფლეთავ ნიღბებს, მეუფევი წმინდა ფსალმუნებს აღვუვლინ უფალს და ჩემი ტაძრის კედლებს ნესტიანს დამავალი მზის ფერები შეცვლის, მეუფევი, ახლა ბევრად მეტია მოლაღატი და მოყვარე ვერცხლის. მეუფევი! მაინც მოთმენას მირჩევ, ვაგრძელებ ფიქრის გარშემო ბრუნვას, მეუფევი, შიში ნელ-ნელა მიჩვევს, ვკარგავ სამშობლოს შეგრძნების უნარს. ვგმინავ და წუთისოფელს მოვებზრდი, მეც წუთისოფლის მიმძიმს ტარება და კიდევ ერთხელ, მაინც როდემდის – ასე მწუხარედ რეკონ ზარებმა....

დახურეთ ზეცა!
ვარსკვლავებთან
საუბარს ვიწყებ....
მოსწიეთ მთვარე –
მოსაყრელად დამიდგით
მუხლის
და თქვენ, ქარებო,
ჩამომბერტყეთ სიმძიმე
მინის,
რომ ჩემმა გმინვამ
გაამღვრიოს სამყაროს
მწუხრი.
სულნო ბნელეთის,
ყველა სკნელის კარნი
განახვნეთ
რომ ჩემი მოსვლა
ყველა ნერვით
იგრძნოს სამყარომ,
გადამიტანეთ, მზის
მხურვალე
მტვერში დამმარხეთ,
რომ დედამინას
სიყვარულად
გადმომაყაროს.

**არაგველებო!
სამშობლო გიქვამო!**

გეძებთ და შუბლი ფიქრმა შეთრთვილა, რად სდუმან მთები – მამულის მკერდზე უფლის ცრემლებად ჩამოკრეფილან. არაგველებო!
მამული მტკივა –
წამლად დამადეთ მამულის წყლულებს, მძიმე სენი სჭირს სამყაროს მთლიანს და ვერ ისვენებს მსოფლიო სული.
არაგველებო!



რად გვინდა სისხლი –
თუ არ ბორგავს და შიშმა დანისლა,
თუ არ იქნება სამშობლო ღირსი
რომ საქართველოდ იქცეს კრწანისთან.
არაგველებო!
მოვკვივი ქარებს და მყუდროებას ვურღვევ სასულეთს,
არაგველებო!
გაშალეთ მთვარე და ჩემს სამშობლოს მხრებზე
დაჰხურეთ.
არაგველებო!
სამშობლო მტკივა – სამშობლო – უფლის მუხლთა
სასვენი,
არაგველებო!
ამინთეთ დილა
და ჩემი ქვეყნის ზეცა გახსენით.
არაგველებო!
მწუხრი წევს მყინვარს,
გონებავ ერის – სიფრთხილე გმართებს,
არაგველებო!
სამშობლოს სტკივა,
სამშობლოს სტკივა – ღვთისმშობლის სანთელს.

ჯიხვი ვარ და გადავწევი კლდეზე,
დილით ნისლის მსიამოვნებს ლოკვა,
მონადირევი, რა გინდა, რომ მეძებ,
ღირს კი ბიჭო?! – ახლა ჩემი მოკვლა...

აღსარება მიუღწეს

მარინა!
ბორგვა და შფოთვა მოაქვთ ქარებს,
მთებში არწივების ყვილია,
ცისფერი სიკვდილი მოამთქნარებს –
ცისფერი სიკვდილი – სულში ტკივილია.
ჩემო წუხილო და სალოცავო,
ჭერი ვერ დაგხურე ვარსკვლავების,
მუხაზე მიაშობდი – ჩამოწვაო,
ჩემი სანამებლით განამებდი.
ვნუხვარ – ტკივილისთვის გაგიმეტიე,
დიდი, უსაშველო ტკივილისთვის,
იქნებ დავიხარჯე უფრო მეტად
ობლად ამოზრდილი გვირილისთვის.
მარინა!

სანუთრო როგორ მეიოლა,
ახლა ნისლებს ვუფენ ამ იარებს,
ბევრჯერ დავმარცხდი და დავთმე ბრძოლა,
ბევრჯერ ხანჯლის პირზე გავიარე....
დავთმე, რაც არ იყო დასათმობი,
ბევრჯერ სამშობლოსაც ვულალატე,
ახლა ჯავრი მშლის და ჯავრი მამტვრევს,
ვერ შევძელ დამხობა დასამხობის.
მარინა!

დადლილი და დაშაშრული
ისევ შენს ჩეროს შემაფარე,
ისევ მომანატრე გაზაფხული –
სიცოცხლე ისევ შემაყვარე,
თორემ ძაანა ვარ დაბინდული,
მზე ჩემს ბნელ სხეულს ველარ ანთებს,
მე ვარ მამულივით გაყიდული
და ჩამოღვენთილს ვგავარ სანთელს.
მარინა!

ბორგვა და შფოთვა მოაქვთ ქარებს,
მთებში არწივების ყივილია,
ცისფერი სიკვდილი მოამთქნარებს,
ცისფერი სიკვდილი – სულში ტკივილია.

ბუბუნით მივალ სერ-სერა,
ფებს ვუცემ,
კლდენი ნივიან,
არ მკმაობ წუთისოფელო,
ეგ ბაგა
ჩემთვის მწირია.
ომს ითხოვ? – ომი მწადა –
განყდეს, იქ, სადაც წვრილია....

მანძილი შენამდე დიდია,
შენიდან ჩემამდე – არც ისე,
ამინდი საგრძნობლად მშვიდია,
მანცვიფრებ....
ჯერ კიდევ ჰყვავიან ატმები,
ქარია – მომიტანს რამე ქორს,
მე ვამბობ, არ მომენატრები,
შენ სდუმხარ, ილიმი საეჭვოდ.
ლამდება,
ვარსკვლავნი აენთენენ,
რომ ვხედავ შორი-შორს საკმაოდ,
მე ახლა გიჟი ვარ საერთოდ –
ჩემს ჭკვაზე გადმომყავს სამყაროც.
მუდმივად რალაცა მანამებს
და ჩემშიც მუდმივად ბინდია,
და მაინც მიზიდავს წამწამებს
მთვარე რომ ნისლივით ჰკივია.
შორს სადღაც ჰყვავიან ატმები,
ქარია – მომიტანს რამე ქორს,
მე ვამბობ, არ მომენატრები,
შენ სდუმხარ, იცინი საეჭვოდ.

ალარ მწყურიხარ, როგორც მამრს მდედრი,
ალარ მინდიხარ, როგორც კაცს ქალი,
არ მხიბლავს შენი გაშლილი თმები
შუალამით რომ ათრთოლებს ქარი.
მამნუხრებს შენი თვალეხი სველი
და ბაგეთაგან ოხვრის აღმოსვლა,
შენს გამოჩენას მზეზე წინ ველი
და გეფერები – როგორც სალოცავს.



მანანა დანგაძე



კვლავ გაბრწყინდება

სევდის სირჩა მივანოდე სანაღველოს,
ფიქრით მივწვდი ნანასა და მირიანს,
ვერ ვივარგე მათი რწმენის მეციხოვნედ
საქართველო ორად გაყოფილია.
ველარც დავითს გავუყარე თვალი თვალში,
რა დატოვა, დღეს კი რა მაქვს სათქმელი,
რა ვიყავით, რანი ვართ და ვინ ვიქნებით,
თუ ქვეყანას აღარ შერჩა ქართველი.
ჩამოშლილა ბაგრატი და უფლისციხე,
ოშკს და ხახულს სულ სხვა ზეცა დაჰხურეს,
გალენჩებულ საქართველოს მალა ციდან
ცრემლმდინარი ღვთისმშობელი დაჰყურებს.
ღმერთმა მომცა დიდებული ფიროსმანი,
მე კი ვერც კი შევუნახე საფლავი,
უხმაურო იყო მისი მიმოსვლანი,
ვერ შევუმკე შუბლი დასადფანავი.
ან რა ვუთხრა ილიას და გალაკტიონს,
ნაიბილწა მათი ენა ქართული,
მუხლოყრილი დავიჩოქებ, მაპატიონ,
რადგან უცხო ტომისგან ვარ მართული.
სად გინახავთ აქ ამდენი მათხოვარი,
ზოგი საჭმელს, ზოგი ხურდას თხოულობს,
პურის ნახორხლს რომ იპოვნის ვიღაც ლოთი,
ჩაიცინებს: ვინც ეძებსო, პოულობს.
დაუყრიათ დახლზე ძონძი - ტანსაცმელი,
ქალი ეძებს მეუღლისთვის დიდ ზომას,
ამაყი და თავმომწონე საქართველო
დღეს ევროპის გამონაცვალს იზომავს...
სევდის სირჩა მივანოდე სანაღველოს,
სინანული ვერ გამრეცხავს ცოდვისგან,
ღმერთო, იხსენ მარწუხისგან საქართველო,
ურჯულოთა, უჯიშოთა მოდგმიდან.
მე ვინა ვარ, შენ გეკუთვნის ჩემი სული,
ყველა სიტყვა გულით ანაკვნესია,
არ მაჩვენო საქართველოს დასასრული!..
ეს ტკივილიც შენგან თქმული ლექსია.
20.11.11.

სულო, ჩაიცვი პერანგი

გულო, ვერ უძლებ ტიალო
ტკივილებს შენი ქვეყნისას,
დარდო, ცრემლებთან ზიარო
ლიმილი აღარ გელირსა.
ვერც ვერაფერი გიშველე,
ვერც ნარი ვჩეხე ეკლისა,
ვერც შევუმშრალე სისველე
ხარხელაურის ვერკვლისას,
სულო ჩაიცვი პერანგი
შენი ტანჯული ქვეყნისა!
27.03.12.

გოდება

ვაი მე! საქართველოს მიყიდიან,
ვაი მე! წამიბილწეს დედა ენა,
ვაი მე! ჩემს მინაზე მტერნი ქრიან,
ჩემს ტაძარს ვიღაც უცხო მედავება.
ვაი მე! აღარა სჩანს გუთნეული,
ვაი მე! მოსდებია ყანას ძეძვი,
ვაი მე! ხარობს ვიღაც უდღეური,
ვაი მე! ნიღბით მოსულს უხმლოდ ვებრძვი.
ვაი მე! დამინგრეეს სალოცავი,
გამირყვნეს ჭაბუკნი და ქალწულები,
წაბილწეს ანაფჰორა სალოცავის,
მიმრავლეს უცხო ქვეყნად წასულები.
დაცლილა სოფელი და სამოსახლო,
ველარსად გაიგონებთ მამლის ყვივლს,
ვაი მე! „ვიღაც“ უნდა დაესახლოს,
ვაი მე! ტყიდან ავად ჭოტი კივის,
ვაი მე! გადამხმარა ჩაის ბურჭი,
ვაი მე! ამიჩეხეს ვენახები,
ვაი მე! აღარ ისმის ჩელა, კურჩი,
ვაი მე! ასე ვერვის ვენახვები.
ვაი მე! სტუმრის მოსვლის მეშინია,
ვაი მე! წინაპართა ტრადიცია,
ვაი მე! სული ყოფით შემოილია,
ვაი მე! დარდი წვეთად დამიცლია.
ვაი მე! საქართველო გამიყიდეს,
ვაი მე! წამიბილწეს დედა ენა,
ვაი მე! სისხლი ძარღვში გამიყინეს,
ჩემს ტაძარს ვიღაც უცხო მედავება...
19.06.12.

ჩემი ლექსები, სისხლით ნანერი,
სხვას ერჩენება ლამაზ გართობად,
ღმერთო, უშენოდ როგორ გავძელი,
არც გაიფიქრო, რომ მე მარტო ვარ!
14.02.10.

არ გაგიკვირდეს, რასაც გთხოვ,
წმინდა დედაო მარიამ:
„კაცურად მატარებინე“
ჩემი საზიდი ჯვარია!
გამოთქმა არის ასეთი,

ლოცვა-ვედრება ვალია,
თორემ ამისი მთხოვნელი
ერთი უბრალო ქალია.
15.02.10.

ჩემი ქრისტი დამიტოვით

თქვენ, ვინც გინდათ, ის წმინდანი გაიტოვით,
თქვენი იყოს სინაგოგაც, მეჩეთიც,
მე კი ჩემი წმინდა ქრისტი დამიტოვით,
მან დაასვა ჩემს ცხოვრებას ბეჭედი.
თქვენ, რაც გინდათ, ის იმღერეთ, შეიმოსეთ,
თქვენი იყოს ქიტონიც და ქორალიც,
მე ჩემს ვენახს მივუმღერებ საგალობელს,
მერე ქრისტემ წამიკითხოს მორალი.
სადაც გინდათ, თქვენებურად დაილოცეთ,
იეჰოვა, ბუდაა თუ ალაჰი,
ჩემთვის წმინდა მიწაა, ნუ გაიოცებთ,
ჩემი ქრისტეს ფეხდადგმული ბალახი.
თქვენ თქვენი გაქვთ ხანუქი და ბაირამი,
მე სულ ველი ქრისტეს შობას, აღდგომას,
ზეცით გვლოცავს ღვთისმშობელი მარიამი,
ელოდება ჩვილის ფეხზე დადგომას.
თქვენ, ვინც გინდათ, ის წმინდანი გაიტოვით,
თქვენი იყოს სინაგოგაც, მეჩეთიც,
მე კი ჩემი წმინდა ქრისტი დამიტოვით -
ჩემს ცხოვრებას მან დაასვა ბეჭედი.
23.11.11.

ქრისტი და მეფისტოფელი

ვესათუთები ტაძრის გუმბათებს,
წაღმა ტრიალებს თითქოს სოფელი,
ვიდრე ავბედი დაგვამუნათებს
და მოგვერევა მეფისტოფელი.
ჩემს სასთუმალთან მტრედი აფრინდა
და ზეთისხილი შემომატარა,
წამოვიმართე თავშესაფრიდან
და დავეხსენი წყეულ სატანას.
უკან დავტოვე გზა სიმძიმის,
ჩუმი წყევლაა და ლიქნი მზაკერული,
ღმერთო, მიჩვენე ქრისტეს ღიმილი,
მეფისტოფელი - ჯვარზე გაკრული!
14.10.10.

უფალს

სული მშვიდობს, მთელ სხეულში
განფენილა მხოლოდ შენი დიდება,
ბალახს მოვძოვ, დამფარფატეს ხან პეპელა,
ბულბული თუ ჭილყვავი,
ტკივილის და განსაცდელის შენ მასწავლე
ღირსეულად მიღება
და, თუ რამე შემეშალა, სწორედ მაშინ,
შენთან რომ არ ვიყავი.
05.12.10.

მონყანას შენი სახელი ჰქვია

ღრუბელი ფარავს ზეცას სამზეოს,
ქუჩას მივყვები, მდუმარს და ქვიანს,
მხარზე ვგრძნობ ფაფუკ, ლამაზ ანგელოზს -

„იქნებ ჯერ კიდევ არ არის გვიან!..“
უცრად ზეცას ცრემლები წასკდა,
მარგალიტებით შეამკო მიწა,
და სევდა ყველა სამანს გადასცდა,
ცაში აიჭრა, ნისლეზად იქცა.
წვიმის ხმაური ჩამესმის ლოცვად,
ქუჩას მივყვები მდუმარს და ქვიანს,
მშვენიერია განწყობაც, როცა
მონყენას შენი სახელი ჰქვია.
17.04.10.

სხვა მზით გათენდა

რა დროს სევდაა და რა დროს - გლოვა,
შეხეთ, ეს დილა სხვა მზით გათენდა,
დღეს თავს მოვეუკრავ დარდების გროვას,
ძილ-ღვიძილში რომ ცრემლებს მადენდა,
დღეს გავილაღებ, ველად გაჭრილი,
და აპრილივით ავყვავილდები,
გაფართოვდება ჩემი გზანწვრილი,
როს დაასკდება ხეებს კვირტები.
დღეს სულ ერთია, თუ ვინმე მელის,
ისიც სულ ერთი, თუ არ მელიან,
მტრედი მომიტანს სატრფოსგან წერილს?!
თუმცა წერილი... - უკვე ძველია.
გამოვცოცხლდები სულად ეული,
იის ფერებით გაემართავ სტრიქონს,
მთვარის სტუმრობით ღამეთეული
სევდას მოვაშობ ისე, ვით პითონს.
მორჩა ურვა და ჭექა-ქუხილი,
გათენდა სხვა დღე, შეხეთ ამ დილას,
წყალს გავატანე ყველა ნუხილი
და მზეს ვპატიჟებ ჩემთან სადილად.
19.03.10.

კაცია და გუნება

აელვარდა გარემო და
გაიღვიძა ბუნებამ,
ფიფქები თუ ყვავილნარი? -
კაცია და გუნება!
გაზაფხული დაიდვარა
ფერებად და სუნებად,
ზოგს ენძელა უჯობს იას -
კაცია და გუნება!
აპრილის მზე სხეულს ათბობს,
არა გასახუნებლად,
სახლში როგორ ზიხარ მარტო? -
კაცია და გუნება!
ფანჯრის მიწას ტყემლის ტოტი
ეხუტება ცდუნებად,
გუგულს სხვისი ბუდე მოსწონს -
კაცია და გუნება!
მორაკრაკებს პატარა რუ,
მტკვარი ეღუდუნება,
თქვენს მენყვილეს რად არ ეძებთ -
კაცია და გუნება!
ვიდრე სულში მზე მაისობს
და სულს ესაღბუნება,
რად არ დნებით სიყვარულად -
კაცია და გუნება!
17.11.10.

ნისლმა დამბანა პირიო

რად გაიფიქრე სიცოცხლე,
რომ გულის ცრემლით ვტირო,
მწვერვალზე შემდგარს ვერ მამჩნევ!
ნისლმა დამბანა პირიო.
ეს მზეც რომ აღარ გამოჩნდა!
ვისთან გაუტკბა ძილიო?
რომელი არის სასიძო,
ვარსკვლავთა შორის მზირიო.
მე ჩემი მთვარე მეძახის,
ჩემი ოცნების ჩრდილიო,
ქურდივით ღამის სტუმარი,
ვით აკრძალული ხილიო.
ცუდად არავინ იფიქროს,
არვინ დაგვწამოს ცილიო,
დედოფალმუზაც თან მოჰყავს,
ატატებული ჩვილიო.
უცბად იცვლება ცხოვრების
ნესი, რიგი და ნირიო,
ღრუბელსამც ვეპაექრები
ცას აწყვეტილი ღილიო...
შენ კი იფიქრე, სიცოცხლე,
გულის ცრემლებით ვტირო,
მწვერვალზე შემდგარს ვერ მამჩნევ? –
ნისლმა დამბანა პირიო.
20.10.10.

ჩამოვაფხრინე სხეულს იღბალი

კვლავ ზურგშექცევით დადგა იღბალი
და გული ტლანქი ფეხით დატორეს,
გრძნობა წრფელი და შეუნიღბავი
მთლად ეშმაკებმა გაიმარტოვეს.
ვერ გადავცურე მტკვარი ბორანით,
ვერც დავიპყარი მთები მალღივი,
ვერ ავამღერე შავი ყორანი
და ბედიც, მდევი ავი ძაღლივით.
ზღაზვნით მივცურავ ფიქრთა მორევში,
ჩუმი შრიალი მესმის ვერხვების,
ჩემს გასაოცარ სიმყუდროვეში
სულის ფაქიზ სიმს - ლექსებს ვეხები.
გადავაქციე ღამე წვალებად,
ვერ ვემეგობრე მთვარეს ვნებთანს,
იმ ბიჭს მალაღს და ცისფერთვალებას
ჩემს ნაცვლად სულ სხვა შეჰყვარებია.
არა! – გავკივი – არ მსურს დამალვა,
ჩამოვაფხრინე სხეულს იღბალი,
რაც უნდა ის თქვას შთამომავალმა,
თქვენ წინ დავდექი შეუნიღბავი.
ახლალა მივხვდი, თუ რა მიშლიდა,
ეს იყო ბედი, მდევი ძაღლივით,
ძლივს დავიხსენი თავი ქიშიდან,
თავისუფალი, მაგრამ დაღლილი.
26.12.11.

მობზაურობა მითაჰვი

მთელი ცხოვრება ქრისტეს ვეძებ, მხვდება იუდა,
შუამავალი ალბათ ღმერთებს ამბავს მიუტანს.
ვით აფროდიტე დავდივარ და ვეძებ ადონისს,
და მის ძებნაში გული მიმდის, სული ამომდის.

ვიყავ ჯუღეტა, ანა, ჰერა, ვიყავ ისიდა,
და გარდაცვლილი კვლავ აღვსდექი თითქოს მიწიდან.
ვიყავი ელენეც, მომიტაცა ერთხელ პარისმა.
და ესმერალდად შემეფარა მერე პარიზმა.
ვიყავი ლედა, შემეუღლა მაცდურად ზევსი,
მაშინ არ იყო არც მარხვა და არც კიდევ მსგეფსი.
ველარ გავიგე ჩემი გვარი, ჩემი ეთონსი,
ქარიშხალივით თან დამყვება გრძნობა-ეროსი.
ხან ფრანგი ვიყავ და დავანთე ცეცხლი კან-კანის,
მავრს გავუჩინე გრძნობებისგან გულის კანკალი.
ერთ ცხოვრებაში ინდიელიც ვიყავ, აცტეკი,
დიდი კულტურა შევექმენი და მერე... განცდები.
მერე ოცნებით გადავცურე მდინარე ლეთე,
გამოვფხიზლდი და ბუდასავით ნირვანა ვენთე.
ერთხელ, სულ ადრე ბაბილონის გოდოლშიც მოვხვდი,
ვერავის ენ ავერ გავიგე, კინალამ მოვკვდი.
შენს ამოცნობას არ ეყოფა ერთი სიცოცხლე,
ღმერთო, სხეული მოკალი და სული მიცოცხლე.
თითქოს ძლიერი და ამაყი ლექსი გამომდის,
სამყაროს ცენტრში ვდგავარ მარტო, ვაი, რა მომდის.
კიდევ რამდენი სიცოცხლეა ნეტავ საჭირო,
ღმერთო, რამდენჯერ უნდა მგვემო, უნდა მათირო,
ქრისტეს დავეძებ, დამელია სული ლოდინში
აღარ შემცვალო, ქართველად მომკალ, სხვებთან
ბოდიში.

ოლონაც...

არ მინდა ბრენდი, ცისკი, ჯინ-ტონიკი,
ვერც რომი და ტეკილა გავიტოლე –
ვენახი მანავით და ოჯალემით,
უფალო, გვეედრები - დამიტოვე!
არ მინდა ფურშეტი ად პიკნიკ-ფართი,
ვერც შოუ, შოუმენი გავიტოლე,
თამადა მჭერმეტყველი ქრისტეს სისხლით,
უფალო, არ მომაკლო – დამიტოვე!
არ მინდა ჯიშად გადაგვარებული,
სხვის ბაგას შეფარებულს ვერ ვიტოვებ,
უფალო, დამილოცე ბიბლია და
მაცხოვრის სახარება დამიტოვე!
არ მინდა ურჯულოთა კანონები,
იუდა ქრისტეს მოსვლით გამოიცე,
მამაო, გამიხარე სიცოცხლის ხე,
ლაზარეს ამალღება დამილოცე...
მავანი ეკლესიას მედავება,
მავანი მიწის გოჯსაც არ მიტოვებს,
უფალო, ყველა ცოდვას ვაღიარებ,
ოლონაც საქართველო დამიტოვე!

როდის წამიყვან თუშეთში

როდის წამიყვან თუშეთში,
ჭიუხვებს როდის მაჩვენებ,
ასამღერებელ მუზეუმში
სალი კლდეების ნარჩენებს.
წავიდე, ილტოს ხეობა,
ცხენებით ავახმიანოთ,
მთა გვაგრძნობინებს მეობას
მწვერვალზე ჯიხვი მზიანობს.
როდის მაჩვენებ იალალს,
გადავსილს ცხვრების ფარებით,

აცეცხელებულ მზეს, ცილას,
 თუშეთს წვიმით, თუ დარებით.
 მომასმენინე გაზაფხულს
 მთებში ირმების ძახილი,
 ჩამონოლილი ზვავის ხმა,
 ხმა გამყინავი, მახვილი.
 როდის მომინყვეტ მთის ყვავილს,
 არნივებს როდის მაჩვენებ,
 ჭედილას შუბლზე მოტრუსულ
 სანთლის ნამწვავს და ნარჩენებს.
 როდის წამიყვან თუშეთში,
 შემოაგელვე იაბო,
 რომ ამღერებულ მუზებში
 შენი მითები მიაბო.

მძულხარ!

მძულხარ, როდესაც კვირტი იშლება,
 ყვავილებს პენტავს ფიფქებად ქარი,
 წვიმის ნაჟურით დაორსულებულ
 მინას რომ სტკივა ნამამრის კვალი.
 მძულხარ, როდესაც ყველა ნაკვალევს
 ზეცის ცრემლები გადარეცხს, ნაშლის,
 მძულხარ, როდესაც ისევ და ისევ
 შეიფერება სისხლისფრად ვაშლი.
 მძულხარ, როდესაც თეთრი ფიფქები
 სუდარასავით მეხვევა ტანზე,
 მძულხარ, როდესაც მოგონებების
 კარავს გაიშლის ფიქრები ბანზე.
 მძულხარ ზამთარში, მძულხარ ზაფხულში,
 მძულხარ დარში და მძულხარ ავდარში,
 მძულხარ, როდესაც ლექსთან ვჭიდილობ,
 სტრიქონს ვატარებ ცეცხლის ლადარში.
 მძულხარ უჩუმრად, მძულხარ უსიტყვოდ,
 მძულხარ, როდესაც სარეცელს ვკეცავ
 და სულ ერთია მზე გამიცინებს,
 თუ ცრემლებს ინმენდს ღრუბლებით ზეცა...
 უფალს ავხედე, ცა მოწმენდილა,
 გული საგულეს კვლავ შენით ფეთქავს,
 იქ, სადაც სიტყვა „მძულხარ“ წამომცდა –
 ყველგან „მიყვარხარ“ მინდოდა მეთქვა.

ლექსი – აღსარება

გულწრფელი მოწინებით მეუფე თადეოზს

მრავალ საცდურს შემაყარა ცხოვრებამ,
 დავალ ხარი, როგორც ნიშა, ლაბაო,
 შევაგროვე მთელი ქვეყნის ცოდვები
 და ფეხებთან დაგიყარეთ მამაო.
 სიხარულთან ბევრი ცრემლიც მადინა
 დალოცვილმა ლაჟვარდისფერ ცამაო,
 წუთისოფლის ორომსა და ტრიალში
 თქვენთან მოველ შეცთომილი, მამაო.
 რა არ ვნახე ამ ცხოვრების ჭიდილში,
 სატანაც კი მომიგზავნა ჟამმაო,
 ახლა ვნანობ, ახელილი თვალებით
 პატიება მინდა გთხოვოთ მამაო.
 ვდგავარ ზღურბლზე უცოდველი კრავივით
 და მორჩილად თქვენს წინ თვალებს ვნაბავო,
 მინდა გთხოვოთ განმიქარვოთ წარსულში
 რაც კი ცოდვა მიდენია მამაო.
 დავიღალე მტყუან-მართლის გარჩევით,
 არვის ვუსმენ, თქვენს ლოცვებში ვნანაობ,
 მოწინებით კიდევ ერთხელ გიბედავთ
 მომიტევეთ, მომიტევეთ მამაო!
 30.10.12.

საქორწინო კაბა

მორჩა მწუხრი, ზავი დავდე ფიქრებთან,
 ამბოხებულ სულს მარწუხით ვაბამ,
 ძველ ბაზარზე, ძონძად ქცეულ ნივთებთან
 დღეს დავკიდებ საქორწინო კაბას.
 მოგონება სულს მიკანრავს წარსულის,
 ჯვრისწერის დღე ყინულივით მსუსხავს
 და დღეები, უსახელოდ წასული
 ემატება შავ დღეების ნუსხას.
 აქეთ მოდით! შეიძინეთ! – ვფართხალებ
 ვბლავი ხარი, როგორც ნიშა, ლაბა,
 ვერ მოვირგე, ვილაცებმა გამთვალეს –
 ჩემი თეთრი საქორწინო კაბა....
 მორჩა მწუხრი, ზავი დავდე ფიქრებთან....
 ამბოხებულ სულს მარწუხით ვაბამ,
 ძველ ბაზარზე, ძონძად ქცეულ ნივთებთან
 კვლავ ფრიალებს ჩემი თეთრი კაბა....



დავით ტიგინაშვილი

არაგვის პირზე ფშაველო

არაგვის პირზე ფშაველო,
დამაკრეფინა მოცხარი,
ნეტავი დღესაც მგოსანო,
შენ ყოფილიყავ ცოცხალი.
ნუხელის ლომო სიზმარში
ბალახ-ბულახი გეყარა,
ვაიმე, როგორ სჭირდები
ამ გზაბნეულ ქვეყანას.
არაგვის პირზე ფშაველო,
ბადეს ამოჰყვა ცოცხალი,
დაქცეულიყო ქვეყანა,
შენ ყოფილიყავ ცოცხალი.

დოლი დაჰკარით, დუდუკების ჰანგით დამატკბეთ....
რამეს დავიკლებ? არც იფიქროთ, ეგლა მაკლია,
მოდო, სიცოცხლევ, თითო ჭიქა ღვინო დავლიოთ,
ამ ცხოვრებაში უკეთესი, აბა რა ყრია....
მოდო, მეარღნევ, ააკენესე ტკბილი ჰანგები,
ვინ რას გაგვატანს, ყველაფერი ბოლოს ფუჭია,
გულს ნუ აბლავლებთ, ძმაკაცებო, ფული
დახარჯეთ....
ძმობას ვფიცავარ, ფული? ფული ხელის ჭუჭყია.
ფულიანებო, პურ-მარილის მაღლით იცხოვრეთ,
დიდმა სიმდიდრემ იცის ძმებო, გულის დახანჯვლა,
ფული მხარჯველებს უნდა გვქონედს, ძუნ კაცს რად
უნდა,
როგორ გვიხდება პურ-მარილში ფულის დახარჯვა.
ერთიც დაასხით, დუდუკები სანამ ტირიან:
ღმერთო მაღალო, გულისსნორი, სატრფო მიცოცხლე
გავიყიდები, სიყვარულო, შენი გულისთვის,
ოღონდ ცოტა ხანს გაგახარო, ჩემო სიცოცხლევ.
ღვინო დამისხით, დუდუკების ჰანგით დამათვრეთ,
ქართული სუფრის სურნელებით გადამარჩინეთ.
ღმერთი არა ხარ?! ეს ოხერი ფული, მაცდური....
მამოვინინე და სიყვარულში დამახარჯვინე.

ფხიზელ ნუ მამკლავთ, ოხრებო!

ფხიზელ ნუ მამკლავთ, ოხრებო.
გულს ღვინო ჩამამაქივლეთ,
უბელო ცხენზე დამაგდეთ
და არაგვს გადამაქივლეთ.
ღმერთი ინამეთ, ბიჭებო,

ნუ გამაჩერებთ უქმადა,
თერგ და არაგვის კალმახებს,
ჩემ თავ მიეცით ლუკმადა....

საით მიდიხარ ქვეყანავ

*„ნიგნი, რომელსაც მე დავნერ,
შეიძლება ჯალათის ხელით დაინვას“
მილერი*

საით მიდიხარ ქვეყანავ,
ნეტავი საით სწრაფობ.
დროზე დადულდი კახურო,
რომ ბოღმით დაგენაფო....
ცრემლებს მოაფრქვევს არაგვი,
გულს ყვავ-ყორანი მკანრის.
ბერმუხავ, მტერი ფესვს გიღრღნის
და მწვანე ფოთლებს გაცლის.
ნუხელის გათენებამდე
წმინდა სანთელი გენტო,
რა ცოდო მაღლი ტრიალებს
საქართველოში ღმერთო.
რა ვუთხარათ შთამომავლობას,
დაიგუგუნეთ მთებო.
გამოდით ძილბურანიდან,
გამოიღვიძეთ ძმებო!...
პაატასავით მოგბღავი
ჩამოგლეჯილო მიწავ.
ხომ არ შეგცვივდათ ცხინვალო,
ჩემო ლამაზო რინავ.
გაუძელ დედავ ტყვეობას,
არ გაიტეხო გული,
ღმერთმა დასწყევლოს შენს ველზე
მტრისგან ნათესი პური!..
წამოვაცყენოთ მამული,
როგორც ნიქარა ხარი,
მტერს ერთხელ კიდევ ვაგემოთ
დაყანგებული ხმალი....
ქრისტეს სისხლიდან მოვდივართ
და დღესაც ვანთებთ სანთელს,
საქართველოში ვერავინ
ვერ ამოძირკვავს ქართველს.
ნუ ახარხარებთ სატანას,
აქ უნდა დავიმარხოთ,
პატივი ეცით უფალს და
დედაღვისმშობელს ხალხო.
აღსდექით ღმერთმა შეგვიწოდო,
ჩემო ლომთმოდგემავე ერთო,
შენ დაგვიფარე უფალო,
გაგვაძლიერე ღმერთო!...

საეციალურად დღევანდელი ღღისთვის

*„ხოლო პოეტის ხმას ვინც არ უსმენს
ბარბაროსია, ვინც გინდა იყოს“
გოეთე*

რა დრო დაუდგა ჩვენს ნიჭს და კალამს
ამ ველურ ბრბოში, ძლივს მიღანღალეებს,
ღმერთო, მგოსნების ცრემლები მდულრავს
და ფალავნების მინა ზანზარებს!..

ჰაი, დედასა ქართველის ლომებო,
 დაბრძენებულო, ჭკუით სავსენო,
 ეს ყანნი.... ჩვენი ძმობისა იყოს,
 ხომ დარდი მომკვლავს, რომ არ გახსენოთ....
 ამ დროებაზე მისკდება გული,
 ღმერთო, ცხოვრებას ვინყებ თავიდან,
 სად გაგონილა, ამ თაობისგან
 ჩვენი თაობის ასე გარიყვა?!
 მგოსნის ღრიალი მიარღვევს ზეცას,
 ეს ლექსი თქვენთვის დამინერია,
 ვინც მამა-პაპის ძვლებზე ნავარდობს,
 მას მომავალი არ უწერია....
 შენ დაგვიფარე ამ ქვეყნად ღმერთო,
 სევდის ღრუბელმა ცა არ გაგლიჯოს,
 ბარათაშვილის მერანი მკორტნის
 ლამის გულმკერდი გადამაგლიჯოს!..
 სისხლის ყივილი გვეძახის ძმებო
 და რუსთაველის ფრესკა წაშლილი,
 ო, საქართველოს გულში, უფალო,
 ლომი ღრიალებს, ფაფარაშლილი!...

მტერო, კლდის ანატეხი ვარ

მტერო კლდის ანატეხი ვარ
 ცაში აჭრილი სალისა,
 ღრუბელსა ვგეგვარ სასეტყვეს,
 არა მეტყობა დარისა.
 ბრძოლაში გამოზრდილი ვარ,
 გამოდი არ დაახანო,
 მკლავი შამახმეს, მარჯვენა,
 თუ ჩემს მიწაზე გახარო.
 გულსისხლძარღვებში ოხრებო,
 დიდგორის სისხლი ღრიალებს,
 წმინდა გიორგი, ძლიერო,
 დაგვლოცე, აგვახმიანე!

ღმერთო, თუ ვიცოდე რა მინდა

ღმერთო, ეხლა არ გათენდა,
 ო, რა უცებ დაბინდა,
 ძალღმრთე ვიყო, ძმებო,
 თუ ვიცოდე რა მინდა.
 მიდი-მოდის ეს დღეები,
 ღამდება და თენდება,
 ღმერთო, ნეტა ნატვრის დილა
 როდის გამითენდება....
 გამალოთა ამ ცხოვრებამ,
 აღარ გამოამინდა,
 ძალი ვიყო, ღვინის გარდა
 თუ ვიცოდე რა მინდა....

ღვინოზე უარს ვინ ამბობს

ღვინოზე უარს ვინ ამბობს,
 ვინ დარჩა დაუთრობელი,
 მითხარით როგორ მოიხრეთ
 ძმებო, ეს ნუთისოფელი.
 დაასხით.... ზოგი ისეთი
 ნავიდა, მართლა მთა იყო,
 დაასხით.... ვინც ამ ქვეყნიდან

ერთი შაური ნაილოს!....
 დაასხით, სანამ ეშხზე ვარ
 ერთმანეთს კვლავ გავუღიმოთ,
 დაასხით.... ამ ქვეყნისაც და
 იმ სამოთხისაც, უღვინოდ!

გაზაფხული

გულო, ცეცხლი გიკიდია, როგორ ჩამოგაგრილო,
 მარტო, ასე რომ მაგიჟებ, რაღას მიზამ აპრილო.
 მონატრებულ ბაღლებივით შემომასკდნენ ტყემლები,
 ბნკარებსა და ბნკარებს შუა ფარფატებენ პეპლები.
 სიყვარულო სიყრმიდანვე გულში შემოაბიჯე,
 ვაჰმე, რით ვერ დამაღვინე, რა თანდათან მაგიჟებ.
 ხევსურული ფარდაგივით ზეცა მოქარგულია,
 სულს, იხმე აჭიხვინდი, მართლა გაზაფხულია.
 ანგელოზო, ჩემი გული შენს ცხელ გულზე მოგორავს,
 არაფერი შეედრება თვრამეტი წლის გოგონას.
 ჩემი სატრფო მეკითხება, დალევ, ლომო? ყასიდად,
 მოდი, ქალო, მოგეფერო, დავლევ, აბა რას ვიზამ.
 გრძნობით ჩაბახუსებული ყანწს გადავკრავ წყვილს
 დილით,
 ვაი, როგორ მიხარია დაბადება, სიკვდილიც.
 ვინც გაზაფხულს ჩამამყნოსა, ვიცი დღემდე
 მიგონებს,
 ნეტა ახლა ვინ ჩამკოცნის, ნეტა ვინ ჩამიკონებს.
 ღამაზებო, როგორ მინდა გულში გამოგაზამთროთ,
 და ველური ყვავილების სურნელებით დაგათროთ.
 ნუ დამინყებთ, მგოსანია, რას მოჰვება არაკებს,
 ღვინო, ქალი, დუდუკები ძილშიც მაღაპარაკებს.
 გულო, მთელი სიჭაბუკე სულ შენ ჭკვაზე ვიარე,
 ვაი, რით ვერ დაგაღვინე, რით ვერ გადაგიარე?!

ცხოვრების პრინცი

ერთხელ მეც ვიყავ
 ღვინით და ქალით მთვრალი,
 ღვთიური ეშხი ღმერთო
 სულ გვერდით მდევდა,
 ახალგაზრდობა არის
 ცხოვრების პრინცი....
 ო, დანარჩენი –
 ამქვეყნიური სევდა....

კახეთო, ჩამო კახეთო

რატომ არ მკითხავთ, რადა ვარ
 დაღონებული ხარივით,
 მოვარდი, მუზავ ტიალო,
 ბორბალოს ნიაღვარივით.
 მოდი ერთხელაც ლომებმა
 ლომებრ ვიომოთ, რაც არი,
 გულში არ გამამილიო
 ნაღვერდალი და ნაცარი.
 სულ სხვაა ლექსის წარაფი
 კლდეს შეგახეთქებს ფრიალოს,
 ქვირითიანო კალმახო,
 არაგვზე ჩავიგრილოთ.
 დედის ხმასავით ყურს ვუგდებ,
 არაგვო შენს ტკბილ საუბრებს,
 გამლექსე მტკვარზე, იორზე,

ალაზანს გამასაუბრე.
 ცივ გომბორიდან აფრენილს
 სად არ მიწვდება ხელიო,
 ყვარელო ღვინო დამისხი,
 ალვანო, ჩასჭერ ყველიო.
 ტირიან ქართულ გარმონზე
 დაღესტან-ლეკ-ინგუშეთი,
 ზვიადაურო, დასჭექე,
 ამოაკივლე თუშეთი!
 მომნატრებია მაჭრობა,
 მზით გარუჯული მტევნები,
 და პაპაჩემის მარანში
 დადუღებული ქვევრები.
 კახეთო, შენი ნაჭურით
 ჩამავთვერ, ჩავიცრემლეო,
 ღვთით კურთხეულო სამოთხევე,
 აგრემც შენ შამაგველეო.

ღმერთმა ყველას გაუმარჯოს,
 ვინც რა წაიჩალიჩა,
 მე კალამი მერგო წილადა
 და მფრინავი ხალიჩა.

დედას გიტირებ ცხოვრებავე,
 ბანი მომეცით მთა-გორო,
 კამათელი ხომ არა ვარ
 დუ-შაშზე გადამაგორო!

ჩაშაქრულ მტევნებს
 ჩაწურავ ქვევრში,
 შუშხუნა მაჭარს
 ჩააყოლებ ფიქრს სახვალის....
 და თუ ბიჭი ხარ,
 გასძელი ისე,
 რომ დაღვინება დააცალო
 და არ დალიო!

როცა დუდუკი ტირის

როცა დუდუკი ტირის
 და ამ ღვთიურ
 გალობას ვუსმენ
 ასე მგონია, სამშობლოდან
 ტყვედაყრილი, მონობაში
 გადასახვეწად მიმავალ ჩემი
 დიდ წინაპრის ჩარდახიან
 ურემს ბედად,
 შემთხვევით ჩამოვვარდი,
 რათა ობლობაში გაზრდილს
 და შენზე მონატრებულს
 უფრო მაღლიანად მემღერა,
 ჩემო საქართველო!....

ქარი ქრის, ჩემსკენ გადმოაქვს
 შენი ტუჩების ნამქერი,
 შენა ხარ ჩემი ცხოვრების
 ბედნიერების ჩანჩქერი.....
 რქანითლის ნისლში დავცურავ,
 კოცნა სცოდნიათ მთვრალეებსაც,
 მე შენში დალისაც ვხედავ....
 და მზე თამარის თვალეებსაც....
 ცეცხლის მახვილით განვგმირავ,
 შენს სუნთქვას ვინმემ გამყაროს,
 ღმერთო, არ გადააშენო,
 ო, სიყვარულის სამყარო!!!



ვაჟა აქიმიშვილი



რწმენა

(ჯუმბერ ლეჟავას)
 ვაჟკაცთა რწმენა ახარეთ,
 სიცოცხლეს როცა ბადებდით...
 ღვთიური მეცნიერებით,
 მეცნიერებას ანგრევდით.
 თქვენ სული შეუდრეკელით,
 სიცოცხლის გზაზე დადევით...
 ოთხჯერ უკვალი გაკვალეთ,
 ბედის წინაშე ამხედრდით.
 მსოფლიო რეკორდსმენებთან,
 შეჯიბრებაში გახვედით...
 თქვენი რწმენით და ლოგიკით,
 შიშის კანონებს არღვევდით.
 ხუთასი წელი შიშების
 ძალას ტყუილად ვაქებდით.
 შექსპირი შეატრიალეთ
 სიკვდილის შიშს არ დანებდით.
 თქვენ სხვა ხარო, იმედს ხალხისთვის
 სიყვარულისგან აგებდით...
 ბოროტს გზა გადაუკეტეთ,
 კეთილს კი რწმენას აძლევდით.
 თქვენს თავზე არ გიფიქრიათ,
 სხვის სიცოცხლეს რომ არჩენდით,
 გარემოს ზავს ვერ დაუდებთ,
 თქვენი სპეტაკი გაგებით.
 ვაჟკაცის რწმენა ახარეთ,
 სიცოცხლეს როცა ბადებდით...
 თქვენივე მეცნიერებით,
 მეცნიერებას ანგრევდით.

ცოდნის მოქვარი

(გულნაზ ხარაიშვილს)

აქვს სათნოება ცის ანგელოზის,
 თვალთა სხივები მზესთან სადარი....
 ღვთის ყურადღებით გამორჩევა.
 ყოველს შეიცნობს ისე რაც არი.
 და გაოგნულ მარტოობაში,
 გულში დარეკა თითქოს მიასმა...
 ჩემი გულისთქმის შემფასებელი
 ბრძენი მზრუნველი ხმა, რომ გაისმა.
 მე გამაოცა მისმა მიდგომამ

განწყობამ გრძნობამ თანაგრძნობისა,
 ჩემი აზრების სანუგეშებლად,
 მან რწმენა მომცა მეფე ლომისა.
 იგრძნო, გამანდო, სად მიდიოდა...
 ჩემი ლექსების სიბრძნე და ზღვარი,
 ჩვენ მას ქალბატონ გულნაზს ვუნოდებთ
 ცხადად კი არის ცოდნის მოძღვარი.

იმ სიყვარულს გაუმარჯოს

საოცნებო ლამაზ გრძნობებს,
 დღე და ღამე ჩვენ რომ გვათრობს...
 სახალისოდ გულს გვიჩქროლებს,
 იმ სიყვარულს გაუმარჯოს...
 დაბნეულებს დაგვატარებს,
 სიზმარშიც ხომ ვილაც გვახსოვს...
 გვაღალებს და გვახალისებს,
 იმ სიყვარულს გაუმარჯოს.
 საქმიანად დაგვატარებს,
 თავზე გვანვიმს თუ თავს გვათოვს,
 შიმშილს რომ არ გვაგრძნობინებს,
 იმ სიყვარულს გაუმარჯოს.
 სხვისკენ რომ არ გაგვახედებს,
 ოცნებებს რომ თვალში აქსოვს...
 მწვერვალებისკენ რომ გვინვევს
 იმ სიყვარულს გაუმარჯოს...

თვალეპი

თვალეპი მკრთომი იმედით სავსე,
 მათში გამხვევი ნისლების ფენა...
 დაბნეულობა და მისი მადლით
 ბედნიერების ბურუსში ფრენა.
 ზღვა სიხალისე უძირო ნდობა,
 ყვავილებიან მინდორზე რბენა
 არდაღლა, სითბო, სიტკბო უღევი,
 და თვალეპიდან ვარსკვლავთა ცვენა.
 რა ლამაზია გრძნობების ელვა
 და ბუნებაში, ბუნებით ღელვა.

დროის ფაქტორი

ყველასგან დროს ხომ თავისი მიაქვს,
 მეც მომემატა ჩემი ასაკი,
 დროის ფაქტორმა მეც მაპოვნინა
 სულიერების ბრძნული ბანაკი,
 ბევრს არ მოვწონვარ სხვა ცხოვრებაში
 გამომიგზავნეს ასი ბარათი...
 რამ შეგაშფოთათ მე ვერა ვხვდები,
 ძველი წესი მაქვს ძელი ადათი...
 სიტყვა მშრომელი ისე ჩამემისს,
 როგორც პატარებს ტკბილი არაკი.
 თუ კი არ მოგწონთ რომ ვარ პოეტი
 და ჩამითვალეთ როგორც ღალატი.
 თუ თვლით ლექსები აბდაუბდა მაქვს
 უაზრობაში რაღაც ნახლართი
 დავინმინდავებ არეულ ფიქრებს,
 მომეცით ისევ მუშის ხალათი.

უზომოდ მიყვარს მე საქართველო

ძველი დროიდან დადგენილია,
თქმული აზრები არა ქრებოდა...
და სიმართლის მთქმელს იმიტომ სჯიდნენ,
აზრი არ ეთქვა არ დარჩენოდა.
ბრძნულ აზრს თუ იტყვი ძალიან კარგი,
მაგრამ ბოროტი აზრებიც რჩება
და ამის გამო ქვეყანა... კაცი,
რამეს მოინვეს ვერ გადარჩება.
სხვისი აზრები ამპარტავნების,
მე რად ვასწორო რად უნდა ვთელო,
ალბათ იმიტომ, რომ ხალხი მიყვარს.
უზომოდ მიყვარს მე საქართველო!

ცხოვრება არ მაქვს გადასახედი

მე მორჩილებით შენს წინ დავდგები,
წამით უძირო თვალებს ჩახედავ...
ოხ, რა ძალიან მაინტერესებს,
თვალს რაც განაგებს აიქ რა ხდება?
ეს რა ძალაა მე რომ მიყურებს,
მე რომ განვიცდი ნუთუ ასეთი
თუ ეს ასეა უფალს მადლობა,
ცხოვრება არ მაქვს გადასახედი.

არ მინახია

ადრე არასდროს არ მინახია,
ცხადად ასეთი დიდებულება...
ასე მგონია სულ შენ გეძებდი,
გადამეწმინდა ცივი ბუნება.
გული შექანდა თითქოს ლამაზი,
ჩანგი შემოჰკრეს სალამურებმა...
გრძნობებმა ცოდნის ეტლი გამტაცეს,
როგორც ცხენებმა არაბულებმა.
ერთი ცხადია ის აღარა ვარ,
არა მწყინდება შენი ყურება,
შენი იმედით არ მემუქრება
გვარის შეწყვეტა განადგურება.

დარდი

მე უპასუხო სიყვარულს ვდარდობ,
ისე მიყვარხარ როგორც თავიდან...
დრომაც რეცხა და რეცხა ავდარმაც,
მაგრამ თავიდან არსად წავიდა,
თოვლი მოდის და ფიფქი მადნება,
ადნება სახეს მწველი შეგრძნება
შენ კი დარდი ხარ, მაგრამ ფიქრები...
შენგან წვეული გულში მეყრება.
ახალი წელი მოდის და აგერ
ნუთი-ნუსთს ახლად შემომეყრება,
ნეტავ ერთ ნუთს თუ გამახალისებს,
რომ არა მქონდეს მწველი შეგრძნება.

დარდის ბურუსში დაყვები დარდებს,
შენთვის შეძენილს შევეყრებ ვარდებს...
მსურს რომ ახალ წელს რაღაც შევცვალო
ლმერთო მითხარი რა საქმე მარგებს.

სიყვარულია

მიზნისთვის სწრაფვით ვწდები ოცნებას,
დიდი ხნით მიწვევს ტარება დარდის...
სიყვარულია რაც მაიძულებს
რომ ავიტანო ეკლები ვარდის.

* * *

ღამეა თეთრი და თვითონ თეთრი,
ღამის მნათობიც ნახევრად ბრწყინავს.
ვილაცის სულს მთვარის სიცივე
ვილაცას მკლავზე კმაყოფილს სძინავს.
ვტეხავ და ვხედავ პოეტთა რისხვას
რისხვით გაჯღენთილ სევდიან რითმას.
ვზღუდავ ოცნებას და მასთან ერთად
ვტოვებ ტკბილ აზრებს რაც გრძნობით მითქვამს.
გრძნობა განწირულს ნუხილი მფარავს,
რა შემეძენია ან და რას ვტოვებ,
გულს მწყვეტს სულს სტკივა, წარსულზე ფიქრი,
ბრძოლა ანმყოსთან და სიმარტოვე...
მიყვარდა მსურდა და მამაც გაეხდი,
ატირებული ლალი ოცნების,
მეუღლე ჩემი უბის წიგნაკი,
მატარებელი ცხელი გრძნობების.
გრძნობის ნაყოფი სხვის გრძნობებს მიაქვს.
დაკარგულია მტრედი და ბუდე
და იღბლიანი უიღბლოს მწირავს.
ფიქრით გავათბე გულმკერდის უბე.

ნუგზარ ნადარაიას

მეფური სიბრძნის სიდარბაისლით,
ქუხს სიტყვით ნუგზარ ნადარაია.
მისი გამოსვლა ერის ტკივილით,
მშფოთვარე გულთა გამკითხავია.
აზრი - აზრს ცვლიდა არეულ დროში,
და მას ეკლებიც გაუკვავალა.
ბედთან უტეხი სიკეთის სავსე,
ცეცხლს ანთებს სადაც კაცთა ვალაია.
საქართველოში ქართველი ხალხი,
როცა ამინდმა არივ-დარია.
პატრიოტული მქუხარე სიტყვით,
გარს გვიკრეფს ნუგზარს ნადარაია.
ვეტრფი სიბრძნეს და სულიერებას,
ჩემსას რომ მისი ასე სწყურია.
თქვენი გამოსვლა როგორც ტაძარი,
წარმოუდგენლად დიდებულია.

ზაურ ნოზაძე**ხვანცი**

ეუძღვნი ბეჟან ხარაიშვილის ნათელ ხსოვნას

უახლოვდება ნათელი კორტოხს,
ეს იმერული პეიზაჟია,
მიჰყვება თვალი ხევსა და ორნოხს,
როგორც სიცოცხლის შავი არშია...
ზეცაში უცებ ფიქრდება სხვენი,
შეეპარება სევდა ბორიულს,
და გადმოხედავს მღვიძარე ხვანი
გზას სამარქაფოს, გზას ისტორიულს...
თუმცა გამოდგა ბედი გულცივი,
თვალზე ცრემლები ჯერ არ შემშრალა,
ძირულის პირთან მხარზე ხურჯინით
წელში გამართულს ვხედავ ბეჟანას...
მარტო ძირულით კი არა ხვანო,
ტკბილი ხმა ახლაც რომ მეყურება,
კაი პოეტის სიცოცხლით ვხარობ,
მისი საფლავი აქ მეგულება.

ხმა...

დღესაც თუ არ ავუშვი
ასაშვები აფრები,
წუთისოფლის ხმაურში
სანთელივით ჩაქრები,
დღესვე, მათაა სიმაღლეს
თუ გსურს სულში შეეხვე,
ახალ გზაზე სიმაღ მჟღერ
უცინცხალ ფხას შეეხე...
არნახული აქამდე
გაახურე მერანი,
ისე უნდა გაქანდე
შეგაჩეროს ვერავინ...
სული ანდე სალოცავს,
სანამ ზეცა დიადობს,
თუ გინდა რომ ამოთქვა
ლექსი საგანთიალო...
რომ არა თქვან ზეცაში
მკრთალი ყვავილიაო,
ანათელე შენს გზაზე
შუქი საილიაო...
ისე რალა კაცი ხარ
მარტო ნატვრის ამარა,
მოძვის ცაში არწივმა
თუ არ აიკამარა...
თუ კი მართლა ქართველობ
ქართულ სიტყვის მშვენიებით,
დღესვე უნდა დათქერო
ველი ლურჯა ცხენებით...

ათინათი

მეგობარ პოეტს გულნაზ ხარაიშვილს

მღერის შენი ჟურნალი
უვსებ იათი კალთას,
ხარ სევდების მკურნალი
დარმაც იათინათა.
გულს ათბობ და სულს ათბობ,
სხვა რა უნდა ინატრო,
სულმნათობ და გულმნათობ
ჩვენც რომ ვიათინათოდ.
შენ ხარ სითბო უსაზღვევრო
გულში შუქად ანთხარ,
გულნაზო და სულნაზო
ჩვენი ათინათი ხარ.
შენს გზას ჰქვია სინათლე
რადგან მზესთან ბინადრობ,
ასე იათინათე
ასე გეათინათოს...

ფერადი ლანდი

მე დავდიოდი მღელვარე სახით
როდესაც ბავშვი ვიყავი, მაშინ,
თქვენ მოგაბარეთ გრძნობების ქალი
რომ დაგენახეთ გონების თვალში...
მიყვარდა თეთრზე შავტუხა ფიქრი.
ერთ ცხრათვალა მზეს ვხედავდი მშვიდად,
მე მაფრთხილდებდა თვალების ფიფქი
რომ სიკვდილს უდრის სიცოცხლე მშვიდად.
მე თავში მქონდა ბუნაგი დათვის
ჩემი ნერვები გემოზე ბელეს,
ცისფერი კალმის ცისფერი თათით
გზას ვულოცავდი ყოველდღე ბელეს.
მე ცოცხალ ხეში ვხედავდი ნახშირს
(პატიებას ვთხოვ ყველა ხის კვირტებს)
ვით სინამდვილეს სამოთხის ბაღში
ისე ვუმზერდი ზღაპრებს და მითებს.
მე შემეგრძვნია შერხევა ფარდის
იმ ფარდის იქით დანახულს ვენდე,
განათდა ჩემში ფერადი ლანდი
და სულის სარკეს მოჰყვება დღემდე.

თეთრად...

პირველი თოვლით დღე იმოსება...
ძირს არშიები იქარგებიან...
კუნძთან მთრთოლვარე ხმელი ფოთლები
ჰკოცნიან ფიფქებს ცის თვალებიანს...
ამშვიდებს ცხრა-მთა გადმოვლილ ზამთარს
დილა თოვლისგან დარდ-განდევნილი...
გზაზე უქუდოდ დგას თოვლის პაპა
თუ კოპიტია გადაბელილი?
ასეთი თოვლი ჩემს ქვეყანაში
რომ არ მოსულა კაი ხანია,
ვერ სძლება ფიფქი მხრებზე თამაშით...
- მივდივარ თეთრად და მიხარია...



მედია მჭედლიშვილი

აბოპოქრებული ხოვრების ზღვა

ცხოვრების ზღვაში ნავით ვცურავდი,
 ნიჩბებს ვუსვამდი მშვიდად და წყნარად,
 თვით ზღვის ტალღებიც ვერას მაკლდებდნენ,
 ნავს ვეყრდნობდოდი ყოველთვის მყარად.
 როს გადავცურე დიდი მანძილი,
 ჩამომიცივივდა ნიჩბები წყალში,
 და დავრჩი ასე, უნიჩბო ნავით,
 აბოპოქრებულ ცხოვრების ზღვაში.
 გაოგნებული იმედს არ ვკარგავ,
 ყოფნა-არყოფნა კი წყდება წამში.
 ზეცას შეეყურებ და უფლის მჯერა –
 მე ის მაშველ ჯგუფს მომანვდის ზღვაში.

სულ ცოტაც და...

სულ ცოტაც და კაბადონზე ნათელი გაბრწყინდება
 სულ ცოტაც და სალოცავში სანთლებიც აინთება
 სულ ცოტაც და ეს ცრემლები სიხარულად იქცევა
 იმართება საქართველო, არასდროს ნაიქცევა.
 სულ ცოტაც და – ო. ო ეს ცოტა
 რა დიდი დრო ყოფილა
 ჩვენ განგებამ გლოვა, ცრემლი არა, არ გვამყოფინა
 სულ ცოტაც და კარზე გვადგა,
 გამრჯვების წელია,
 დაიქუხოს სიმღერებმა,
 აგვეხადოს ჭერია.

ცხოვრების სცენა

მოულოდნელად შეიცვალა ქვეყნად ყოველი
 გული გაგვიტყდა, იმედს ვკარგავთ, ასე რომ გვწამდა.
 ვგრძნობთ რომ თამაშის ყველა როლი სრულდება
 თითქოს,
 და საქართველოს დიდ სცენაზე ეშვება ფარდა.
 ბედის ტრიალმა გამოცდები მოგვინყო ბევრჯერ.
 მანვე წაგვართვა, რაც გვარგუნა, ასე რომ გვწამდა.
 ფეხი დაგვიცდა ერთი როლის შესრულებისას
 და ნათლად ვხედავთ – ჩვენ სცენაზე ეშვება ფარდა
 ცხოვრების სცენა უამრავი როლებით სავსე,
 ზოგის თამაში გვაცოცხლებდა, ზოგის კი გვკლავდა,
 ახლა კი გვმართებს ურთულესი როლის თამაში,
 გავერთიანდეთ! ერთი ძალით ავნიოთ ფარდა.

გამოვხიზლდები და გავფრინდები

არაფერი მე ამ ქვეყნად არ გამაჩნია,
 სულ არაფერი, ვფცავ საფიცარს,
 მაგრამ თავს მაინც უმდიდრესად ვგრძნობ
 და ამ სიმდიდრეს სათუთად ვფიცავ.
 ჩემი სიმდიდრე ჩემი ხალხია,
 ჩემი ქვეყანა, სამშობლო ჩემი,
 ჩემი სიმდიდრე მეგობრებია,
 ხშირად ერთად ვართ, მე მათთან ვრჩები.
 უცნობ-ნაცნობი ხოტბას მასხამენ,
 ვშიშობ, რომ თავში არ ამივარდეს,
 მეფერებიან, თანაც მლოცავენ
 და ფიანდაზად მიფენენ ვარდებს,
 შეიძლება ამის შემდეგ,
 მე სიცოცხლე არ მიყარდეს?
 რა ვქნა თუ მართლაც მიყვარს სიცოცხლე
 რა ვქნა თუ კვლავ მწვავს მე სიყვარული,
 რა ვქნა თუ ლალატს მე არ ვპატიობ
 და გულში მრჩება სევდა ფარული
 რა ვქნა თუ დილით მზის ამოსვლას,
 კვლავ სიხარულით, ღიმილით ვხვდები
 თუ მაინცდება ყველა დარდები,
 მოულოდნელად მესხმება ფრთები,...
 ეხ! სიხმარია ვიცი ყოველი,
 გამოვფხიზლდები და... გავფრინდები.

ოღონდ მადროვე!

ცოტაც მადროვე, ღმერთ ჩემო, ცოტაც მადროვე,
 ვხედავ, რომ წლები უღიმღამოდ უკვე გავიდა;
 ვცდილობ, რომ გავყვე ამ ცხოვრების დინებას ისევე,
 ოღონდ მადროვე, მე ცხოვრებას ვინყებ თავიდან.
 ცოტაც მადროვე, რომ კვლავ დავტკეპე ბუნების
 ხილვით.
 თუ გამოვედი – ახლა შევალ სულ სხვა კარიდან.
 არ გამიქარწყლო მეოცნებებს ეს იმედები,
 ცოტაც მადროვე, მე ცხოვრებას ვინყებ თავიდან.
 აღარ ვპატიობ ორგულობას და მზაკვრულობას,
 დე! მარტო დავრჩე, მათთან ყოფნა, რა ვქნა, არ
 მინდა, –
 მე ჩემებურად კვლავ გავიღებ სიკეთეს უხვად, –
 ოღონდ მადროვე, მე ცხოვრებას ვინყებ თავიდან.

მადლობა გამჩენს

როგორ გამცვეთია სიცოცხლის საბურავი,
 ველარ ვიმორჩილებ ცხოვრების საჭეს,
 ფეხზე რომ ვდგევარ, თქვენ რომ შეგხარით –
 მადლობა გამჩენს.
 სიცოცხლის საბურავს მე ვერვინ შემიცვლის,
 ვერც ვერვინ შემიკეთებს საჭეს.
 ჩემს ირგვლივ მეგობრებს იმედად რომ ვყავარ,
 მადლობა გამჩენს.
 მსურს ისე დავტოვო ეს ნუთისოფელი,
 სიმდიდრედ, მხოლოდ სიყვარული ამოყვება
 მადლობა გამჩენს.

ვინც უანგაროდ სიკეთეს თესავს

ჩემს ყველა მეზობელს,
ჩემს ყველა მეგობარს,
ჩემს ყველა ნაცნობს და
ჩემს ყველა ნათესავს,
ვინც ამ ქვეყნად უანგაროდ,
მხოლოდ სიბოროს და
სიკეთეს თესავს,
ვინც გაჭირვებულს გვერდს არ აულის
და დახმარების ხელს უწვდის გულით,
ყველას უფალის ლოცვა ფარავდეს,
მშვიდი სიცოცხლით და სიყვარულით.

მგონი ვინ ვარ დამავინწყდეს

უფალი სულ მაიმედებს,
მის წყალობით კი მლოცავენ
ასე წყნარად, ლოცვა-ლოცვით
უამრავი წლები განვლე.
ახლა კიდევ გაკვირვებით,
ლამის გულის კი „გამისკდეს“.
მსახიობებს მამსგავსებენ,
მგონი ვინ ვარ დამავინწყდეს.
ხან ლიანად მღებულობენ,
ხან მეგი ვარ, ხან კი დოდო,
ხან მოცეკვავეთაც მთვლიან

დათო, ავთო, კოტე, ბონდო.
ხან მარიკას მეძახიან,
ხან თამარის, ახლა მამოს,
ეს! მომეცით ჩემი როლი,
რომ მედეა ვითამაშო.

ღვთისმშობელი პირადად ვნახე

ალბა არასდროს დამავინწყდება
სინამდვილეში რაც მოხდა მართლა:
გამოვიღვიძე და დავინახე
ნინ ღვთისმშობელი რომ აღიმართა.
ნათლად ვხედავდი მთელ მის არსებას,
კალთის ნანილიც გადმომაფარა,
ეს ყველაფერი სულ წამში მოხდა
მერე კი მშვიდად თვალს მიეფარა
თვითონ კი დავერჩი აღტაცებული
უფლის ლოცვით და რწმენის ამარა.
და იცით ჩემში ცვლილება მოხდა
არაფერს ვჩივი, არც არას ვდარობ,
რადგან ჩემ ყოფას და არსებობას
მხოლოდ ღვთისმშობლის კალთას მივანდობ.
და იმ დღიდან ვგრძნობ, რომ იმედად,
ყველგან დამყვება მე მისი სახე,
და მსურს ქვეყანას ხმამაღლა ვამცნო,
რომ ღვთისმშობელი პირადად ვნახე.

კობა შენგელია


ჩავი გული შველას ითხოვს

გული ჩემი შველას ითხოვს,
და ოცნებებს, მტერი მძარცავს,
ჩემს დაკარგულ მამულს, ვსტირი,
გონება კი კარგავს ძალას.
ჩემი შფოთვით სავსე გული,
აღელვებულ ზღვას ედრება,
ღმერთი აღარ მიმატოვებს,
შეინყალებს ჩემს ვედრებას.
მოძალადეს ძალა ლუპავს,
ენა მწარეს, ენა თვისი,
შურიანს კი შური ღრღნის და
დააბრმავებს განძი სხვისი.
ზღვაში რაც კი ჩაძირულა,
მაინც ამოაგდებს ტალღა,
ცუდი გულის მეპატრონე,
შვებას ჰპოვებს სადმე განა?

მე მხოლოდ კალმით ვიტყვი ჩემს საქთქმელს,
გულში მუდამ მყავს იმედად, კაცი დიდი თუ პატარა
მე ჩემს მამულს მარად ვეტრფი,
მის სიძველეს და ჭაღარას.
ვაგლახით და გვემით, ტანჯვით,
დედის კვნესით, და წამებით
ჩვენს მამულებს აღარ ვთმობდით,
დღეს კი ურცხვად ვინაზებით.
მე მხოლოდ კალმით ვიტყვი ჩემს საქთქმელს,
ვის რაღა ვუთხრა ან სად ვიჩივლო?
ასე მგონია ღმერთის ნებაა
ხალხის იმედად ივანიშვილი.

25 აგვისტო, 2012წ.

კახა ბაციკაძე - პოეტი, შემოქმედებით ჯგუფ "ზღვარის" წევრი (ამ ჯგუფის წევრები არიან, ასევე, სერგი ლომაძე, ვასო ლომაძე, გიორგი ზუხბაია). კახა დაიბადა 1977 წლის 12 ოქტომბერს ქალაქ თბილისში. სწავლობდა, ჯერ, - თბილისის 30-ე საშუალო სკოლაში, შემდეგ, - ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ჯგუფ "ზღვართან" ერთად შექმნა მრავალი პოეტური ნიგნი და მუსიკალური ალბომი. 2012 წელს კახა ბაციკაძეს მიენიჭა პოეტი-აკადემიკოსის ნოდება (ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის ვერსიით).



ცვლილება

(დარჩა მხოლოდ ლეგენდა...)

...თავის თავს ხატვის გენიად მიიჩნევდა.
 თვლიდა რომ ნამდვილი სიცოცხლე
 ჩარჩოებს იქით შეიძლება არსებობდეს მხოლოდ,
 ხოლო იმას, რასაც ჩვეულებრივი ადამიანები
 ცხოვრებას ეძახიან, სახელს ვერ არქმევდა,
 და არც ცდილობდა, დიდად, ამის გაკეთებას...
 ერთი ძალიან უცნაური თვისება სჭირდა,
 ალბათ ამას ავადმყოფობა უნდა დავარქვათ:
 ხატვის დაწყებისთანავე აბსოლუტურად ითიშებოდა
 არა მარტო ცხოვრებიდან, არამედ
 საკუთარი თავისაგანაც.
 აღარ ახსოვდა, თუ ვინ იყო...
 არც სახელი,
 არც წლოვანება...
 აღარ ახსოვდა არაფერი.
 ვერცერთ კითხვაზე ვერ გაცემდათ პასუხს.
 იმყოფებოდა სიზმრის სიზმრებში,
 სადაც ჰყავდა კოსმიური ჩიტები
 რომლებსაც, სპეციალურად მისთვის,
 კოსმოსის სხვადასხვა ადგილებიდან
 მოჰქონდათ
 ადამიანებისათვის ჯერაც უცნობი ფერები,
 და იგი ხატავდა აბსოლუტური შთაგონებით...
 მეორე უცნაურობა ის ჰქონდა,
 რომ ხატავდა მხოლოდ ერთ ქალს
 და არასოდეს დაუხატავს სხვა ვინმე!
 ხატავდა მას, ერთადერთს,
 სხვადასხვანაირად, -
 მისი ნახატის გმირი
 ხან წვიმაში სეირნობდა,

ხან ზღვასთან საუბრობდა,
 ხან როიალთან იჯდა
 და უკრავდა,
 ხან გარდაცვლილს ხატავდა,
 ხანაც ხატავდა ისეთს,
 როგორიც იქნებოდა ბავშვობისას...
 როცა ხელოვანი ხატვას ასრულებდა
 და ცნობიერება უბრუნდებოდა,
 ბედნიერი იყო იმით, რომ
 ყოველთვის
 ის ერთადერთი ადამიანი, -
 მისი მუზა,
 იყო ტილოზე გამოსახული...
 ასე გრძელდებოდა დიდხანს...
 თუმცა ერთხელაც მოხდა ცვლილება:
 მორიგი ნახატის შემდეგ,
 როცა ხელოვანს
 დაუბრუნდა რეალობის შეგრძნება,
 აღმოაჩინა, რომ
 დაუხატავს სხვა ვინმე, -
 სურათზე იყო უცხო სახე,
 მას სულ სხვა თვალები უმზერდნენ
 ნახატიდან...
 მხატვარს ბევრი არ უფიქრია:
 ის სახელოსნო, სადაც მუშაობდა,
 მაშინვე ცეცხლს მისცა.
 ვერ გადარჩა მისი ვერცერთი ნახატი.
 დარჩა მხოლოდ ლეგენდა,
 და ცვლილება...

გრანელი - ღმერთი

“არაფერია ისე მართალი,
როგორც გრანელის ლექსი”...
(სერგის ფრაზა).

გზა, ცხოვრების, ნეტავ საით მიდის?..
ჩამოეშვა წვიმისფერი ფარდა.
“ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.”
რა დარჩება - პოეზიის გარდა!
სანთლის სულში ჩამახედა ნეტავ,
იგი როგორ ნელა-ნელა ქრება;
ასე ვიცი: პოეზიის გარდა
ცხოვრებაში ყველაფერი კვდება.
ერთი, მხოლოდ ერთადერთი რაღაც, -
პეპლის ფრთაზე დაწერილი ლექსი...
გული უცემს ქუჩის თავში ჭადავს,
და შენ ეს ხმა პოეზიით გესმის.
მე მართო ვარ, და ვერ ვტოვებ საყდარს;
(საკუთარ თავს ასე ძლიერ ნუ სჯი);
მაგრამ რა ვქნა, თუ თვალებში ჩადგა
პოეზია, ცაზე უფრო ლურჯი...
გზა, ცხოვრების, ნეტავ საით მიდის?..
და ეს ლექსიც გრანელის დარდს ჰგავდა.
“ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი”...
რა დარჩება - პოეზიის გარდა!

პოეტური გრანოზა

ხვალ, როცა დილა გათენდება, - მზე რომ ამოვა,
მთელი სამყარო დაინახავს და წაიკითხავს
მზის ტანზე ღამით დაწერილ ლექსს,
ჩემს ლექსს, სევდიანს.
მერე, როდესაც ცა მოიქუფრება, -
გამოჩნდება ამაყი ღრუბელი,
მთელი სამყარო დაინახავს და წაიკითხავს
ღრუბლის ტანზე დაწერილ
ჩემს ლექსს, სევდიანს.
მერე კი მოვა ლექსების წვიმა, -
უკვე ლექსები წამოვა წვიმად,
ფერად წვიმად, მთელს სამყაროში,
და მაშინ, ადამიანებს,
საგნებს... ყველაფერს დაასველებს
ჩემი პოეზიის საბრალო სევდა...



სერგი ლომაძე – პოეტი, შემოქმედებით ჯგუფ “ზღვარის” წევრი. დაიბადა 1976 წლის 2 დეკემბერს ქალაქ ოზურგეთში. სწავლობდა ქალაქ თბილისში, ჯერ, - 141-ე საშუალო სკოლაში, შემდეგ, - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ჯგუფ “ზღვართან” ერთად შექმნა მრავალი პოეტური ნიგნი და მუსიკალური ალბომი. სერგის ეკუთვნის აგრეთვე პირველი ნიგნი ქართული როკ-მუსიკის ისტორიის შესახებ (თუმცა ახლა ამ ნაშრომს ძალზედ კრიტიკულად აფასებს თვითონ ავტორი, განსხვავებით მისივე სხვა ნიგნთაგან, რომელთაც აკუთვნებს მაღალ შეფასებას). 2012 წელს სერგი ლომაძეს მიენიჭა პოეტი-აკადემიკოსის წოდება (ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის ვერსიით).



უკვდავება

(ექღვება ყველაზე პოეტურ ქალს)

შენ არ მოკვდები,
 რადგან, შენ ხარ ისე ლამაზი,
 რომ დაიღუპო,
 სილამაზე დაიღუპება.
 არ დაბერდები, -
 სიყვარული არა ბერდება,
 არც კვდება,
 ბოლოს იფანტება ცაში
 ღრუბლებად.
 შენ არ მოკვდები, -
 შენ მზის სხივი
 კვლავ დაგაბრუნებს.
 მე შეგეხები ოცნებებით,
 სიზმრის თითებით.
 დრო მოვა, როცა
 სიყვარულის ღმერთად გაკურთხებ,
 და თმებს შეგიშვებ
 ნისლისფერი მარგალიტები.
 შენ რომ არ იყო,
 ეს არაფრით არ შეიძლება!..
 უღრმეს თვალებში
 საუკუნე წამად გაიარს...
 მთელი ცხოვრება
 იყო მხოლოდ
 შენზე ფიქრები,
 ყველაზე მეტი, ამ ფიქრთაგან,
 ბოლო წამია...
 შენ არ მოკვდები!..

ხომ ზოგი სიცოცხლე ტყვიათ წყებაშია...
 და მე მიხარია, რომ დამივინწყებენ.
 გავქრები, როგორაც ვარსკვლავნი ქრებიან,
 მერე ლეგენდები შენს გულზე დანერვენ,
 რომ უღიადენი არ იკარგებიან,
 რადგან უსიტყვოდ სტოვებენ ნაწერებს.
 ამ სიტყვებს მიღმა თუ ვერ ხედავ სხვა სიტყვებს,
 ვით უთქმელ თაჯ-მაჰალს ან მთვარის სონატას,
 მაშინ, შეიძლება, ეს ხალხი გაგიგებს,
 მაგრამ ის სამყარო შენ აღარ მოგმართავს,
 სადაც ზღვის ტალღები ევერესტს ასკდება,
 სადაც სიყვარული ღმერთობად ფასდება!..
 მე კი სხვა რა გითხრა... მე ვუმზერ იმ ველებს,
 სად სეტყვამ წაშალა ტალღები ყანათა;
 მე ვუმზერ მონასტრებს, რომელთაც აბერებს
 ის, რომ ადამის ძეს სიბნელე წარმართავს.
 მე ვუმზერ დაცემას საკუთარ ბედისაც,
 (ზეცის ფერფლს შეერთვის გემები ღრუბელთა),
 მაგრამ ვგრძნობ, - მეფე ვარ, და რადგან მეღირსა
 ეს გრძნობა, ამიტომ ბედს შებმას ვუბედავ!
 არა ღირს განსჯანი მოგება-წაგების...
 გზა - ჩემი ჯვარია, ცამ ასე ინება...
 ემაგ შენს მზერიდან ტაძართა თაღები
 თუკი ინებებენ ცრემლების დინებას,
 მაშინ არ ვინანებ, მაგრამ... ზღაპარია...
 ყოველ შემთხვევაში, - ცდი ჩემს დავინწყებას...
 თუმცა პოეზიას მაინც აბარია
 მთვარისფრად ეღვარე სულის გასივრცება.
 იქ, ზეცის გუმბათში, განცდა მზისებრია,
 და ანგელოზები გასწევენ ამქრობას...
 გული ჯვარცმულია, სული ბისეია...
 მე მაინც შევძელი მანძილთა გაქრობა!..

უმანძილობა

*“ასე სწამდა ბისეის”- იაპონელი მწერლის - რიუნოსკეს შედე-
 ვრი მოთხრობაა. ნაწილობრივ სწორედ ამ პატარა მოთხრო-
 ბამ შთამაგონა ეს ლექსი.*

...მანძილი, რომელიც შენამდე ვერც აღწევს,
 მაინც ხომ დაიტევს უდაბნოს (და ფიფქებს)...
 მერე ჩემს ცხოვრებას ვილაცა გადაწერს...
 მთავარი სხვა არის, - გული არ ჩამიქრეს!
 მე ახლაც ჩამესმის, კოსმოსის ხმაურში
 როგორ იღუპება მძივები ვარსკვლავთა,
 ვიცი, - გადავეშვი დიდ აურზაურში,
 საუკუნენი კი არქივებს ჩაბარდა...
 ალბათ დამივინწყებ. მე დამივინწყებენ.
 ჩემი უკვდავება დავინწყებაშია.

უსასრულობა

ფიქრობ, ყოველი უკვე რომ გაქვს გადანყვეტილი;
 ბედი ერთია, ცხოვრება - სხვა, სიკვდილიც არის;
 როცა მთავრდება პოეზია, დასვი წერტილი,
 დასურე შენი ცხოვრების კარი.
 უსასრულობა არის გრძნობა ძალიან დიდი,
 იგი მოიცავს სიცოცხლეებს, ფერად სიკვდილებს...
 შენ შენს ცხოვრებას, ღრუბლის კიბით,
 თეთრ მთებზე თვლიდი...
 მადლობა ყველას, ვინაც შენთვის ჩუმად იტირებს.
 თუმცა ცრემლები უკუუვადოთ, ფიქრი სჯობია,
 სჯობდა სიმღერა, გულის გულში გადანყვეტილი...
 ცხოვრება, არაპოეტური, ეს - ჭაობია...
 როცა მთავრდება პოეზია, დასვი წერტილი.



ლამზირა შეყილაძე

უკვდავება და მარადისობა

მამაო ღმერთო! ერთობ დიადო,
რა საოცარი შექმენ სამყარო.
ისე წარმტაცი და მიმზიდველი,
მუდამ თვალებით მინდა ვატარო...
მატკობს, მახარებს ფერთა ციალი,
გულში მადნება ვითარც მალამო.
ეს სილამაზე და სიყვარული.
მტრის თვალებისგან უნდა დავმალო.
ზე-ღვთაებრივი ხიბლი დამნათის,
ოქროს სხივებად ჩამონთებული...
სული ზეციურ სიღრმეს შეჰხარის,
დიადი ღმერთით მირონცხებული.
მამაო ღმერთო! ყოვლის შემქმნელო,
შენშია ჩვენი სულის მზისობა.
ცისა და მიწის ახლო კავშირი,
უკვდავება და მარადისობა...
7/X 2012 წ.

მე ახლა ვდგევარ გზის გასაყართან

შემხვდი მეგონა ცას მივწვდებოდი,
შემომამსხვრიე მწველი თვალები.
ვფიქრობდი შენში ვიმზიანებდი,
ჩამეფრქვეოდა გულში ლალები...
იყო – ლოდინი, ფიქრი, ოცნება,
დაუთმენელი ჟინი, წადილი,
სიმხურვალე და გულის ცახცახი,
დადლილ ვნებაში გადაღწილი.
ნახვედი... რარიგ მწვავდა სიშორე,
დამრჩა დარდებით სავსე გალია
და უშენობით ჩემმა ოცნებამ,
ნელ-ნელა, თრთოლვით სული დალია...
მე ახლა ვდგევარ გზის გასაყართან,
ბავშვივით წრფელი, თმებით ჭალარა.
ჩემს წინ ვერხვები დგანან მდუმარედ
და მთუთქას ფიქრი, მწველი თაკარა...
გაოცებული ეჭვის თვალებით
მიმზერს პირღია მოუსავლეთი...
შორიდანა მწვავს შენი აჩრდილი
და ვთბები შენი სიმხურვალეთი.
17/XI 2012წ.

ნუ გვაშინებს ცეცხლის წვიმა

ჩვენ არ ვიცით, როდის მოვა
და არც მოსვლის სრული არსი...
რაც საყარო შევიგრძენი,
შევიმეცნე უფლის ფასი...
ჩვენ სიკეთე ვაკეთოთ და
მადლით მოვრთოთ ცის აღმართი...
საქართველოს გულს აბრწყინებს,
უფლის მზე და მისი კვართი.
ნუ გვაშინებს ცეცხლის წვიმა,
ზღვის სიდიდე, სიგრძე განი,
ახლოსაა ნოე უკვე
და მზად ააქვს კიდობანი.
2011 წ.

სამშობლოს გული აღორძინდება

ეჭვით შეჰყურებს წარსული ანმეოს,
ცრუთა სასწორზე თვლემს მომავალი...
სევდის და დარდის ვარამი გვათოვს,
დავიარებით სიყალბით მთვრალი.
ყოველი დილის რიჟ-რაჟი გვაკრთობს,
გვასევდიანებს შური და მტრობა...
ცრუ კანონების ტალღები გვახრჩობს,
მეფობს მუხთალი უსამართლობა.
დღე ითენთება ვაი-ვიშობით
და ითელება ხალხის უფლება...
თავს ინონებენ ბაქი-ბუქებით,
ძალადობაა მათთვის ღირსება...
გაქრა მზისობა, ღიმილი ვარდთა,
უიმედობა დასჩემდა თვალებს.
სიცოცხლის წყარო მწუხრისგან დარჩა.
გული ნელ-ნელა იღრმავებს ბზარებს...
ლოცვით შევყურებთ ყოვლის შემოქმედს,
ციდან წყალობას თმენით მოველით...
გამონათებს ღვთაებრივ ნათელს.
წყალობისა და სითბოს მთოველი...
მნამს, რომ იმედი ეწვევა მთა-ველს,
სამშობლოს გული აღორძინდება.
მოვა მესია უფლით რჩეული
და საქართველო გამობრწყინდება...
27/VII 2012 წ.

ცხოვრება ბრძოლის ველია

ცხოვრების ორომტრიალში.
გამოჩნდა ნაიარები.
სიცოცხლე მე შენს ძებნაში,
სიკვდილში დავიარები.
ხშირად მათრთოლებს სიცივე,
მწვევა გულის ბზარები
მაბრუებს უსამართლობა,
მაფხიზლებს ტაძრის ზარები...
დამაბარბაცებს ცხოვრება,
ლამით მაგიჟებს სიზმრები...
სული სიცოცხლით დატკბება,
როდესაც გარდავიცვლები...
წუთისოფელი სიბრძნეა,
დრო უკვდავების ნაწილი.
ცხოვრება, ბრძოლის ველია,
ჩვენ კი მათ შორის მანძილი.
11/XI 2012 წ.

ბრძოლა შმაგი და უგონო

გაავებული ტალღები,
 ბრაზით ასკდება ნაპირებს.
 მზე... დანებებით დამცქერის,
 ზღვა ჩემს ჩაყლაპვას აპირებს.
 მას შემდეგ ვბრძოლობთ მე და ზღვა.
 ხშირად მერევა ტალღები...
 სადღაც სიღრმიდან მიყურებს,
 დაფეთებული თვალები...
 ჯერაც არ დასრულებულა,
 ბრძოლა შმაგი და უგონო...
 ხან მე ვერევი ზღვის ტალღებს,
 ხანაც ვაგდივარ უღონოდ.
 7/X 2012 წ.

ძნელია ღამის წყვილიაღში,
 გზის უსინათლოდ გაგნება
 და მასზე მეტად რთულია
 თავის უაზროდ წაგება...

გვიყვარს სამშობლოს მთა-ბარი

*ბატონ ჯემალ მელიქიძეს
 სამშობლოს ერის და ბერის მოხიყვარულეს, დიდ მოამაგეს*

რარიგ გიხდება გვირგვინი,
 კოლხური სულისკვეთების,
 თამაძობა და ღირსება,
 მჭერმეტყველ მართალ კაცობის...
 გიყვარს სამშობლოს მთა-ბარი,
 სიცოცხლის წყარო ანკარა
 მზით დანამული ვარდები,
 კავკასიონი ჭალარა...
 გესხიგოსნება წარსული,
 სულს გიმზიანებს ტაძრები.
 წმინდა ილიას სიბრძნე და
 თამარის ნატერფალები...
 ღმერთმა დაგლოცოს ჯემალი,
 წლები გიმრავლოს მზიანი...
 დიდხანს გვესმოდეს მამულში,
 შენი ხმა ომახიანი...
 16/XII 2012წ.





თინათინ ხაბურზანია

ჩემო საქართველოვ

ლექსად ამოთქმულს, სისხლით დაწერილს,
ოფლით მოწეული ღვინით დაფერილს.
ნისლმოყრილს მთებო, ქედებდაგრეხილს,
კლდენო სიდიადით ზეცად აწვდენილს.

ღვთიურ ტაძრების და ციხე გოდოლების,
ფრთებით, ქონგურებით ცაში გაფრენილს.
წმინდა კელაპტარო ლალი ოცნებების
და სამჭედლოვ გამირთა, ჩემო საქართველოვ!

მტრების ორლესული ხმლებით აჩეხილს,
შვილებ-მოკლულს და დედებ – ნამებულს.
ბევრჯერ სიმწრისგან წელ – გადაზნექილს,
მაგრამ არასოდეს წელში გატეხილს.

მუდამ ყმაწვილური სულით გაჟღენთილს,
კვლავაც საბრძოლველად ხმალამოღერილს.
ბევრჯერ ხორცითა და სულით დაცემულს,
მაგრამ ქრისტეს რწმენით მკვდრეთით აღდგენილს.

თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის,
დიდი დავითის და ცოტნეს გამომზრდელს.
გულზე განერია ყველა ეს სახელი,
ალარც წაიშლება იგი საქართველოვ!

ჭირისუფალი ხარ ლომგულ ვაჟკაცების,
კალთა დააფარეს მთებმა სანაქებოდ.
მინამ კი დაიტია ყველა სადარდელი,
ველარ დაიტია გულმა სანატრელო!

მაინც რა ჯიშის ხარ, რა მხნე, რა უტეხი,
გთხრიდნენ, გჭრიდნენ და ვერ წაგაქციესო.
წინაპართა ძვლების გადგას შენ უღელი,
სწორედ ამიტომაც ველარ დაგძლიესო.

დაე! ან და მარად ნულარ ატირდები,
ნულარ დაიღვრები ცრემლად საყვარელო!
მუდამ სიმართლეს და უფალს ადიდებდი,
მისთვის შეწირულს მსხვერპლად საქართველოვ!

ქართველს

მე გაპატიებ რომ არაერთხელ,
შენ ხმლით აჩეხე მღვდელი თევდორე.
ვინ იცის კიდევ მერამდენეჯერ,
ილიას შუბლში ტყვია ესროლე.

მე გაპატიებ სახლის კიბის ქვეშ,
როგორ კვდებოდა მარტო ნიკალა.
გააქილიკე, როგორც სიგიჟე,
გალაქტიონი თავს, რომ იკლავდა.

მე გაპატიებ, რომ ვერ იცანი,
ერთი პოეტი ბიჭი "გრანელი".
შიმშილისგანაც ვერ დაიცავი,
არც ინამე სევდა მისი არცერთი.

მე გაპატიებ, რომ შენგან იყო,
ის ხელნაკრავი, სხვისგან კი არა.
განგებ მიართვი შენ ლადოს თითქოს
მუხთალი სენით სავსე ფიალა.

მე გაპატიებ, რომ ვერ აპატიე,
ზურგში მახვილი ჩაჰკარ ზვიადის.
ღმერთის სახელით კერპი ადიდე
და გაათენე დღე სისხლიანი.

მე გაპატიებ, რომ შენი იყო,
ქაშვეთის მკერდზე დახლილი ტყვია
და სასაკლავოს მოჰგავდა იმ დროს,
ვერცხლზე გაცვლილი თბილისის მინა.

მე გაპატიებ ქართველო ამას,
ვით ცოდვილ მოკვდავთ წმინდა იესომ.
შეუხორცებელ ჭრილობად დამრჩა,
რაც საქართველოს ცრემლად მიეზღო.

ღათას

ნაბადივით მოგიხურავს ბნელი ღამე,
და ტყე გიკრავს გულში მარტოდ მიმავალს.
გზა ბილიკებს შენ გინათებს მუდამ მთვარე,
როგორც ღამის და სიჩუმის ბინადარს.

ისე გშვენის შავი ჩოხა, ყაბალახი,
ვაჟკაცობით არვინა გყავს სადარი.
გამჭრიახი, მართალი და ისე მარდი,
სუნთქვაც გესმის მინისა და ბალახის.

ხმალი ჯერ არ ჩაგიგია შენც ქარქაშში,
დღესაც კვესავს, როგორც ხმალი დავითის.
გზა სიმართლისმიმავალი ეკალ-ბარდში,
არის შენი დიდგორი და კრწანისი.

წმინდა გულით, სუფთა ხელით, სიამაყით,
აგირჩია მოკვდავთაგან უფალმა.
თუმცა მოგწვდა ბოროტების ნიავექარი
და ნაბილწა შენი რწმენა უხამსად.

ლეგენდა და ბევრიც სიტყვის საქებარი,
ითქმის შენი საქმეების კვალდაკვალ.
სიმართლეა დათა! შენი სატევარი,
დაატარებ ცხოვრებაში მხარდამხარ.

სიკეთის და ბოროტების გასაყარზე
ხარ კაცობა მოვარდნილი ნიაღვრად

და სიცოცხლეც კაცობას, რომ ანაცვალე,
ამიტომაც დაგვრჩიგულშიიარად.

ეს იარა დღემდე გვტკივა და გვანვალებს,
ჩვენ ქართველებს ნანამებთ და დარდიანთ,
ეს ტკივილი აწვალებდა ალბათ ასე,
ერთ დროს ლადოს და გმირ ცოტნე დადიანს.





გულნაზ ხარაიშვილი

მენატრები

მენატრები, საოცნებოვ მენატრები,
გზას მინათებ ღამეული მთვარის მსგავსად.
ჩემს ცხელ ცრემლებს მწვავე დარდად ემატები,
დაგეძებ და ვერ გპოულობ, არ ხარ არსად.
შენს ლოდინში დაღლილი და დაქანცული,
შენს ტკბილ ალერსს და ტკბილ სიტყვას ისევ ველი,
სიყვარული, როგორც ხმალი გაბასრული,
ჩამეც გულში და ნამალიც რას მიშველის.
კვნესის სული, მომხვევია ეჭვის მუმლი,
მონმე არის უბრად მდგარი ეს ჭადრები,
უშენობით ყველა დღეა ნამებული,
სიცოცხლე ხარ! ამიტომაც მენატრები.

ღმერთო იმედებს ხომ დამპირდება

მკერდს აგაფარებ მამულო შენდა,
უნდა ინამო ჩემი სიტყვები,
თუმც აფხაზეთში მზე დამიბნელდა,
გულო ტკივილით ნუ გამიტყდები.
სამაჩაბლო კი არ მავინყდება!
ღრმად დამრჩენია მე ეს ბზარები,
სამშობლოს გმირებს არ დავინყება,
უნდა დავრეკო ხსოვნის ზარები
მზე ოქროს სხივებს გამოიმეტებს,
და ჩემს მამულში დააფრქვევს იმედს.
სხვისი სიმდიდრე არ გამაკვირვებს,
მოვეფერები ჩემს ლამაზ ირემს,
მნამს გადადევნის ქარი შავ ღრუბლებს,
რომ მომანვდინოს უფალმა კალთა.
ალარ ვიხილავ ნაპრალს და ღრმულებს,
დავხვდები სტუმარს, სამშობლოს კართან...
ნუღარ კვნესიხარ წამწამთან ცრემლო,
სულო მოისხი მწვანე კვირტები.
ო, რა ტკბილია მშვიდობის გემო,
ღმერთო! ამ იმედს ხომ დამპირდება?

არას ვეტყვი

ჩამიჩუმობს იმედები კართან,
ენატრება ნიავს ლურჯი ზეცა,
მინდა მჩუქნო, გრძნობით სავსე კალთა,
ია – იად ანდა ვარდად გეცან.
სეტყვის მარცვლებს ავაცილებ სახეს,
ირმის კვალში ჩამდგარ წყალსაც შევსვამ,
ცივო ქარო, ნუ დამიგებ მახეს,
ონავრობით ნუ გაიტან შენსას.
ცეცხლი ბევრჯერ ამენთება გულში,
ხანძარი კი წყლითაც აღარ ჩაქრა.
ლომი ამდროს გაეხვევა ბუღში,
ებრძვის მტრულად გაანჩხლებულ ქართან.
შარიანი ქარიშხლის ჯიბრზე,
ეზოშიაც გავახარებ პალმას,
ნეტავი მე წლებმა რატომ მჯიჯგენეს,
ხარ – ირემი რად დაგვარგე ქალმა.
არას ვეტყვი, წინ დაჩოქილ გმირსაც,
რაში მინდა მისი თვალთა მზერა,
ვისაც ჩავთვლი ყურადღების ღირსად,
ასჯერ გულზე სახელს დავინერავ.
ჟამი გაქრა... ჩანჩქერები მღერის,
ალარ არის ნამიც მოწყენილი.
ერიდება ცის წვეთებსაც ღელის,
გადმოიფრქვა, ზეცით მოვლენილი.
რაკრაკებენ წყაროები მთებში,
იმედებით აუვსიათ უბე,
სისასტიკე თუ შევნიშნე მტერში,
ეკლებს იმ წამს მოვაცილებ უცებ.
ლოყებს როცა მივაფიცებ მზეზე,
ოფლსაც მაშინ შევიმშრალებ შუბლზე.

ო, შენ ნატვრა ხარ

ჩემი ნატვრა ხარ! სიცოცხლე და ღამის სიზმარი,
მითხარ სადა ხარ, ხმა გამეცი, რად ვერ გპოულობ,
ისევ შენა ხარ ჩემი ფიქრი, ნახვის მიზანი,
ეგებ მოხვიდე, გამახარო, გულის რჩეულო.
მე შენს გარეშე გამიჩნდება დიდი იარა,
მკერდის არეში ჩაიბუდებს მწარე ტკივილი,
მე მწუხარებამ თავზე ბევრჯერ გადამიარა,
ვარდის ეკალმაც მანვნევირა სულის ტირილი.
არაფერს მოგთხოვ: ეგ ბუბუნა ხმა გამაგონე,
რომ შენ სიტყვებთან ვისაუბრო, დარდებს
განვუდგე,
ხშირად დარეკე სიხარულო, ნუ დამაღონე,
არ შეგანუხებ, მხოლოდ მარტო ამ გულს გაუგე.

* * *

ო, სიყვარულო... როგორ მჭირდება,
მარტო შენ გელი ისევ მზიანად.
კარს შრიალებენ ალვის ხეები,
და მიტომ მოსვლა დაგაგვიანდა.
არ მილალატო, წელთა დინება,
არ მილალატო, ბედო ტიალო;
მე შენთან მინდა სულის დიდება,
რადგან დარდები ჩემთან ტრიალობს.
ალვის ხეებო, დრო სულ არ იცით,
გინდათ მაცდურათ სულ იშრიალოთ,
უნდა იცოდეთ, მე ვარ დიაცი,
და ღამე გვიან არ იხმინათ.

მხსნელად დაგიგულე

მხსნელად დაგიგულე... აღარ ავტირდები,
დათბა... ენძელები ამოსულა,
ფრთები თუ ვიშოვე, შენთან მოვფრინდები,
ჩემთვის მზის სხივივით ჩამოსულხარ.
სულზე უტკბესო, მინდა მოგეფერო,
ვარდის ფურცლებივით გული გაგიშალე,
ქარი არ დაგინდობს, აღარ გადიმტერო,
კრძალვით გაგაფრთხილე... გახსოვს?.. დაგიშალე.
აბა დამაკვირდი, გრძნობით შემომხედე.
ჩემი წამწამების ჩრდილში დაგასვენებ,
ნიავეს გამოყევი, ნაზად შემეგებე,
კოცნას სიყვარულით გაგახსენებ...

მაინც დაგლოცავ

სულ გაიჟღინთა სტრიქონები, ნამით და ცრემლით,
გზადაგზა ფიქრებს ვაგროვებდი, რადგან მეღირსა.
მიყვები ქუჩებს, ჩემს ნატერფალს ჭირხლივით
ვტკეპნი,
მაინც დაგლოცავ დაიჯერე, ზიარებისას.
ავანთებ სანთელს და მე შენს თავს, ვავედრებ
უფალს,
სულ უკვდავება გქონებოდეს სიცოცხლევ ჩემო,
მიმტევებლობა ეს შენც იცი, ღმერთსაც რომ
უყვარს,
ამ გულს რა ვუთხრა, მოლაღატეს როგორღა
გჩემობს.

რატომ შეხვდი

ღირსად არ გთვლიდი, მეხილე კიდევ
და აღარც მსურდა შეხვედრა შენთან.
გამომაცალე სიცოცხლის კიბე
და იმედებიც გადამიშენდა.
როცა საუფლოს ნებით შემომხვდი,
გამოგინოდე მე კრძალვით ხელი,
გრძნობამ იფეთქა, თვალში შემომრჩი,
ღიმილი გქონდა ისევე მწველი,
მერე ნახვედი, დაგკარგე უცებ,
ეულში შემომრჩა გრძნობის მათარა.
გაზაფხულებას კვლავ დარდით ვუცქერ,
შემომრევია თმაშიც ჭალარა.
ფიქრის ტყვე გავხდი და თვით უფალმა,
შენთან შეხვედრის ნუთიც მაკმარა.

მე ვერ გაჩუქებ

მე ვერ გაჩუქებ ყველა ოცნებას,
გული კი, იცი, – ისევე შენია,
როცა ვიჯავრებ, ვდგავარ ლოცვებად,
მე ამის მეტი რა დამრჩენია.
შენი თვალების ელვა მახსენებს...
გულს ატირებულს, ნალველს მთლიანად.
მე შენზე ღამე ხშირად მაბოდებს,
რადგან შეხვედრამ დაიგვიანა.
ვაი, თუ მოხდეს, სულ დამეკარგო,
ღამე მექნება შენზე ხილვები,
ამ დროს სჯობია, გულს დაეკარგო,
მთელი სიცოცხლე შენი ვიქნები.

მე დავიტოვებ ჩემთანვე ტკივილს,
მე დავიტოვებ ისევე წყენას,
როცა ვიჯავრებ... დავინყებ ტირილს...
მაინც მოგელი, – კვლავ შენი მჯერა.

დადგება საშველი

ჩამომჩურჩულა ნამგალა მთვარემ,
„დაბადებულხარ ლექსის სათქმელად“
ცამ მომაფრქვია ფიქრები მწარე,
ოჰ, ნეტავ არ გავხდე მტრისგან სათელად.
სულში ჩარჩენია დარდის ნაფლეთები,
ზოგჯერ ყორანივით მწარედ რად მკორტნიან,
მსურს დარდი ჩავკლა, გამოვისხა ფრთები,
მამულის გულისათვის მიწაც მიპოტნია...
სიონის მახლობლად ხეთა სიმწვანეში,
დგას ქართველის დედა ერისკენ მზირალი,
ჩაფლულა აკლდამა ზღაპრულ სავანეში,
გვეძახის: „გვჭირდება გმირი ამირანი!“
რა მწრედ მადარდებს ქართული მიწები,
და ძეგლთა ფრონტონებს ცრემლი ეღინება...
დავდივარ ბაღნარში, მკოცნიან ტიტები,
და მაინც ნალველით ვფიქრობ და მეტირება,
უნდა დავანთო იმედის სანთელი,
უშიშრად უნდა ვთქვა, რაც არის სათქმელი!
მტერია სამხელი და ფეხით სათელი!
მთვარემ მიჩურჩულა-დადგება საშველი.

ილოცეთ ყველამ

მეფეთა მეფე ეკლესიამ შერაცხა წმინდად,
დიდი დავითი საქართველოს ღვთით მოეველინა.
დღესაც დამდგარა იბერიის ურყეველ ხიდად,
ნავსაყუდელად გელათს დაუდევს ბრძენს მყუდრო ბინა.
იმ წალკოტიდან დაგვბუზუნებს: „კვლავაც
გამრავლდით“
მამულიშვილნო, საქმით იმკეთ არდავინყება,
უცხოს ნუ ელტვით, იამაყეთ ძველი ადათით,
ილოცეთ ყველამ... საუკუნე ახლა იწყება!

მუზა

ჩემს სულში სუფთა თუ რამ მებადა,
ყველაფერს მიჯობს რითმი და მუზა.
თმები თოვლივით გადამებარდნა,
ლექსი ფიქრებთან ნამს ამეტუზა.
ამაზე კარგი მე რა მენატრა,
ჩემთან არს მძიმე, მარავალწერტილი,
ცრემლი და დარდი რატომ მენახა,
ან რატომ მეველო გულდანყვეტილი.
ქალაღდი გახდა მესაიდუმლე,
გულში დღეები ამიყვავილდნენ.
მასში გავცვალე, ნუ დამენდურე,
ლექსზე ძალიან როგორ მიყვარდე?!

რაა სიცოცხლე?

მე ასე მჯერა ყოფნა წამია,
და ქარიც წაშლის ჩემს ნაფეხურებს.
ო, ეს ცხოვრება ზოგჯერ მწარეა,
დარდის თავშალი მით მოვიხურე.

იმედი მაინც ციმციმებს ცაზე,
და აჩორჩქალდა გული მკერდიდან.
რაა სიცოცხლე, თუ ლამაზ ხმაზე,
სიმღერას კაცი თუ მოერიდა.
გრძნობით „ურმული“ თუ არ ვიმღერე,
თუ არ ვისმინე ხმა მეგობარის,
თუ თქვენ საამოდ ველარ დავწერე,
მაშინვე შესვით შესანდობარი.

შენთვის ვილოცა

ვდგავარ ხატის წინ, ღვთის განგება მუდამ მიქია,
მე შენს გარეშე არა რა ვარ, ველარ ვიცოცხლებ.
ვტირი, ვწუხდები... მოგონება მხოლოდ ფიფქია,
უფლის იმედით, ყოველ დილით შენთვის
ვილოცებ.
დარდები მტანჯავს, გაზაფხულზე იქნებმოსხვიდე,
რად აღარ გესმის ჩემი თხოვნა, ჩემი ვედრება,
შენგან ნანამებს მიეშველე, ცრემლი მონმინდე,
მე სიყვარულში თინათინიც ნუ შემედრება.

გაგცილდით

ქარიან ავდრებში, ნისლი მხრებს მეხურა,
მხვდებოდა ღვარცოფი... დარდებით ვგლოვობდი...
ფრთებს ვისხამ ახლა მე... ისე ვით ბელურა,
გნატრობდი... ამ ფრთებზე ისევ შენ მყოლოდი.
თუმც ბედით ხანდახან შემხვდები გზადაგზა,
გარიდებ თვალებს და ნამნამს ცრემლს
ვაფერთხებ...
მეყოფა ძალა და შენთვის კარს ჩავრაზამ,
სიფრთხილით სხვა ტოტზე თბილ ბუდეს ვაკეთებ.

ვერ დამნამებ

ვერ დამნამებ, ლალატსა და ტყუილს,
ანდა კიდევ ძალით ბუდის აშლას,
„მგელი“ ისევ ძველებურად ყმუის...
აღარ ვცდილობ მასთან ტაბლის გაშლას...

გაჩნდი ასეთი და რა ქნა

ტკივილის არ მინდა გახსენება,
არ მინდა კვლავ ხორცი მძიძგონ.
დარდის დროს მჭირდება გამხნელება,
მეც მინდა სიმშვიდე ვიგრძნო.
სისინობს ქარი და არ ჩერდება,
სიმშვიდე გამიხდა ნატვრად...
ღრუბელიც, ისევე მემუქრება,
გაჩნდა ასეთი და რაქნას.

გაჩურჩულაბი

გეჩურჩულაბი, დარდიანი... გულის ფრესკიდან...
ზამთარია და შვილო, იქნებ მარტოს შეგცივდა...
შვილებს გაგიზრდი... სხვა რა გინდა, კიდევ
დედისგან,
ჩემი ტკივილი?... ლექსებითაც აღარ შემცირდა...

თვალის ქვაბიდან

თვალის ქვაბიდან გამოვხადე ცრემლები და წყლის
გეჯას დავცლი...
მტერს მიუტევებ, დავინახავ ფრთაფაფუკ გვრიტად.
ერთ გოჯა მინას, სამშობლოსას, განძში არ
გავცვლი,
სულ მარცვალ-მარცვალ, მიმოვიბნევე გულმკერდის
ღვრიტად.

ლოდინმა დამალა

ლოდინმა დამალა, დამშრიტა საერთოდ,
მოდი მომეფერე გაზაფხულო...
შენი კეკლუცობით იქნებ კვლავ გავერთო.
ცრემლებით ნამნამი არ ვაფახურო.
გული მიმელია... წლების ქარტეხილში,
წუთიც ნამებაა უკვე ჩემთვის.
ხიდი ბედისწერის არის ჩატეხილი...
დარდით ტკივილები მიტომ მერთვის.
მოდი გაზაფხულო, მოდი, გული გელის,
ინილ-ბინილოთი არ მოხვიდე.
გადააბრდეთვიალე მწვანედ მინდორ-ველი,
მოდი ამ ტკივილებს მიმიხედე.

ბრმა ვიყავი

ვწუხ აქამდე ბრმა ვიყავ და არ ვხედავდი...
მგლის ტორი, რომ გულში მომხვდა სატილო.
თორემ ყველას საკადრისად შევბედავდი,
ან ვის ძალუძს, ფეხის წვერზე მატრიალოს.
გმადლობ ღმერთო, დამიბრუნე თვალთა ხედვა,
დავინახე... ცხოვრებას ვინც მილამაზებს,
არ მიჯავრო, ცის სივრცეში მყოფო დედავ.
მტერს ვხედავ და... მოვიკრიფავ ჭკვიან აზრებს.

სუსტს ყველა მომსრეს

დავაქუცმაცე დარდი და ვრეცხავ...
სუსტს ყველა მომსრეს, ფეხის ტერფებით.
როცა ვბლაოდი ბედო არ შეგრცხვა,
ხომ გასველებდა ცრემლის შხეფები.
ხან გპატიობ და... სიკეთე მძალავს,
ვაზის ლორდივით ლექსებს ვეხვევი,
კლდეცავარ ლექსშიც და ლექსის გალაც.
ლექსია ჩემი სულის ვერხვები.

ბეჟან ხარაიშვილი

ეჭვი

ნაპირს დაუშინა ქარიშხალმა
 თოვლის გუნდები, –
 თოლიები და
 ზეცა თვალეში ჩაყორნისფერდა.
 ...ვაითუ დიდი მოვარდეს წყალი
 – ჯვარი აქაურობას,
 – ჯვარი აქაურობას –
 რამ გამახსენა ნოეს კიდობანი?!

* * *

შენი თითებივით ნაზად დახრილი
 ტირიფის ტოტი
 უკრავს ტყემლების თეთრ სიმფონიას
 შეშლილ მორევის ლურჯ ფირფიტაზე.

* * *

თოვს და მდინარის გაყინულ ენას
 შავი კბილებით იჭერენ ქვები...
 შენ – თბილ ბალიშზე ჩავთვლემდა, ალბათ,
 მე – იმედებთან ალერსით ვთბები.

თეთრი ძაფებით მოგართმევს ჩემს სულს
 ზამთარი – ჩემი თეთრი თოლია,
 ვფიცავ იმერულ ტყემლის ჭალალას,
 მაგ კბილთა ფერი გამოჰყოლია
 ფიფქებს
 და ახლა თვალში მადნება.

თოვს და მდინარის გაყინულ ენას
 ცემს თეთრი ქარი ტოტების ხელით.
 ო, ლამისაა თოვლიც დაადნოს,
 გული შენს გამო ისეა ცხელი.

ზამთრის სურათი

შებინდებისას მოცახცახე ხეების სული
 შემოაპარა ქარმა სარკემელში
 და მძინარ თვალეზს დააცრიცა თეთრი სიზმარი...
 გამთენიისას აღარ სჩანდა სულის ნაფლეთიც,
 სიცარიელეს ამოევსო სიცარიელე;
 იცოხნებოდა ბუხრის ყელი ცისფერი ბოლით,
 ფანჯრებზე ყინვას გაეცინა ფიროსმანისთვის.

ხატობაში

ხევსურეთის ხმლისებრ იელვა არაგვმა
 და მთების უბეს შეასხიპა რუხი ნისლეები.
 მოგონებები სიმნარემ ალაგმა და
 რძისფერმა იჭარბა ჩანჩქერებში.
 გოგოლაურთას შევესნარ ხატობას,
 ყელში ჩაუკლეს სიცოცხლე ჭედილეებს...
 – დღეს, რა თქმა, უნდა მომიწევს დათრობა
 და საქართველოს სისხლიანი, ავი წარსული,
 წვეთ-წვეთ, თანდათან გამოჟონავს ჩემს
 თვალეზიდან.



გაზაფხული

მზესთან
 იანვარში შენათვალ მიჯნურობას,
 მწვერვალებზედაც უარყოფს თოვლი
 და ისე თეთრად
 და იმგვარი სიჩუმით კვდება,
 რომ შინდის კვირტებს გული უსკდებათ.
 რა დროს სიკვდილია,
 კიდევ ერთგან გაჭრიან მიწას...
 ჯერ უნდა მომჭრან მარჯვენა და
 სული მომთხოვონ...
 მწვანე შუქნიშნად ინთებიან
 გზაზე ხეები,
 ეს იმას ნიშნავს, გავიარო,
 – წინ მამულია!

* * *

ხორცის ქვეყანაში ხომ არ დავიბადე?!
 ამ კითხვას ათასი კითხვა უერთდება –
 მთას ძარღვი გაუსკდა ცივ მდინარეებად
 თუ საქართველოს სისხლი უერთდება...
 თბილისი თვალს ხუჭავს,
 მტკვარს გულში იხანჯლავს,
 დიაცი ძაღლებთან სეირნობს...
 და ბოლოს:
 წახდა საქართველო, – ამბობს ქალიშვილი
 და ამერიკულ სიგარეტს აბოლებს!

შემოდგომით

ფოთლის ცრემლში ტყის ლოცვათა ციმციმი,
 ცვრიან მთაზე ცხვარის გადათოვლება,
 ყვავილისკენ გადახრილი ყვავილი
 და პასუხად კოცნის არ დაყოვნება...
 მიყვარს ხოლმე ჩემი სოფლის ჭალაზე
 სიმინდებში მთვარის ჩანამგალება,
 კლდის ქვებიდან გადმომდულარ ჩანჩქერის
 თვალთ შესმა და წყურვილის წვალება...
 მიყვარს ხოლმე ხევსურული ჩოხისებრ
 გაშლილ ცაზე გადანინკვლა ვარსკვლავთა,
 თავთუხებზე ხოხბის ფერთა ფენაში
 უშენობა დაჭრილივით ჩავა და...
 ვდგევარ ხოლმე... და ვიხსენებ იმ ღამეს
 მტევნების თვე მიმანურე ბაგეზე,
 ფოთოლ-ფოთოლ გადაივლის ყვითლობა
 შენ კი ისევ სიცოცხლეზე მაქეზებ.

არაბჰს

შენ, ფშავ-ხევსურთა გიჟო ქალწულო,
 ო, როგორ გშვენის მტკვართან ნანლობა,
 ვაჟას ჩანგეთში ჩაიტკბე ეგ ხმა,
 თუ გუდანისჯვრის მოგაქვს წყალობა.
 სვეტიცხოველთან, ჯვართან...
 მითხარ, ლაშარგორს რაი ითქმების,
 კაი ყმათაგან, განა ენებით?!
 იახსრის ფერდობს თუ კვლავ მიჰყვება
 ჭალარა ვეფხვი სვენებ-სვენებით –

საქართველოზე
 ჯვარცმით!

მარქვი, ტალღაა მკერდს რომ გიტოკებს,
 თუ ბუნების წიგნს იფურცლავ ხელში,
 მაგ თმებს ჩამოაქვს ლუდ-არყის სუნი,
 თუ საქართველოს ვბარბაცებ ეშხით –
 გიჟო ქალწულო, მარქვი!

**ნუნუკა გურალია****ლამაზ ნარსულზე ვნაღვლობ**

ლარნაკში დაჭკნენ თეთრი
 ვარდები ,
 შენ რომ მომართვი კრძალვით
 და თითქოს ოდნავ ამისათუთე
 გადაღალული წამი.

ჩამოიღვენთენ სანთლებიც
 ფრთხილად,
 შენ რომ დაანთე ჩუმიად
 და ვავედრებდით ჩვენს დიდ
 სიყვარულს
 ორთავე ერთად უფალს.

გარდასულ დღეთა თბილი
 ნიავი
 მოუსვენრობს და ანცობს,
 მოგიგონე და თვალცრემლიანი
 ლამაზ ნარსულზე ვნაღვლობ.

ისევ ზამთარი

თავი დახარეს ჩუმიად იფნებმა,
 ამაყებმა და ოდნავ ფიცხებმა.
 სიცივისაგან მოთენთილებმა
 და მონატრებით გადაღლილებმა,

ისევ ზამთარი, ხოდაბუნებში
 ხმაჩახლეჩილი ცელქი ჩიტები,
 ზეცაში მთვარის გაფაციცება
 და უნიათო ღამის სიზმრები.

უმაღ შემაშრა

აყვავებულა ჩემს ბაღში
 ჩუმიად,
 იასამანი თოვლივით
 თეთრი
 და მისი მზერით თვალეში
 თითქოს
 უმაღ შემაშრა ობოლი
 ცრემლი.

ელგუჯა სხირტლაძე

* * *

რა მშვენიერია, ეს გაზაფხული,
შეხეთ, გამწვანდა მდელო,
მოფრინდა ჩვენი ჭიკჭიკა ჩიტი,
ამღერდა საქართველო.
გამოიღვიძეს დინჯად ხეებმა,
მთებმაც დაიწყეს დრეკა,
და გაზაფხულის ცისარტყელის ქვეშ,
თოვლიც ლამაზად დნება.
ტყიდან წამოსულ კოხტა ნაკადულს,
წყარო, რომ უერთდება,
იქვე ნაპირზე, ტყის ლამაზ ვავილს,
ფუტკარი ეფერება.
რა მშვენიერია ეს გაზაფხული,
ნაირფერებში ელავს,
გახედეთ მინდორს თვალს ვერ მოსწყვიტავ,
როგორ ზღვასავით დელავს.



* * *

ამ ცხოვრებამ გამამწარა,
ხელი კიდა არ მაცალა,
რასაც გულით მოვეკიდე,
იმ წუთსავე ამაცალა.
ხან პურს მაჭმევს, ხანაც მჭადით,
გულ-მუცელი ჩამაცალა,
დალოცვილმა გასართობად,
რაღა ჩემთვის მოიცალა? .
ხან მადლიან ხელს დამადებს,
ხან ქოქოლას ამომადენს,
მალლა წარსულს, ფრთას მომტეხს და,
ძირიანად ამომადგებს.

პ.ს. ვერც წინ მიტანს,
და ვერც უკან,
მათამაშებს,
წინ და უკან. . .

* * *

როცა ოცნების ლაბირინთებში,
ჩაძირულ კუნძულს დავემსგავსები,
მარგალიტებით მოჭედილ ლამეს,
გადამივლიან ფიქრთა ტალღები.
როცა დაღალულ თვალებს კურცხალი,
როცა სულს, სევდა შემოანვება,
როცა ოცნება აუხდენელი,
მონყენილ სანთელს დაემსგავსება.
როდესაც მკერდ ქვეშ, ტკივილი ჩემი,
გაუსაძლისად მწველი გახდება,
საშველად ვიხმოვ, ჩემს გულის დობილს,
ლამეს რომელიც მედაქალემა. . .

ჯემალ ჯიქია**ქართველს**

გაჩნდით, გაჩნდით, ქვეყნად გაჩნდით?
 ქვეყნად გაჩნდით - იარეთ!
 მოერიდეთ ავსულებთის გადარეულ მდინარეს!
 ნაპირ-ნაპირ, ნაპირ-ნაპირ,
 გაღმა გადით იარეთ,
 უცხოეთში არსად დარჩეთ, არ დაშორდეთს
 მთიანეთს!
 მოიტანეთ, მოიტანეთ, მოიტანეთ სიკეთე,
 მოიტანეთ, დაურიგეთ სამეზობლო ბინადრებს!
 ისეთი რამ მოიტანეთ, არ ეწყინოთ წინაპრებს!
 სვენებ-სვენებ, სვენებ-სვენებ,
 სვენებ-სვენებ იარეთ,
 ნუ აყვებით ფლიდს და ეშმას - დაუჯერეთ ჭკვიანებს!
 დედის, დედის, დედის გულით,
 დედის გულით იარეთ!
 უვალშიც და სიბნელეშიც დედის ლოცვა იფარეთ!
 მამის კვალზე, მამის კვალზე,
 მამის კვალზე იარეთ!
 სისხლი არ გამოიცვალოთ, ქართველთ ჯიშით ის-
 არეთ!
 სიყვარულით, სიყვარულით,
 სიყვარულით იარეთ!
 არსად არ გადაუხვიოთ - ისე მიდით ღვთიანეთს!
 ეს სოფელი მაცდურია, -
 წამი წამით ბრჭყვიალებს,
 ღვთით დალოცვილ სავალ გზაზე - სულ იარეთ,
 იარეთ!
 გაახარეთ დედა, მამა,
 წინაპართა სულები,
 თუ სამშობლოს ასახელებთ, ვისგან დაიწუნებით?!
 ასი წელი სიცოცხლისთვის -
 საუკუნის ჩრდილია,
 კაცი კაცად თუ დარჩები - ყველაფერზე დიდი!
 05.05.04

დედის რძე

რატომ გჭირს, ნეტავ, ვიცოდე,
 პირის და ენის სენია.
 საკუთარ დედას იგინებ,
 ამისიც აღარ გრცხვენია.
 ღმერთმა რომ შეგქმნა, გიკურთხა,
 სალაშქროდ მარცხენ-მარჯვენა,
 მარჯვენა პირსიმართლეა,
 მარცხენა - პირის შერცხვენა.
 ომში ჭაკ ცხენზე სხდებიან,
 ზეიმად ულაყს ძებნიან,
 კვალს თუ არ გაჰყევ წინაპრის,
 თავს ნუ უწოდებ ბედნიანს.
 დაბადებიდან სიკვდიმდე
 ნაცოცხლს, სიცოცხლედ ნუ ჩათვლი,
 შენზე სუსტს, მწირს და უმწეოს
 თუ ძმობის ხელს არ გაუწვდი!
 თუ კი არ ივლი ამქვეყნად
 წინაპრის კვალის ღირსებით,
 ღირსეულ სიკვდილს იცოდე,
 ვერა და ვერ ეღირსები.

სინდის ნამუსით იცხოვრე,
 სჯობს დაჯერება სიბრძნისა,
 რძე ძიძის - ძალზედ სარგოა,
 მაგრამ სჯობს ძუძუ დედისა!

* * *

ავლესავ ხმალსა, ავლესავ,
 გახდეს ლაპლაპა, ბასრი,
 სიცოცხლის ბოლო წუთამდე
 მე მას მტრის სისხლში გავსვრი.
 ამბობენ შინაურ მტერსა
 თითქოს გარეშე სჯობნის,
 მტერი - მტერია ყოველი,
 ის მოსასპობად მოდის.
 ჰოდა, ჭურჭლიდან, რომელიც
 სიყვარულისთვის არის,
 ნუ გამოდევნით, ნუ უთმობთ
 ბოროტს - ავისთვის ადგილს!
 ალბათ გაიგებთ, გუმანით,
 ამ ჩემი გულის ძახილს,
 ალალი თვალთ შეხედავთ
 ჩემგან მარჯვენას განვდილს.
 შენც მომანოდე მარჯვენა,
 რაც ჩვენს ძალ-ღონეს გაზრდის,
 ჩვენვე ვიხილავთ ჩვენს შვილებს
 მამაპაპურად გაზრდილს.
 სიკვდილის შიში არ გქონდეს,
 თუ მემკვიდრე გყავთ კვალში,
 ისეთი შვილი შეჰქმენი,
 სამშობლოს შერჩეს ვალში!
 არ დაგიჩლუნგდეს მარჯვენა,
 გრძნობა აბუდე წყალში,
 სარკედაც გამოიყენე,
 გეტყვის რა გიდევეს თვალში.
 რაც შემიძლია, ეს არის,
 ღვთაებრივ ნიჭით გლოცავ,
 წინაპრისგან მაქვს ანდერძად,
 მიტომაც ასე გამოძღვრავ.
 ღმერთთან იქნება ყოველთვის,
 ვინც მის მოძღვრებას მისდევს,,,
 არ გაგიტაცოს ეშმაკმა,
 ეცადე ჰგავდე ქრისტეს.
 იცოდე დაბადებულ ხარ
 დაბადებულხარ ერთჯერ,
 სიკვდილიც ამდენჯერ გერგოს,
 სიკვდილს არ გირჩევ ბევრჯერ.

გული, სულის სამყოფელი
 ყველა კაცს დავბან ფეხს,
 ვფიცავ საუფლო მზეს,
 განა წავართვი სხვას,
 სულში ეს ღვთისგან დევს.
 ბევრჯერ მზერას ვგრძნობ მწველს,
 ამით არ ვითბობ ხელს,
 ვჯერდები ანგელოზისგან
 ჩემთვის ნაბოძებ ბედს.
 თუ კი რამ ცუდი გჭირს,
 მზად ვარ შევსკდე კლდეს,
 სახვალოდ კი არ გადავდებ,

არა, ახლავე, დღეს.
 ოლონდ არ აჰყვე რეტს,
 ხელში ნუ იჭერ კეტს,
 ქვეყნიდან ვერსად გახვალ -
 ენდე საუფლო წესს.
 ქართველი კაცი დღეს
 უკეთურ ჭიქას ლევს,
 ტვინს წინაპარი კვეთს,
 რა შემზარავად ჟღერს.
 ფიქრობ, მიეკრა ცას,
 ნუთუ აცდები გზას,
 ნუ ამოავსებ კვალს,
 ყველა თავისას ზღავს!
 ავახელთ ამ ბნელ თვალს,
 მოვნახავთ წმინდა წყალს,
 ძმა მოეფეროს ძმას,
 სხვა არაფერი მწადს.
 მალე მოვიქნევთ ცელს,
 უბრალოს არა, მჭრელს,
 ვნახავთ საჭირო ხეს,
 მით გავამაგრებთ ბჭეს.

თუკი გაიშვერ ხელს,
 თან მიაყოლებ ფეხს,
 ძებნას დაუნყებ ძველს -
 სვეტიცხოველში დევს.
 არ აჰყვე, არა, მკვლელს,
 მოკლული მიწას წევს,
 სული კი მაღლა, ზეცას,
 ჩაბარდა ღმერთის ძეს.
 თუ გადამიხსნი მკერდს,
 ნახავს სანსალა კლდეს,
 იგი ინახავს სულს,
 მე იგი მაძლევს „მე“-ს.
 31.08.12

მამულიშვილს

ბაზალეთის ტბა შრება და
 წყალი ეცემა ნულზეო,
 მალე აკვანსაც დავარწევთ, -
 ეშმაკი სკდება გულზეო
 უკვე დრო არის ხელთ ვილოთ
 ბილიკები და შარაო,
 დროშა აღმართ, გვანახე -
 ქვეყანას როგორ დარავო!
 არ შეგერგება, არ ჭამო,
 მართლის მტერისა ჯავრიო,
 მაგთ ჯიშს როდი ეზრდება
 ქართველთ მოდგმისა დარიო.
 გვეყო ამქვეყნად სიბნელე,
 თენდება, გადის ღამეო,
 მერწყულმა უკვე დაჯაბნა
 თევზების არე-მარეო.
 ბევრი გვექონია ჭირი და
 ავდრით შეცვლილი დარიო,
 ახლა დრო არის შევადოთ
 უდრეკად ნათლის კარიო!
 მგონი უფალმა შენ გარგოს,
 მტერი რომ გათელ-აშიშვლო,
 აბა, შენ იცი, არ შედრკე,
 არ შედრკე მამულიშვილო!
 02.02.02



ციური ხეთერელი

მაჩაბლის ღამე

“მწარე ლოდინით დავინესტები
და ლექსად დავწერ სალოცავ ბარათს”.
ვალერიან გაფრინდაშვილი
კამერიდან: “ოფელიები”.

1. მე რა მანახვებს მტრედისფერ სიზმრებს . . .

რა გაანათებს მკვიანა ღამეს . . .
რა მოაშორებს ცრემლებს მდუღარეს
“წვიმის ასულის” ნისლიან თვალებს.
ან რა გამოლევს მგლოვარე გამებს
კვალდაკარგული კაცის ღამეში,
დღემდე აფითრებს მაჩაბლის ღამეს
ანგელოზების ფრთების თარეში. . .

2. ნაღვლიან ფიქრით გული ივსება. . .
ახლავს ოცნებას მკრთალი საღამო. . .
თეთრ ოფელიას უნახეს პროფილს
ხატავს აპრილი დაუსაბამოდ . . .

3. ღამე გულშავი ნელინელ იწვის . . .
ვერ დავაოკე მარდი ოცნება . . .
თუმცა, მე მისი სურვილიც ვიცი :
სწადია ნახოს ღამის სიშავე . . .
სურს კვლავ იხილოს ის საოცრება . . .

4. ფრთხილად გაჰყვება ჰამლეტის აჩრდილს,
ღამის მანტიას ამაყად გაშლილს. . .
რა ახლოს ვხედავ, დანიის პრინცი
ქალს საიდუმლოდ ბარათებს აწვდის.

5. ფერმკრთალ სახეზე უსიხარულო,
“ქალწული ღიმი” გაკრთება ნაზად.
წყნარი, მჭვუნვარე, იდუმალ სტუმარს,
ის გამოართმევს ბარათებს ჩუმად.

6. ავია ღამე, მდუმარედ აწევს
ცისა და მიწის მოწყენილ არეს . . .
ჭადრის ტოტებში გზამიციმული
დახეტილობს თავნება ქარი . . .
მიმოვიხედავ: არ ჩანს არავინ,
ალარსად პრინცი, ალარსად ქალი.

7. დაღლილ ოცნებით, ეს მერამდენედ,
შევენივთები შეკითხვას - მარადს:
- მითხარი, ვისო,
- მითხარ, რამინო,
ვინ წაიკითხავს სალოცავ ბარათს.

8. ირწევა ბნელში მაღალი კიბე. . .
კიბე, მაღალი, უარავინო.
იქ, ცისფერ ტბასთან
დგას ბროლის ჭიქა, -
დაულეველი “ცისფერი ღვინო”.

9. რა დამასიზმრებს მტრედისფერ სიზმრებს,
რა გაანათებს მკვიანა ღამეს . . .
რა მოაშორებს ცრემლებს მდუღარეს

“წვიმის ასულის” სევდიან თვალებს . . .
რა დაასრულებს მგლოვარე გამებს
კვალდაკარგული კაცის ღამეში. . .

დღემდე აფითრებს მაჩაბლის ღამეს
ანგელოზების ფრთების თარეში . . .

2009, აპრილი

ტ რ ი პ ტ ი ქ ი

ყ ო ვ ე ლ გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ს

წმინდა წინოს

1. ყოველ გაზაფხულს თავფარავანთან,
რა გულისძგერით გელი!
ჰოი, როგორ მტკივა მაყვლით
შენი გაკანრული ხელი.

2. როგორ დავგინერე, ალვისტანავ!
ის სასწაული პოემა!
რა ძალა გქონდა უმწეოს ასეთი,
ვეფხვს რომ შეგადარა პოეტმა!

3. მაგრამ, ეს რა ვსტქვი,
წმიდაო!
უმწეოვ, მხოლოს წამით,
რამდენი მწვერვალი დაიპყარ,
შენი თმებით შეკრულ ჯვარით!

4. ამ ჯვარზე ვართავთ რახანია
მწარე ფიქრების გორგალს,
ის ხმაც ორლესული ხმალია,
შენ რომ დაუნმინდე გოგლას.

5. რახანია მკვიდრად თავს ვაფარებთ
შენგან დალოცვილ კარავს. . .
გვაურყოლებს, წინო, სტრიქონები,
შენ რომ დაუმშენე ანას.

6. ამ გაზაფხულზეც თავფარავანთან
რა გულისძგერით გელით!
გვტკივა, დღესაც გვტკივა მაყვლით
შენი გაკანრული ხელი.

2012, იანვრის 20

ტ რ ი პ ტ ი ქ ი

გ ა ხ ა რ ე ბ უ ლ ო თ ვ ა ლ ო

“ არა ვერაგობისა ღონითა
აცხოვნებდა ერსა თვისსა, არამედ სიბრძნისა
წინაძღომითა, და სიმართლითა,
და უმანკოებითა დავითიანითა, სიმშვიდითა
იაკობის მსგავსითა, სიუხვითა აბრამისებრითა,
მონყალებისა იესოს ღმრთისა მსგავსითა. . . “
ბასილი ეზოსმოძღუარი
“ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი”
“ქართლის ცხოვრება”

თამარ დედოფალის მშვენივრით
 გახარებულს თვალო!
 თამარის კალთის შერხევით
 დამშვენივრებულს ქარო!
 თამარ დედოფლის გვირგვინზე
 აბრწყინებულს მზეო!
 გულში რა ძალით ინთები!
 სულში რა ძალით ზეობ!
 თამარის მზერით დამტკბარო,
 ჟუჟუნა წვიმავ!
 დარო!
 ფაფარაყრილო რიონო!
 დაფიქრებულს მტკვარო!
 მუდამდღე იმ წამს შევნატრი,
 ბედნიერებავ, ლალო!
 იმ სიხარულზე, სანატრელ, გარდასულ ჟამზე
 ვნაღვლობ. . .

თამარის ცრემლით ნაბანო,
 თამარის სიტყვით ნაქარგო,
 მრავალჭირგადანახადო,
 შენ, ჩვენი სულის საოხო!
 ერის დიდებად მდგარო!
 თამარ დედოფლის ლოცვით-
 განათებულს ჯვარო!
 შენ, ჩვენო დიდო დედავ!
 (შენს ქებას ან ვით ვბედავ),
 შენი სიბრძნე და სიკეთე
 რა ენამ უნდა თვალოს!. . .
 თამარ დედოფლის მშვენივრით
 გახარებულს თვალო!
 1994, სექტემბერი

ტ რ ი პ ტ ი ქ ი

შენი სახების გვადგას ნათელი

ო ღ ა

ქეთევან დედოფალს
 “... იგი (ქეთევან დედოფალი – ა.დ.ა.) არა მარტო
 პატარა სამეფოს, არმედ მთელი იმპერიის დედო-
 ფლობის ღირსი იყო”.
 პატრი ამბროზიო დონ ანჟესი
 “. . . შენ რაღას იტყვი, რისთვის მარიდებ მაგ
 თვალუბდათხრილ მწუხარე სახეს?
 რად არ ვიყავი მე შენთან მაშინ და შენთან ერთად
 არ დავიმარხე?”
 კოლაუ ნადირაძე
 “სამი აჩრდილი”
 1. დრო აღარ რჩება.
 თავდება ლოცვა. . .
 შაჰის ავ ზრახვებს
 არა აქვს მოცლა. . .
 შენი პასუხი, რვალივით მტკიცე,
 მტარვალს გონს ურევს ისევ და ისევ. . .

2. შაჰის ბრძანებით, დიდო დედაო,
 უკვე იწყება შავი წამები. . .
 ცხელი შანთებით, ცხელი ქვაბებით
 გვეძგერებინა რა გამწარებით
 მკვდარი სულები, ცოცხალ გვამებით. . .
 განა უწყიან უგუნურებმა,
 რომ ეგ წამების
 უხვი მდინარე
 უკვდავებაში დაგაბინავებს.

3. შენს ლამაზ თავზე
 ეს, მერამდენედ,
 უბედურების ბრუნავს წისქვილი. . .
 ერთმევათ ფერი შირაზის ვარდებს
 და ჩასცქერიან მინას სირცხვილით.

4. ნახშირზე უფრო გაშავებული,
 განცვიფრებული გიმზერს ბოროტი,
 რომ გამძლეობა გასაოცარი,
 დათმენის ძალა დაგყვა ბოლომდი.

5. ახლაც გულს მინვავს
 ცეცხლის ენები
 შენს თეთრ სხეულზე გადმოშავალი. . .
 და თითქოს ვხედავ,
 როგორ მიილტვის
 უფლისკენ
 შენი სული მაღალი.

6. შაჰის სიგიჟე, თორემ,
 უფალო,
 დიდ სილამაზეს
 ვინ სწვავს ლადარით,
 დიდო მონამეც,
 ეგ ცისქვეშეთი
 დაუნდობელი ასე რად არი?!

7. შენი წამებით გაოგნებულა
 უცხო ტომების მზერა მრავალი. . .
 ო, დედოფალო,
 მას, რაც ვნებულა,
 არ დაგივიწყებს შთამომავალი.

8. გულს გვაჭდევია შენი სახელი,
 შენი სახების გვადგას ნათელი,-
 სიბრძნის მაღლი და
 უძლეველობის ნიჭი
 რომ ასე გამოაჩვენა!
 რომ სიამაყით
 ჩვენს სულებს ავსებს
 სამშობლოს ბედზე
 მარად მლოცველი
 გამარჯვებული დედის მარჯვენა!
 2011, 4 მარტი

თამარ (იამზე) ქელიძე

ვუქღვნი რუსუდან გურალიას

სამოთხისფერი ღიმილი გქონდა
კოლხურ ბუნებით გამთბარ თვალეში,
და სისათუთე კეთილს გახსოვდა
შენს სიყვარულში უმხურვალესში.

ანგელოზური ეგ მზერა თბილი
მრავლის გულეში ტრფობას ბადებდა,
ხატისფერებით იყავ მოსილი,
ფრესკის ანგელოზს დიდ შუქს გაძლევდა.

ის რომ მშვენიების დედოფლად ჩანდი
მხატვრის პალიტრის აელვარებით,
ეხლაც უდიდეს სიამედ დარჩი
ლამაზი სულის გულის კარები,

ღია გაქვს და მეც გიძღვნი ყვავილებს
გავხარ გაზაფხულს მარად რომ ღიმილს
უტოვებს ყველას მეტსაც აპირებ
ძგერს უკვდავების მაღალი სიმი

სამოთხისფერი ეხლაც გაჩნია
ნატრისთვალევით მოსჩანხარ ხშირად
შენს ირგვლივ უკვე შუქთა განშლათ
მაგ შენს ღიმილში საოცრად თბილათ.

მე მიხარია შეხვედრა შენთან
კოლხურ სიამეს უხუნარს გხედავ,
ვხედავ ჩვენს შორის მხატვარი ჩნდება
უფრო მდიდრდება სილალე ფერთა.

დე, ქართულ ზენამ გიყუროს დიდხანს
დე, სიხარული გიღებდეს კარებს
მშვენიერებავ კოლხური მზით ხარ
იარე დიდხანს და გაიხარე.

12. XII 2012წ.

სადამდე ასე, ღმერთო

ამ დროის სუნთქვა ზოგჯერ კარგია
ზოგჯერ მწარე კვალს ტოვებს,
დროში მგზავრები ზოგჯერ გარბიან
ბრაზით ტოვებენ ყოველს
და თავდაყირა დგება ფიქრები
შლეგი კვლავ ჭარბობს კეთილს
შენც აღარ იცი საით იქნები,
ჟამია სულის ცვეთის
მერე ცისკარი გამოანათებს
რყევას ერევა წუთი,
დრო ამბობს ისევ მშვენიერ სათქმელს
ფიქრობ, რა დიდხანს ვწუხდი.
მერე კვლავ ხახას გააღებს ბინდი
დაგძაბავს, შეგძრავს ერთობ,
როგორ დარჩები ბოლომდე მშვიდი
სადამდე ასე, ღმერთო.

მეტ სითბოს მჩუქნის

უიმედობა წამოვაროქე
რწმენა, იმედი, მაინც ვაჩუქე
დაბინდულ ფანჯრებს მოველო შუქი
ახლა უფალი მეტ სითბოს მჩუქნის.

ერთხელ მაინც

ერთხელ მაინც გაიბრწყინე სიხარულო ბოლომდე
რომ შევივსო შენი ეშხით, სულში აღარ ბოლავდეს.
ვთქვა: მივლია მაინც გზებით სანეტარო წამებში
ახლაც გელი სიხარულო, მხოლოდ შენ მიწამლებდი.
უშენოდ ხომ დარღვეული ქაოსური რბოლაა
გაავება ცხოვრების და ხელჩართული ბრძოლაა.
სიხარულო შესდექ, გვედრებ, ხარ მეუფე სულისა
თორემ ჟამი გადაამკიდე, მიშენს უღეთოდ სულ
ისარს,
სიხარულო, მოგდევ ლოცვით: მცირედ მაინც მაამე
აღარ მინდა სურვილებში ცრემლიანად დაღამდეს,
სიხარულო, ისევ გელი: ნუ დამტოვებ უშენოდ
ჩემს ცხოვრებას ერთხელ მაინც გაბრწყინდება
უჩვენო.

ან მოლოდინი

დროის ფიქრებში ჩაძირულმა მინდა შევიგრძნო
სახე დაღლილნი თუ მღიმარნი საით მივდივართ,
რადგან წამ-წუთი უხვ ჩრდილებით ისე შევივსო
ვილაც აყვირდა: ვერ ხედავ რომ ისევ ბინდია
და მე აზრებში ჩავიძირე, ვიგრძენ, მათოვდა
არა ვარდისფრად, ღრუბლის სახე მოგავდა ლოდებს
აღსვლა, დაცემა რომ მოხშირდა ისიც მახსოვდა
ხმა მხიარული შემომესმა ან დაელოდე
და ისევ ფიქრი: გარდასახვა სადამდე მიდის.
სიცხე სიცივეს ენაცვალემა მოუსვენრობით
და როგორ გინდა ამ ყოფაში რომ იყო მშვიდი
საკუთარ აზრსაც ზოგჯერ ხედავ, აღარ ენდობი
და ისევ მკვეთრი ხმა მომძახის: დარჩი ლოდინით
ხომ ხედავ მორბის დაკარგული ან მოლოდინი.

ნათელა ხარაიშვილი

* * *

თუ სიცოცხლეა, იყოს სიცოცხლე,
გავბედე რაკი, მოვედი რახან,
თუ სიცოცხლეა, იყოს სიცოცხლე,
უსიცოცხლეო სიცოცხლე არ მნამს.

* * *

რატომ ენთება ცაზე ვარსკვლავი,
მზე რად ანათებს, მან იცის ერთმა,
ვინ მომცა ნიჭი ლექსების წერის,
ვინ დამაწყურა, თუ არა ღმერთმა.

გული

გული თურმე არ ბერდება,
ყველაფერი იყო გუშინ,
გული თურმე ამღერდება,
როცა ბაღში ყვავის ნუში.

გინდა იყოს ახალგაზრდა,
გინდა იყოს ის მოხუცი,
გული მაინც ამღერდება,
გული მხნე და გული ურჩი.

ვეფრიბა

კეთილი გული მაპოვნინე
სულის მხნეობად,
მე სიყვარული გავიხადე
მოვალეობად.
გზა-გზა მივიკვლევ,
მომეხმარე,
მყევ შემნეობად.

ღმერთო, დამიფარე!

მძლეთამძლე, ძლიერო, ღმერთო სახიერო,
სნეულ თავს გავედრებ და გთხოვ მოწყალებას.
ფიქრებით, ოცნებით ღამენათენები,
წამებულ თვალებით შეგთხოვ შებრალებას.

ფეხით კი არა და, რწმენით, ოცნებებით
საყდარში ბრიალა შანდლებთან ვდგავარ.
ხელებატოტვილი, ლოცვით შემართული,
ათასჯერ გაყიდულს, განწირულს ვგავარ.

გული მიკარნახებს, არ დავიღუპები,
რწმენით გამსჭვალული ხატებს მივენდობი,
ძალაგამოცლილი, მისუსტებული ხმით
ღმერთო, დამიფარე, ამას გვედრები.

თუ კაცი ხარ

თუ კაცი ხარ, ამოიდგი ენა,
გაიკვლიე ნისლიანი გზები,
გაალვივე მამა-პაპის კერა,
იბრძოლე და სიკეთე ჰქმენ ბევრი.

თუ კაცი ხარ, გაიმაგრე გული,
ბრძენკაცავით მოიგონე რამე,
შენს მომავალს გაუნათე გზები,
მწარე ხეზე ტკბილი ნარგი დარგე.

თუ კაცი ხარ, გაამრავლე ერი,
მკერდში მუდამ სუფთა გული გქონდეს,
მწარე ჭამე, მოითმინე ბევრი,
რომ ცხოვრებას ბოლო ტკბილი ჰქონდეს.

გატანჯულ კაცს სიყვარული აჩუქე,
მასაც კაცად აგრძნობინე თავი,
ისწავლე და სიბრძნის წიგნი დაწერე,
უმეცრების გადარაზე კარი.

კაცი ვარო, დამარწმუნე, კაცური,
გამამხნევე, გამიხარე გული,
მე მოვალ და სიამაყით მოგმართავ:
“კაცი ხარ-თქო, დაიხურე ქუდი”.

სიმონ ჯაფარიძე**„განჯგვრდღვის“**

გვანჯი მანას – მიჯრით ათთანხმოვნანი, იშვიათი ქართული სიტყვის გამო...

ზეგარდმო მზერით მზიანი დილა სადაც სინმინდით იწყებს თენებას,
ზეცის ტაძარში ციურ სიმშვიდეს მთები უდგანან სადაც მცველებად,
სადაც მიდამო ფერთა ბგერებით ცდილობს სათქმელის ამომღერებას,
და ხელთუქმნელი შემოქმედებით – ფერების ენით ამეტყველებას,
სადაც ფერადი ცისარტყელები ცაზე გაბმულან საქანელებად,
სადაც ნიავს ჰსურს ფრთების გაშლა და ლაღად მომთაბარმინდორველება,
სადაც გულს გივსებს განცდის უნარით გაუხუნარი ხატი ბუნების,
მალლა მთით, დაბლა გაშლილი ველით და ხევ-ხუვებში ნისლის ქულებით,
– იყო დრო, როცა გვენაცრებოდა სიცოცხლე ფხაზე ხანჯლის და ხმლისა,
როცა ურთიერთს ენაცვლებოდნენ ლეგიონები ურიცხვი მტრისა;
დრო იყო, როცა ტოტებს უმსხვრევდა ფესვმაგარ მუხას ელვა და მეხი,
ცა იქცეოდა ჭექა-ქუხილით, ქროდა ჟამთასვლის ქარი, უკმეხი;
დაუნდობელი გვკორტნიდა ბრჭყალი და ალესილი ნისკარტი გვბრდღვნიდა,
მაინც არ ვთმობდით, თუმც სისხლი ვღვარეთ, – ვიცავდით მამულს გაჩენის
დღიდან...

ავი სისინი მოისმის ისევ, როცა გადუფრენს თავზე წყალ-ჭალას,
ვერ დაიურვა ნდომის სადავე, ნაცრიდან ცეცხლი ვერ გააჩალა,
ვერც დაბრკოლების შეძლო დაძლევა, ვერც ნება-სურვილს მიუსადაგა,
ფრთაფაფრულმა, გულდაზაფრულმა, გააფთრებულმა ქარმა, აშარმა...
თუმცა-ლა ბევჯერ, მსახვრილი ხელით, დელგამამ დღეები აბურდ-დაბურდა
შეეძელით ბრძოლით და ჭირითა თმენით, ედემი რომ არ გაუდაბურდა;
ვისაც ეგონა – მიაღწევს მიზანს, ირწმუნა: განჯგვრდღვის მტერი, მზაკვარი,
შეცდა!“ – კვლავ გვფარავს მადლი უფლის და კვლავ მომავლისკენ გვიძევს
გზა-კვალი...

გულგულელ ვაზის მინდიას

„ბალ-ვენახების მეოხს და მფარველს

შენაღფელინე ზეცაში ლოცვა...“

ქველევგვიბტური ლირიკა

(ნარწერა ფეტოსირისის აკლდამიდან)

სიმონ გიგიტელაშვილს – კახელ მეღვინეს და მევენახეს, რომელმაც დარგო 16 000 ძირი ვაზი,
დააყენა ლეინო „გიგითა“ და შექმნა „ჩურჩხელადი“.

მზემ ოქროს შანდლით აუნთო ამაღლებულ დღეს ცის ალი,
სხივმა დაკვესა, დააფრთხო ქულები ღრუბლებისანი,
დახატა ხატი ხელთუქმნელ მთა-ბარ-წყალ-ჭალა-ტყისანი,
ფრთოსნებმა სოფელს მოჰფინეს ქება დღის სინათლისანი...
უვრცეს სივრცეებს სიკეთის ჰკვეთს სიმსუბუქე ფრთისანი,
ვინც წინ ისწრაფვის არ აკრთობს ძნელი მანძილი გზისანი,
მწამს სილამაზე ვაზისა და სინამდვილეც ის არის,
დღემდე ვაზით რომ ვიმძლავრეთ, ძლევა შეეძელით მტრისანი,
ზვარში კვლავ ბროლი ეღვარებს ყურძნის მტევნების თვლისანი...
ჩვენი სურვილიც ისაა, ჩვენი გულწრფელი მიზანი,
რომ მშობელ მინას არ ჰკბენდნენ ბარდები ნარ-ეკლისანი,
ზეცას ფერებით ხატავდნენ ცისარტყელები ცისანი,
მადლის ფუტკრებმა აგვისოს სულში ფიჭები სკისანი,
არ მოჰკლებოდეს შენს ნაშრომს სიმრავლე სიკეთისანი,
ხარჯავდე გარჯით მონეულს, არ აკლდებოდეს მისხალი,
შენს კერას არ დალეოდეს სიკეთე, მადლი ღვთისანი,
გზად შენს მონაგარს ეფინოს მარგალიტები მზისანი.

ლელო

(სახელოვან ქართველ მორაგებებს)

უხმეთ სიმხნეს, დროა ძალთა მოკრების,
ჰა, ბურთი და – მოედანი ვრცელი!
ასპარესზე საბრძოლველად შეკრებილთ,
სამშვიდობო შერკინება გელით...

ანთებულან რწმენით გულის ქურები,
გვსურს სამშობლო გვექონდეს სასახელო;
არ გაცუდდეს იმედი მაყურებლის, –
ბრძოლით შესძლოს მარჯი საქართველომ!

აღმაფრენა, შემართება მხედრული,
გამარჯვების ჰანგი, სასიმღერო,
მოგუგუნე, როგორც ვაშა, ქართული...
– მეციხოვნედ დადექ ქვეყნის მცველო!

ფარადი სამზერათი

*(ნატიფი ხელოვნების ექსპოციზიის შთაბეჭდილებიდან)
მაია ტყემალაძეს, ასმათ ყურმავიშვილს, ნელი ბერაიას*

ცის გზებს მოიცავს სინათლე სხივთა,
წამებს წარმართავს ღვთიურ განცდებად,
ისე მალღდება სული ზეცამდე,
მგონია – უვრცეს სივრცეს გასცდება...

ციდან მოცვივა ფერთა ფანტელი,
აქვს უშურველი რთველი სამზეოს,
გული დარების საბინადროა,
მზერა სამზერეთს ზვერავს საზეოს...

შუქი მდულარებს ზეცის ქურაში,
ჩინჩხლები ცვივა ვარსკვლავთ გუნდებად,
სხივები წვიმად ჩამოდის ციდან
და მიწას მწველი მზე უბრუნდება...

ათინათებად, ციური თრთოლვით,
შეუცნობელი განცდა ახლდება,
რადგან მიპირებს ფერთა სამყარო
სულ სხვა სივრცეში გადასახლებას...

კვლავ სილამაზე იზიდავს მზერას,
სულში იმედი სხივად დაცურავს,
შინაგანი ხმა თითქოს მაფრთხილებს
რომ არ გადიქცეს განცდა საცდურად...

ეს დღე, ქცეული დღესასწაულად
აელვარდება სივრცის წიაღში, –
გაბრწყინებული ვით ნავსადგური
ზღვებით გადაღლილ თვალთა წინაშე...

პერნისაჟი – „მითჯის სამყარო“

„მე არ ვეძებ – მე ვპოულობ“
პაბლო პიკასო
(ვუძღვნი მხატვრებს, ტყუპ ძმებს
ავთანდილ და ტარიელ ვართაგავეებს)

განვლილ თარიღებს აელვარებს იალ-კიალი,
იძრა ბინდ-ბუნდი და მზის თვალი ცას აეხილა!
მწვერვალის წვერზე დგას მნათობი ოქროს ფიალით
სხივთა ციალით რომ აავსო ზეცის მეხილემ...

საჭიატუროს ჩამოარღვევს სხივი ცის საჭვრეტს,
რათა იხილოს დღე ფერებად გარდასახული,
ჩარჩოს ჩამოხსნის უჩვეულო, უჩინარ ფარჩებს,
გარს შემოუვლის ყოველ ნახატს თვალის ფახუ-
ლით...

მე რომ მეგონა სიტყვა მიჭრის, პოეტი მქვია, –
ენა განუდგა გულისწადილს – გზა გაეკვლია:
წინაშე ფერთა – ამ სურათებს გარს რომ ეკვრიან
თვით ცისარტყელაც თითქოს მკრთალი ან-
არეკლია...

ფერადი სივრცე, შემოსილი სხივთა ვარაყით,
იძენს შინაარსს: კედლებიც კი მზით ავსილია, –
მნათობი რალა მნათობია, თუ არ განაგებს
მიწას-ფერებით, ცას თუ ალად არ უკიდა;

თუ სხივს დააკლებს ხელთუქმნელი სამყაროს
ედემს,
თუ არ მოხატავს თვალუნვდენელ სივრცეს მიწიერს;
ფერადი გზებით ცის და მიწის მიდამოს კვეთენ,
და ნალვერდლებად სურათებზე წლები იწვიან...

თევა წარსულის ბინდ-ბუნდების, ღირდა წვალებად,
ცა რომ წვეთ-წვეთად ეღვენთება მიწას ფერებად,
რომ უსახური, ბნელი ღამის გარდაცვალება
გარდაისახა სხივთა ხილვის ბედნიერებად...

გაქვავებული ტყე

*გოდერძის უღელტეხილზე გაქვავებული ტყე
და ველური ვაზის ღეროა აღმოჩენილი,
რომელიც 15 მილიონი წლის წინ ვულკანურ
ლავას დაუფარავს...*

ვინ მოახია ფარდა წარსულ ათასწლეულებს,
რომ განმეცადა უეცარი ძალა სიკვდილის?
მე ვხედავ ხეებს – ზეზეურად გაქვავებულებს
და ვაზის ფესვებს – დამთავრებულ დღეს რომ
მისტირის...

უცნაურ ხეებს არ აკლიათ კვირტი და ფესვი,
ქვადქცეულ ფოთლებს მიუყვება ზოლები ძარღვის,
მე უცნაური, საშინელი შრიალიც მესმის
მკვდრეთით აღმდგარი ამ უცნაურ ხეების ნახვით...

რამ გაგაქვავათ? ნუთუ ასე ძნელია ყოფნა?
ასე სასტიკი – დაბრუნება მადლისა მსხვერპლად?
ნუთუ ბედს, მაშინ – გაგაჩინათ როცა ამ სოფლად
ეს საშინელი განაჩენიც უკვე ხელთ ეპყრა?!

ნუთუ, ეგ სახე მანვე მოგცათ – ჩაგსახათ ვინაც,
ვინც აგაყვავათ და ათასფრად აგაყვავილათ,
კვირტები – ყველა ოცნების და იმედის ბინა
გიქციათ მწვანე ნაყოფებად, სიცოცხლე – ღზინად?

ნუთუ, ის სიოც, გაზაფხულზე ტოტს რომ გირხევდათ,
იყო უსაზღვრო თვალთმაქცობა და წყველა მწარე?
და ბედი თქვენს წლებს მხოლოდ მისთვის ათარილებდა,
რომ ეს სასტიკი ხვედრი ეგრძნო გახელილ თვალებს?!

რომ მაგ დუმილის ჭექა-ქუხილს დაეპყრო სმენა
და ყველა ცოცხალ უჯრედიდან სისხლი ეწოვა?
... მე ახლა ვხვდები, ეგ ფესვები რამ დაასველა, –
ოდესლაც, გული რა ტანჯვით და ფიქრით გენვოდათ...

მეგობარ პოეტს

*შოთა ხოდაშენელს
„თუ მგოსნის სუფთა ხელმა მოკუმშა,
თავად წყალიც კი შეიკვრის ბურთად“
გოეთე*

სიბნელის ფარდას სიო არხევს თითქოს საცდურად,
ვიდრე იალებს – სიტყვის განცდა არის უმალი,
მომავლის სხივი წარმოსახვის მიღმა დაცურავს,
უცხო სივრცეთა მანძილს ზომავს ფიქრის გუმანი...

შვოთიან ღამის უძილობას ცა უმარჯნია, –
ძილს არ სჭირდება არც საგები, არც სასთუმალი,
ყველაზე უკეთ საქმე აჩენს კაცი გამრჯეა,
თუ წუთისოფლის დროებითი, უქმი სტუმარი...

ვერაფერს შექმნის დაფასების რომ იყოს ღირსი,
ვერმოუთმენი, მოფაციცე კაცი, ცეცია,
ქარის მოტანილს ერთიანად გაჰფანტავს მყისვე
ფოთოლთა გროვას ისევ ქარი – შარახვეცია...

ფასს ჰკარგავს ისიც – ვინც ცრუობს და პირს იტეხს ურცხვად,
თუ ვერმკეთებელს – გაკეთება დაუკვეხნია:
თოვლისგან თოკი ჭკუათმყოფელს, არავის უწნავს,
წვიმის ბანარი ჯერ არავის დაუგრეხია!..

ხელმოცარული მდევარია საკუთარ ჩრდილის,
ვისაც ჰსურს სიზმრით ახსნას ქვეყნის ჭირი და ლხინი,
ჟამთასვლის გზაზე ყოველივე არის გათვლილი –
მგზავრის ნებაა, გზას აირჩევს სწორსა თუ ირიბს;

შუქიც არ შუქობს მოშურნეთა სარკმელში, მინის,
ჯადოსნურ ლამპარს უნათებდეს თუნდ ალადინი!
სულის გარეშე კაცი რაა? – ძვალი და რბილი,
დრო ამსხვრევს კერპებს, გრანიტისგან იყოს გათლილიც!

სიცოცხლის ძალით აღივსება ნამცეცა მლილიც,
გაზაფხულზე რომ აფეთქდება კვირტი აპრილის;
მიჰყევ შენს ბილიკს. რომ კუთვნილი გაიღო წვლილი,
რომ შენი წილი, ღირსეული, განვლო მანძილი!..

წყალმარჩხი წუთისოფელი

„ესე ასეთი სოფელი არვისგან მისანდობელი
წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი“
შოთა რუსთაველი

პროფესორ გურამ შარაძის ხსოვნას

კვამლი ქარიან ბილიკებს ცად მიაქვს საასპარეზოდ,
ელვის კბილი ჰკბენს კაბადონს, ლელავს ღრუბელთა სამეფო,
გონება არ თვლემს, არ მონებს რულს - თვალებს თუნდაც ერულოს,
სანთლად რომ ენთოს, ანათოს და ბინდი აუფერულოს...

შერჩა ჟამთა სვლის ზღვის ლელვას ბევრი ტანჯვა და წვალება,
აღარ დაადგა საშველი დარების გამოდარებას...
მრავალჯერ ითენ-ილამა, ირიჟრაჟა და შებინდდა,
ათასი ნანატრ-ნაფიქრი ჩამოგვაბერტყა მხრებიდან...

დროში ფიქრების მთები დგას, დარდის შლამი დაქვიშანი,
აგროვებს ბედთან სამდურავს დღეები ნავიშვიშარი...
ბევრი სურვილი დარჩა და წარსულის წლებში განივთდა,
ძველის და ახლის სამანთან, გზაგასაყართან თარიღთა

ჩამოიმარცვლა წუთები, - წლების წისქვილზე დარიგდა,
წილი წაიღო მემინდემ დღიურ სარგებლად და მინდად,
წყალმარჩხი წუთისოფელის ბრუნავს დოლაბის თვალი და
იქითკენ ღერღავს, საითაც წყალი მიუგდეს ღარიდან...

უკეთურების ბუნება, ჭრელი და ამაზრზენია,
ქვეყნის მტერია ვინც ხალხს რყვნის, ვინც ხარბი მომხვეჭელია;
მგელი მგლობას არ მოიშლის, რაც უნდა უძღვნა ძღვენია,
განმსჯელი განსასჯელისა ზოგჯერ თვით დასასჯელია...

მგელის ბუნება მგლობაა, - ლეკვებს ზრდის გასამგელებლად,
ვეფხვი - ვეფხვებს ზრდის, მელია - თავის შვილებს ზრდის მელებად,
დათვად ზრდის ბელებს, თუმც დათვი ბელებს არ აკლებს ფერებას,
უხსენებელს თუ ვახსენებთ, გვზარავს - არ გვინდა ხსენება...

გველი - გველია! ვერ დაჰყოფ დიდ და პატარა გველებად,
ვითარებას თუ დასჭირდა - არ უჭირს ტყავის შეღვევა,
ვიდრე სისინებს - გველს გესლი არასდროს შემოეღვევა,
გველისთვის გველად ყოფნაა გველური ბედნიერება...

ზნეს არ შეიცვლის ქვემძრომი, არ დასთმობს ავად სრიალსა,
კაცს მოკლავს გველის ნაკბენი თუნდ რძე და თაფლი შეასვა...
თუმცა ფხიზლობდა გონება, ღამეს ებრძოდა ტიალსა,
მლოცველი ლოცვით ცას სწვდება, მე ჩავწვდი - ცოდვის წიაღსა...

ვერ ვეძმე დათვს, მგელს ვერ ვემგლე, ცად ვერ ვიფრინე ძერულად,
გველს ვერ მიუველ გველეთში, ვერ დავეგრიხე გველურად,
ვისაც ყვავილი მიფუძღვენ, გულზე დამადო მე ლულა,
რა სახელურსაც დავეყრდენ, გატყდა - არ მესახელურა...

... თავისუფლება გულისხმობს წესს - არა ქცევას ველურად,
ღირსებით თვითდამკვიდრებას, არა სვლას - მიმბაძველურად,
არ დადგა შესაფერი დრო - ერს რომ ეცხოვრა ერულად,
ამერს და იმერს ერთობით ეამერ - ეიმერულა...



ზაურ მოლაშვილი

კოსმიურ გზებით

*მე კი მიახლოვდება
სამუდამო ქაოსი.
ტერენტი გრანელი*

არ მოგწყინდება

შორი ცის სივრცე,

არ გემძიმება ლანდად სხეული...

კოსმიურ გზებით! –

მწვანე ნისლისკენ

მიდიხარ, ქაოსს ხელჩახვეული.

როცა სივრცეებს ხარ შეჩვეული,

ტანჯვის სურნელიც ამაოდ ამდება...

შორს, უსხეულოს სული გრძნეული

უსივრცობაში გადაქანდება!

უნელებელი განცდით გზნებელი

არ ეპუები ყოფნას სრულებით;

ყრუ ღამეებით გაბეზრებული

ახალ მნათისკენ გაეშურები...

თუკი აანგრევს ჟამსუსხი კოსმოსს,

რა დაალაგებს იმას ხელახლა?

შენ მიჰკიოდი გზას უსხივოსნოს,

რათა არყოფნა გადაგელახა!

ბორგავს, ინთება შორი ცის სივრცე,

ელავს ბგერებად ზეცა სხეული...

კოსმიურ გზებით! – მწვანე ნისლისკენ

ივლი – ქაოსთან ხელჩახვეული.

კოსმოლოგიურს ვხედავ ლირიკას

(ესკიზი)

კოსმოლოგიურს ვხედავ ლირიკას,

როცა განვიცდი - ვხედავ კიდევაც...

არ ვიცი - ვინ მძულს, ვიცი - ვინ მიყვარს,

სივრცე ცეცხლივით გულს მეკიდება!

სივრცე მათობს და სივრცე გამყინავს,

სივრცეში ბრუნავს ყოფნის წრენირი...

სივრციდან ვისმენ ძახილს - გამყინავს,

სივრცის მტილოვანს ვარ შეხვენილი.

უსივრცობაშიც სივრცეს დავეძებ,

სივრცით ვნათლდები - სივრცის ნათლული...

მითაჟამური ხმების ნამცეცებს

ვაგროვებ, სივრცის ხმებში ჩაფლული...

კოსმოლოგიურს ვხედავ ლირიკას,

როცა განვიცდი - ვხედავ კიდევაც...

არ ვიცი - ვინ მძულს, ვიცი - ვინ მიყვარს,

სივრცე ცეცხლივით გულს მეკიდება!

ცხელი სიჩუმე

ცხელი სიჩუმე,

ცხელზე ცხელი... ჩახურებული...

მოვითვითრჯულე...

დრო ნავიდა ჩახუმრებული...

შევრჩი ამ ყოფას, –

(ვირტუალურს!) – მისი სურვილით...

ვით უარყოფა,

განზე დავრჩი მარტოსულივით!

ქუში დროება...

თრგუნავს ყველაფერს ქუში დროება, –

არავის ინდობს – მწარედ მბასრავი...

დაბადებამდელ უსივრცობებს

განვიცდი ზოგჯერ ზმანებასავით!

მზე მაყვლობანში ანთია

მზე მაყვლობანში ანთია,

ციური ცეცხლი ციმციმებს...

ის არის – რაც გვინატრია,

ის მოგვხსნის ტანჯვის სიმძიმეს.

კიბე – აწვდილი ცათამდი –

ანგელოზებივით ბრწყინვალეებს...

მან იცის მტყუან-მართალი,

ვინ – უკან და ვინ – წინარე,

ვინ ვის ძრახავდა, აქებდა,

ვინ მტრობს ჩვენს მინას მადლიანს...

ის გადარეკავს აქედან

ამალეკებს და მადიამს!

მზე მაყვლობანში ანთია,

ციური ცეცხლი ციმციმებს...

ის არის – რაც გვინატრია,

ის მოგვხსნის ტანჯვის სიმძიმეს.

თანაფა*

სამყაროს ველიდან ბნელშავი აბოჭა

მნათმა და გამოჩნდა ცის სივრცე მჭვირვალე...

მან კაცთა ძველცოდვა ყოფიდან ამოჭრა

და, მორჩა! აღსრულდა თანაფა... ბრწყინვალე!

* თანაფა (მეგრ.) – აღდგომა; სიტყვასიტყვით: – თენება, გათენება, გადატ. – უდიდესი სიხარული.

მანანა ზაზიკაშვილი**დედას**

ჩემს წონა სანთელს აგინებ, ოღონდ იცოცხლე დიდხანს, ამდენ სიკეთეს ვინ გაძლევს, ჩემო ძვირფასო, მითხარ! მოვდივარ, შენი ნათელი გზა-გზა შუქურად ელავს, სულ ჩვენსკენ რო იხედები, შენ არ გჭირდება შველა?! მაგ შენი სიბრძნით, სიკეთით გულში მიყუჩებ დარდებს, ცხოვრება რთლი რომ არის, გვერდით იმიტომ დამდეგ? ხალხის სიყვარულს მასწავლი, სიბრძნეს სიბრძნეზე აქსოვ, ერთხელ არ იტყვი სხვას ჩემზე მეტი რატომღა აქვსო. შენ ღვთისნიერი ქალი ხარ, მუდამ მშვიდობის მაცნე და იმას ნატრობ მოკვდავთა უბრალო სიას გავცდე. ჩემს წონა სანთელს აგინებ, ოღონდ იცოცხლე დიდხანს, ამდენ სიკეთეს ვინ გაძლევს? ჩემო ძვირფასო, მითხარ!

ენგურო


სალი კლდეების ძმობილო, სად მიიჩქარი ნეტავი, ველარც ქარ-წვიმა გაჩერებს, ველარც სვანეთის კლდეკარი. მოხვალ, თან მოგაქვს გრიალით ლოდები, მთების გულისა, მითხარ, შე გადარეულო, ასე რამ გაგაგულისა? ქუხილით ხედები ალიონს, ქუხილით ხედები სალამოს, ნეტავ რამ უნდა დაგლიოს, ნეტავ რამ უნდა დაგლალოს?! ენგურო, გადარეულო, რომ ვერ გაკავებს კლდეკარი, ამდენი ძალა ვინ მოგცა, გამაგებინა ნეტავი?!

**ალინა კუპრავა****ქართული სული**

ა-რ ვიცი რად ვწერ, ბ-ედისწერა მკარნახობს თვითონ, გ-ავიდა წლები, დ-ა ბავშვობა შორს დარჩა თითქოს. ე-რთი რამ ვიცი, ვ-წერ ქალღმრთელს რასაც განვიცდი, ზ-ღვის ტალღებივით, თ-ავში მერევა აზრები სხვისი.... ი-ქნებ ოცნებას, კ-არს გაუღებს დაჭრილი გული, ლ-ექსში ჩასახლდა მ-ეომარი, მამაცი სული. ნ-აცნობი გზაა, ო-ჰ მაფიქრება სიმღერა წყნარი, პ-ირველ სიტყვას რად ამჩნევია ცრემლების ნამი. ყ-რუანტელივით დამიარა რ-ალაცამ ტანში,

ს-ანთლების შუქზე, ტ-ყვიასავით გაირბენს რაში. უ-ფლის დიდებით ფ-არისევლებსაც იქნებ ვუშველოთ, ქ-რისტეს სახელით ღ-ვთის სასწაული ყველას ვუჩვენოთ. ყ-ურში ჩამესმის შ-რიალებს თითქოს ძველი ჭადარი, ჩ-ვენს საქართველოს, ც-ის და კიდის მსგავსი სად არის?! ძ-ალა დავზოგოთ, ნ-ინ გველის ბრძოლა, ჭ-კუას მოვუხმოთ, ხ-ვედრი ჩვენი ყოფილა ერთი, ჯ-ერაც არის დრო, ჰ-ოი ქართველნო ვინამოთ ღმერთი.

საბავშვო ლექსები



**ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტი მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)**

პატარავს – ანგელოზებს

თქვე ერთმანეთზე კარგებო,
სხივებით დასაქარგებო,
ყოველთვის გულთან სამყოფნო,
ერის მტრებდასაკარგებო.
დაეზარდენით მამულოსა
იმედის ფრთების ფათეუნით,
ჯერ გნამდეთ უფლის დიდება,-
და მერე ენა ქართული.

ათოვს, ათოვს მინდვრებს
წყნარად, წყნარად, წყნარად,
და მახსენებს იმ დღეს
სიყვარულის ბარათს.
სულში მზეა ისევე
და იმედი ფარად,
თუ გიყვარვარ კარგო,
მე ვინდომო სხვა რად?
ათოვს, ათოვს მინდვრებს
გულის გასახარად.
(ძველი ლექსებიდან)

სიყვარულზე ლექსის წერა
თითქოს გადამვიწყებია
და მის გამო ქალ-ვაჟები
სიყვარულით მიწყნრებიან.
მიზეზს მკითხვენ, ვერ ვპასუხობ,
თითქოს გულზე მანვეს ლოდი,

ოხვრით ვიტყვი: ლექსს დავწერდი,
ალბათ, მას რომ ვყვარებოდი.
(ძველი ლექსებიდან)

რა დაამცრობს ღვთიურ ხმებს
ციტ რომ გზავნის ძე ღვთისა,
გაზაფხულის სიმღერებს
სულში ამოტეხილსა.
იავნანის სინაზეს,
და ბალადას ვეფხვისას,
ქვაში ნანთებ ჩუქურთმებს
მზეებრ ჩამოტეხილსა,
ვაზთან გაერთგულებას
მშობლურ გრძნობით გლეხისას,
ტოროლაზე ნათქვამ ლექსს –
სიამაყეს მეხრისას,
ქართულ სიტყვის სიფიცხეს, –
მტერზე დამცემს მეხისას?..
1982 წ.

მზეო სიხარულისავ!..

მზეო, მოეფერე ყვავილს
და გააფერადე ნამი...
სიცოცხლე რომ კეთილი ჰყავი...
დე სულ ასე იყოს...
ამინ!
(ძველი ლექსებიდან)

ნავუკითხოთ პატარებს

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე

დათოს კითხვები

ბებო დათოს კითხვებს
 უკვე ვეღარ ასდის:
 ფისოს სხვენში რომ სძინავს
 მურა რად ვერ ადის?
 როგორ თარგმნის მანქანა
 ათასნაირ ენას?
 მისი თეფში ამდენ ხანს
 რად ვერ სწავლობს ფრენას?
 როგორა სძრავს ამდენ ხილს
 დახუნძლული ხეხილი?
 მურას კუდი რატომ აქვს
 სულ მუდამ აპრეხილი?
 ამ მიწის გაჩენამდე
 მის ადგილზე რა იყო?
 ან ერთი თხილის გული
 ცხრა ძმამ როგორ გაიყო?
 ჩვეულებრივ მინაზე
 დიქტორს რა აჩვენებს?
 იმსიმძიმე თვითმფრინავს
 ცაში რა აჩერებს?
 რად შეარქვეს მტაცებლებს
 არწივი ან ძერა?
 ვინ იფიქრა პირველმა
 ასობის წერა?
 რამდენ ლიტრ წყალს იტევს
 საშუალოდ მტკვარი?
 თავის ბატკანს როგორ სცნობს
 მთელ ფარაში ცხვარი?
 ჩამოსვლამდე წვიმები
 ცაში როგორ იცდიან?
 ვარსკვლავები ბნელ ცაზე
 ადგილს როგორ იცვლიან?
 ნეტავ რა არსებობდა
 ამ მიწაზე ჩვენამდე?
 ცისარტყელა სად ქრება
 ნეტავ გამოჩენამდე?
 რიცხვი ვინ მოიგონა
 წყვილები და ცალები?
 რა თილისმას შეიცავს
 რომ ხედავენ თვალები?
 სწორ კედელზე მერცხალი
 ბუდეს როგორ იგებს?
 ან, ცხოველი მიწისძვრას
 ადრე როგორ იგებს?
 მალლა მთა რამ აზიდა
 რამ დატოვა ველი?
 როგორ იგნებს თავის გზას
 სანთელ-საკმეველი?
 ვითომ ყველა ბრძენია
 ვინც კი არის თავკაცი?
 ნეტავ როგორა ბედავს
 როცა იკლავს თავს კაცი?
 უბრჭყალებოთ თუ ავლენ
 ნეტავ ხეზე კატები?
 აზრებს რით გადასცემენ



ერთურთს ტელეპატები?
 ნეტავ რით განსხვავდება
 ეშმაკი და მაცილი?
 როგორ დაიხატება
 ნეტავ უჩინმაჩინი?
 რად შეარქვეს ნეტავი
 სულელს თავისუფალი?
 მთელ ქვეყანას ნეტავი
 როგორ ფარავს უფალი?
 ნაპრალებზე ჯიხვები
 ხტომას როგორ ბედავენ?
 ცხოველები ღამეში
 ნეტავ როგორ ხედავენ?
 ვინ დაარქვა ჩვენ მხარეს
 საქართველო ნეტა?
 მითია თუ არსებობს
 უცხო სხვა პლანეტა?
 ახლა მე ვეკითხები
 პანანინა მკითხველს;
 უპასუხებს თუ ვერა
 ბებო დათოს კითხვებს?

პაექრობა

შეჯგუფულან პატარები
 მიერთმევენ თხილს და კაკლებს,
 თან, ვინ ვის რაში სჯობია,
 სულ პირწმინდათ ჩამოკაკლეს.
 თეა ამბობს: - მუხლს არ ჩაფხრი,
 მოვიარო თუნდა მთა-მთა,
 - სიმღერაში ვინ მაჯობებს
 გაიბღინდა უცებ თამთა.
 - მე ყველაზე მაღალი ვარ,
 აიზიდა მხრებში იზა,
 - ლამაზი ვარ, სხვამ თქვას ჩემზე
 სქელ თამს იწნავს ძლივს ნარგიზა.
 - ციგურებში რომ ვპირველობ,
 თავს არ ვიქებ: ამბობს ბელა,
 - ლახტში ნეტავ ტოლს ვინ მიდებთ
 გაიფხორა ცქვიტად გელა.
 - მე მიზანში ვარ ძლიერი,
 თან კაკალი გაჰკრა გოგიმ,
 - ქალაქებს ვცნობ, მალხაზიმ თქვა:
 ბათუმია თუა გორი.
 - მე რომ გრძლი ლექსი ვიცი,
 მოიწონა თავი თიკომ,

- მე რომ ვცურავ და ილეთი,
შეასრულა ხელით ნიკომ.
- მუშტიკრივში სუყველა რომ
ერთდროულად გაღრიალეთ,
დაგავინწყდათ? ამბობს ვეფხო
თან დიდ თვალებს აბრიალებს.
- ჭიდაობას ვინ შემბედავს,
ამბობს გოგი – გამოვიდეს,
- თუ ვინ ვისმეს რაში სჯობდა
ყველამ თავი გამოიდეს.
ბოლო სიტყვა თამარმა თქვა,
დინჯად, ბოლთით სიარულში:
- დამეჯიბრეთ სუყველანი:
საქართველოს სიყვარულში.

პატიება

ფისომ ხორცი მოიპარა,
შეკაზმული ნივრით,
ისე, უღვაშები კი აქვს,
ნამუსიანივით.

დასაკარად ბაბუმ ფისო
წაიყვანა „ნივით“,
სახლი იცნო და კნავილით
მოტანტალდა დილით.
ბებოს ისე შეეცოდა,
რომ მობრძანდა თვითონ,
აპატია: - ერთი ლუკმა,
არც გვექონია ვითომ.

ანას გამოცანა

- შიგ რომ აზრი არ დევს
ასე უთხრეს ანას;
- მიტომ ვერ ვაქვეყნებთ
მაგ შენს გამოცანას.
- შიგ რომ აზრი იყოს,
უპასუხათ ანცობით,
- მამ რაღა იქნებოდა
ნეთავ გამოსაცნობი?...



წერილები

ლუარა სორდია

ჰომეროსი და ვაჟა-ფშაველა

ვაჟას მიერ განსახიერებული ბუნება იყო და რჩება, როგორც განცდისა და გაცნობიერების იგავმიუწვდომელი ნიმუში, გაოცების, ფიქრის, ანალიზის მოუბეზრებელი წყარო.

„მიმთითებელი და მაუნყებელი ხასიათი აქვს ბუნებას ვაჟას შემოქმედებაში. მის მიერ მხატვრულად განსახიერებულ ბუნებაში არის მოცემული პასუხი მწერლისთვის მტკიცე ფილოსოფიურ, ლიტერატურულ და სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე“ (1, 108).

ვაჟასთვის დამახასიათებელი სახეებიდან ჩვენ ამჯერად ნისლის ესთეტიკაზე, პოეტის უბადლო ხილვებსა და მათში ნაგულისხმევ ჩანაფიქრზე გავამახვილებთ ყურადღებას, ამასთან, მცირე ექსკურსიცი დაგვჭირდება საკითხის ისტორიის წარმოსაჩენად.

ბიბლიის, ქრისტიანული ღვთისმეტყველების მიხედვით, ღმერთი კაცთაგან დაფარულია, იგი ღვთაებრივ ნისლში სუფევს და ადამიანებს ეცხადება ელვის, ღრუბლის ან ნათლისა და ცეცხლის სვეტის სახით.

ჭეშმარიტი არსებობის მიზანი გამოცხადებაა და ღვთაებრივ ნისლში შეღწევის შეძლებენ მხოლოდ ზნეობრივად განწმენდილი ადამიანები.

საღვთო ნისლის შესახებ მოძღვრების ავტორი დიონისე არეოპაგელი წერდა: „ზეშთაარსებისა იგი ვიხილოთ ნისლი ყოვლისგანვე არსთა შორისის ნათლის დამალული“ (2, 201).

ბიბლიაში მოსე იყო ღვთის რჩეული და ამიტომაც ევლინებოდა სხვათაგან უხილავი: „მოსე მიადგა ნისლს, სადაც ღმერთი იყო“ (გამოსვლა, 20,21) (3,77).

„არეოპაგიტულ კრებულში“ დიონისოა უხილავის მხილველი.

ჰომეროგრაფიაში დიდია სწრაფვა საღვთო ნისლში შეღწევისაკენ. ი. მტბევალი, ეზრა, ი. მინჩხი ელტვიან „შეუვალსა ნისლსა ღვთისასა“.

ასევე, სასულიერო პოეზიაში ნისლი ცოდვის, წვალების, ვნებისა და უღმერთობის სიმბოლოა. „ნისლი წვალეებისა“ (იოანე მტბევალი), „ნისლი ცოდვისა“ (იოანე მინჩხი), „ვნებათა ნისლი“ (ნევემირებული ძლის-პირნი, გვ. 85), „ნისლი უღმერთობისა“ (გიორგი მერჩულე).

ნ. ბარათაშვილის ნისლიდან მბჟუტავი ვარსკვლავი – სატროფოა, აკაკის ნისლით დაბურული სატროფო – სამშობლო, ვაჟას ნისლიანი ვარსკვლავი – მისი პოეტური იდეალი.

საყურადღებოა ნისლის გამოყენებით შექმნილი ფერწერული ხილვები ვაჟას პოეზიაში.

მის ლექსებში მღერიათ, ტირიან, გლოვობენ, ლოცულობენ ნისლები, მინას ბნელით ჰფარვენ, ქვეყანას წყვდიადით ჰბურავენ, ხეებში გორას დგამენ, მთებზე ფარად წვანან, „ცა გაიმურვის ნისლებით, როგორც მურით და ლაფითა“, განოლილია „ღრუბელ-ნისლის ზღვა“, ნისლი მანუგემებელია, ნისლი ბოროტებაა, ნისლი გაბუტულია პატარძალივით.

„სტუმარ-მასპინძელში“ ნისლი დაძინებული და დაფიქრებულია: „სოფლის თავს სძინავს შავ ნისლსა, დაფიქრებულის სახითა“ (4, 173).

ფრთადაკეცილი და ნამტირალევი თეთრი ნისლი მიტკლით წაკრულ თავს ჰგავს: „დილაზე ფრთადაკეცილთა, ნამტირალევთა ლამითა, მთებზე ეძინა ნისლებსა მიტკლით შაკრულის თავითა“ („გველის მჭამელი“) (4, 239).

ნისლი იალბუზის პირსახოცს მოგვაგონებს: „იალბუზი დაბანილს პირსა ინმენდდა თეთრის, წიშარო ნისლითა“ („მთათა ერთობა“).

ნისლიანი იალბუზი „მუდამ ყალიონს აბოლებს, დაჩრდილულია ბოლითა“. ნისლი იალბუზის შვილია („მთათა ერთობა“).

ნისლი „სამოსელია“ კვირიასთვის: „ავდარში შავი ნისლები ტანზე მეხვევა ნაბდადა“ („ბახტრიონი“) (4, 134).

შავი ნისლი ძაძას ემსგავსება: „გადაეხურა, ვით ძაძა, მთებს ჯანლი პირით-პირამდე“ („მთათა ერთობა“).

ნისლი ბუნების ნაბდად ისახვის: „შავი ნისლები ბნელ ღამეში გაძრცივლს, გაროზგილს ბუნებას ტანზე ნაბადასა ჰხურავენ“.

ნისლი ზღვის ნაბადივით მოჩანს: „ზღვა აღარ ჩანდა, ეძინა, ნაბადი დაუხურია“ („უიღბლო იღბლიანი“).

„წყევლის სუდარასთან“ არის ნახსენები ნისლი „სისხლის ძიებაში“, „ჩიბუხების ნისლია“, „მანდილში“.

შავი ნისლის შემზარავი სახე ხან ვეშაპის, ხან გველის ასოციაციას იწვევს: „მთის ძირში სძინავს შავს ნისლსა, სჩანს უზარმაზარ გველადა“ („ხის ბეჭი“).

სხვაგან პირიქით, გველი ჰგავს ნისლს: „ერთ დღესა, გველი, ვით ნისლი, განოლილიყო ხეზედა“ („ბახტრიონი“) (4, 171).

გულზე დახურული ჯანლის ნაბდის ახსნა ბუნების სვედიანი ფერების შეცვლაზე მიანიშნებს: „მოჰმორდა ჯანლი ქვეყანას, მზის სხივს მოერგო ნავარდი და აეხადა გულიდან ზედ დახურული ნაბადი“ („ძალიკა ხიმიკაური“).

ბედი, ცხოვრება, განწყობილება, ტრფიალი ნისლით არის დახასიათებული: „შავი ნისლები მოერცყა ჩვენს უბედურ ბედს ზღუდედა, ყოფნა და სიცოცხლე შავმა ნისლებმა დაჰფარა, შავი ნალველი, გულის მჩაგვრელი, ნისლად და ლოდად გულს ასვენია, მოდის და მოდის შავი ნისლები, როგორაც კუპრი, როგორც დაისი, ნისლითა სულ-გული შეებურება, გულს ტრფიალება გარს ნისლად აქვს შემოხვეული, „ჭკვიდამ შემშლელია“ ქალის „ნისლივით თმა“...

ნისლი სწრაფწარმავლობასაც დაუკავშირა ვაჟამ: „ციდან რომ ნისლი ჩამოვა, დაეფარება მინასა, ის დრო ნაუვა ერთხელაც, აღარა ფიქრობს იმასა“ („ქებათა ქება“) (5, 44).

ვაჟას შემოქმედებაში ნისლი ხშირად ზოგადად ბოროტებას ასახიერებს, ზოგჯერ კი კონკრეტიზებული

სიავეა.

მტრობა და შური შავი ნისლივით შემზარავია: „ბნელოდა შავად. ნისლები სწორედ ფისი და კუპრია. ცა-ხმელთა შუა ბუდობენ, როგორც მტრობა და შურია“ („უილბლო ილბლიანი“).

საოცარ მიგნებად მოჩანს ქრისტეს გამცემ იუდასთან ნისლის ასოცირება, რომელიც ლალატის, ბოროტების მარადიული სიმბოლოა: „უკუნეთია. ცა ღრუბლით, ჭალა და მთები ნისლებით შაბურულია თავ-ბოლოს როგორც იუდა გინებით“ („მამიდას დანაბარები“).

ნისლი მეორე ბიბლიურ სახეს-კაენსაც დაუკავშირდა პოეტმა, ძმის მკვლელი კაენის ბოროტებას პოეტი სისხლიან ნისლად აღიქვამს და ამ ნისლით მორწყულ ქვეყანაში ბოროტების ტოტალურ ხასიათს განგვაცდევინებს: „აბელის სისხლი იქცა დიდ ტბად, ნისლმა შესუტა, ავიდა ცადა, შემდეგ იმ ნისლმა მთელი ქვეყანა მორწყო სისხლითა უხვად, ყველგანა“ („სინდისი“).

ნისლები „მკვდრების სულებს“ ჰგავს („მთათ ძილი“), დაღვრილი გმირების სისხლი „მინის გულს ჩასწვდება“, „შენუხებულ ნისლად“ მოხეთქავს ზევით „ნითელი სისხლის ფერადა“, „ნისლისგან ნაცრემლ მდელოზე“ კი „ყოილი ამოდის“ („ბუნების გლოვა“).

ვაჟას ლექსებში გვხვდება კეთილის სიმბოლოდ გააზრებული ნისლიც, რომელიც ტირის გმირების სისხლზე („ბუნების გლოვა“).

ნისლი ოცნებობს, რომ ღრუბლად იქცეს, ნვიმად მოველინოს დაგვალულ ქვეყანას და ყვავილები აღმოაცენოს („მოლოდინი“) (6, 301-302).

ნისლით გრძნობები და ფიქრებიც დაგვიხასიათა პოეტმა. „ფიქრების რაზმი“ ნისლად შემორტყმია პოეტს, რაც მის ბუნდოვანებას უსვამს ხაზს („კახეთს“), ფანდურის ხმას კი გული „შეუმურავს“ ნისლით, სევდით („ფანდურს“).

„ნისლი ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის გვირგვინი“ - ვაჟას განუმეორებელ ხილვათა რიგს ეკუთვნის. ნისლიანი მთა თავისთავად არის ბუნებისეული სილამაზის ხატი, ხოლო ფიქრის სახელდება ნისლად და ამ ფიქრის წარმოდგენა კაცობის გვირგვინად კონკრეტულ-აბსტრაქტულის სინთეზირების განუმეორებელი მაგალითია.

„რაზმი და რაზმი ფიქრების გარს შემომერტყა ნისლად“ - გვიზიარებს თავის ფიქრიან განწყობილებას პოეტი.

უზენაესით შთაგონებული ფიქრებიც ნისლით წარმოიდგინება: „ერთი რამ მინდა სათქმელად, გულს ნისლად დაფარებული, ციდან ცა-ქვეყნის გამგესი სამღერლად დაბარებული“ („ერთი რამ მინდა სათქმელად“) (6, 308).

ნისლის საშუალებით გამოხატა ვაჟამ შეუცნობლობის, სხვათაგან დაუნახაობის ტკივილი, დიადისა და მდაბალის მიმართებაც ამ სახით გაგვიცნობიერა. ნისლი გამოიყენა ვაჟამ, როგორც პერსონის უგულვებლყოფის, ჩრდილში მოქცევის, მისი ღირსების დაფარვის საშუალება.

ასეთი ხერხი ცნობილია ლიტერატურის ისტორიაში.

ლესინგი აღნიშნავს, რომ „ჰომეროსმა დაამუშავა არსისა და მოქმედების ორგვარი სახეობა: ხილული და უხილავი... პოეტისათვის ნისლი, ღრუბელი, ღამე... პოეტური ხერხია..., იეროგლიფია, სიმბოლური ნიშა-

ნია, რაც ცვლის გამოთქმას „უჩინარი“, „გაუჩინარება“... და დამკვირვებელს ეუბნება: „უნდა წარმოიდგინოთ, რომ უჩინარია“. ჰომეროსთან გმირის წინასწარ ნისლში გახვევა იმ მიზნით კი არ ხდება, რომ ირგვლივ მყოფმა ადამიანებმა გმირის ნაცვლად ნისლი დაინახონ, არამედ იმისთვის, რომ მნახველმა იგრძნოს, კაცი გაუჩინარდაო. რაკი ნისლით დაიბურა, ის უკვე უხილავია“.

ჰომეროსისეული ნისლები... გაუჩინარების, გაქრობის ნიშანია და ლესინგი უკიჟინებს მხატვრებს პოეზიისა და მხატვრობის საზღვრების მოშლას, შენიშნავს, რომ ისინი ჰომეროსისეულ ნისლებს ყოველთვის და არასაჭირო შემთხვევაში იყენებენ“ (7, 92, 94, 95).

ჰომეროსის „ილიადაში“ ტიდევის პირმშოს „ღმერთი იცავს“, მხრებზე ნისლი დაუფენია, მოფრენილ ისარს მეყსეულად ამორებს ხოლმე“ (8, 84).

ზევსი ჰერას ოქროს ღრუბელს მოახვევს, რათა სხვათათვის უჩინარი გახდეს მათი შეხვედრა: „შემოგებევსა შენ გარშემო ოქროს ღრუბელი, შიგ ვერ შეაღწევს შუქმფინარი მზე - ჰელიოსი“... ინვინენ უკვდავნი, მოებურათ ოქროს ღრუბელი“ (8, 270).

პოსეიდონმა „პელევსის ძის თვალწინ მოჰფინა მრუმე წყვიდადი“ (8, 393). ასევე, „იმნამს გაფანტა აქილევსის თვალთა წინაშე ღმერთმა ღრუბელი ჯადოსნური“ (8, 394).

აპოლონმა კი „გმირი შებურა ყომრალი ღრუბლით“ (იქვე, 8, 440).

იგივე ხერხია გამოყენებული „ოდისეაში“: „ტელემაქე და ოდისევსი ათინამ ნისლით შებურა და უგრძნეულოდ გაიყვანა ქალაქიდან“ (9, 371).

აღსანიშნავია ისიც, რომ მოვლენათა გაუჩინარება-გაიდუმალების ხერხი უცხო არაა ხალხური შემოქმედებისთვისაც.

ჰომეროსისეულ კონტექსტში გამოიყენა ვაჟამ ნისლები „იალბუზში“ და ნისლი სხვათა ღირსების გაუფასურების, მიჩქმალვის საშუალებაა. ბუნების ეს მოვლენა ბოროტთა და შურიანთა მსახურად აქცია პოეტმა.

ემშაკმა „შურით მონათლა მთელი არსება მთებისა, ძმის დასალუჰად ამხედრდა გრძნობა-გონება ძმებისა...“ მთებს აღიზიანებთ გმირი იალბუზი, მისი განთქმული სახელი და რაკი ამ გოლიათის დაშლა-დანგრევა არ შეუძლიათ, უნდათ დაამხონ და დაამცირონ. ამიტომ გადაწყვიტეს თავიანთი ჯანლი, ღრუბლები და ნისლები იალბუზს მოახვიონ. მთებმა „ყოველის მხრიდან მოლალეს ჯარი ნისლისა... ერეკებიან ნისლებსა მთები ნისლით და მუშტითა, თან უბრძანებენ, იალბუზ დაფარონ ფერით კუშტითა. ისე დაფარონ, ხალხისა ველარ ჰხედავდეს თვალები და დარჩეს სიბნელეშია მტირალი, განანვალეები. დაესხა სანყალს იალბუზს მთელი ნისლების ძალები, უჩინარი ჰყვეს ერთს წელსა გმირის ტანი და მკლავები“. ხარობენ ამ სეირის შემყურე „ფერუმარლით ნათითხნი“ მთები, რომ „იალბუზს დასცეს ნისლები, თავად კი შეიმსუბუქეს ტვირთით ზურგი და კისრები. როგორც ზღვა გამოვარდნილი, იალბუზს ჯანლი ჰხვეოდა, აღარა სჩანდა მთელ ერთ წელს, ღრუბლები გამოჰსვოდა“.

მეხი, სეტყვა და წარღვნა დაატყდა იალბუზს, მაგრამ მის დასაცავად არავის გაუძმრევია ხელი.

„ნისლის ბოინის“ შემცნობი იალბუზი გაოცებული

იყო, რომ სიკეთის საზღაურად ეს ერგო. მან დაასკვნა: „მიზეზად მიძლევარებისა ჩემი სიდიდე ვსცანია. აღარც ეს მინდა, თუ მისგან შემიძლებენ ძმანია. გთხოვ, გამასწორო სხვებთანა და შემიმცირო ტანია, მით მოვსპოთ საშუალება, შურისა მოსაყვანია“ (10, 253-257).

მაგრამ ღმერთმა არ გასწირა იალბუზი, ბრძანა შფოთის შეჩერება და ნისლების უკან მოდენა. ანგელოზების ნასროლი შურდულით ეშმაკი ჯოჯოხეთში ჩავარდა და ხანმოკლე გამოდგა მისი ზეიმი. „მთებს ღმერთმა შეაგებინა თავის ღვთიურის ცნობითა, ამიერიდან იალბუზს უცქერენ კაის გრძნობითა... რომ დიდებული მოძმე ჰყავთ, სრული სიკეთით ყოვლითა. გამდიდრდა მათა გონება სრულიად ახლის ცოდნითა... მთებს ანგელოზი ჰპატრონობს, მის ძალას შეაწონვისა“. (10, 260-261).

ამ ერთი სახის გამოყენებაშიც ვაჟა იჩენს გენიოსის ძალისხმევას, ორიგინალობას და მხარს უსწორებს მსოფლიო მნიშვნელობის მქონე სახელებს.

„იალბუზის სიმღერაში“ ქართა და ნამქერით განამებული იალბუზი ამბობს: „იქნებ სიმალემ მიმრავლა საგრძნობი-სამწუხარია?!“ ამ ლექსში ნისლს სულ სხვა ფუნქცია აკისრია, იგი იალბუზის მანუგეშებელია გულგატეხილობის ყამს და მისი სურვილია, ეს მთა იყოს „ვაჟკაცი მუდამ ლალი და სრულია! რად გინდა დააქუცმაცო დიადობისა რჯულია?!“

ასე გამოხატავს ვაჟა სიდიადის, სიმალის სატიკვარს და ნისლს წარმოგვიდგენს, როგორც იალბუზის გამორჩეულობით გახარებულს, მის მანუგეშებელს.

ასეთია ვაჟას მიერ პერსონიფიცირებული ნისლი. მაგრამ ამით არ ამოიწურება ბუნების მესაიდუმლე პოეტის ხილვები.

„ალუდა ქეთელაურში“ ნისლი პერსონაჟს ჰბურავს, როგორც მისი გაუცხოების, პიროვნული გაურკვევლობის სიმბოლო. ალუდა, რომელიც თემის არაჰუმანურ ტრადიციას პირველი აუმხედრდა და ვაჟაკურად დაცემული მტრის შესანიშნავი მიიყვანა ხატობაზე, ხალხის თვალში ნისლით მოსილია მისი შინაგანი სამყაროს შეუცნობლობის, გაუგებრობის გამო, ამიტომ ალუდა „ნისლივით მოდგა ხატობას“ (4, 121).

პოემა „უიღბლო იღბლიანის“ პერსონაჟი საბრალო თავისი გამორჩეული ბუნებით ხან ქარს, ხან ღამეში

ნისლის ციაცს ედრება: „საბრალო... გაჰკვივის, როგორც მთის ქარი და ნაბუერი ყანისა, ნისლად დაედგა მინდორსა, როგორც ციაცი ღამისა“.

სულა და კურდღელა „შავად ჩაცმულნი... სხედან, ვით მთანი ნისლით ბურვილნი“ („სულა და კურდღელა“).

შემზარავია „ურიცხვი ლეკის ლაშქარი“, რომელიც „ნისლივით დანვა მთაზედა. ცას სისხლის სვეტი ავიდა. მზე ძაძას იცვამს ტანზედა“.

ამ მოულოდნელი უბედურებით დაბნეული ვაჟკაციც ნისლს ემსგავსება: „თვითონ ვაჟკაციც ნისლს ჰგავდა, მათი იერი სდებოდა“ (დაუმთავრებელი პოემა „თუ ვინმე მოდის“).

სიმბოლურია და სიკეთის დაუნახაობას მოასწავებს პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ ჯანლი, რომელიც ფარავს პოემის ბოლო თავის სასიამოვნო სანახავს (4, 204).

ასე შემოქმედებითად ისარგებლა ვაჟა-ფშაველამ წინარე პოეტური ტრადიციებით, მრავალგვარი გააზრება მისცა ნისლს, ერთ-ერთ ასპექტში კი ბერძნული სიტყვის ჯადოქარს შეხვდა და ტოლივით ჩამოართვა მას ხელი... თანაც, ეს ნათესაობა ტიპოლოგიურია და არა გენეტიკური.

ლიტერატურა

1. **გრიგოლ კიკნაძე**, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბ. 1957
2. **ფსევდო დიონისე** არეოპაგელი, „შრომები“, თბ. 1961
3. **ბიბლია ორ წიგნად**, წიგნი I
4. **ვაჟა-ფშაველა**, თხზულებანი, 1986
5. **ვაჟა-ფშაველა**, ხუთტომეული, ტ. 1, თბ. 2011
6. **ვაჟა-ფშაველა**, ხუთტომეული, ტ. 2, თბ. 2011
7. **ლესინგი**, „ლაოკონიანუმხატვრობისადაპოეზიის საზღვრების შესახებ“, თბ. 1986
8. **პომეროსი**, „ილიადა“, ძველბერძნულიდან თარგმანი რ. მიმინოშვილის, თბ. 1990
9. **პომეროსი „ოდისეა“**, თარგმანი ზ. კიკნაძის და თ. ჩხენკელის, თბ. 1975
10. **ვაჟა-ფშაველა**, ხუთტომეული, ტ. 3, თბ. 2011.

თეა ჯღარკავა

ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის ცნება და მისი შინაგანი კავშირი ველის ცნებასთან

ცნობილია, რომ ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია, როგორც ცნება ეკუთვნის თანამედროვე ფუნქციურ ლინგვისტიკას და აღნიშნავს – გრამატიკული კატეგორიებისაგან განსხვავებით, ისეთ ლოგიკურ-სემანტიკურ კონცეპტს, რომელიც შეიძლება გამოხატულ იქნას როგორც გრამატიკული, ისე ლექსიკური საშუალებებით. დახასიათება როგორც ლოგიკურ-სემანტიკური კონცეპტი უფრო ფართოა თავის შინაარსით, ვიდრე „დახასიათება“ როგორც სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა და ეს უკანასკნელი შეიძლება წარმოადგენდეს ამ ფართოდ გაგებული კონცეპტის მხოლოდ ერთ კონკრეტულ დონეს. მოცემულ ეტაპზე

კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ „დახასიათება“ როგორც სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა შეიძლება, ალბათ, არც მოგვევლინოს ზემოთ ხსენებული კონცეპტის უმაღლეს დონედ: „დახასიათება“ მხატვრულ ტექსტში გამოიყენება მაშინ, როცა პერსონაჟის დახასიათება ხდება ავტორისეულ მეტყველებაში. მაგრამ პერსონაჟის დახასიათება შეიძლება მოხდეს ისეთ სიუჟეტთან დაკავშირებულ მომენტებშიც, რომლებიც ეკუთვნიან ერთდროულად სიუჟეტსაც და იმ ფართო კონტექსტსაც, რომელსაც გულისხმობს დახასიათების ზემოთ ნახსენები ფართო კონცეპტი. ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია წარმოადგენს სწორედ ისეთ

კატეგორიას, რომელიც გულისხმობს ერთიდა იგივე ფუნქციის მატარებელ, მაგრამ სტრუქტურულად განსხვავებული სახის ენობრივ ერთეულთა ერთობლიობას – ისეთ ერთობლიობას, რომელიც არსებობს ენის სისტემაში ველის სახით; ველის ცნება კი, როგორც ვიცით, გულისხმობს ისეთ ენობრივ რეალობას, რომლის ფარგლებში უნდა გვექონდეს ცენტრი და პერიფერია. ასეთია ზოგადად ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის ცნება და მისი შინაგანი კავშირი ველის ცნებასთან. მაგრამ, რაკი კვლევის პროცესში ჩვენ საქმე გვაქვს მხატვრულ ნარატივთან, აუცილებელი ხდება იმის დაზუსტება, თუ რა სახე შეიძლება მიიღოს დახასიათებამ როგორც ფუნქციურ-სემანტიკურმა კატეგორიამ და მისმა შესაბამისმა ველმა იმ შემთხვევაში, როცა ენობრივი სისტემის აქტუალიზაციის შედეგად ვიღებთ არა „ჩვეულებრივ“ ტექსტს, ანუ ტექსტს, რომელიც ეკუთვნის ყოველდღიურობის ფუნქციურ სტილს, არამედ მხატვრულ ტექსტს, სახელდობრ კი მხატვრულ ნარატიულ ტექსტს. დასმულ კითხვაზე შეიძლება გაიცეს ორი სახის პასუხი: ა) ზოგადი სახის პასუხი, რომელიც გაითვალისწინებს იმ ტექსტობრივი სინამდვილის სპეციფიკას, რომელიც უნდა მივიღოთ ენობრივი სისტემის აქტუალიზაციის შედეგად. ამ შემთხვევაში ეს პასუხი, ბუნებრივია, უნდა ატარებდეს ჰიპოთეტურ ხასიათს: რაკი თავიდანვე ცნობილია, რომ ენის აქტუალიზაცია იძლევა მხატვრულ ნარატივს და ამავე დროს ცნობილია, რომ ამგვარ ნარატივში შეუძლებელია გაისვას მკვეთრი „დემარკაციული ხაზი“ ნარატივის საკუთრივ სიუჟეტურ და არასიუჟეტურ ასპექტებს შორის, უნდა ვიფიქროთ, რომ დახასიათების ფუნქციურ-სემანტიკურ ველში ცენტრის სტატუსს დაიკავენ „დახასიათება“ როგორც სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა, მაგრამ ცენტრთან ახლოს შეიძლება განლაგდეს დახასიათების ფუნქციის მატარებელი სტრუქტურული ელემენტები; ბ) მაგრამ, რა თქმა უნდა, აუცილებელია ზემოთ გამოთქმული ვარაუდის (ჰიპოთეზის) ადეკვატურობა ვერიფიცირებულ იქნას უკვე ტექსტობრივი კონკრეტიკის დონეზე.

სწორედ ზემოთ ნახსენები ორი დონის (ენობრივი და ტექსტობრივი დონეების) ურთიერთმიმართების გამოხატვის მიზნით თანამედროვე ტექსტის თეორიაში არსებობს „ტექსტობრივი ბადის“ ცნება. მონოგრაფიაში „გრამატიკულ კატეგორიათა პოეტიკა“ ლ. ნოზრდინა ლაპარაკობს ისეთი ორი ფენომენის ურთიერთობაზე, როგორცაა, ერთის მხრივ, ლექსიკურ-გრამატიკული ველის ენობრივი ფენომენი და, მეორეს მხრივ, ტექსტობრივი ბადის ფენომენი. იგი შემდეგნაირად განსაზღვრავს ამ ორი ფენომენის ურთიერთმიმართებას: „ლექსიკურ-გრამატიკული ველისგან და ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიისაგან განსხვავებით, რომლებიც წარმოადგენენ პარადიგმატულ კატეგორიებს, ტექსტობრივი ბადე არის სინტაგმატიკური, ტექსტობრივი კატეგორია“. (1)¹ განაგრძობს რა ხსენებულ კატეგორიათა ურთიერთმიმართებაზე მსჯელობას, ავტორი წერს: „თუ დავუკ-

ვირდებით იმას, თუ როგორ ავლენს ველი თავის თავს ტექსტში, დავინახავთ, რომ მასში ჩნდება არა ველის ყველა წევრი, არამედ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი.

გარდა ამისა, ზოგი ენობრივი საშუალება ტექსტებში გამოიყენება ხშირად, ზოგი კი – იშვიათად. ზოგი მათგანი კი თითქოს „მიბმულია“ გარკვეულ ფუნქციურ სტილზე; სხვა სტილებში კი თითქმის არ გვხვდება. ასე რომ, ველი წარმოადგება ტექსტში როგორც ისეთ ენობრივ საშუალებათა გარკვეულ ერთობლიობად, რომლებიც გამოხატავენ გარკვეულ სემანტიკურ შინაარსს (ტემპორალობას, მოდალობას და ა.შ.), ეს ენობრივი საშუალებები ერთიანდებიან ცნებაში „ტექსტობრივი ბადე“ (2)². ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ის, თუ, ავტორის აზრით, რაზეა დამოკიდებული ამგვარი ტექსტობრივი ბადის შემადგენლობა. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: „ამგვარი ბადის შემადგენლობა დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, პირველ რიგში კი – ფუნქციურ სტილზე და იმ ჟანრზე, რომელსაც განეკუთვნება მოცემული ტექსტი. რადგან ტექსტი არის სამეტყველო ქმედება, ტექსტობრივი ბადეც წარმოადგენს სინტაგმატიკურ კატეგორიას“ (3)³. დახასიათება როგორც ლოგიკურ-სემანტიკური, ანუ კონცეპტუალური უნივერსალია წარმოადგენდეს საკუთარი ველის მქონე ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიას.

რა თქმა უნდა, ამ ველის ცენტრად უნდა წარმოვიდგინოთ „დახასიათება“ როგორც სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა. ჩვენს მეორე თეორიულ-მეთოდოლოგიურ პრინციპს წარმოადგენს იმ ორგანული კავშირის დანახვა და რეალიზაცია, რომელიც უნდა ვიგულისხმოთ დახასიათების როგორც ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის ველსა და თვით ნარატიულ ტექსტში წარმოდგენილი დახასიათების ტექსტობრივ ბადეს შორის. ვფიქრობთ, ჩვენი კვლევისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ხსენებული კავშირის დანახვა, არამედ იმის ხაზგასმაც, რომ ეს ორი ენობრივი ფენომენი – ფუნქციურ-სემანტიკური ველი და ტექსტობრივი ბადე – ხასიათდებიან არსებობის საპირისპირო მოდუსებით:

ველი არსებობს ენობრივ სივრცეში, ბადე კი ლინეარულად, ე.ი. არსებობს დროითი მოდუსი. აქედან გამომდინარე უნდა მივიჩნიოთ, რომ ნებისმიერი პერსონაჟის დახასიათება ნარატიულ ტექსტში რეალიზებული უნდა იყოს ბადის სახით. თვით ბადეს კი უნდა ჰქონდეს ლინეარული სტრუქტურა, რადგან თვით ტექსტი არსებობს ლინეარულად.

იმის შემდეგ, რაც განვმარტეთ ისეთ ლინგვისტურ კონცეპტთა ურთიერთმიმართება, როგორცაა, ერთის მხრივ, დახასიათება როგორც ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია და ის ტექსტობრივი სტრუქტურა, რომელიც შეიძლება შეიძინოს ამ კატეგორიამ მხატვრულ ნარატივში, ანუ დახასიათების ტექსტობრივი ბადე, შეგვიძლია დასრულებულად მივიჩნიოთ იმ თეორიული და მეთოდოლოგიური ბაზის განსაზღვრის პროცესი, რომელიც გვჭირდება ჩვენი კვლევითი მიზნის განხორციელებისთვის.

¹ ხ. გამეზარდაშვილი, ვერბალური პორტრეტი, როგორც მხატვრული პორტრეტი, როგორც მხატვრული კულტურის ფენომენი, და მისი ტიპოლოგიზაცია, როგორც მეთოდოლოგიური ფენომენი, და მისი ტიპოლოგიზაცია, როგორც მეთოდოლოგიური პარადიგმა იხ: „ენა და კულტურა“, თბილისი, 2006, გვ. (51-52)

² იქვე
³ იქვე

თეა ჯღარკავა
დასკვნა

ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის ცნება და მისი შინაგანი კავშირი ველის ცნებასთან

იქიდან გამომდინარე, რომ პერსონაჟის დახასიათებისას შეუძლებელია გამიჯნო ერთმანეთისაგან ამ დახასიათების საკუთრივ ავტორისეული და საკუთრივ სიუჟეტური მომენტები, აუცილებელი ხდება დახასიათებათა შემცველ მთელ ენობრივ სპექტრს საფუძვლად დაედოს დახასიათება როგორც ლოგიკურ-სემანტიკური კონცეპტი, ანუ დახასიათება როგორც ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია, ხოლო ამ კატეგორიის თანმხლებ ენობრივ ფენომენად მიჩნეულ იქნას დახასიათების ენობრივი ველი;

სტატიაში ნათქვამიდან უშუალოდ გამომდინარეობს პერსონაჟის დახასიათების როგორც ტექსტობრივი ბადის შედეგი მოდელი: ერთის მხრივ უნდა ვიგულისხმოდ, რომ პერსონაჟის დახასიათებას აქვს დონეობრივი სტრუქტურა და „დახასიათება“ როგორც სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა წარმოადგენს მის მხოლოდ ერთ-ერთ, თუმცა ამავე დროს ყველაზე მაღალ დონეს. ამავე დროს ხსენებული ტექსტობრივი ბადის მოდელმა უნდა მოიცვას სიუჟეტის ის მომენტებიც, რომლებიც „ემსახურებიან“ პერსონაჟის დახასიათებას ზემოთ ფორმულირებული გაგებით. დახასიათების ტექსტობრივი ბადის ჭეშმარიტი, ანუ სრული მოდელი უნდა მოიცავდეს ორივე ხსენებულ მომენტს;

ლიანა წურნუშია

მამუკა ბარათაშვილის ესთეტიკური შეხედულება

მამუკა ბარათაშვილი ვახტანგ VI-ის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელია, პოეტიკის თეორეტიკოსი, მგრძობიარე პოეტი, რომელიც თავის შემოქმედებაში ახალი საზომებისა და სასიმღერო-სალექსო „ხმების“ შერჩევისას წყაროდ ხალხურ შემოქმედებას იყენებდა, რითაც გადაახალისა ქართული ლექსის სტროფიკა, რიტმიკა და სარიტმო სისტემა. ნიშანდობლივია, რომ მ. ბარათაშვილის შემოქმედებითი ძალა სალექსო ფორმის მხატვრულ ღირებულებაში უფრო ვლინდება, ვიდრე შინაარსობრივ სიახლეში.

მამუკას ლექსების ძირითადი მოტივია პატრიოტული მელანქოლია. ვახტანგ VI-სთან ერთად რუსეთს გადახვენილი პოეტი უიმედო, სევდიანი განწყობილებით გამოხატავს ემიგრანტის სულიერ მდგომარეობას. მასთან ერთად გადახვენილ თანამემამულეთა უმოქმედობა, რუსთა სამეფო კარის ცრუ დაპირებები პოეტს თანდათან უკარგავდა სამშობლოში დაბრუნების იმედს, ამიტომაც ისმის მის ლექსებში საწყალობელი ჩივილი: „შეგენწყალოდესთ ყოველთა, მწირი მწირობდეს რებულად“ („გრჩობლადი“), ან „ვით განვიმართლო, უცადმან რა იცის ჩემთვის ჭირებად? ნუმცა ვის მოგვედეს ჩემებრივ, გული მკვნეს – აღმომტირებად“. „მწირობამ სხვათა თემისა და უქმად გდებამ“ პოეტს „სანუთო ესე მუხთალი, ყოველთა მტერი“

Tea Jschgarkava

Summery

“Concept of Functional-Semantic Category and its Inner Connection with a Field Concept.”

It follows that a personage characteristic is impossible in solitude with the author's own characteristic and plot's moments; It is necessary to the whole lingual spectrum which includes the characteristics as a logical-semantic concept or the characteristic of a functional-semantic category, and this category's lingual phenomenon may be considered to be the characteristic of a lingual field.

In the given article, hence it follows that a personage characteristic as a textual net resulted model may be considered the following: a personage characteristic has a level structure and “the Characteristic” as a speech-composition form notions the only and at the same time the given textual net includes the plot's that moment, which “serves” personage characteristic is above formulated comprehension. The characteristic's textual net's veritable complete model must include both above mentioned moments.

დაანახა. „ბევრი ჰყავს ჩემებრ მდურავიო“, - ამბობს ნუთისოფელზე და წყევლის „ცრუ და ჭრელ სანუთოს“ („მოკლე შეწყობილი“).

ამრიგად, „სოფლის სამდურავის“ თემა, რომელიც ერთ-ერთი ძირითადია აღორძინების ხანის პოეტთა შემოქმედებაში, გრძელდება მ. ბარათაშვილთანაც. ასევე მემკვიდრეობით ხაზს აგრძელებს იგი სატრფიალო ჟანრშიც, თუმცა ვახტანგ VI-ის ლიტერატურული სკოლის აღზრდილი პოეტი ემიჯნება თავის მასწავლებელს იმით, რომ ვახტანგისეული სიმბოლურ-მისტიკური სახის ნაცვლად ტრფობის საგნად რეალურ, მწიერ არსებას ირჩევს და ისეთი ბრწყინვალე ეპითეტებით ამკობს სატრფოს ხორციელ სილამაზეს, რომ მკითხველის წარმოდგენაში ოდნავადაც არ იჩრდილება ქალის სულიერი სისპეტაკე და ზნეობრივი სიფაქიზე. კ. კეკელიძის თქმით, მ. ბარათაშვილმა „ქართული სატრფიალო პოეზია ზეციური სამყაროდან ამქვეყნად ჩამოიყვანა და დაამკვიდრა“. სწორედ ამ ნიშნით მ. ბარათაშვილი XVIII ს.-ის II ნახევრის სატრფიალო ლირიკის ბრწყინვალე წარმომადგენლის ბესიკის წინამორბედად შეიძლება მივიჩნიოთ. მით უფრო, რომ მამუკას სატრფიალო ლექსების მხატვრულ-გამომსახველობითი ფერებისა და რითმული ჟღერადობის გავლენა ბესიკის პოეტურ ენაზე აშკარად შესამ-

ჩვეია. დავიმონმით მამუკას ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „ვიხილე შენი შვენება“: „ვიხილე შენი შვენება – სახესა ვეტრფიალები... სულო, ალვად აღზრდილი ლელნამი – წვლილს ტანსა ვეტრფიალები. შავნი, მშვილდურად მოხრილი, – წარბებსა ვეტრფიალები... სულო, მჭვრეტე გულსა დამასობელსა – წამნამთა ვეტრფიალები“.¹

როგორც ვხედავთ, მამუკას სატრფიალო ლექსები თავისებურია სწორედ მხატვრული გამოსახვის ახალი ფორმითა და ლექსის მუსიკალური ჟღერადობით.

მართალია, ქართული ლექსი მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა იყო და ქართულ პოეტურ კულტურას შოთა რუსთაველმა მყარი საფუძველი შეუქმნა, მაგრამ XVII-XVIII სს.-ში ახალმა მხატვრულ-ესთეტიკურმა ხედვამ, რაც აღორძინების ხანის ქართულმა სინამდვილემ მოიტანა, ჟანრობრივი მრავალფეროვნება და ახალი გამომსახველობითი საშუალებები მოითხოვა. ცხადი გახდა, რომ რუსთაველისადმი ბრამა მიმბაძველობამ გააღარიბა მხატვრული სიტყვის არსენალი. აღორძინების ეპოქის პოეტებმა შეძლეს გადაეხალისებინათ ქართული ლექსი, გაეფართოვებინათ მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზიერი, შემოეტანათ ეროვნული თემატიკა, რეალური ფაქტები და სახეები, ახალი მოტივები, ჟანრული ფორმები, ამ საქმეში უდავოა მ. ბარათაშვილის დამსახურება: მისი პოეზია მხატვრული ფორმების ნაირფერობით გამოირჩევა, შეინიშნება არქაული ენის ხალხურ-სასაუბრო ენასთან დაახლოვება. მამუკა იყენებს ხალხურ ლექსიკას, მეტყველებას, სახეებს, რაც განსაკუთრებულ მუსიკალურ ჟღერადობას ანიჭებს მის ლექსებს. მ. ბარათაშვილი აგრძელებს და ავითარებს ვერსიფიკაციული ნოვატორობის იმ გზას, რომელსაც სულხან-საბა ორბელიანმა მიმართა („ქილილა და დამანას“ ლექსები). ამის თაობაზე დიდი მოწონებით საუბრობს თავის თეორიულ ტრაქტატში „ჭაშნიკი“.

მ. ბარათაშვილის პოეტურ მემკვიდრეობიდან ჩვენამდე ყველაფერი არ მოღწეულა, მაგრამ ის, რაც ცნობილია, სავესებით საკმარისია ქართული პოეზიის ისტორიაში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული დამსახურება მ. ბარათაშვილს ქართული თეორიულ-ესთეტიკური აზრის განვითარებაში მიუძღვის. მან ქართულ სააზროვნო სივრცეში პირველმა შექმნა ნორმატიკული პოეტიკის სახელმძღვანელო – თეორიული ტრაქტატი სახელწოდებით „ჭაშნიკი“ ანუ „სწავლა ლექსთა თქმისა“. ეს თხზულება უშუალოდ ვახტანგ VI-ის დავალებით შესრულდა მოსკოვში 1731 წ. ნიგნი თამამად შეიძლება ჩაითვალოს პირველ თეორიულ განაზრებად ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიაში, რადგან მისი ძირითადი ნაწილი ხელოვნების, კერძოდ, პოეზიის არსისა და დანიშნულების ზოგადესთეტიკურ საკითხებს არკვევს, მეორე ნაწილში კი თავმოყრილია ქართული ლექსთწყობის მხოლოდ ნიმუშები.

ვეროპული აზროვნების ისტორიამ ბევრი მაგალითი იცის იმისა, რომ ხელოვნების ერთ-ერთი სახის (პოეზიის, ტრაგედიის, ფერწერის, ქანდაკებისა და ა.შ.) თეორიულ საკითხებზე შექმნილ თხზულებას ზოგადესთეტიკური კვლევითი ხასიათის გამო ესთეტიკის ისტორიის კუთვნილებადაც აცხადებენ. (მაგ.

არისტოტელეს „პოეტიკა“, ჰორაციუსის „პოეტიკა ანუ მიმართვა პიზონებისადმი“, ბუალოს „პოეტიკა“, ლესინგის ლაოკონი“ და სხვ.). ანალოგიური შემთხვევა გვაქვს მ. ბარათაშვილის „ჭაშნიკთან“ დაკავშირებით. ვფიქრობთ, უმართებულოა მ. ბარათაშვილის „ჭაშნიკის“ მხოლოდ ლექსთწყობის წიგნად მოხსენიება, ეს აკინებებს მის მნიშვნელობას ქართული თეორიული აზრის ისტორიაში. ამაში დავრწმუნდებით, თუ დანვრილებით განვიხილავთ ავტორის ესთეტიკურ შეხედულებებს ხელოვნების არსისა და საგნის, დანიშნულების, ფორმის და შინაარსის, მხატვრული სიტყვის გამომსახველობითი ბუნების, მისი ესთეტიკური შემოქმედების (სპეციფიკის) შესახებ და სხვ.

„ჭაშნიკის“ ავტორი ხელოვნების, კერძოდ, პოეზიის შესახებ საუბარს გარკვეული მიზნით იწყებს – გამოკვეთოს ხელოვნების დანიშნულება, ადამიანისათვის საჭიროება. მისი ყველა შეგონება პოეზიის დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი როლის ხაზგასმას ემსახურება.

მ. ბარათაშვილი თვლის, რომ პოეზია სერიოზული საქმეა, რომელიც ადამიანს უკვდავებისთვის სჭირდება: „ლექსი ერთი რამ არის ამ სოფლის საქმეში. ამისათვის ამ სოფლის საქმის ცდა კაცისთვის ყოველივე ამაზედ არის – სიკვდილს უკან მოიგონებდეს“. როდის იქნება პოეტის სახელი უკვდავყოფილი? მამუკას აზრით, მხოლოდ მაშინ, თუ „სიტყვის სიმარჯვითა და ცოდნის ძალით, სულიერის ცოდნითა და სამხედრო ცოდნით“ შექმნის თავის ნაწარმოებს. მხოლოდ იმ შემთხვევაში „მთქმელი მოიგონება და მსმენი ისწავლის“.

მწერლობას აღმზრდელობითი დანიშნულება აქვს, – თვლის მ. ბარათაშვილი, – ამიტომ სიფრთხილთა საჭირო სათქმელის შესარჩევად. პოეტმა მხოლოდ „კარგი“ უნდა თქვას, რადგან თუ „ავზედა თქვა, ურიგოდ თქვა, ქებისა და მოგონების ნაცვლად საძრახავი და საგმობელი იქნება“... „კაცმა ავი ამბავი არ გალექსოს... რადგან ავის მთქმელი“ პოეტი ცოდვას ჩადის, მსმენელის ზნეობას რყვინს, „ავს ასწავლის“. ამრიგად, მ. ბარათაშვილის მტკიცებით, მწერლობას ადამიანის ზნეობრივი აღზრდა ევალება. მამუკა, როგორც ნორმატიკოსი, აფრთხილებს მნიგნობრებს, რომ „ეს სწავლა“ იმიტომ დავწერე, „ლექსი ურიგო არავის მოუვიდეს“.²

მამუკა დიდ ყურადღებას აქცევს ნაწარმოების იდეურ-შინაარსობრივ მხარეს. იგი დანვრილებით საუბრობს პოეზიის საგნის შესახებ, აკონკრეტებს თუ რაზე უნდა წეროს პოეტმა. აქ, უპირველესად, ქრისტიანულ-ზნეობრივი თვალსაზრისიდან ამოდის და თვლის, რომ კარგი ლექსი „სულის სარგებელი“ უნდა იყოს, ამიტომ „ღმერთის ქება-დიდება კარგები ითქმის“. ღვთის სადიდებელი ლექსთაგან „ჭაშნიკის“ ავტორისათვის მისაღებია საგალობელი და იამბიკო. „თუ სააშიყო ლექსი უნდა, ღმერთის სააშიყო (თქვას), ეკლესიისა და წმინდათა ამბავი გალექსოს, როგორც რუსთველს უთქვამს“. როგორც ვხედავთ, მამუკა რუსთაველს საღმრთო მიჯნურობის მეხოტბედ მიიჩნევს და ვახტანგისეულ პოზიციას იზიარებს რუსთველური მიჯნურობის შესახებ: „რუსთველს საღმრთოდ საერო სწავლება მოუყვანია, რომელსა მისი თარგმანი მეფეს

1 ქართული პოეზია, ტ. 5, თბ., 1976, გვ. 218.

2 მ. ბარათაშვილი, სწავლა ლექსისა თქმისა, თბ., 1981, გვ. 7.

რომ უბრძანებია, ის გამოაცხადებს. მაგრამ ზოგიერთ მელექსეს იმისი წიგნი ცუდს სააშიყოთ გაუსინჯავს“.

მ. ბარათაშვილი, არჩილ II-ისა და ვახტანგ VI-ის მსგავსად, ბევრთად ებრძვის სპარსოფილურ ტენდენციებს ქართულ მწერლობაში. იგი სპარსულ სიუჟეტებს „თათრის ზღაპრებს“ უწოდებს, კონკრეტულად თეიმურაზ I-ლს გულისხმობს, როცა მკაცრად ამბობს: „რომელსამე საღმრთო წერილი სამეძაოდ გაუღექსავს“, კიცხავს თეიმურაზ I-ლს, რომელმაც თავისი პოემა „იოსებზილიხანიანიში“ გამოიყენა ბიბლიური თემა იოსებ მშვენიერზე. მამუკა მსუბუქი და უიდეო სპარსული პოეზიით გატაცებას უწუნებს ქართველ პოეტებს და ცდილობს ქართველ მწერლებს ქვეყნისათვის სასარგებლო თემები მიანდოს: „ან კარგი იგავები მოიყვანე და იმაზედა თქვი, ან კაი სწავლის ამბები თუ კაი ამბები გაღექსე, ან ომსა და ფალავნების ამბავზედ თქვი, ამისათვის, რომ კაცს გააგულოვნებს, ომს მოანდომებს, ომისა და იარაღის ხმარებას ასწავლის და სჯულის და მეფისა და ქვეყნის მტერზე გამოსაყენებელია“.

„ჭაშნიკის“ ავტორის აზრით, ხელოვნების ასახვისა და გამოხატვის საგანი საზოგადოებრივად ღირებული და მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რადგან ხელოვნება საზოგადოების იდეოლოგიური აღზრდის ქმედითი იარაღია. იგი რჯულის, მეფისა და ქვეყნის ინტერესებს ემსახურება. ამიტომ ქართული პოეზიის საგანი ეროვნული შინაარსისა უნდა იყოს და მისი დანიშნულება – საქვეყნო-პატრიოტული. მამუკას მოძღვრების თანახმად, მწერლობამ იდეურად უნდა აღზარდოს საზოგადოება, შეაყვაროს სამშობლო, გაუღვივოს გმირული სული მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

როგორც ვხედავთ, მ. ბარათაშვილის ესთეტიკური მრწამსი თავისი დროის მონიშნავ ქართველი საზოგადოების განწყობილებასა და სულისკვეთებას გამოხატავს. სახელმწიფოებრივი შეგნების ასეთი მაღალი დონე მ. ბარათაშვილს ვახტანგ VI-ის ღირსეულ თანამოაზრედ წარმოჩენს. მამუკას მშვენიერად ესმის სიტყვისმიერი ხელოვნების რაობა საზოგადოდ და მისი პრაქტიკული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანები კონკრეტულად. ამასთან ერთად განსაკუთრებულ როლს ანიჭებს ხელოვნების ესთეტიკური ზემოქმედების ძალას, რომელიც ფორმა-შინაარსის ერთიანობით ვლინდება. მამუკა დაწვრილებით საუბრობს მხატვრულ-გამომსახველობით ფორმებზე. ლექსის ესთეტიკური ღირებულება, მისი აზრით, დიდადა დამოკიდებული მხატვრული სიტყვის სინატიფესა და დახვეწილობაზე, პოეზიაში სიტყვა აზრის სამკაულია და ესთეტიკურის კანონზომიერებას ემორჩილება. ამიტომ, მისი თქმით, ლექსი უნდა იყოს „გემრიელი და ნყობილი“, „ლექსი მძიმე და გრძელი სიტყვა უგემური იქნებაო“. მაგრამ მ. ბარათაშვილის პოეტური სიტყვა აზრის გარეშე არ არსებობს. მას კარგად ესმის, რომ მხატვრული სიტყვა ასახვით-შემეცნებითი ბუნებისა

საა და ესთეტიკური ჩანაფიქრის განხორციელებას ემსახურება, ამიტომაც ხაზგასმით საუბრობს სიტყვის გამომხატველობითი ბუნების თავისებურებაზე: „უგვარო სიტყვა“ პოეტურ ფრაზას „გააუგემურებს“. პოეტური სიტყვა სასურველია იყოს „გვარიანი“, „ტკბილათ სათქმელი“, „მოკლე“. ამ მხრივ, სანიმუშოდ რუსთაველს ასახელებს: „როგორც რუსთაველის ლექსი“. მწერლებს ურჩევს სიტყვების შერჩევას შინაარსობრივი და გამომსახველობითი თავისებურების მიხედვით. რუსთაველის ხსენება ამ კონტექსტში მამუკას დასჭირდა არა იმისთვის, რომ თანადროული პოეტებისთვის რუსთაველის მიმბაძველობისკენ მოენოდებინა, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება ტრაქტატის სხვადასხვა ადგილას. საქმე ისაა, რომ მ. ბარათაშვილს შესანიშნავად ესმის პოეტური თხზვის, შემოქმედებითი პროცესის „ფსიქოლოგია“, რომ პოეტის ჩანაფიქრისა და შესაბამისი სახეების გამომსახველ სიტყვათა და ენობრივ კონსტრუქციათა მიგნება შემოქმედის ინდივიდუალურ შესაძლებლობაზე დამოკიდებული, ანუ ნიჭზე და რუსთაველსაც მაგალითად ასახელებს, როგორც პოეტური გენიის მწვერვალს.

მ. ბარათაშვილი პოეტური ნაწარმოების სრულყოფილებას შინაარსისა და ფორმის ერთიანობაში ხედავს. მისი თქმით, „გემრიელი სიტყვა“ არად მოსახმარია, თუ „უგვარგისია“ ამბავი და პირიქით, „თუ კი სწავლის სიტყვა“ შესაფერი ფორმით არ გადმოიცემა, „მოლექსეობაში ნაკლებობა არიო“.

„ჭაშნიკის“ ავტორისთვის პოეტური სიტყვის წყარო ცოცხალი, ხალხური მეტყველებაა, რომელსაც ფოლკლორში ხედავს. მას უმართებულოდ მიაჩნია ქართულ ლექსში რუსთაველური შაირისა და ჩახრუხაული მეტრის ბატონობა და ცდილობს ხალხური სასიმღეროსა ლექსო „ხმები“ შემოტანოს, ამით ახალი სიცოცხლე მისცეს ქართულ პოეტურ ხელოვნებას. ეს კარგად ჩანს მის ლექსებში: შვიდტაეპიანი, თექვსმეტმარცვლოვანი ლექსი „მდენარი“ ხალხური ლექსის „პატარა ქალო“, თინაოს“ კვალობაზეა შეთხზული: „ჩემ საყვარელი ვინაო, მიწყვი მიდგეხარ წინაო, გონებით, შემკრა სურვილმა, აროდეს მომელხინაო“.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ აღორძინების პერიოდის ქართული ესთეტიკური სააზროვნო სივრცე არც ისე მდიდარია თეორიული თხზულებებით. მიუხედავად ამისა, ამ დროის პოეტური აზრის არსენალიდან ესთეტიკურ პრობლემათიკაზე სისტემური სახის მეცნიერულ შეხედულებათა მაგისტრალური ხაზის გამოკვეთა შესაძლებელია. მამუკა ბარათაშვილის ღვაწლი კი ამ შემთხვევაში განსაკუთრებულია იმით, რომ მან ზოგადესთეტიკური პრობლემათიკა თეორიული მსჯელობის საგნად აქცია სპეციალურ ტრაქტატში და ამით ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიაში.

THE DRAMATIC MONOLOGUE IN ROBERT BROWNING'S POETRY

“Held We Fall to Rise, are Baffled to Fight Better, Sleep to Wake”

(R. Browning “Epilogue to Esolando”)

The Victorian period was an age of contrasts & paradoxes. Whilst Britain was at the lights of its wealth, power & influence large sections of its population lived & worked in bad conditions. Abroad the British Empire continued to claim new territories whilst, at home, old rural communities were disappearing.

Scientific & technological advances paved the way for a better future, as traditional religious beliefs began to crumble under the weight of new scientific discovery. Britain enjoyed a surge of national pride & confidence, but many people viewed the future with pessimism. Both growing pain & confidence deeply influenced the Victorian society & all was reflected in its literature.

In poetry Romantic Movement emerged. The Romantics with partial exception Byron rejected the 18th century poetic ideals. They tried to formulate new forms of expression. Shelley in his ‘Defense of Poetry’ contends that the language needs to be refreshed for their society.

Among the contemporary poets who didn't fit into the Romantic group were two great poetic figures: Alfred Tennyson & Robert Browning. Though their early poetry (to certain degree) was influenced by Romanticism, both originated the style of their own.

A. Tennyson was known for his short lyrics.

B. R. Browning's great innovation was the dramatic monologue – a type of poem in which a single person (not the poet himself) speaks to an internal listener – a silent character in the poem, who may be a real historical figure, such as many characters of the Browning's poems. The character & the temperament of the speaker is revealed in the course of the monologue.

From his berth on May 7, 1812 Robert Browning was acknowledged to be a very clever child. He was aspired to be a poet from his earliest days in south London village of Camberwell. His parents supported him in his endeavor until he was in his thirties & married Elizabeth Barrett in 1846.

Robert & Elizabeth Brownings appear as one of the most romantic literary couple from the Victorian period. They exchanged nearly 600 love letters. But what is love without obstacles & hardship? As Robert's close friend Frederick Kenyon writes in his “The letters of Elizabeth Barrette Browning”.

His fifteen – year marriage was spent almost in Italy because the warm climate eased his wife's lung conditions. After her death in 1861 he returned to London with his twelve-year old son & never returned back again until he visited his son's magnificent Palazzo Rezzonico, where he died.

Browning wrote more poetry than any other English poet, all wonderfully intense, original & of an uncompromisingly high standard.

His first poem ‘Pauline’ was published anonymously in 1833. He was some recognition with “Paracelsus” (1835) & ‘Sordello’ (1840). He wrote eight verse plays for the stage. For a definite period of time Browning was denied the attention

which had been given to his equal & even for lesser figures than himself. He was less read & he received little public appreciation until the publication of “The Ring & the Book” in 1868 when he was in his fifties.

But at least on a superficial acquaintance, Browning was not one of those Victorian writers of discontent, who questioned the easy acceptance of traditional belief & who anticipated doubts & uncertain values of their time. He troubled himself little with social & political problems. His concern was with the relations of men & women because “Little else is worth study save incidents in the conviction that man must discover”.

Browning' is a difficult philosophical writer & it is a legacy from the Browning society of the eighties, but whatever the difficulties of its expression the message itself is never obscure. Obscurity is largely a matter of style & expression & there is seldom complexity in the theme.

His grammar – with its parentheses & absolute clauses, omission of relative & personal pronouns & docking of the smaller parts of speech for staccato effect are the manners characteristic of his dramatic monologue. For example, in his lyrical poem “Meeting at Night” which is basically a narrative about the man who taken journey to meet his lover. The poem is very interesting both from the contextual & structural- syntactical points of view. The poem is composed of noun phrases & the syntactic peculiarity is the ellipsis in the main clauses:

“The gray sea & the long black land,
And the yellow half moon large & low
And the startled little waves that leap
In fiery ringlets from their sleep,
As I gain the core with pushing prow,
And quench its speed i'the slushy sand”.

Victorian poetry which often displays radical experimentation with poetic form, presented numerous problems for contemporary readers, but the fundamental difficulties associated with interpreting dramatic monologues derive from three closely associated facts:

- 1) These poems have a first-person speaker;
- 2) The first-person speaker may or may not voice the opinions of the poet;
- 3) First-person narration provides no sure way of authenticating speaker's statement.

All these characteristics of poetic form created problem for Victorian readers, as they were accustomed to assuming all poems spoken in the first person represented either the poet or an idealized version or persona of the poet.

Robert Browning establishes his position in the dramatic monologue, in this uncharted territory of the Victorian poetry. This is a variety of the lyric mode in which the speaker experiments the moment of self-questioning & soul-searching.

Browning had the strongest dramatic sense of all the Victorians.

Browning's choice of genre was not accidental. Like most

of his contemporary writers he, too, was very concerned with the problem of finding a form of artistic expression of sincerity & authenticity – the two basic moral & psychological tenets of the Victorian social mind. The clash of sincere & authentic projection of emotion versus the restrictions of social conventions was Browning's chief concern.

As Robert Langbaum points out in his study of long verse narrative "The Ring & the Book", Browning's lightest achievement which tells one & the same story from the different points of view, the poet's talent lies in the "surplusage of soul" which enables him to project himself into the facts, apprehend them sympathetically & thus apprehend their life. His poem establishes a pole for sympathy, so that the reader, too, can project himself into the facts & apprehend their life. Meaning comes not from theoretical interpretation but from the intense concreteness (Langbaum, 1967, 249).

Browning found in dramatic method the true means of self – expression. His poems are the utterances of his imaginary persons in many ages & settings which helped him to attain his own vision of truth.

The main characteristic which distinguishes Browning's dramatic monologue from others is not an emphatic relationship with the reader but her/his psychology & reader's job is to achieve this sympathy as a listener & the auditor (listener) may appear to be: in "Porphyria's Lover" – a dead beloved woman, in "Death in the Desert - a dying aged Saint John & in "Andrea del Sarto" an eighteenth century Florentine painter inattentive & in "Soliloquy of the Spanish Cloister-a medieval Spanish Monk out of earshot(Bryson, V.1).

The mid-nineteenth century, as we have already mentioned was the period of (alongside with other social & political events) significant growth & triumphing fiction. It's worth mentioning that women had been freed from the traditional chores & they became not only avid consumers of fiction but they emerged as influential writers.

The journals, newspapers & periodicals were full of current-event stories. Writers had to keep readers interest. They tried to encourage their readers with stories ended with some form of suspense people feel little restrictions in their behavior & poverty, violence & sex became part of everyday life.

Thus many writers had to compete with turmoils & excitements of everyday life.

This challenge was the choice for many writers. Among them was R. Browning as well. Many of his more disturbing poetry including: "My Last Duchess" & "Porphyria's Lover", "Andrea Del Sarto" & "Fra Lippo Lippi", reflect these problems.

In Poems "My Last Duchess" & "The Porphyria's Lover" both of the men who had relationship with "strong" women & despite both loving them, ended up killing the women who loved them. And interestingly enough, both men saw to be much happier after they have committed the murder.

In "My Last Duchess" the monolog is spoken by a pompous Duke who shoves the portrait of his wife, a kind woman who he had executed perhaps when "All smiles stopped together". (line 46).

In "Porphyria's Lover", which is the most disturbing Browning's poems, the narrator strangles her with her own hair in order to preserve their happiest moment.

"Be sure I looked up at her eyes

Happy & proud; at last I knew

Porphyrio worshipped me; surprise

Made my heart swell and still it grew

While I debuted what to do.

That moment she was mine, mine, fair,

Perfectly pure & good: I found

A thing to do and all her hair

In one long yellow string I wound

Three times her little throat around

And strangled her...

And thus we sit together now,

And all night long, we have not steted

And yet God has not said a word!" (Lines 30-40; 58-60)

After they had sex & the Lover strangled the rosy-checked girl, he waited, but nothing special had happened. The God hadn't punished him yet. By taking off her wet clothing in the collage, the poet from rural life leaps into modern world which takes sexuality as a moral of its life.

Browning's speakers in the monologues are apt to be persons of extremes in extreme situations. A character such as Lippo Lippi has something grotesque about him & displays an element of the pathologically self-dramaticizing. Browning uses his strange or abnormal types to dramatize what he regards as centrally human, which can be seen in these cases with especial clarity.

In the following lines where Fra Lippo Lippi, a Florentine painter lists first attempts as a painter & reveals not only his own personal situation but of all men the author sees it:

"First, every sort of monk, the black & white,

I drew them, fat & lean; then, folk at church;

From good old gossips waiting to confess

Their cribs of barred-droppings, candle-ends -

To the breathless fellow at the alter-foot,

Fresh from his murder, safe & sitting there

With the little children round him in a row

Of admiration, half for his beard & half

For that white anger of his victim's son

Shaking a fist at him with one fierce arm

Singing himself with the other because of Christ

(Whose sad face on the cross sees only this

After the passion of a thousand years)

Till some poor girl, her apron o'er her head,

(Which the intense eyes looked through) come at eve

On tiptoe, said a word, dropped in a loaf,

Her pair of earrings & a bunch of flowers

(The brute look growling), preyed, and so was gone".

(Ridenour, Fra Lippo Lippi, pp. 145-160)

Fra is engaged in a dialogue with the church regarding celibacy both in the artistic & sexual sense. The clergy demands that art should be presented as something higher than it is represented in the human form which denies "God's people". Browning's narrator is arguing the similar way against the celibacy of the church when Fra points out:

"You should not take a fellow eight years old,

And make him swear to never kiss the girls".

The author wants to see celibacy as a terrible waste of youth & life, both of which he values above all else. (Ridenour. pp. 224-25)

In the poem "Fra Lippo Lippi" the author analyses the working of the human soul, which is separate from the poet & speaks to an implied audience. The later distinguishes the dramatic monologue from soliloquy – a. form (also used by

Browning) in which the speaker doesn't address any listener, usually alone on the stage, but reveals his/her thoughts & feelings to audience.

The purpose of both forms is not so much to declare the statement, but to develop the character of the speaker.

In most of Browning's poems painters & other artists are featured & the author tries to work out the proper relationship between art & morality. There are questions the writer struggles permanently: Should art have a moral message, or can art be immoral? & etc.

To answer all these & some other questions for Browning became easier with the help of his genre & the historical characters particularly from the Italian Renaissance, as Browning's finest dramatic monologues were inspired by some Shakespeare's plays.

Browning's great poetic period extends from his meeting with Elizabeth Barrett in 1845 to the publication of "The Ring & the Book" in 1868, as he received appreciation until he was in his fiftieth. It is an epic-length poem composed of twelve dramatic monologues. It contains the passage of great beauty & psychological insight. In the poem various speakers relate different perspectives on an actual seventeenth-century Italian murder case in Rome in 1698. In a Florentine bookstall Browning had found an "Old Yellow Book" that contained records of these events.

R. Browning was an encouraging voice amid the anxiety the spiritual dismay that followed the scientific revolution of the nineteenth century. He was not blandly optimistic as he is sometimes portrayed.

Browning wrote about the world's cruelty & vice & he was quite frank that he had himself had no divine revelation. And he resolved to hope rather than to doubt & his determined hopefulness remains a comfort & inspiration for many.

I would like to finish my narrative with R. Browning's

famous "Epilogue" to Asolando, from where I used couple of lines as a prologue of the article, where we find confidence, faith, courage & warmth in the life lived - "One, who never turned his back but marched breast forward,

Never doubted clouds would break,

Never dreamed, though right were worsted, wrong would triumph,

Held we fall to rise, are baffled to fight better,

Sleep to wake."

R. Browning never thought of "retiring". "Asolando" was published on the day of his death, December 12, 1889. He was buried in London's Westminster Abby in Poet's Corner.

Bibliography:

- 1) Bryson Yohn. R. Browning's Poems & Plays. 4 volumes. V. 1. 1833-44. London J.M. Dent & Sons LTD
- 2) Columbia Encyclopedia, Sixth Edition.
- 3) Cook, Roy J. "One Hundred & One Famous Poems". (p. 171).
- 4) Delaney Denis; Ward Ciaran; Cala Pho Fiorina. Fields of Vision. V. 2. Longman 2005, p.p. F130-133; p.p. F 136-140.
- 5) Geoffrey Leech & Michael Short – Style in Fiction. 1981 (236), London. Longman.
- 6) Groom B. On the diction of Tennyson, Browning & Arnold, 1939.
- 7) Langbaum, Robert. 1967. "The Ring & the Book". Essay in History & in Social & Literary Criticism (2nd rev.d) N.Y. Fawcett World Library. 249.
- 8) Ridenour. George M. Robert Browning. Selected Poetry. New American Library. 1966.

სერგი ლომაძე

პოეზია როგორც-გული

ვკითხე, ერთხელ, ჩემს მეგობარს-პოეტ კახა ბაციკაძეს:

-ვის გამოარჩევდი დღევანდელი პოეტთაგან?

-ბევრს გამოვარჩევდი,-მიიხრა მან,-ვთქვავთ გივი ალხაზიშვილს და. . .

აქ ცოტა ხანს შეყოვნდა კახა, შემდეგ კი გივი ალხაზიშვილისაგან კარდინალურდ განსხვავებული სტილისა თუ მსოფლხედვის პოეტი დამისახელა:

-და. . . ნუნუკა გურალიას.

-კი მაგრამ, ალხაზიშვილი ურთულესი პოეტური ხედვის შემოქმედია, ვიტყვოდი, ფილოსოფოსი-მეტაფიზიკოსი, შეიძლება ითქვას, თავისებური თეოლოგიც კი. ალხაზიშვილის პოეზია ძალუშია, თუმცა მისტიკური, რთულადსაწვდომი, და არაა განკუთვნილი ყველასათვის. აი, ნუნუკას ნაწერები სულ სხვაა,-ერთი შეხედვით მარტივი, ლამაზი, ჰაეროვანი ეს, უფრო, სახალხო პოეზიას ჰგავს.. ეს ორი პოეტი ხომ სრულიად სხვადასხვა სამყაროა!-ვუთხარი კახას.

-სწორედ იმიტომ მომწონს ეს ორი ხელოვანი. მათი პოეტური სამყაროები თითქოს ავსებენ ერთ-მანეთს. გივი ალხაზიშვილის წიგნები ფიქრს მაიძი-

ლებს, გონების უკიდურესობამდე დაძაბვას, ხოლო ნუნუკას წიგნების კითხვისას ვისვენებ.

-აი, ასეთი იყო ჩემი მეგობრის შეფასება.

წელს ნუნუკა გურალიამ თავისი ახალი წიგნი შემოგვთავაზა-„ისევ პიანო“. ესაა ყველაზე სევდიანი, თუმცა ყველაზე საუკეთესო ქმნილება ამ პოეტის შემოქმედებაში. ამ სტატიაში სწორედ მის წიგნში შემავალ რამდენიმე ლირიკულ ქმნილებას შევხვები. (სამწუხაროდ, ერთ სტატიაში ვერ გადავწვდები ახალი ნაშრომის ყველა პოეტურ ნიმუშს).

„დაფერილია ზეცა ქარვისფრად და მორიდებით იკრავს საკინძეს, მზე კი, დუმილით სასომიხილი, ესათუთება ბებერ ალვის ხეს.“

თუკი პოეზიის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი პოეტური სახეებით აზროვნებაა, სახისმეტყველებაა, მაშინ ეს სტროფი შედეგს წარმოადგენს. საერთოდ, ნუნუკა, განსაკუთრებული, სწორედ პოეტური სახეების შექმნაშია. ხოლო როცა მისი ნაწერე-

ბის ფერად პოეტურობას გრძნობაც შეერევა., მაშინ ლექსები გაზაფხულივით თვებება:

„მომნატრებია აპრილში თეთრად
ციდან ყვევითა თოვა ფიფქებად,
მომნატრებია შენთან ჩურჩული
და სიყვარულით თავდავინყება“.

მაგრამ პოეტური გრძნობა თავის თავში არა მხოლოდ სიყვარულს მოიცავს. თბილი ნოსტალგია ახალგაზრდობის წლებზე, გარდასულ დროებზე, თვითონ სიყვარულზეც, ხშირად გამხდარა წარმატებული თემა რომანტიკულად განწყობილ სულთათვის, თუმცა პოეტური სევდა შეიძლება სრულიადაც არ შეეხოს რომანტიკულ განცდებს. პოეტი, მაინც, არამინიერი მოვლენაა, და მისი სევდაც შეიძლება ზოგთათვის რთულადგასაგები, ხელშეუხებელი იყოს:

„მებრალეებიან თოვლის
ფიფქები.
მალლიდან ფრთხილად
რომ ეშვებთან
რამდენი ფიქრით,
გაუმხელელით,
მინაზე ჩუმად,
უმალ დნებთან.
აღბათ განგებამ
ასე ინება
და ველარაფერს
ველარ შეცვლიან,
თორემ. ზეცაში
ინავარდებენ,
და ძირს არასდროს
დაეშვებთან“.

რაოდენი სინატიფე, სიფაქიზე, რაოდენი გრძნობაა ამ ციციქნა, ორკუპულეტა ლექსში! ასეთ ლამაზ, ვიტყოდი, ქალური მგრძნობელობით გამთბარ სტრიქონებს ოდესღაც ანა კალანდაძე წერდა. მეგონა, რომ ანას დალუპვასთან ერთად დაიღუპა-მეთქი წმინდად ქალური პოეზიის დიდი კულტურაც, რომელიც, გამოგიტყდებით, ვფიქრობ, რომ უცხოეთში უფროა განვითარებული. აი, იქ ჰყავდათ ემილია დიკინსონი, ემა ლოუელი და სხვანი კიდევ. რალა თქმა უნდა, ამ ადამიანებს გენოსი მამაკაცების-ვთქვათ რუსთველისა და ბოდლერის გვერდით ვერ მოვიხსენიებდით, მაგრამ ისინი მსოფლიო კულტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, რამეთუ უამრავი შედეგის ავტორები არიან. დიკინსონისეული ქალური პოეზია საქართველოში თავისებურად იქნა გაგებული. ჯერ ანა კალანდაძის თაობა გამოჩნდა, თუმცა შემდეგ ქალმა პოეტებმა თავიანთ ნაწერებში ყველაფერი ძალიან გაართუეს, ხოლო დაივიწყეს მშვენიერება და სირთულე სინატიფისა. მოკლედ ქალმა ჩვენშიაც ისევე დაიწყო აზროვნება, როგორც ზოგმა მამაკაცმა. ასეთ შემთხვევაში კი ქალებს უფრო გაუჭირდათ წარმატების მიღწევა, რამეთუ შეუწინააღმდეგენ ბუნების კანონს.

ნუნუკა გურალიამ დაუბრუნა ჩვენს პოეზიას, სამამულო პოეზიას, თითქმის მთლიანად დაკარგული წმინდად ქალური საწყისები,-აი ის ხაზი, რომელიც

უფრო ადრე ანა კალანდაძემ, მედეა კახიძემ, ანდა, ვთქვათ, საფო მგელაძემ, მარიკა ბარათაშვილმა და სხვებმა გაავლეს (რაც შეეხება ლია სტურუას, კატო ჯავახიშვილს, ნატა ვარადას, იკა ქადაგიძეს და სხვებს, თუნდაც იგივე ქეთი დოლიძესა და თამარ შაიშველაშვილს, ეს ცოტა უფრო სხვა სამყაროა). "ვიტყოდი" ნუნუკა გურალია ტრადიციული კურსის გამტარებელი პოეტი-დიდებული ტრადიციების აღმდგენ-შემნახველი, ოღონდაც სიახლენი მასში მაინც არის, და ეს სიახლენი, უფრო ამ პოეტის განსაკუთრებულ თვალთახედვაშია. მას ყველაფრიდან ძალუძს არამინიერი მშვენიერების გამოდნობა.

“ბაბუანვერები,
ბაბუანვერები,
ქათქათა ფრთებით და
ქათქათა წვერებით,
რაც უნდა ეფერო
და კრიფო ფერებით,
ზეცისკენ მიჰქრიან
ბაბუანვერები,
ქათქათა ფრთებით და
ქათქათა წვერებით”... –

ეს სტრიქონები თეთრ სიზმარს ჰგავს, რომელიც კლასიკოსი კომპოზიტორის წარმოსახვათაგან გამოხმობილს. შეიძლებოდა ამგვარი ზმანება არეკლილიყო ბროლის სარკეში, ისე როგორც ფიროსმანის რომელსამე ნახატში... და თუმცა პოეტები ქეთი დოლიძე და მარიამ ნიკლაური არ ცდილობენ ნაიფურობას თუმცა უბრალოებაში მოძიებულ სადა სილამაზეს ისინი ბევრჯერ ცვლიან სიღრმეთა ძიებით, მაინც მათ ნაშრომებშიც აღმომიჩენია ამგვარი სილამაზის შემოფეთება, და გამხარებია დიდად. ამგვარივე სიტუაციაა ესმა ონიანის ცვალებად შემოქმედებაშიც. ნუნუკა გურალიას ფილოსოფია ასეთია: პოეზია უმალლეს მშვენიერებასთანაა გაიგივებული. ეს ადამიანი საუკეთესო ქართველ ქალ პოეტთა ჩამონათვალში უსათუოდ უნდა დასახელდეს. მას, ამგვარ ჩამონათვალში ნებისმიერთან შეედლება კონკურენციის განევა, უფრო რთულ პიროვნებებთანაც კი.

ნუნუკას ნიგნში უამრავი იდეა, უამრავი ხაზი, თემა და, რალა თქმა უნდა, ახლა შეუძლებელია მათი სრული სურათის აქ დახატვა.

მაგალითად: ჩემს სტატიაში ერთი სიტყვაც კი არ მითქვამს ნიგნის პატრიოტულ მხარეზე, თუმოტივეებზე, და ჩემის მხრიდან ეს არაა კარგი. ჩემს წერილში ვერც იმ გრანელისეულ სევდის "მხილება" შევძელი, რომელიც ასე მოუხდა ნუნუკას მთელს ამ პოეტურ ნაშრომს. ვერ შევცხე უამრავ დასამახსოვრებელ ლირიკულ ნიმუშს, თუმცა...

თუმცა ტერენტი გრანელი ვახსენე და აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ ამ გენიალურ პოეტს ეძღვნება, ნიგნში რამოდენიმე ლექსი. აშკარაა,-გრანელი ნუნუკა გურალიასათვის რჩეული პოეტი.

გალაკტიონი და გრანელი,-
ეს უკვდავი თემაა

ესაა მეოცე საუკუნის უდიდესი პოეტური "დუელი" ორ მეგობარს შორის.

ორივე იყო პოეზიის უგვირგვინო მეფე, და, საბოლოოდ, ორივე დალუპა ცხოვრებამ, თუ-ადამიანთა გულგრილობამ, გულცივობამ.

ოღონდაც...

ოლონდაც ნუნუკას ერთ-ერთ პატარა ლექსში გრანელი წარმოჩენილია არა როგორც დაღუპული, საბრალო არსება, არამედ, როგორც გენიოსი, პოეზიის ღმერთი, სწორედ ისეთი როგორიც იყო იგი იდეაში:

“ისევ ქუხს ჟამი
ქედუხრელი,
ჟამი ძლიერი,
ლეგენდადქცეულს
გრიგალეზიც
ვერ გელევიან,
შენი ადგილი ზეცაშია
ანგელოზებთან,
და შენით ზეცა

Ratiani Lali

Staatliche Universität Suchumi

ANTONYMISCHE RELATIONEN IM RAHMEN DER LEXIKALISCH-GRAMMATISCHEN KLASSEN DER ADJEKTIVE

Die Aufteilung der antonymischen Adjektive vollzieht sich im Rahmen der lexikalisch-grammatischen Gruppen. Das Untersuchungsmaterial ist unter Berücksichtigung der allgemein-kategorialen Semantik der Untersuchungseinheit systematisiert. Das Fundament derartiger Einigung der Lexeme in einer Gruppe ist ihre Gattungs- oder Artbeziehung. Die Vereinigung der Adjektive aufgrund der Gattungs-oder allgemeinkategorialen Semantik vollzieht sich in einer Gruppe, die “Merkmal-Qualität” bezeichnet, dessen Grundstein die zwischen den Gegenständen und Erscheinungen existierende Verschiedenheit der privaten, logisch-semantischen Artbeziehungen sind. Jedes antonymische Wortpaar wird im Rahmen einer bestimmten Reihung behandelt. Jeder Gruppe wurde eine darin eingesetzte verallgemeinerte Bedeutung des Lexems zugrunde gelegt, die auf Grundlage der semantischen Struktur der Glieder der konkreten Gruppe und der semischen Analyse einzelner semantischen Varianten abgeteilt wurde. Für die Glieder der Gruppe wurde einen gemeinsamen Archisemem praezisiert und das Lexikalische Material ist unter Berücksichtigung dieses Semems aufgeforscht. Die Grundlage für die Erzeugung des einzelnen adjektivischen antonymischen Wortpaares wird durch das Archisemem “Merkmal-Qualität” geschaffen. z.B. die Varianten vom Wortpaar “**gut-schlecht**” sind durch zwei Gegeneinheiten dargestellt zu linkem Glied mit dem Lexem “*gut*”-zu rechtem mit dem Lexem “*schlecht*”. Als dominiertes Semem des Ersten wird der Positivitätssemem-*ein guter Appetit*-betrachtet. Zugleich wurden die Sememe “**die Fuelle**”-*eine gute Stunde, die ganze Stunde, “Wohltat*”-*ein gutes Wort, “Leichtigkeit*”-*etwas gut behalten, leicht behalten* und andere. Für die Bedeutung des Adjektivs “schlecht” sind ausnahmslos die gegensätzlichen negierenden Sememe zu allen aufgezählten Sememe charakteristisch.

Die Richtigkeit der Behauptung, dass sich die Adjektive “*gut-schlecht*” in antonymischen Wechselbeziehung befinden, zeugt darauf die Angaben der syntagmatischen Ebene dieser zwei Einheiten-von dem ausgeforschten Untersuchungss-

ბევრად უფრო
მომხიბვლელია”...-

მე ეს ლექსი პირველად, გულნაზ ხარაშვილის (სხირტლადის) ჟურნალ ათინათში”
ნავიკითხე. მაშინვე მომხიბლა ერთკუბლეტამ, რომლითაც სრულდებოდა “ათინათის” მეხუთე ნომერი.

პოეზია გულია, და ვინც ჭეშმარიტად გულით წერს იგი იმარჯვებს. პოეზია პოეტური გრძობაა. და სწორედ რომ გრძობისმიერია...
და სწორედ რომ გულისმიერია ნუნუკა გურალიას მთელი შემოქმედება...

stoff sind fuer diese zwei Adjektive identische Distribution eigen.-von den 21 Arten in 14 Faellen. Z.B. sowohl “*gut*” als auch “*schlecht*” kann sein: **Charakter** der Menschen-*guter/ schlechter Charakter, Handlung-gutes/ schlechtes Benehmen, Beziehungen-gute/schlechte Beziehung, Leumund-gute, schlechte Leumund.*

Durch die Distribution ist es auch moeglich in den pro-maeren Antonymen implizit gegebene Gegeneuberstellung darzustellen. Das Antonym des konkreten Lexems wird in diesem Fall nicht nur nach der dominierten, sondern nach der nebensaechlichen Bedeutung, durch seine Gegeneuberstellung zu beliebigen semantischen Varianten ausgesucht. Als Anschaulichkeit koennen wir zur Hilfe die Redewendung - *ein guter Appetit* nehmen. Es ist korrekt in dieser Redewendung das Adjektiv “*gut*” durch “*schlecht*” zu versetzen. Die Moeglichkeit derartigen Substitution wird in solcher Redewendung, wie *eine gute Stunde*-voellig ausgeschlossen. Durch “*gut*” wird in seiner semantischen Struktur nicht nur explizite Hauptbedeutung-“*Positivitaet*”, sondern auch implizit gegebene Variante “*Fuelle*” realisiert.” Z.B. *eine gute Stunde-eine ganze Stunde*. Im konkreten Fall soll als Antonym von “*gut*” das Adjektiv “*knapp*” betrachtet. Dieses Adjektiv wird als rueckbezugliche Bedeutung von “*Fuelle*”-“*Wenigkeit*”, “*Knappheit*”, “*Mangelhaftigkeit*”-*knapp eine Stunde* gebraucht. Durch den konkreten Fall kann behauptet werden, dass es unmoeglich ist, bei der Feststellung der Antonymie die Eigentuemlichkeiten der semantischen Strukturen der gegeneuberzustellenden Einheiten zu vernachlaessigen. Es ist auch zu erwahnen, dass die Realisierung beliebiger semantischen Varianten von der lexikalischen Einheiten wesentlich durch die kontextuelle Eigenheiten bedingt ist.

Das analysierte antonymische Wortpaar “*gut-schlecht*” ist als primaere Antonymie zu betrachten, soweit es sich auf eine usuelle, lexikonische Bedeutung stuetzt, wird mit den Woertern, die identischen Begriffe ausdruecken mit maximaler Frequenz verwendet. In solchen Masse ist die Qualitaet seiner Abhaengigkeit vom Kontext niedrig. Durch die Kon-

kretisierung des Semenbestandes der Glieder des gegebenen Wortpaares wurde genauer die semantische Struktur des Einzelnen, die mit sechs Varianten dargestellt sind, bestimmt. Es wurde auch die absolute Antonymität dieser zwei Einheiten festgestellt. Insofern die semantische Struktur des linken und rechten Gliedes von identischem Umfang ist, sind fuer sie im Rahmen der einzelner strukturellen Varianten bei der Bildung der syntaxischen Redewendungen maximal identische Distribution charakteristisch. Sie stellen die wechselseitigen Einheiten dar. In der Absolutheit wird bedinglich die Naeh zu auessersten Grenzscheide der Identitaet zu verstehen.

Im Falle der relativen Substitution des antonymischen Paares im Kontext, wird es dann ueber relative Antonymie gesprochen. Als anschauliche Beispiele werden in der Arbeit die adjektivischen Wortpaare "plump-fein", "scharf-weich" behandelt. Der quantitative Unterschied der semantischen Varianten von den gegensatzlichen Einheiten deutet auf die Richtigkeit des Betrachtens der gegebenen Einheiten als relative Antonyme. Ausser des existierenden Unterschiedes zwischen dem Bestand der semantischen Strukturen, kann die relative Antonymie aufgrund des distributionalen Markers/Anzeigers der gegenuebergestellten Einheiten abgetrennt werden: *scharf/strumpf-Werkzeug*, *scharf/schwach-Auge*, *Brille*, *scharf/undeutlich-Bild*; Derartige Analyse versorgt das antonymische Paar mit maximaler Praezisierung zu bestimmen und wird als obligatorische Voraussetzung fuer die Forschung des Phaenomens der Antonymie betrachtet; Im entgegengesetzten Fall wuerde die Aussonderung der antonymischen Paare praktisch einen unkorrekten und einen intuitiven Charakter tragen. Im Prozess der Untersuchung hat sich auch der Charakter der Demension des antonymischen Paares gezeigt. Unter der Demension ist die Erweiterung der oppositionellen Einheiten durch die Feststellung seiner semantischen Varianten oder synonymischer Einheiten und das Aussuchen des antonymischen Gliedes fuer die Einzelnen zu verstehen. Auf diese Weise wurden ein- und mehrdimensionale Antonymie abgetrennt. Die Einzelnen aus dieser Gattung sind direkt proportionell zu der semantischen Struktur der antonymischen Paare und der Zahl ihrer Antonyme. Eindimensional ist die Antonymie, wenn sie in der semantischer Struktur eines Gliedes des oppositionellen Paares nur zu einer semantischen Variante die oppositionelle Relationen aeussert. Wenn solche Relationen zu allen Varianten der gegenuebergestellten Gliedern oder zum Synonym bezeichnet werden ist die Antonymie mehrdimensional. Die semantische Struktur des antonymischen Paares "*gut-schlecht*" kann auch als anschaulicher Muster der mehrdimensionalen Antonyme taugen/ zur Verwendung kommen. Nach der Anzahl der semantischen Varianten ist fuer dieses Paar sechsdimensionales System charakteristisch. Bei der Bildung des Woerterbuches ist dieser Umstand besonders zu beachten.

Bei der Untersuchung wurden auch die Faelle der beschaernten Antonymie abgeteilt. Die Antonymie dieser Art wird durch die semantischen Eigentuemlichkeiten bedingte Beschaertheit solcher Einheiten bedingt, die zu den antonymischen Gliedernder Redewendung in Verbindung kommen. z.B. Die Moeglichkeit der Bildung der syntaktischen Redewendung vom beliebigen Mitglied des Wortpaares "*eng-breit*" ist beschaernt, be-grenzt-fuer das linke Glied des Paares wurde der voellig entsprechende Partner des rechten Gliedes unannehmbar.

In der Arbeit sind auch die lexikalischen Einheiten der Adjektive mit einer einfachen Struktur beschrieben. Die Realisierung ihrer oppositionellen Bedeutung wird ohne jeglicher ableitenden Mittel verwirklicht. Parallel sind durch die speziellen sprachlichen Mittel gebildete Faelle der Gegensatzlichkeit festgestellt, abgeteilt. Praezisiert sind alle solchen derivativen Elementen, die fuer die Formierung der rueckbezuglichen Bedeutung des Stammwortes verwendet werden.

Zufolge der Untersuchung wurde festgestellt, dass in der Klasse der Adjektive hauptsaechlich einfache Antonyme dominieren/vorherrschen. Was es abgeleitete Antonymie anbetrifft, wird sie vorwiegend mit Hilfe der auslaendischen Affixen realisiert.

Literaturverzeichnis

- Clappenbach R. Wörterbuch der deutschen Gegenwartssprache. Akademie Verlag. Berlin. 1970-1977.
 Görner H. Synonym-Wörterbuch. Leipzig. VEB. Sinnverwandte Ausdrücke der deutschen Sprache. Bibliographisches Institut. 1980.
 Agricola Chr. Wörter und Gegenwörter. Antonyme der deutschen Sprache. VEB. Bibliographisches Institut. 1979.
 Bnding K. D. Deutsches Wörterbuch. 1990.
 Duden-Deutsches Universal Wörterbuch. A-Z. Dudenverlag. Mannheim/Wien/Zürich. 1983
 Wahrig G. Deutsches Wörterbuch. Mosaik Verlag. Lexikothek. 1980.

ყრუაშვილი ი. ზედსართავული სიტყვანარმოებითი კონსტრუქციები

გერმანულ ენაში. ავ ტორეფერატი. თბილისი. 2003.

Мосашвили И.Т. Процесс возникновения стилистических антонимов и их семантическая структура. Автореферат. Тбн лисси. 1973.

Завьялова В. М. Антонимы. Москва. Высшая школа. 1969.

რატინი ლალი

ოპოზიციურ მიმართებათა კვლევა ზედსართავის სახელის ლექსიკურ-გრამატიკული კლასისი ფარგლებში

რეზიუმე

ნინამდებარე სტატიაში ჩვენ შემოვიფარგლეთ ზედსართავი სახელის ლექსიკურ-გრამატიკული კლასიდან დაპირისპირებულ ერთეულთა ცალკეული ნიმუშების ანალიზით.

მასალის შესწავლა განხორციელებულია როგორც პარადიგმატიკურ, ისე სინტაგმატიკურ დონეზე. პარადიგმატიკურ დონეზე კვლევის ჩატარების პარალელურად ანალიზის გავრცობა სინტაგმატიკური დონის მონაცემებით მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული, რაც საბოლოოდ შედეგების ობიექტურობას უზრუნველყოფს. სინტაგმატიკური დონის კვლევაში ჩართვა განაპირობა არსებითად სიტყვის მნიშვნელობის რეალიზაციისათვის მისი დისტრიბუციის, ვინრო თუ ფართო კონტექსტის რელევანტურობამ. გამოკვლეულ იქნა დაპირისპირებულ ერთეულთა სემანტიკური სტრუქტურები და ყოველი ცალკეული სემანტიკური ვარიანტის სემური შემადგენლობა.

კვლევის ამგვარი თანმიმდევრობით შესაძლებელი ხდება თითოეული სემანტიკური ვარიანტისათვის შესაბამისი საპირისპირო მნიშვნელობის მქონე ლექ-

სიკური ერთეულების მართებულად დადგენა და ოპოზიციურ მიმართებათა სახეობების დაზუსტება.

სემანტიკური ვარიანტების ფარგლებში შექმნილ დაპირისპირებულობის ობიექტურობის შემონიშნების უტყუარ საშუალებად ოპოზიციურ ერთეულთა სემური შემადგენლობის ანალიზი გვევლინება.

ოპოზიციური წყვილის შექმნის გარდაუვალ პირობად განიხილება დაპირისპირებულ ერთეულებისათვის საერთო არქისემის არსებობა, რომელიც წყვილის თითოეულ წევრში დაკონკრეტებული სახით განიცდის რეალიზაციას.

ამავდროულად მართებულად მივიჩნით ლექსიკოგრაფიულ შრომებში დაფიქსირებულ ყველა იმ დერივატიული ელემენტების დაზუსტება, რომლებიც ძირეულ სიტყვას უკუმნიშვნელობას შესძენს. ანტონიმურ წყვილთა სემური შემადგენლობის სემანტიკური სტრუქტურის კვლევის შედეგები საფუძვლად დაედო ზედსართავ სახელთა ლექსიკურ-გრამატიკული კლასის ფარგლებში ანტონიმთა სხვადასხვა სახეობების (ლექსიკონური ანუ უზუალური, პირველი, მეორე, რანგის, აბსოლუტური და ნაწილობრივი, შეზღუდული და შეუზღუდავი, ერთ და მრავალგანზომილებიანი, შუალობითი და უშუალო) გამოკვეთას და კლასიფიკაციას.

Lali Ratiani

Antonymic Relations within a Lexical and Grammatical Class of Adjectives

Summary

In this paper we try to analyze separate samples of opposed units from a lexical and grammatical class of adjectives.

Studying of a language material has been made both on paradigmatic and at syntagmatic level. At paradigmatic level research analysis has been carried in a parallel way, the distribution with data of syntagmatic level has been considered as reasonable that at last will provide objectivity of results. Inclusion of syntagmatic level in research essentially has been caused by relevance of distribution of a narrow or wide context for word meaning realization.

We have investigated semantic structures of opposed units and seme structure of each separate semantic variant.

The sequence of such research for each semantic variant gives the chance of true formation of the corresponding lexical units by the opposed values and specification of versions of the oppositional relations. Formed within semantic variants it is necessary to consider as exact way of definition of objectivity of formed opposed variants it should be considered the analysis of seme structure of oppositional units. The main condition of formation of oppositional pairs has been considered the presence of the general arch-seme opposed units which are realized in each members of antonymic pairs in the form of a specification.

Specification of all derivational elements was rightly considered which are fixed in lexicographic works and give return value to the main word.

Results of research of semantic structure of a seme structure of antonymic pairs formed a basis of allo separation of different types (a dictionary or usual occasional or secondary antonymy of the first second degreeabsolute and partial, limited and unlimited, derivative and non-productive) antonyms within a lexical and grammatical class of adjectives and their classification.

სერგი ლომაძე

ერთი ლირიკული შედევის შესახებ

მას ორმაგი პასუხისმგებლობა აქვს დაკისრებული საკუთარი პიროვნების (თუ-სხვათა) წინაშე: ერთი ის, რომ არის დიდი ხელოვანის მეუღლე, ხოლო მეორე – რომ თვითონაც დიდებული ხელოვანია.

პოეტ მანანა დანგაძის შემოქმედება უკვე კარგა ხანია მოხვდა ჩემი ინტერესის სფეროში. მისმა რამოდენიმე ლექსმა მეტისმეტად დამაფიქრა, ხოლო როდესაც უყურნალ „ათინათის“ მეხუთე ნომერში დაკვირვებით წავიკითხე ლირიკული შედევი, სახელწოდებით „როცა“, გადავწყვიტე სტატია დამეწერა, თუნდაც მხოლოდ ერთი ლექსის შესახებ.

პირდაპირ ვიტყვი: არასოდეს მყვარებია საშუალო შეფასებები. პოეტს ან აქვს თავისი გრძნობადი სინათლე, პოეტურობა და ფილოსოფია, ან – არა, და, თუ არა, მაშინ იგი არც არის პოეტი, შემოქმედი. თავისი ხედვის დიაპაზონით, სრული აზროვნებით, ან მსოფლიო კულტურის ნაწილია ხელოვანი, ანაც არაფერი არის. აგერ მაგალითი: ის ტრაგედია, რაც გადმოცემულია

ლექსში „როცა“, ზოგადსაკაცობრიოა. ესაა ნაწილი, ვთქვათ, ჩატერტონისეული, ვინსენტიეული, ან გრანელისეული სევდის, და ამასთანავე, ეს ლირიკული ნიმუში არის სრულიად პირადი, პირადულიც. დიას, ასეთი განსხვავებული სახეები ერთმანეთს კი არ გამოირიცხავს, არამედ ავსებს. ამ ქმნილების დაძაბული ლირიკა არაფრობიდან ყველაფრობამდე მანძილს დასაწყისშივე გაივლის, ხოლო შემდეგ ლექსის აღმავალი მუხტი უფრო და უფრო ძლიერდება, ნერვები უკიდურესადაა დაძაბული, თითქოს დაწყვეტაზეა:

„როცა მანვიმს და თოვლიც ითოვლებს,
როცა მიწყრება თავად ელია,
როცა ავბედი გაგვითითოებს,
როცა აღარსად აღარ მელიან,
როცა უკუნში ლამფა იბოლებს,
და, თუ რითმებიც შემომელია,
სისხლის წვეთებით დაწვნი სტრიქონებს,
ფურცელი ჩემი ბრძოლის ველია.

როცა გაქრება ლურჯი ზღაპარია
როცა ტკივილი მზეზე მწველია,
უნდა ეძებო თავშესაფარი,
მწირის ბუნაგი, შენი კელია....“

გამაოგნებელია, - საიდან აქვს ამდენი ტკივილი ქალს, რომელსაც, ერთი შეხედვით, ყველაფერი კარგი დაანათლა უფალმა: იგი უნაკლოა სულიერად და ფიზიკურად, არის დიდი კომპოზიტორის მეუღლე და უკვე, თუ არ ვცდები შვილიშვილიც (შვილიშვილებიც?) კი ჰყავს. ის თითქოს ყოველმხრივ ბედნიერი ადამიანია.... მაგრამ ვინ გაიგებს სევდის სათავეს! სევდა ხომ გულისმიერი, გრძნობისმიერი უფროა, ვიდრე გონებისმიერი, და რჩეული პოეტებიც, უმეტესწილად, გრძნობას ექვემდებარებიან სწორედ. თანაც, როცა პატარა ქვეყნის შვილი ხარ, ეტყობა, ორმაგად უფრო განიცდი ირგვლივებს.

საოცარია პოეტური ფერწერა მანანა დანგაძისა: „ფურცელი ჩემი ბრძოლის ველია“, ან „როცა გაქრება ლურჯი ზღაპარი, როცა ტკივილი მზეზე მწველია....“ იგი ლექსს თითქოს კი არ წერს, არამედ ხატავს. ძალუმიანია მისი პალიტრა, მისი გრძნობისმიერი, პოეტური სახეები.... მაგრამ ჩვენ მივყვეთ ლირიკული ქმნილების ხაზს:

„როცა გულიდან ნათქვამ სიტყვაზე
გეუბნებიან – უკვე ძველია,
როცა პასუხი არ გაქვს კითხვაზე:
ადამიანი მართლაც ჭრელია?!
როცა ლექსები გვანან სატირებს,
დღის შეფასებაც ისევ ნულია....
დამისხით, ამის დედაც ვატირე, -
გათელეს ის, რაც ფასეულია!...
მოსწორებულა ტვინში ბორცვები,
ნაოჭის ნაცვლად გლუვი ველია,
ვის უნდა შენი წმინდა ლოცვები,
ცხოვრება თურმე, ბასრი ცელია....“

აქ უკვე კონკრეტულ სახეს იღებს პრობლემები და ნაწერს, ნაფიქრს, ციდან დედამიწაზე ჩამოვყავართ. როგორც ჩანს, ის აზრი, რომ ადამიანის უპირველესი მტერი ისევ ადამიანია, დღესაც ძალაში რჩება. ბრბო ყოველთვის უპირისპირდება ინდივიდს, - განსაკუთრებულს, მათ არამსგავსს.... მაგრამ ხომ ამდენი გადაუჭრელი საკითხი დაგვანახა პოეტმა თუნდაც ამ სამ სტროფში, პირადად მე, როგორც ასევე პოეტი, ყველაზე მეტად მაინც პირველმა ორმა სტრიქონმა შემზარა:

„როცა გულიდან ნათქვამ სიტყვაზე
გეუბნებიან – უკვე ძველია“.

ოსტატისათვის იქნებ არაფერია უფრო მძიმე, ვიდრე დაუნახავობა მისი დიდი ოსტატობისა. შემადრწუნებელია, როცა ვითომ ინტელექტუალი უგულო რეგვენი კითხულობს შენს სიტყვას, შენს ქმნილებას, რომელშიაც სისხლი ჩაღვარე, რომელშიაც მთელი სიცოცხლე ჩადე, ხოლო ის, ვიცომც არაფერი, ისე აქილიკებს თითოეულ ფრაზას! ან მართლა არაფერი ესმის, ან უბრალოდ შურით, ბოლმით იგუდება.... მათდამი შურმა ჩაანვიანა მინაში ჩვენი ადრეული გენიოსების უმეტესობა: გალაკტიონი, გრანელი, პაოლო, ტიცაიანი და სხვანი, მათი მსგავსნი უნდა დაიღუპონ იმიტომ, რომ ვილაც-ვილაცებმა გააგრძელონ თავიანთი არაფრისმთქმელი ცხოვრება. დიახ, ეს ასეა, და ეს ვერაფრით შევცვალეთ ვერც ჩვენ, ვერც სხვებმა! – რო-

გორც ჩანს ყველა დროში (და ყველგან) მოცარტთა სიკვდილით ცოცხლობენ სალიერები....

მივყვეთ ლექსის დინებას:

„როცა ყოველდღე რალაცას კარგავ,
და ვერ ფხიზლდები, როცა რთველია,
როცა წყალს აღარ დაასხამ ნარგავს,
როცა ბალიში ისევ სველია,
როცა გართმევენ მას, რაც შენია,
აღარ გაღელვებს შუქი მთვარისა,
ვერ ხვდები უკვე, რა დაგრჩენია,
და დარდმა როგორ მიგითავისა.
როცა წყალს აღარ დაასხამ ნარგავს,
როცა ბალიში ისევ სველია.
როცა გართმევენ მას, რაც შენია,
აღარ გაღელვებს შუქი მთვარისა,
ვერ ხვდები უკვე რა დაგრჩენია
და დარდმა როგორ მიგითავისა.
როცა სული გაქვს ძალზე მშვიერი
და ვეღარ არჩევ მტყუანს და მართალს,
როცა გეცვლება სახე, იერი,
თითქოს შორიდან ვილაცა გმართავს,
როცა არ ესმის შენი ახლობელს,
თვალს ვერ გისწორებს შემონაფეთებს,
როცა ჭინკები აქვე სახლობენ,
და ფილტვი ისვრის სისხლის ნაფლეთებს....“

ეს თავზარდამცემი სტროფები მოგვითხრობენ ადამიანის სულიერ მარტოობაზე, მტრულად დამუხტული სამყაროს გარემოცვაში. ესაა გენიალური ბართაშვილის და მისი „სული ობოლის“ გამოძახილი ოცდამეერთე საუკუნეში. დიახ, პრობლემები ზოგადსაკაცობრიოა და მარადიული, ხოლო შენ თუკი ბრბოს ნაწილი არა ხარ, თუ ხარ ნამდვილი პიროვნება, მაშინ მოხვდები გაუცხოებულ გარემოში, იმ უდაბნოში (სულიერ უდაბნოში), სადაც არც შორებელს, არც ახლობელს ესმის შენი. თანაც ყველგან მახეა დაგებული. სხვები გიმზერენ თავ-თავიანთ ნიღბებს ამოფარებულნი, თითქოს გზვერავენ, დროს უცდიან, თუ როდის წაიქცევი, რომ შემდეგ გიენებივით მოგესიონ. ასეთია ბრბოს მგლური კანონი.

„ფეხზე ჰკიდიათ შენი ტკივილი,
უგზო-უკვალოდ დაეხეტები,
ზეცას ასკდება სული კივილით,
თანაგრძნობად კი – წვიმის წვეთები.
დამისხით ღვინო, დღეს ვარ შეშლილი,
რადგან არავინ არ მყავს თავდები....
ელვა-ქუხილით გადათქეშილი,
საკუთარ სხეულს დავუზავდები....“

სრულდება ლექსი, მაგრამ არ სრულდება ფიქრნი და განცდანი. ვიტყვოდი: ესაა დამუხტული პოეზიის (თუ დამუხტული ლირიკის) ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანი, ნამდვილი შედევი, რომელშიაც თითქმის ყველაფერია ნათქვამ-ჩატყული.

მახსენდება: როცა მე და კახა ბაციკაძე ვმუშაობდით ჩვენს ერთობლივ პოემაზე – „ირეალური მეფე“ (იგივე „პოეზიის მეფის გაუჩინარება“), ერთმანეთს არაერთხელ გავახსენეთ, რომ არ ჩავტიოთ ყველაფერი ერთ პოემაში, ერთ ნიმუშში, რამეთუ ყველაფრის თქმით ხშირად იკარგება მთავარი სათქმელი.

მანანა დანგაძე, თავის ქმნილებაში, სწორედ რომ ხაზზე გადის, - ამბობს თითქმის ყველაფერს, ამავე დროს კი ტოვებს ცარიელ ადგილსაც, - რომელიც

თვითონ მკითხველმა უნდა შეავსოს თავისი ნაფიქრ-ნაგრძნობით....

დასკვნისათვის შეიძლება ითქვას, რომ ლექსი „როცა“ ერთ-ერთი ყველაზე უფრო ტრაგიკული და შესანიშნავი ქმნილებაა ყველა იმ ლექსთა შორის,

რომელნიც კი თანამედროვე ქართველი პოეტი ქალის კალამს შეუქმნია....

ჯგუფ „ზღვარის“ წევრი
თბილისი. 2012წელი

მანანა კვატია

“ეს განწირული სულისკვეთება”..

ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული 1924 წლის აგვისტოს აჯანყება საბჭოთა ისტორიო-გრაფიამ “მენშევიკურ ავანტიურად” შერაცხა. “ამ ისტორიაში აგრესორი, დამპყრობი, ჯალათი გამოყვანილია კაცთმოყვარე, ზნეკეთილ, უმნიკველო პიროვნებად, მსხვერპლი კი გარენრად, ყაჩაღად, სამშობლოს მოღალატედ” (გ. მალულარია). ეროვნული ამბოხების ჭეშმარიტი სურათის აღდგენა ჩვენში მხოლოდ 1990-იანი წლებიდან დაიწყო.

აჯანყების მომსწრე თუ მონაწილე ქართველები, რომლებიც აგვისტოს ჯოჯოხეთს გადაურჩნენ და უცხოეთში გადაიხვეწნენ, ემიგრირების შემდეგაც საფუძვლიანად ანალიზებდნენ მომხდარს. 1924 წლის ნოემბერში შალვა ამირეჯიბთან ერთად საქართველო დაუტოვებია “დამკომის” სამხედრო კომისიის წევრს, პოლკოვნიკ სოლომონ ზალდასტანიშვილს, რომელსაც 1938 წელს საფრანგეთში დაუწერია მოგონებათა წიგნი “საქართველოს 1924 წლის ამბოხება”. ის პირველად 1956 წელს მიუხეხნებში, არჩილ მეტრეველის სტამბაში დაბეჭდილა, ჩვენში კი ორჯერ გამოიცა: 1989 და 1994 წლებში.

“საქართველოს 1924 წლის ამბოხებაში” წიგნის ავტორი მწყობრად აყალიბებს აჯანყების წინაპირობებს. მისი ხაზგასმით, 1921 წლის თებერვალში ჩვენში მოისპო დამოუკიდებელი საქართველო, რამაც ქართველი ერი აიძულა, აჯანყების გზას დადგომოდა. მისი მომზადების მიზნით 1921 წლის შემოდგომაზე შექმნილა რამდენიმე პარტიის გაერთიანებული ორგანო: დამოუკიდებლობის კომიტეტი (“დამკომი”).

1922 წლის აგვისტოში დამარცხდა კახეთისა და ხევსურეთის აჯანყება ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით, 1923 წლის თებერვალში კი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტ წევრს კ. მისაბიშვილს “სამხედრო ცენტრის” მთელი შემადგენლობა გაუცია, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა.

1923 წლის მაისში “ჩეკას” დადგენილებით დახვრეტილ იქნენ: ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გენერალი კ. აბხაზი, გენერლები: ა. ანდრონიკაშვილი, ვარ. ნულუკიძე, პოლკოვნიკები: გ. ხიმშიაშვილი, ელ. გულისაშვილი, ალ. მაჭავარიანი, დიმ. ჩრდილეილი, როტმისტრები: სიმ. მუხრან-ბატონიშვილი, ფ. ყარალაშვილი, ასევე, ლ. კლიმაშვილი, მ. ზანდუკელი, ი. კერესელიძე, ს. ჭიაბრიშვილი, ივ. ქუთათელაძე. “ამ გარემოებით გამწარებული ხალხი უფრო დიდი ენერგიით შეუდგა მზადებას აჯანყებისათვის” (ზალდასტანიშვილი 1994: 21). “სამხედრო ცენ-

ტრის” მაგივრად “დამკომთან” დაარსებულა “სამხედრო კომისია”, მთელი საქართველო სამოქმედო რაიონებად დაყოფილა. 1923 წლის შემოდგომისათვის ხალხი უკვე დარაზმულა. აჯანყება მთელ ქვეყანაში ერთ დღეს, ერთ საათს უნდა დაწყებულიყო, უეცრივ და შეუჩერებლად უნდა ემოქმედათ, სანამ მტრის რიგებში დემორალიზაცია არ მოხდებოდა (იქვე: 25).

სოლომონ ზალდასტანიშვილის მოგონებით, აჯანყების საკითხის გადასაწყვეტად 1924 წლის ივნისში მთავარი კომიტეტის ყრილობა ჩატარებულა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე შალვა ამირეჯიბი ამბოხების წინააღმდეგი ყოფილა: პატარა საქართველო რუსეთს ვერ გაუმკლავდებო. ექიმ იმხნელს საპირისპირო აზრი გამოუთქვამს: ჩვენთვის დამარცხებული აჯანყებაც გამარჯვება იქნებაო. პოზიციათა სხვადასხვაობის მიუხედავად, იმავე წლის ივლისის შუა რიცხვებში “დამკომის” გაფართოებულ სხდომაზე გამოცხადებულა აჯანყების დღე: 17 აგვისტო.

1924 წლის 25 ივლისს დაუპატიმრებიათ საზღვარგარეთიდან საქართველოში სპეციალური დავალებით ჩამოსული მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ბენია ჩხიკვიშვილი, 6 აგვისტოს – ვალიკო ჯუღელი.

“ხელისუფლებამ მოახერხა აჯანყების თავკაცების: ხომერიკის, ფალავას, ჯუღელის, ჩხიკვიშვილისა და სხვების იზოლირება, ხოლო შეიარაღებული გამოსვლების მზადების შესახებ დაწვრილებითი ცნობები ხელთ ჰქონდათ საქართველოს უშიშროების ორგანოებს. მიუხედავად ამისა, საზღვარგარეთული ბიურო ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა არ ჩაშლოდათ აჯანყების საქმე” (ბენიძე 1991: 21).

ს. ზალდასტანიშვილის ცნობით, 24 აგვისტოს ხუთ კაცს დაუდგენია, აჯანყება 29 აგვისტოს, 2 საათზე დაწყებულიყო, მაგრამ ერთი დღით ადრე ჭიათურის გამოსვლით მოქმედების ინიციატივა “ჩეკასა” და ხელისუფლებას გადაეცა: იმავე დღეს, 28 აგვისტოს, სამხედრო წესები გამოაცხადეს. ასე რომ, 29 აგვისტოს ამბოხება უკვე დასამარცხებლად იყო განწირული.

“ასე დამთავრდა 1924 წლის აჯანყება. წინასწარი მუშაობა მშვენივრად იყო მოწყობილი. მოქმედება კი უვარგისად ჩატარდა” (ზალდასტანიშვილი 1994: 5). ამბოხების მონაწილე პოლკოვნიკის აზრით, მარცხის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ მეთაურთა შორის არ გამოჩნდა ძლიერი პიროვნება, რომელიც შეძლებ-

და, მოძრაობისათვის გაბედულად ეხელმძღვანელა. ხალხის მთლიანობას ერთმანეთთან მოქიშპე პოლიტიკური პარტიებიც არღვევდნენ.

პოლკოვნიკ ირაკლი ცაგურიას მოგონებით, “მთელი ერის საერთო აჯანყება ჩაქრობილ იქნა საშინელ სისასტიკით. საქართველო განიბანა თავისივე სისხლში. შურს იძიებდნენ იმ ერზე, რომელმაც გაბედა და შეეცადა მონობის უღლის გადაგდება და რომელსაც სწადდა დამოუკიდებლობის აღდგენა” (შარაძე 2003: 570).

1924 წლის აგვისტოს ტრაგედიის დინამიკას, მის შედეგებსა და შეცდომებს ეძღვნება გრიგოლ რობაქიძის გერმანულენოვანი რომანის “მცველნი გრაალისას” (“Die Huter des Grals”) მნიშვნელოვანი მონაკვეთი (რომანი პირველად 1937 წელს იენაში დაიბეჭდა).

იმ თავში, რომლის სათაურია “სუნთქვა საფრთხისა” (“Anhauch der Gefahr”), საუბარია აჯანყებისათვის მზადებაზე, მის გეგმასა თუ ხელმძღვანელობაზე. მთავარ გმირს, ლევან ორბელს მეგობარი, აჯანყების მონაწილე მფრინავი საღარა საიდუმლოდ გაანდობს ეროვნული ამბოხისათვის მზადების გეგმას. ლევანს ეს ცნობა აფორიაქებს, რადგან, მისი ფიქრით, შეიარაღებული გამოსვლა უაზრობაა და დამარცხებისთვისაა განწირული. მისივე თქმით, საფუძველშივე არასწორია გათვლა იმაზე, რომ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ საქართველოს შემდეგ სომხეთი, აზერბაიჯანი და ჩრდილო კავკასიაც გამოვლენ და რამდენიმე კვირაში ბოლშევიკთა ბატონობას ბოლო მოეღება. ლევან ორბელს ევროპის დახმარების იმედიც არა აქვს. შესაბამისად, გმირი თვლის, რომ ეს პროცესი ერის, ქვეყნის თვითმოსპობისაკენ მიდის, რადგან ამგვარი ნაბიჯისათვის შინაგანი სიმწიფეა საჭირო.

მწერალს საკუთარი მოსაზრება აქვს აგვისტოს აჯანყების ხელმძღვანელობაზე. იმავე ლევანის სიტყვით, მსოფლიოს ისტორიაში არასოდეს მომხდარა, რომ აჯანყებას პარიტეტული კომიტეტი მეთაურობდეს. გმირი რიტორიკულად კითხულობს: რას იზამდა არმია, მისთვის ჰანიბალის, ალექსანდრე მაკედონელისა და ნაპოლეონის მაგიერ პარიტეტულ კომიტეტს რომ ეხელმძღვანელა? – ეს ანონიმური იმპოტენციიაა.

თვით აგვისტოს ტრაგედიას “მცველნი გრაალისას” ცალკე თავი ეძღვნება სათაურით “აჯანყება” (“Der Aufstand”), სადაც ამბოხების ერთგვარი ქრონოლოგიაა გადმოცემული. ავტორი მოგვითხრობს, რატომ გახდა საჭირო აჯანყების რამდენიმე დღით გადადება: მის ხელმძღვანელებს ეჭვი გასჩენიათ, ბოლშევიკებმა უკვე ყველაფერი იციანო. ამავე დროს, რობაქიძის ცნობით, ოფიციალურ პრესაში გამოქვეყნებულა მიმართვა ქართველი ხალხისადმი: იგეგმება აჯანყება, რომელშიც მონაწილეობა უაზრობააო, ე.ი. ხელისუფლებას წინასწარი სვლა გაუკეთებია, თავად აჯანყებულებს კი მოულოდნელი დარტყმა არ გამოუვიდათ.

გრიგოლ რობაქიძე იმ ამბებზეც საუბრობს, რომლებიც სოლომონ ზაღდასტანიშვილის მოგონებათა წიგნშია გადმოცემული: აჯანყების ერთი მონაწილის დაპატიმრებაზე, ჭიათურის ამბებზე, რომელმაც, მისი აზრით, საქმე საბოლოოდ დალუპა, ამბოხებულთა გმირულ წინააღმდეგობაზე, რის გამოც დემონურად უშიშარი ბოლშევიკები ჰანიკამ მოიცვა. რობაქიძის ინფორმაციით, საღამოს 6 საათის შემდეგ ქუჩაში გამოსვლაც აიკრძალა.

ქართველი მწერლის ავი წინათგრძნობა გამართლდა: კავკასიის არცერთი ხალხი არ შეუერთდა საქართველოს აჯანყებას, ევროპული დახმარებაც არ მოვიდა. ამით შეგულიანებული ბოლშევიკები გონს მოსულან და სამხედრო მზადყოფნა გაუძლიერებიათ. რომანის მიხედვით, **აჯანყების პედი წინასწარ განწირული იყო**. რობაქიძის დაკვირვებით, კომუნისტების სახეზე კვლავ თავდაჯერება აირეკლა.

რომანში აღწერილი ამბების ნამდვილობას იმდროინდელი პერიოდული პრესაც ადასტურებს. აჯანყების ჩახშობის მეხუთე დღეს, 1924 წლის 4 სექტემბერს, გაზეთი “კომუნისტი” პირველივე გვერდზე საგანგებო განცხადებით მიმართავდა მოსახლეობას: “მენშევიკურ-თავდაზნაურული ბანდიტიზმი დამარცხებულია, ბანდიტთა ხროვა განადგურებული. მშრომელთა დიქტატურის მძიმე ხელი გასრესს დანარჩენებსაც, ვინც ხმალი იშიშვლა, იმათ შესასამუსრავათ. ფიზიკური გასრესა და დასამარება – აი, პასუხი მშრომელთა დიქტატურის. აი, რას ვპირდებით ჩვენ ხალხის მტრებსა და მოღალატეებს. გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას! გაუმარჯოს კომუნიზმს!”

5 სექტემბერს იგივე გაზეთი კვლავ პირველივე გვერდზე წერს: “დამარცხება დამარცხებაზე და სრული განადგურება – ასეთია უდღეური ბანდიტური ჯგუფების ბანდიტური გამოსვლების დასასრული”. იქვე მოწოდებაცაა: “გადასახლებულნი უნდა იქნან ამიერკავკასიის ფარგლებიდან ყველა მენშევიკური ელემენტები”.

ასე ჩაახშეს თავგანწირულ მამულიშვილთა ეროვნული ამბოხი. გრიგოლ რობაქიძის ცნობით, დახვრეტილთა რიცხვმა 6 ათასს მიაღწია. მაშინ მოსკოვიდან მოსულა ბრძანება დახვრეტათა შეწყვეტის თაობაზე. დალუპულ თანამემამულეებს მთელი ქვეყანა გლოვობდა.

საყურადღებოა მწერლის დაკვირვება: დამარცხება აღქმულ იქნა, როგორც სირცხვილი. რომანის მიხედვით, პარიტეტული კომიტეტი დამალულა, მაგრამ 1924 წლის 4 სექტემბერს საქართველოს საგანგებო კომისიის მუშაკებს აჯანყების შტაბი შიომღვიმის მონასტერში აღმოუჩენიათ და დაუპატიმრებიათ პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე კ. ანდრონიკაშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მდივანი ი. ჯავახიშვილი და სხვები.

1924 წლის აგვისტოს ამბებს გრიგოლ რობაქიძე გლობალურად აფასებს. მისი აზრით, საფრთხე დაემუქრა ხალხის მთელ ძირეულ სისტემას, რადგან: თუ მთელ სისტემას მონამლაგ, ყოფა ეშმაკის სათამაშოდ იქცევა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას კი ეროვნულ ყოფიერებას საფრთხე შეგნიდან დაემუქრა: მის ბირთვში ახალი ელემენტი გაჩნდა. ის ორგანიზმის ჯანმრთელ უჯრედებს ჭამდა, ადამიანის პირველქმნილ მთლიანობას არღვევდა.

სხვა თხზულებაში “ლამარა” (მოკლე ბიოგრაფია), რომელიც 1954 წელს შენევაშია დაწერილი, გრიგოლ რობაქიძე გადმოსცემს საკუთარ სულიერ განცდებს მოსალოდნელი აჯანყების გამო, რომლის სასტიკი წინააღმდეგეც იყო. “თუ რატომ, ეს მისხლობითაა აწონილი ზემოხსენებულ რომანში”, – აღნიშნავს მწერალი და აგრძელებს: “მე ვინ რას დამიჯერებდა ამ საქმეში? საშინლად ვნერვიულობდი. ავიშალე. დავიშალე.

მოხდა ამბოხება. გათავდა მარცხით. ახლა კი შლე-გად ვიქცე: კაცს აღარ ვგაგვი” (რობაქიძე 2003: 276). ასეთ მდგომარეობაში მთელი წელი გასულა. სულიერი კრიზისი მწერალს ნაწილობრივ “ლამარას” დაწერით დაუძლევიდა. “შესაძლოა, წამებულმა ქართველმა ისეთი სიმძლავრით გაიღვიძა ჩემში, რომ ქვეშეცნეულ მოვიხდომე: “ლამარა” უმაღლეს მიმეხალა მტარვალთა მიმართ, ვითარ ტრაგიული მარჯი დამარცხებულთა.. ორი კვირე მოვუხდი “ლამარას” სიტყვიერ გაშლას” (იქვე). “ლამარა” ჩემთვის პიროვნული არსია”, - შენიშნავს მწერალი. მისი ტექსტი რობაქიძეს მოკლედ დროში: 1924 წლის 14-21 ნოემბერს დაუწერია. პიესის პრემიერა 1926 წლის 29 იანვარს შემდგარა. “იგი გადაიქცა კავკასიის თვითმყოფადობის მანიფესტად საბჭოთა ძალადობის წინააღმდეგ, რომელმაც თავისი სისხლისმსმელი სახე გამოამყვანა იმ მასობრივი დახვრეტიტით, რაც ამბოხების ჩახშობას მოჰყვა” (ჰოიზერმანი 2006: 43). პიესის წარმატების მიუხედავად, კომუნისტურმა პრესამ გრიგოლ რობაქიძეს “ბიოლოგიურ ნაციონალიზმში” დასდო ბრალი.

მართლაც, დღეს ადვილი წარმოსადგენია, რა საოცარი რეაქცია ექნებოდა მაყურებელს, როდესაც ცცენიდან იმ მტკიცე სიტყვებს მოისმენდა, თვით ვაჟაფშაველას რომ ათქმევინებს მწერალი:

“ფშავ. ხევსურ. თუმ.

კახ. ქართ. ჰერ.

გურ. მეგრ. სოან.

შვილნია საქართველოს!

სიმარჯვე ყველას!” (რობაქიძე 2003: 153).

ალბათ 1924 წლის აგვისტოს ქართული გოლგოთის პირდაპირი ასოციაცია იქნებოდა ლამარას სიტყვები: “მზეი სისხლით თვრება..

სუ სისხლი, ყოველგან სისხლი” (იქვე: 165).

არანაკლებ ექსპრესიულია რობაქიძის პიესაში იჩოს მონოლოგი:

“ნაოხარ ვიქცე – ნაოხარ.

მინდა სისხლ ცეცხლიანი.

მინდა დავეცე მტერს.

მინდა დავანარცხო მისი ჯარი” (იქვე: 173).

გრიგოლ რობაქიძის წინათგრძნობა გამართლდა: 1924 წლის აგვისტოს მარცხმა საქართველოში წითელ ტერორს გაუხსნა გზა. ქვეყნის საუკეთესო შვილები ზვარაკად შეეწირნენ ამბოხებას, ან იძულებით დატოვეს სამშობლო. კომუნისტების ძალაუფლება არნახულად გაძლიერდა, ეროვნული ყოფიერების შინაგანი საფრთხე რეალობად იქცა.

ლიტერატურა:

ბენიძე 1991: ბენიძე ვ. 1924 წლის აჯანყება და საქართველო. თბილისი: ცოდნა, 1991.

ზალდასტანიშვილი 1994: ზალდასტანიშვილი ს. საქართველოს 1924 წლის ამბოხება. თბილისი: 1994.

რობაქიძე 2003: რობაქიძე გრ. დრამები. თბილისი: 2003.

რობაქიძე 1937: Robakidse Gr. Die Huter des Grals. Iena: Eugen Diederichs Verlag, 1937.

შარაძე 2003: შარაძე გ. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. IV. თბილისი: 2003.

ჰოიზერმანი 2006: ჰოიზერმანი თ. Amor fati (გერმანული ენიდან თარგმნეს ლ. ნაროუშვილმა და ლ. რამიშვილმა). თბილისი

ი: თანამედროვეობა და მემკვიდრეობა, 2006.

ჯემალ ჯიქია

ლა-ზარე

ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმი თავისებურ სასაუბრო ენას ფლობს. მე ამჯერად მაღალ განვითარებულ ცოცხალ ორგანიზმებზე - ცხოველებსა და ფრინველებზე შევჩერდები. ისინი ყველანი თავიანთ ენაზე ლაპარაკობენ, რომლის დროსაც იყენებენ თანხმობის ბგერებს, თუმცა ხმარებაში აქვთ ასევე ხმოვნებიც, მაგრამ ერთი ან ორი, თუმცა არა ერთდროულად. მაგალითად ძალი ყვეფის დროს ერთ ხმოვანს იყენებს, ნკ-მუტუნის დროსაც სხვა ერთ ხმოვანს. ასეა ნებისმიერი ცხოველი თუ ფრინველი. ერთადერთია ადამიანი, რომელიც ხუთ ხმოვანს იყენებს ერთდროულად თანხმობებთან ერთად აზრის ჩამოყალიბებაში. ამის გარდა, მხოლოდ ადამიანს აქვს ღვთისგან ის ნიჭი, რომ ნებისმიერი მისი ნათქვამი ბგერისთვის მიესადაგებინა გრაფიკული ნიშანი - ასო. ასო-ბგერამ მიიღო სახელდება და ამ სახელდებას ასო-ბგერებს ანბანი ეწოდება. სწორედ ამ ასო-ნიშნებიდან პირველს ეწოდება „ანი“ და აღინიშნება „ა“ გრაფიკით. იგი მოიაზრება საწყისად, საწყისი ყოვლისა კი ღმერთია - მე ვარ ანი - ამბობს უფალი. იგია ყოველივეს საწყისი უსასრულობაში. ღმერთი ხომ ყოვლისმომცველია, უსულოთა, სულდგმულთა, მათი კავშირისა და ურთიერთდამო-

კიდებულებებისა. პავლე მოციქული ბრძანებს - „იგია საწყისი, ყველა მოკვდავზე უწინარეს დაბადებული, რათა ყველაფერში პირველობდეს.” (კოლ. 1.18)

ხილული სამყაროს შექმნა, უხილავი სამყაროს შექმნის, ე.წ. ნულოვანი დღის შემდეგ დაიწყო. ამიტომაც ხილულ სამყაროში პირველი ციფრი ერთიანია, ანუ „იგია საწყისი” - „იქნება უფალი მეფედ მთელს ქვეყანაზე; იმ დღეს ერთი იქნება უფალი მისი სახელიც ერთი იქნება”.

ამ გაგებით, უფალ იესო ქრისტეს, რომელიც „ყველაფერში პირველია”, ციფრობრივ ენაზე შეესაბამება „ერთი” - 1.

ქართულ ანბანში მეორე ადგილზე დგას ასო-ნიშანი „ბ”-(ბანი), რომელიც შეესაბამება ძე ღმრთისას(ძე მამამია და მამაა ძეში). მამამ ძე ქრისტე მოავლინა ადამიანებთან, რომელმაც კაცობრიობის ცოდვები თავის თავზე აიღო, ჯვარზე გაეკრა, ენამა და ადამიანს დაუბარა: ჩემს მეორედ მოსვლამდე თუ არ მოინანიებ და არ გამოიყენებ შენთვის ნაბოძებ თავისუფლებას სიკეთისათვის, ყველაფერს აზღვევო. მამ ასე, 2 - „ბ”-(ბანი). „ბა” ქართულში პირმოს ნიშნავს (აქედან ბაია).

ქართული დამწერლობის მესამე ასო-ნიშანი „გ“- (განი), ეს არის სულიწმინდა, რომელზედაც ძე გემოდღერავს, რომ სულიწმინდას მასზე წინ თუ დავაყენებთ, ის არ განაწყენდება. მამ ასე, 3 - „გ“- (განი).

როგორც ვთქვით, „ა“ ყოვლის საწყისია, იგი არა მინიერია, არააქაური. არააქაური, იმიერი კი „ი“ ასო-ნიშნით გამოისახება ქართულ ენაში. ე.ი. ორი ასო-ნიშანი გვაქვს, რომლებიც აზრობრივად გამოსახავენ საწყისს იმიერიდან. ეს ყველაფერი იმიერიდან მოეწოდა იმ უმაღლეს სრულყოფილ სულდგმულს, რომელიც ადამიანობისთვის მოამზადა ღმერთმა და ერთმანეთთან კავშირისთვის მოუვლინა ასო-ნიშანი „ე“- (ენი). ჰოდა, ჰოი საოცრება, ამ სამი ხმოვნის ასო-ნიშანთა თანმიმდევრობით შერწყმა ერთმანეთთან, დედამიწის ყველა ხალხთა ენებთან შედარებით, აუზენაესებს ქართულ ენასა და მის დამწერლობას. თუ ამ ხმოვნებს ერთმანეთის მიყოლებით შეხორცებულად დავწერთ, მივიღებთ ასო-ნიშან „უ“-ს, რომელშიდაც უბრალო თვალთადაც ჩანს ასო-ნიშანი „ო“(ონი) და საბოლოოდ ჩვენი დალოცვილი დედამიწის გვირგვინი „უ“. ამ ასო-ნიშანში ღმერთმა მოგვცა ხუთივე ხმოვანი „ა“, „ი“, „ე“, „ო“ და თავისთავად „უ“. რაც მოგიყვები ძვირფასო მკითხველო, თუ გაგაგებინე, ვარ ბედნიერი. შენ ფლობ აზრს, შინაარსს „უ“-ს შესახებ. ე.ი. შენ „უ“ ფალი! შეგენით უფლის მადლი.

ძვირფასო მკითხველო, ხმოვნების შესახებ აქ შევეჩერდეთ. ჯერ განვიხილოთ ჩვენთვის სასაუბროდ საჭირო ასო-ნიშნები და შემდეგ განვაგრძოთ თხრობა ხმოვნებთან დაკავშირებით.

შესავალი, რომელიც გავაკეთე, გარკვეულწილად საყრდენი იქნება იმ თემის გასაგებად, რაზედაც უნდა ვისაუბროთ. მამ, ვინყებ:

ადამიანისთვის (მხედველობაში მაქვს მატერიალურის და იდეალურის შერწყმის უმაღლესი ფორმა) საწყისი მისი ბავშვობაა. ყველა ბავშვს კი გაუთავებლად შეუძლია ისმინოს ზღაპარი და ეს შემთხვევითი არ არის. ამით ბავშვში იღვიძებს და ხორცს ისხამს ის, რაც ღმერთმა მასში ჩააბუდა.

მინდა შეგახსენოთ, არაერთი ზღაპრის ერთ-ერთი პერსონაჟია ალი. მრავალი ზღაპარი და გადმოცემაა იმის შესახებ, რომ მონადირეს ალი აეკიდა, მგზავრი ალს გადაეყარა, მეთევზეს ალი დაესხა და რა ვიცი, რამდენი ამის მსგავსი.

და მაინც, რა არის „ალი“? ჩვენ რომ არაფერი ვთქვათ, რა ვუყოთ მუსულმანურ სამყაროს, სადაც სიტყვა „ალი“ საუკეთესო აზრის მომცველ სიტყვათა შორის პირველობს?

ზღაპრები გადმოგვცემენ, რომ ალი მონადირეს დაენია და დაუძახა, რალაც მოიმოქმედა, გაქრა და გარკვეული დროის ან მანძილის გავლის შემდეგ კვლავ გამოეცხადა. პირადად, მეც მინახავს ჩემს სინამდვილეში ისეთი ადამიანები, რომლებიც ასეთ ამბებს საკუთარ თავგადასავლად დიდად სარწმუნოდ ჰყვებოდნენ, ანდა სანდო ადამიანების მიერ მონათხრობით მარწმუნებდნენ. ეს რომ მარტო მე მომესმინა და მხოლოდ ერთი ადამიანისგან, არ გამიკვირდებოდა, მაგრამ ამ ჩემგან უხილავში ბევრი „ვიხილე“. ბოლოსდაბოლოს, იმ პირველსაწყისსა და ჩვენს შორის რალაც შემაერთებელი ხომ არსებობდა და ახლაც აგრძელებს არსებობას?!

ადამიანის შინაგანი სამყარო მრავალი „ელემენ-

ტისგან“ შედგება. მათგან ძირითადი და ყოვლისმომცველია ცნობიერი და არაცნობიერი (ქვეცნობიერი, გულისთქმა). მიუხედავად იმისა, რომ არაცნობიერი არ არის ამოტანილი ფხიზელი განცდის დონეზე, მას უზარმაზარი როლი ენიჭება ადამიანის ყოფნის ასეთობისთვის და თუ ცნობიერი და არაცნობიერი ერთმანეთს ემთხვევა, ეს უკვე ჰარმონიაა.

არაერთი ეზოთერიკოსი მიუთითებს, რომ ქართულში „ალი“ სულს გამოსახავს. მე ამ საკითხის შესახებ ჩემეული შეხედულება მაქვს და შევეცდები თეორემისეული მტკიცებით წარმოგიდგინოთ მისი ჭეშმარიტება.

არ არსებობს სარწმუნოება, რომელიც სულს არ აღიღებს. სწორედ ამის შედეგია, თუნდაც მუსულმანებში სახელ „ალის“ განსაკუთრებული თაყვანისცემა. ჩვენ, ქრისტიანები და განსაკუთრებით მართლმადიდებლები, საოცარი მაგალითების მცოდნენი ვართ, როცა ადამიანი სულის ღმერთთან ყოფნისთვის, სულის განდიდებისთვის, წარმოუდგენელი წამებით ასრულებს სიცოცხლეს.

ისეთ რამეს მოგიყვებით, რომელიც, შეიძლება, ჩემზე კარგად იცოდეთ, მაგრამ მასზე ყურადღება არ გაგიმახვილებიათ. ბევრისთვის დამისვამს შეკითხვა, თუ რა ჰქვია ქართულში იმას, რაც ყოველთვის არსებობს და მისი მოსპობა არ შეიძლება. პასუხიც სხვადასხვაგვარი მიმიღია, მაგალითად: მარადიული, სამუდამო, უბერებელი და ა.შ. ვინ მოსთვლის კიდევ რა. როცა მე ყველას უარვყოფ, მერე თვითონ მეკითხებიან, აბა შენ გვითხარი, რა არის ასეთიო. ჰოდა, მეც ვეუბნები, ეს არის სიტყვა „სულ-ი“. ამის შესახებ ლექსიც მაქვს გამოქვეყნებული გაზეთში „მეტი სინათლე“:

„რომ იყო და რომ არის და რომ იქნება,
ქართველები ამბობენ რომ არის „სულ“-ო“

ე.ი. სულ ნიშნავს მარადიულს - იგი მუდმივს გამოსახავს.

როცა ღმერთმა ადამიანის გაჩენა გადაწყვიტა თავის სახედ და ხატად, - მოზილა ქანი, მისცა ფორმა და მერე შთაბერა სული მისი. ღმერთი მარადიულია, მის მიერ მატერიალურში შთაბერილი სულიც მარადიულია. ადამიანი ქანისა და ღვთის ჩანაბერი სულის კომბინაციაა, ამიტომაც გვეუბნება: მინა ხარ, მინად იქეციო. ხოლო სული, რომელიც სხეულს გაეყარა, უკვდავია, შთამბერავთან ბრუნდება. იგი, ამიერშია თუ იმიერში, არის სულ - მუდმივად. სწორედ აქედან უნდა მომდინარეობდეს სიტყვა „სული“ და როგორც ვთქვით, იგი უკვდავია.

არაერთ შვილმკვდარ ადამიანს (მათ შორის ბიზნესმენებიც იყვნენ) ველაპარაკე ამის შესახებ, რომ მისი შვილი, როგორც სული, უკვდავია და შესაძლოა, უფლის ნებით, ხელახლა დაიბადოს.

„ნუ გაგიკვირდება, რომ გითხარი: თქვენ მაღლიდან ხელახლა უნდა იშვათ-მეთქი“ (იოანე, 3.7)

„მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე, ჩემი მორწმუნე, რომ მოკვდეს კიდევ, გაცოცხლდება“ (იოანე, 11.26)

ჩაგიდგამთ ჩემს სულს და გაცოცხლდებით; დაგსვამთ თქვენს მინაზე და მიხვდებით, რომ მე, უფალმა ვთქვი მიძინებული გამოიღვიძებს, ზოგი საუკუნო სიცოცხლისთვის, ზოგი საუკუნო გმობისა და შერცხვენისათვის“ (დანიელი, 12.2)

რა თქმა უნდა გაცოცხლებული მისმენდნენ და სიამოვ-

ნებდათ ამის გაგება, მაგრამ მეკითხებოდნენ: რატომ დამტანჯა ღმერთმა, თუ ასეაო. იმიტომ, ალბათ, რომ ცოდვა გაქვთ ჩადენილი, ან შენ, ან შენს წინაპარს და ამით ზღავთ-მეთქი. ეს კი აღარ სიამოვნებთ და თავის მსხვილი ბიზნესიდან გაჭირვებულთ, ანდა კეთილ საქმეს რაიმე რომ არგონ, თავს იკავებენ. თუმცა უფალი ამბობს: „უმაღ აქლემი გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ჩემს სასუფეველში.“

ყოველ ქართულ ასო-ნიშანს თავისი სახელი, ნომერი, რიცხობრივი მნიშვნელობა და შინაარსი აქვს. ასო ნიშნებისგან შედგება ქართული ანბანი, რომლის ურთიერთწყობა წარმოადგენს ქართულ დამწერლობას, ქართულ ენას, რომელიც 4000 წლის წინ მოკვდა (სწორედ ამის დამტკიცებაა ჩემი მიზანი). იგი ჩვენთვის შეუცნობელი იყო, ახლა კი დაინყო გაცოცხლება. „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ გვამცნობს:

„და ესე ენაჲ,
შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა,
მდაბალი და დაწუნებული, -
მოელის დღესა მეორედ მოსვლასა უფლისასა,
და სანაულად ესე აქუს: ას-ოთხი წელი უმეტეჲს

სხვათა ენათა ქრისტეჲს მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე.“

ჰო, დაინყო ლაზარემ - ქართულმა ენამ - გაცოცხლება-აღდგინება. აღსრულდება იოანე ზოსიმეს მიერ „გადმოჩიხბილი“ წინასწარმეტყველება. ღვთის ნებით, ყველა ღმერთთანყოფელს შეუძლია წვლილი შეიტანოს მის გაცოცხლებაში. სწორედ ასე ინება ღმერთმა, რაღაც მე ამომეცნო ამ საიდუმლოებიდან, გაიღო მისმა უზენაესობამ ჩემზე მისი კეთილი ნება, რამეთუ ყველას და ყველაფერს თავისი მისია აქვს (ვისაც რა მიეცა, იგივე მოეკითხება).

ჩემი მიზანია, ერთმანეთს დაუუკავშირო: წმინდა სამება - ერთარსი, ქართული ენა, ქართულ ენაში ჩადებული საიდუმლოებანი, ლაზარე და იესოს ზოგიერთი წინათქმანი. ამ განაზრახის ააღსრულება არ შემოძლია ქართული ანბანის გარეშე, ამიტომ საუბარს გავაგრძელებ მის შესახებ, რასაც ზემოთგანხილული ასო-ნიშნების შემდეგ პირველ ნომრად განვიხილავ. მისი სახელია- „ლ“ (ლასი) და ნომერია 12. იგი უშუალოდ ყველაფერზე პასუხისმგებელია - ერთთან, ორთან და მათ ჯამთანაც $12=1+2=3$ (როგორც ვთქვით 1, 2, 3 - ა, ბ, გ ასოთა ნომრებია). იგი ქართულში სულს გამოსახავს.

ყველას გაუგონია, დაუძღვრებულ სხეულზე იტყვიან, ძლივს მილასლასებდა, ლასლასით მიდიოდა. ასე მხოლოდ სულზე იტყვიან და სხვა არაფერზე.

სხვათაშორის გიორგი ჩიტაიას ნარკვევში ვკითხულობთ: „ქართლში როცა სათევზაოდ მიდიოდნენ, ლოცვით სულს სთხოვდნენ: ლასო, თევზი დაგვაჭერინე, ხელი მოგვიმართე და პირველ ნადავალს შენ შემოგწირავთ“. ეს მაგალითი ბატონ რამაზ პატარიძეს მის ხელით საგოგმანებელ ნიგნში „ქართული ასოთავრული“ აქვს შეტანილი. ასე რომ, თუ წინაპართა ფესვებზე ვართ აღმოცენებული, აქ სადავო არაფერი უნდა იყოს.

ზემოთ ჩვენ მივუთითეთ, რომ ასო-ნიშანი „ლ“ (ლასი) ქართულში სულის გამომსახველია, რის სისწორეშიც გზადაგზა არაერთხელ დავრწმუნდებით. განვიხილოთ „ლ“-ს დამოკიდებულება და „შემოქმედება“ ქართული ხმოვნების მიმართ.

ასევე, უკვე ვისაუბრეთ „ალის“ შესახებ, თუ როგორ ეცხადება იგი ადამიანს და როგორ უჩინარდება შემდეგ. ე.ი. მას შეუძლია იყოს ამიერშიც და იმიერშიც, ანუ ხილულშიც და უხილავშიც. თურმე ეს არის ის, რომელიც მიდის და მოდის ხან სხეულით, ხან სხეულის გარეშე. თანამედროვე ტექნიკაც და აზროვნებაც კი, უძღურია მის ყოვლისშემძლეობასთან.

ქართულმა ენამ და არა მარტო ქართულმა, იცის სულის სიცოცხლე და ამიტომაც ხშირად ადამიანებს სულადობით ითვლიან - ხუთი სული სტუმარი, ათ სულზე სუფრა და ა.შ.

თუ სული წმინდაა და უბინო, მაშინ სხეული, რომელშიც ეს სულია ჩასახლებული, კეთილია, სინდისიანი. ამიტომაც ქართულში სული და სინდისი გაიგივებული. სხეული, თავისთავად, ნივთიერია, ხრწნადი და ბილწი, მას მხოლოდ სული მართავს. როცა ადამიანი ზედმეტ სიმკაცრეს იჩენს, დაუნდობელია და სხვისი ტკივილის არაფერი გაეგება, ამბობენ, უსულგულოაო.

„უფალო ღმერთო მაცხოვარო ჩუენო, შემოქმედო და დამბადებელო ყოველთა არსთაო, რომელმა მიუწვდომელითა მონყალებითა შენითა შეჰქმენ კაცი, განსასრულელად ყოვლისა ქმნილებისა შენისა, და დაადგინე იგი მეუფედ და მცველად გამგებლად მისა, სახედ მეუფებისა შენისა;“- ვკითხულობთ „მამის ლოცვაში“. ე.ი ღმერთმა ადამიანში ჩადო ღმერთის მიერ შექმნილი ყოველი არსი.

თუ კვერცხი ჯანსაღია, მზადაა სულის „მისაღებად“ მასში ჩასახლებელი სული მოიხსენიება „ლა“-დ. „ლა“ სულია, რომელიც მოდის მატერიაში (ნივთიერში, მყარში) ჩასახლებულად. მე საუბარს განვაგრძობ ადამიანთან დაკავშირებით, რამეთუ ღმერთმა იგი თავის სახედ და ხატად შექმნა. როგორც კი მდებარეში (სადებოში) საკუთარი სულის გარდა სხვა სული დაიბუდებს, მას ორ საჭურჭელ მიწას, ორკეცს, ანუ ორსულს ეძახიან (სულხან-საბა). სხეულში ჩაბუდებული სულის სახელია - „ლე“ (და ამბობენ ლემიო, ე.ი „ლე“-ში(ნ)). „ლე“ სხეულში გარდაცვალებამდე რჩება. გარდაცვალებისას სული ეცლება მატერიას (ხრწნადს, ნივთიერს) და გადის „ლი“ მდგომარეობაში, ე.ი. ესაა სული, რომელიც თავისუფალია ხრწნადისგან, იგი უკვე იმიერშია. (სხვათაშორის, „ინი“, თითქმის ყველა ენაზე არააქაურს, უცხოს ნიშნავს). ამიტომაცაა ქართველი რომ მშობელი ხდება, ეუბნებიან - შვი-„ლი“-ს შეძენა მომილოციაო. მან ხომ „ლი“ შვა, „შვილი“ - სული დაბადებულია სხეულში.

მომდევნო „ო“ ხმოვანთან ასო-ნიშან „ლ“-ს დანყვილება გვაძლევს სულის მდუმარე მდგომარეობას - „ლო“-ს ამაზე ამბობს ქართველი კაცი, საიდუმლოს შენახვის გამოსახატად, სამარე ვარ, ქვა ვარ, „ლო“ ვარო. სხვაგვარად, „ლო“ სულია მდუმარებაში მყოფი. ვთქვათ, ბავშვი დედის მუცელში მდუმარე მდგომარეობაშია.

როცა ნაყოფი ჩაისახება, ამბობენ ასე: სული ჩაისახა, სულმა ჩაიბუდა, სული ჩაიდგა, სული ჩაბერა. ხოლო როცა გარდაიცვლება, ამბობენ: სული ამოძვრა, სული ამოუვიდა, სული ამოხდა, სული განუტევა, სული გასძვრა, სული დალია. (ღმერთო, დაგვიფარე!)

ბიბლიური ისტორიული ქრონოლოგია გვამცნობს, რომ აბრაამი მიდის შუამდინარეთიდან და ქანაანს მკვიდრდება. ცნობილი არაა, აბრაამი შუამდინარეთიდანაა, თუ შუამდინარეთშიც მისულია. ესაა ძვ.წ.

აღ. 1800-1750 წლები. იმის წინ რა მოხდა, ან მაშინ რა ხდებოდა დედამინაზე, არაფერს გვეუბნება ბიბლია. და აქედან მოყოლებული ადამიანთა ერთი ნაწილი, რომლის სახელია ჯერ საბირუელ, მერე ისრაელი, და ბოლოს ებრაელი, წარმართავს ყოველივეს. იგი ბიბლიის მთავარი გმირია, თუმცა აქვე მინდა დავამატო, „ახალი აღთქმა“ ისეთი რამეებით გვმოძღვრავს, საქმე სხვაგვარად შემობრუნდეს იქნებ. ისე არავინ გამოგოს, თითქოს ისრაელის(!) ღვანლის მიჩქმალვას ვცდილობ, მაგრამ ჩავიხედოთ დროში, უფრო ღრმად, ბიბლიის საწყისს იქეთ, რომლის საფუძველსა, ვიმეორებ, „ახალი აღთქმა“ მაძლევს.

იოანეს სახარების XI თავიდან მოვიყვან რამდენიმე პუნქტს.

„იესომ მოისმინა და უთხრა: ეს ავადმყოფობა სასიკვდილო არაა, არამედ ღმერთის სადიდებლადაა, რათა მისით განდიდდეს ძე ღვთისა“ (11.4)

„როდესაც გაიგო, რომ ავად იყო, ორი დღე დაჰყო იმ ადგილზე, სადაც იმყოფებოდა“ (11.6)

„ღამით მოსიარულე კი წაიბორძიკებდა, რადგან სინათლე არ არის მასში“ (11.10)

„მაშინ იესომ პირდაპირ უთხრა: ლაზარე მოკვდა“ (11.14)

„იესო ეუბნება მას: აღსდგება შენი ძმა“ (11.23)

„მართამ უთხრა იესოს: აღსდგება აღდგომისას, უკანასკნელ დღესა“ (11.24)

„იესომ უთხრა: მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე, ჩემი მორწმუნე რომც მოკვდეს, გაცოცხლდება“ (11.25)

„იესო აცრემლდა“ (11.35)

„იესო კვლავ აღელდა თავისთვის. მივიდა სამარესთან. ეს იყო გამოქვაბული, ზედ ლოდი დადებული“ (11.38)

„იესომ თქვა: ასწიეთ ლოდი. მიცვალებულის დამ მართამ უთხრა: უფალო, უკვე ყარს, რადგან მეოთხე დღეა“ (11.39)

„იესომ უთხრა: განა არ გითხარი, რომ თუ ირწმუნებ, ღმერთის დიდებას იხილავ?“ (11.40)

„ამრიგად ასწიეს ლოდი. იესომ თვალეზი აღაპყრო და თქვა: მამო, გამადლობ შენ, რომ მისმინე“ (11.41)

„და ეს რომ თქვა, დიდი ხმით დაიძახა: ლაზარე, გამოდი! (11.43)

„გამოვიდა მიცვალებული, ხელ-ფეხი სახვევებით ჰქონდა შეკრული და სახეც სუდარით ჰქონდა შეხვეული. იესო ეუბნება მათ: გახსენით, გაუშვით, იაროს“ (11.44)

ახლა კი მივყვით კვალდაკვალ ბიბლიის ამ თემებს.

11.4 გვეუბნება, რომ ეს ყოველივე ღვთის მიერაა გაკეთებული, მისი ნებაა, თავისი და თავისი ძის განსადიდებლად. თურმე თვით ღმერთისგანაა ეს ამბავი ტაბუდადებული. იგი სასიკვდილოდ არ გაიმეტა უფალმა, გაასაიდუმლოვა გარკვეული დროის განმავლობაში. სწორედ ამიტომ ამბობს იოანე-ზოსიმე მის მიერ „გადმოჩნბულში“:

„დამარხულ არს ენაა ქართული

დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა სანამებლად.

რათა ყოველსა ენასა

ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

და ესე ენაჲ

მძინარე არს დღესამომდე,

და სახარებასა შინა ამა ენასა

ლაზარე ჰრქჳან ”

ძნელი გასაგები აღარ უნდა იყოს, რომ მსოფლიო ენა დღევანდელი ქართული ენაა, რომელსაც სხვა მშობლიური ენებისგან განსხვავებით დედა-ენა ეწოდება. რომელი ენების დედაა იგი? იგია ყველა არსებული თუ დაკარგული ენების დედა. და აქ უცხო არაფერია, ყველაფერს ხომ დედა ჰყავს. ასევე ენებსაც ჰყავთ (იგიც ცოცხალია) დედა და ეს ენა ქართულია. აქვე მინდა ვთქვა, რომ არაერთი წმინდანი მიუთითებს, ლაზარე - ქართული ენააო.

თუ არ ვცდები, ძველი ნელთალრიცხვის VI თუ IV საუკუნეში ეპიფანე ბრძანებს: „უწინ კოლხებს დამწერლობა ჰქონდათ“. ჩვენ ვიცით, წინა დღეს - გუშინ, იმის წინას - გუშინწინ ჰქვია. თუ ამდენი იცოდა ეპიფანემ, იგი იტყოდა კოლხების დამწერლობის ასაკს, მაგრამ იმდენად დიდი ხნის წინ იყო, ასე მოიხსენებს: „დიდი ხნის წინ“.

11.6 გვეუბნება, როდის დაადო ტაბუ ღმერთმა ქართულ ენას. იესომ კარგად იცოდა, მაგრამ როგორც ადამიანი, ორი დღის შემდეგ მოევიწია ქვეყანას და მაშინ ხდება საცნაური, რომ ლაზარე კიდევ ორი დღე უნდა იყოს მკვდარი და როცა ლაზარე მკვდარია, ამ დროს ბნელი ღამეა. ღამით მოსიარულე კი წაიბორძიკებს (11.10).

11.23-ში იესო ამბობს, ლაზარე აღდგებაო, რაზეც მართა დაეთანხმა - როცა აღდგომა მოაღწევს უკანასკნელ დღესო. იქვე, 11.24 და 11.25 მიუთითებს, რომ იესო ქრისტეს ძალიან უყვარს ლაზარე და ამიტომ ატირდა კიდევ. იქნებ ამისთვის გვაქვს ქართველებს სიმღერა „მრავალჟამიერი“, რომელიც, მე მგონია, გულისხმობს: ბევრი ჟამიანობა გადაგხდებათო.

დავით წინასწარმეტყველი გვმოძღვრავს, რომ ბიბლიური დღე ამქვეყნიურ 1000 წელს შეესაბამებაო. ქრისტეს ადამიანად მოსვლის დრო, ეს ის პერიოდია, როცა ძველი და ახალი ნელთალრიცხვანი ერთმანეთს ემიჯნებიან. იმდენად, რამდენადაც ლაზარეს გარდაცვალებიდან 2 დღე - 2000 წელია გასული, ხოლო ქრისტეს ადამიანად მოსვლის შემდეგ კიდევ გასულა 2 დღე - 2000 წელი. ე.ი გასრულებულია 4000 წელი. ეს სასწაული იოანე-ზოსიმეს ასე აქვს „გადმოჩნბულში“:

„და სახარებასა შინა ქართულსა, ხოლო თავსა მათისსა

წილი ზის, რომელ ასოჲ არს.

და იტყვის ყოვლად

ოთხ ათასსა მარაგსა, -

და ესე ოთხი დღეჲ,

და ოთხი დღისა მკუდარი,

ამისთვის მისთანვე დაფლული

სიკუდილითა ნათლისღებისა მისისაითა.“

ყველას მინდა შევახსენო, აქ ნახსენები „წილ“ - იგი ქართული ანბანის 31 ასო-ნიშანია და იწერება „წ“, ხოლო მისი რიცხვითი მნიშვნელობა 4000(!). ხომ არაფერი გვეჭვებათ? დიდება შენდა ღმერთო!

სწორედ აქ მინდა თქვენი ყურადღების გამახვილება და დასტური იმისა, რაც ქართულ ენაზე მოგახსენეთ, ქართულ ენაშია ჭეშმარიტება.

ვთქვით, „ლო“ სულია, რომელიც მდუმარეა, „დი“ ქართულში მოიაზრება როგორც დიდი (მაგ.: დიდება) მათი შეერთებით კი ვიღებთ - „ლოდი“. ეს ის მდუმარების ლოდაა, რომელიც დაფარებულია, სადაც ლაზარე

იმყოფება. აქვე მინდა მივუთითო, რომ 4000 წლის განმავლობაში გამოქვაბულზე დაფარებული ლოდის ასაკი ქართულში გამოითქმის როგორც „ლოდინი“. სწორედ ამიტომ ამბობს იესო ხმამალა - ლოდი მოაშორეთ გამოქვაბულსო, რაც ნიშნავს, - კმარა ლოდინი, დრო გავიდა მდუმარებისა. მეტი ცდა აღარაა საჭირო. ლაზარე უნდა გაცოცხლდეს, ამეტყველდეს, ამცნოს ყველას საიდუმლოების ამბავი.

აქვე მინდა ვთქვა, რომ ზარი ოდითგანვე ამბების მაცნეა. ადამიანები ზარით ატყობინდნენ ერთმანეთს, კარგსა თუ ცუდ ამბებს - მოკლედ, ზარის საშუალებით „ელაპარაკებოდნენ“ ერთმანეთს.

ეგ კი არა და, სვანეთში კარგი და ცუდი ამბების შესახებ სიმღერაც არსებობს, რომელსაც „ზარი“ ეწოდება. ე.ი შევთანხმდეთ, ზარი ამბის ცნობას, მოტანას, ან გადაცემას ნიშნავს.

იესო ხმამალა ბრძანებს:

„ლა-ზარე, გამოდი!“ (11.43)

ეს კი ნიშნავს: სულო რომელიც მოდიხარ, ზარეო, ამცნე, ამბავი მოიტანეო.

დიდება შენდა, ღმერთო! ახლაც არ გჯერათ, რომ ლაზარე ქართული ენაა?! ოდნავ მიმსგავსებული მაჩვენეთ სხვა ენაში და ხმას არ ამოვიღებ.

დღეს არაერთი მკვლევარი (პროფესიონალი თუ მოყვარული) ლაპარაკობს ლაზარეს (ქართული ენის) აღდგინებაზე. ვისი ან რისი დაძინება შეიძლება? ვისი ან რისი დაფლა შეიძლება? იმისა, რაც დაძინებამდე მღვიძარე იყო; იმის, რაც დაფლამდე დაუფლელი იყო. ლაპარაკია ლაზარეს 4000 წლის წინანდელ სიცოცხლეზე. არსად არ არის მინიშნებაც კი, ლაზარეს დაბადების შესახებ. იგი ღმერთმა კაცთან ერთად, მასთან სასაუბროდ შექმნა!!!

ღმერთმა ყველა დაგვიფაროს ბიბლიის კონტროლისა და „რევიზიისგან“, მაგრამ თუ არითმეტიკის კანონები ისევე ძალაშია, ქართული ენა (4000+წ) წლისა ყოფილა (მხედველობაში მაქვს ქართული, კოლხური, სვანური, აიასი და სხვა წინარე ენები).

„და ესე ენაჲ,

შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული, -

მოელის დღესა მეორედ მოსვლასა უფლისასა...“

და მართლაც, საუკუნეების განმავლობაში იკრძალებოდა ქართული ენა. ეგ კი არა და, მე პირადად სხვა თავდადებულ ქართველებთან ერთად სიკვდილზე წავედი 1978 წლის 14 აპრილს, როცა ქართულ ენას სიცოცხლეს უკრძალავდნენ. არა ნაკლები საშინელებაა დღესაც. თუ ინგლისური არ იცი, ქართველი საქართველოში ვერ იმუშავებ. თავის დროზე კი გვპირდებოდნენ, კომპიუტერებში ქართულ ენასაც შევიტან-

თო, თუმცა მოიმაგრეს წელი და დღეს დანაპირები არავის ახსოვს.

„მართამ უთხრა იესოს: აღდგება აღდგომისას, უკანასკნელ დღესა“ (11.24) - ამით იმის თქმა მინდა, თუ ლაზარე (ქართული ენა) აღდგომას აპირებს - მეორედ მოსვლა კარს მოგვდგომია. ყველამ, მტერმა თუ მოყვარემ, მოვიწინაოთ, პატიების უნარი აღვიდგინოთ, რამეთუ ყველანი წარვდგებით საშინელი სამსჯავროს წინაშე!

როცა ადამიანებმა ბაბილონის გოდოლი ააშენეს, ერთპირი იყო ქვეყანა, ღმერთმა ენა აურიათ. დღეს კი ადამიანები გაერთიანდნენ და მსოფლიო ერთ ენაზე ალაპარაკდა - ღმერთს ეწინააღმდეგებია. ამიტომ, გადახედეთ მსოფლიოს - მისი დასჯა დაწყებულია.

„ვიწინადან მოვა ძე კაცისა თავისი მამის დიდებით თავის ანგელოზებთან ერთად, და მაშინ მიუზღავს თითოეულ კაცს მათი ნამოქმდარის მიხედვით“ (მათე 12.27)

დიდება შენდა, ღმერთო! გილოცავ საქართველოვ, ქართულო ენავ დედობას! მთელ მსოფლიოს ვულოცავ მათი ენების დედის გაცოცხლებას, რამეთუ:

„ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“ - გესმით?! თურმე ამით ენითა განიკითხებით.

ლაზარეს ხელ-ფეხი ჰქონდა შეხვეულიო. ნახეთ რა დღეშია საქართველო, როგორაა შებოჭილი, ხელ-ფეხებორკილი. სუდარა ჰქონდა ლაზარეს სახეზეო. ნახეთ რა აქვს საქართველოს სახეზე გადაფარებული. მისი პირით უცხო ლაპარაკობს, მის სახეს სხვაა გადაფარებული და თავს ისე აჩვენებს, თითქოსდა ქართველია, ქართულის დიდი თავყანისმცემელია. ამ დროს პირიქით, - მთელი მსოფლიოს ბნელი ძალები მის სახეზეა გადაფარებული, ართმევენ ენას, მამულს, სარწმუნოებას, კდემამოსილებას, სინდისს, ნამუსს, მამის სახელს, ეროვნებას და ყოველივე იმას, რაც ღვთისნიერია - ღვთით ბოძებულია და ეშმაკის - სატანას, გამაღიზიანებელი და მომაკვდინებელია. მაგრამ ცოტაც, ჩემო ბებერო სამშობლოვ, ახლად დასაბადებლად გამზადებული ბავშვო, ჩემო ლაზარეს ბაგენო, მლაღადებელო, ეშმაკი ჩამუხლულა. შენი დრო მოდის, უფლის საათი შენს აღდგენას უჩვენებს, აღდგომა კარზეა!

დიდება შენდა, ღმერთო! შენ დაიფარე შემი საყვარელი ლაზარე! რამდენიმე დღეც და ვიმღერებთ:

გილოცავთ, ქართველნო,

გილოცავთ მოყვარენო,

გილოცავთ მტერნო, მოყვარენო ჩემნო!

„ქრისტე აღსდგა მკვდრებით, სიკვდილითა სიკვდილისა დამორგუნველი“. გასრულებულა დრო.

მარია მახუცრიშვილი

ქალ ვენა ო'ჰენრის დაბადებიდან 150 წლის იუბილეს

დიდი ამერიკელის გახსენება

ის დრო იდგა, როცა ამერიკას უილიამ სიდნი პორტერის მოთხრობები ძალიან სჭირდებოდა: ედგარ ალან პოს გარდაცვალებიდან კარგა ხანი გასულიყო, ხოლო როცა 1862 წელს პორტერის მეორედ ნათლობა მოხდა, ანუ თავის მოთხრობას (თჰე ჭჰისტლინგ იცკ'ს ჩჰრისტმას შტოცკინგ) ო'ჰენრი მოაწერა, ერნესტ ჰემინგუეი სწორედ მაშინ დაიბადა. ამერიკას წინ ელოდა ცნობიერების ლაბირინთებში ხეტიალი, რისი უნარიც ყველა რიგით ამერიკელს ნამდვილად არ ჰქონდა. მარტივი სტილი, გარკვეულობა, მოუღედნელობის ეფექტი, დეტალის გაზვიადება და გაზვიადებულის გამარტივება, პერსონაჟთა პრობლემების მოგვარება და ირგვლივ მშვიდობის დამყარების უნარი, ქურდისა და გაქურდულის ძალდაუტანებელი დამეგობრება—ეს ყველაფერი ზედმეტად იოლი ჩანდა და ამიტომაც მიმბაძველები ბლომად გამოუჩნდნენ, არაფერი გამოუვიდათ: თურმე ეს სისადავე კიდევ უფრო რთული ყოფილა; სისადავეს თვითნაბადი ტალანტი სჭირდებოდა. სხვა შემთხვევაში ო'ჰენრის ამერიკა არ შეიყვარებდა, ამერიკელები არ დაანესებდნენ მისი სახელობის ყოველწლიურ ლიტერატურულ პრემიას, არ ააშენებდნენ ფეშენებელურ სასტუმროებსა და გასართობ ცენტრებს მის მშობლიურ ქალაქ გრინსბოროში (ჩრდილო კაროლინას შტატი) ო'ჰენრის არ დაარქმევდნენ.

სამი წლის ვილს დედა გარდაეცვალა და მას შემდეგ მასზე მხოლოდ მამიდა ზრუნავდა. ჩვეულებრივი მოსწავლე იყო, კითხულობდა ზღაპრებს—განსაკუთრებით ათას ერთ ლამეს და შემდეგ ჩარლზ დიკენსის რომანებს; ხატვა უყვარდა, ნიჭი ჰქონდა ამისა. სამწუხაროდ სკოლა თხუთმეტი წლისამ დატოვა და ამის შემდეგ აღარასოდეს არსად უსწავლია. მამამისი ალგერნონ სიდნი კარგი ქირურგი ყოფილა, მაგრამ ოჯახს რატომღაც ძალიან გაუჭირდა და ვილი იძულებული გახდა ბიძასთან აფთიაქში დამხმარედ დაეწყო მუშაობა. აფთიაქი ადრინდელი დროის ლიტერატურულ კაფეს წააგავდა, სადაც მთელი ქვეყნის ტყუილმართალი ირჩეოდა. ვილს იქაურობა ძალიან მოსწონდა, თავს ირთობდა: მიმსვლელ—წამსვლელის კარიკატურებს ხატავდა. ის ჩანახატები შემდგომში 273 მოთხრობაში პერსონაჟებად (როგორც თავად ავტორი ამბობდა—ტიპებად) გაიფანტნენ და მთელ მსოფლიოს მოედნენ. აფთიაქი და თავისი ქალაქი პირველად ოცი

წლისამ დატოვა—სუსტი ჯანფრთელობის გამო უფრო მშრალი ადგილისაკენ წავიდა, ტექსასის შტატის ერთ რანჩოში ცხოვრობდა, ცხვარს თავად დასდევდა და ეს საქმეც მოსწონდა. შემდეგ იყო ოსტინი—ტექსასის დედაქალაქი, ჰიუსტონი, ნიუ ორლეანი...მისი საყვარელი გაზეთები „როლინგ სტოუნი“ და „პოსტი“. ამ სიყვარულმა ააღებინა ბანკიდან 4000 დოლარი სესხი და ამის შემდეგ სესხის გადაუხდელობის გამო იწყება მისი დევნილი ცხოვრება...ცენტრალური ამერიკა—ჰონდურასი, მექსიკა. 1898—ში თავისი ფეხით დაბრუნდა შინ, რადგან მეუღლე ეთოლი ტუბერკულოზით უკვდებოდა. საყვარელი ადამიანი დასაფლავა და მაშინვე მართლმსაჯულებას ჩაბარდა...გასამართლეს, ხუთი წელი მიუსაჯეს. მწერლის ქალიშვილმა მარგარეტმა ვერასოდეს გაიგო მამა რომ ციხეში ჰყავდა, ამაზე მომაკვდავმა დედამ იზრუნა. ციხეში შეიქმნა ო'ჰენრის ბევრი შედეგრი. წერა კარგ საქციელად ჩაეთვალა და სამ წელიწადში გაათავისუფლეს.

1901 წლიდან იწყება ნიუ-იორკის ხანა ო'ჰენრის ცხოვრებაში; უფრო ზუსტად ეს იყო მანჰეტენზე გატარებული სიცოცხლის დარჩენილი ცხრა წელი. მისი რანჩოელი ძველი ნაცნობები და საპატიმროს საკმაოდ საინტერესო პერსონაჟები ნელ—ნელა „გაქალაქელდნენ“. დიდმა ქალაქმა მალე შეიყვარა ისინი. გამოცდილმა გამომცემლებმა ამ ფაქტით საკმაოდ მოითბეს ხელი—ავტორმა მოთხრობების დაბეჭდვის უფლება სულ რაღაც 250 დოლარად გაყიდა და ამ დაუფიქრებელი ნაბიჯით კიდევ ერთხელ ჩაიგდო თავი გაჭირვებაში, ამჯერად უკვე საბოლოოდ. მისი მოთხრობებით გამომცემლები უზომოდ და უსინდისოდ მდიდრდებოდნენ.

მწერლის ფსევდონიმთან დაკავშირებით რამდენიმე მოსაზრება არსებობს. მათ შორის ყველაზე დამაჯერებელი და ყველაზე რომანტიული ერთი კავბოური სიმღერაა, რომელიც ტექსასის რანჩოში ეტყობა ვილს ხშირად ესმოდა: 'ლონგ ცამე მყ ტრუე ოვერ, აბოუტ ტნელვე ო'ცლოცკ, საყინგ ენრყ, , ენრყ,წჰატ სენტენცე ჰავე ყოუ გოტ?'

ამერიკელების საყვარელი მწერალი 1910 წლის ივნისში ლვიძლის ციროზით, უკიდურეს გაჭირვებაში გარდაიცვალა. დაკრძალულია ნიუ-იორკში. მოგვიანებით მასთანვე დაკრძალეს მისი ქალიშვილი მარგარეტი, რომელიც მწერალს ძალიან უყვარდა და მუდამ წუხდა, რომ ვერაფრით ეხმარებოდა.

ციალა ხაჟალია-ანდრიაძე

ჟურნალისტი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი

ჭაბუა ამირეჯიბი

„ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი თანამედროვე მსოფლიოს ცოცხალი კლასიკოსია. იშვიათია ავტორი და რომანის გმირი ზნეკეთილობით და რაინდობით ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, როგორც ბატონი ჭაბუა და დათა თუთაშხია... მასში ერთადაა განთავსებული ერის კაცი და დიდი მწერალი, მიმტევებელი, ქრისტიანი და საქართველოს ფიზიკური თუ სულიერი თავისუფლებისთვის დაუცხრომელი მებრძოლი. უხმოდ აღმავლენელი სამშობლოსთვის ლოცვისა...“

რალა თქმა უნდა, ვეთანხმები მთელი ჩემი შეგნებით ამ სიტყვების ავტორს – ბატონ ვაჟა ოთარაშვილს, თუმცაღა, ამქვეყნად მოარულ, ცოცხალ ჭაბუა ამირეჯიბთან მხოლოდ ერთი და დაუვიწყარი შეხვედრა მაკავშირებს.

მოსკოვში ვიყავით ირაკლი და მე. ვცხოვრობდით სასტუმრო „მოსკოვში“. ირაკლი წასული იყო, დაავიანდა. მე ვიჯექი სავარძელში და ვკითხულობდი თუ სწორედ მახსოვს, „გორა მბორგალს“. ფეხის ხმა და თან საუბარი გავიგონე. მივხვდი, რომ ირაკლი მოვიდა. კარი გავაღე და ირაკლიმაც შემოიპატიჟა: ბატონი ჭაბუა, ირაკლი აბაშიძე და აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი – ვახტანგ პაპუნიძე. ეს იყო დაახლოებით 30-35 წლის წინათ.

ის სალამო არასოდეს დამავიწყდება. სასტუმროში ყველაფერი დაკეტილი იყო. „დავტრიალდი დიასახლისი“ და სუფრა დავამშვენე რამდენიმე ნაჭერი ყველით, ძეხვით, შავი პურის ნატეხითა და ნახევარი ბოთლი კონიაკით.

არაჩვეულებრივი სალამო გამოვიდა. თითქმის დაგვათენდა. რაც მთავარია, „დიასახლისობაც“ შემიქეს.

შემდეგ არ მქონია ბედნიერება ბატონ ჭაბუასთან შეხვედრისა, მაგრამ ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ძალიან ახლობელია თავისი დიდი შემოქმედებით. გვიყვარს მისი კეთილშობილი მეუღლე ქალბატონი თამარიც.

ძვირფას ქალბატონ თამარს და ბატონ ჭაბუას, კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოვასხნებ იმ თანადგომისა და ყოველი სატელეფონო ზარისთვის, რაც განსაკუთრებით დასაფასებელი და მნიშვნელოვანი იყო ჩემი ოჯახის თითოეული წევრისთვის. მაშინ, როდესაც ირაკლი პატიმარი გვყავდა. პატიმრობის სიდუხჭირით ბატონ ჭაბუას ვერ გავაკვირვებთ და არც მინდა ამაზე საუბარი, თუმცა მადლიერების გრძნობით აქვე მინდა აღვნიშნო ქალბატონების ანა კალანდაძის, მაცყალა გონაშვილისა და ბატონ ჭაბუა ამირეჯიბის 2004 წლის 23 ნოემბერს, სამების ტაძრის საზეიმო გახსნასთან დაკავშირებულ დაუვიწყარ მილოცვას ჩვენი ოჯახისთვის.

ბატონო ირაკლი!

„გილოცავთ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს და წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის დაგვირგვინებას. დღესასწაულს, რომელსაც თქვენ ამ ტაძრის მშენებლობის ფონდის თავმჯდომარე და საავტორო ჯგუფის ხელმძღვანელი 9 ნელი ელოდით!



ამ ზეიმში ვერ მონაწილეობთ, არადა, წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობაზე ფიქრი 1988 წლიდან მოყოლებული თქვენი ცხოვრების არსია. თქვენმა პროფესიონალიზმმა, თავდადება და ძალისხმევამ დიდად განაპირობა მშვენიერი ტაძრის აგება. ამას ვხედავთ ყველა. ვინც ერთხელ მაინც ყოფილა მშენებლობაზე და ის ადამიანები, ვინც თქვენი ხელმძღვანელობით ამ დიდებულ ტაძარს აშენებს. საგულისხმოა, რომ საქარღველოში დიდი საქმის მკეთებელ ბევრ მამულიშვილს რგებია მწარე ხვედრი. გვერწმუნეთ, ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანი, ყველა ღირსეული მამულისცილი და მომავალი თაობები დამსახურებულად შეაფასებენ თქვენს ღვაწლს. დღეს ამ ტაძარში სამშოლოს კეთილდღეობასთან ერთად, თქვენთვისაც ვილოცებთ. უფალი შეგაძლებინებთ, მოთმინებით დაელოდოთ სიმართლის გარკვევას. გჯეროდეთ, რომ თქვენი სიმართლე მალე დამტკიცდება.

წმიდა სამების მადლი გფარავდეთ! წმინდა გიორგი იყოს თქვენი შემწე და თქვენი ოჯახის მფარველი!”

ამჯერად, ბატონი ჭაბუას, მრავალთაგან ერთი ღირსების გამოც მინდა ვამცნო ჩვენს საზოგადოებას.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავჯდომარეობის დროს, ერთ დღეს ირაკლისთან მიბრძაბეულხართ და გაგიზიარებთ მისთვის თქვენი გულის ტკივილი. „ირაკლი, ბევრი ვიფიქრე და ამ საქმეში შენსავით ვერავინ დამეხმარება, ჰოდა მეც კაცურად შენთან მოვედი.“

თურმე, ბატონ ჭაბუას, თუ არ ვცდები, დაახლოებით 17 ქართული ჯიშის ნაგაზი ჰყოლია. ქვეყანაში, როგორც მოგეხსენებათ საშინელი გაჭირვება და არეულობა იყო, ამიტომაც უთხოვია ირაკლისთვის, იქნებ ამ დიდებული ჯიშის ქართულ ძაღლებს (რომელიც კავკასიური ჯიშის ნაგაზად მონათლეს) მივხედოთო.

თავად ირაკლის საოცრად უყვარს ცხოველები, განსაკუთრებით ცხენი და ძაღლი. თქვენი გულისტ-

კივილი კარგად გაუგია და ძაღლები დაუბინავებია შავნაბადაზე. მათ მოვლა-პატრონობას არ აკლებდა ბატონი თემურ გელოვანი, მაგრამ შემდეგ ქვეყანაში დიდი ცვლილებები მოხდა. ირაკლი ქალაქის მერის თანამდებობიდან გაათავისუფლეს და ძაღლებიც ვილაცქეებს ნაუყვანიათ...

ეს ამბავი რომ გაიგო ირაკლიმ, გული დაწყდა, მაგრამ მაინც თავი ინუგეშა – ამ ძაღლებს საზღვარგარეთ არავინ გაგზავნიდა და, ვფიქრობ, ბატონი ჭაბუას მიზანი მიღწეულია. საქართველოში ქართული ნაგაზი, ამ დიდებული ვაჟკაცის წყალობით ალბათ, უფრო მომრავლდებაო.

გავიდა დაახლოებით ორი წელი. ირაკიმ შეიძინა დედალ-მამალი ქართული ნაგაზი. ნაიყვანა სოფელ დიდ-ჯიხისში მრავლებოდნენ ძაღლები და ისიც ქუთაისსა და სამტრედიის რაიონში მეგობრებს ლეკვებს ურიგებდა. თან ყველას სთხოვდა: ჯიში არ არიოთ, ჩვენებური ნაგაზის მომრავლებას ხელი ჩვენვე შევუწყვითო.

ბატონ ჭაბუაზე საუბარი მინდა დავამთავრო ჩვენი ოჯახისთვის მეტად საყვარელი და ახლობელი ადა-

მიანის, ბატონი მურმან ლებანიძის ლექსით, რომლის სათაურია „მეკობრევე ბერად შემდგარო“:

„გამხმარო, გაძვალეულო, მეკობრევე,
ბერად შემდგარო,
სიცოცხლეგამწარებულო, სიკვდილისაგან ვერ
მკვდარო!..“

მიყვარხარ – ცერად გავლილი,
მიყვარხარ – ვეფხვად მხტომარე,
მიყვარხარ – ეხლა დაღლილი,
სენაკში – სანთლით მჯდომარე!..“

ეს ლექსი ორმოცი წლის წინ არის დაწერილი. დიდი მურმან ლებანიძის წინასწარმეტყველება ახდა. ჩვენმა ახლობელმა ქალბატონმა ყუყუნა ნიჭარაძემ მითხრა – საოცრად უხდებაო ბატონ ჭაბუას ბერის სამოსელი.

ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებთ, ღირსეულ და კეთილშობილ ქალბატონ თამართან ერისთვის საამაყო და ძვირფასო ადამიანო...

ჩემი ოჯახი გილოცავთ დაბადების დღეს

2012წელი 18/XI

ქალბატონ ცილა ხაჭალიას სიტყვებს ვუერთდები ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი **გულნაზ ხარაიშვილი** და ლექსის სტროფებით ვეფერები ბატონ ჭაბუას. ვულოცავ დაბადების დღეს

- ჭ — ავლი რას უზამს შენს შედევერებს,
 - ა — ზრთა კონიდან გილიმის ვარდი.
 - ბ — ულბულიც ნაზად გულში გიმღერებს,
 - უ — უფალი ციდან ღვთიურ ნიჭს გბარდნის.
 - ა — რავინ არ გგავს, არავის გავხარ,
 - ს — ულ სხვაა შენი „ნიგნის“ შედევერი,
 - შ — ენ შენი სტილის მესაჭედ დგახარ...
 - ე — ს მომიტევე, შენთან შევჩერდი.
 - დ — ავნერე გულით ცხელ-ცხელი სიტყვა,
 - ვ — ფიქრობ ცოტათი სითბოს გაჩუქებ...
 - რ — ოზგიც მომხვდა და ქარიც მენს მირტყავს,
 - ე — ხლაც წყლის ღორჯო ბერავს ლაყუჩებს.
 - ბ — ევრი მეფობს და მეფე ცოტაა,
 - ი — ცი?.. ერთი ხარ ამირეჯიბი...
 - მ — იამიტებით ყვავთა კორტნაა,
 - ა — ნ რას დაგაკლებს, მავანთა ჯიბრი.
 - რ — ეკავს ღვთის ზარი, მწვერვალს გასცილდი,
 - ა — გაღიარეს ქრისტეს მეზალედ...
 - დ — იდო მწერალო, ლოცვებს მარცვლიდი,
 - ი — ქ კალმით, ზეცის კარი გააღე.
 - უ — ახლოვდები მზესა და მთვარეს,
 - ლ — ურჯი ზღვასავით აზრს აკამკამებ...
 - ი — ქნებ შენახარ სიმშვიდის არე,
 - ა — ნდა ანათებ ბნელეთში ღამეს.
- ილოცებ ვიცი ხალხის ხსნისათვის
არის ცოდვილნი ბევრი ერშიაც.
რომ, ძმას დაეთმო კაენისათვის,
რომ, განმკითხავი მხოლოდ ღმერთია.

ნოდარ ტაბიძე

„გალაკტიონის კოსმიური იდუმალეობა ფერწერამ გაამხილა“

„ბალაკტიონი ფერწერაში“

თბილისი, გალერეა „ვერნისაჟი“, 2012წ. 22 ნოემბერი

ხელწერა ერთია. შენი ყველაზე დიდი წარმატება არის ის, რომ ეს ფორმა აირჩიე.

„კოსმოსიდან მოსული გალაკტიონის მუზათა სიმრავლე“ – ეს უკვე შენი შემოქმედების მწვერვალია. ყოჩაღ! ყოჩაღ!

რეზო ადამიას გამოფენა მრალავმხრივ საინტერესოა. დავიწყოთ თვით სახელწოდებით: „გალაკტიონი ფერწერაში“, ეძღვნება ტიცციან ტაბიძეს“. ბატონმა რეზომ ეს ორი გენიოსი საგანგებოდ წარმოაჩინა ერთად. ბევრს უნერია გალაკტიონისა და ტიცციანის ურთიერთობაზე. ისინი ხომ ბიძაშვილები იყვნენ, რიონის პირას გაზრდილი ბიჭები. ბატონმა რეზომ გალაკტიონი და ტიცციანი დააკავშირა ერთმანეთს მისთვის დამახასიათებელი ხელრთვით. კოსმოსთა ურთიერთობით. როდესაც ტიცციან ტაბიძე დახვრიტეს, მაშინ საქართველოში ყველაზე დიდი პოეტები ბრძანდებოდნენ ტიცციანი და გალაკტიონი. ბატონო რეზო, მივცემ თავს ნებას და გავიმეორებ იმას, რაც არაერთგზის მითქვამს და დამინერია. მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის მერიდიანი ჭყვიშზე გადის. თქვენ ეს დაიჭირეთ და ამიტომაც ასე მშვენიერია თქვენი სურათები. იქნებ ეს ეპითეტი არ იყოს სწორი. უმჯობესია ვთქვათ: – ამიტომაცაა ასეთი გენიალური თქვენი ნამუშევრები.

პირველი და უმთავრესი ნიშანი ბატონი რეზოს ნამუშევრებისა ეს არის მოვლენათა და პროცესთა ღრმა ფილოსოფიურობა. უფრო მეტიც, ბატონო რეზო პირველი ბრძანდება, რომელმაც გალაკტიონი კოსმოსთან დაკავშირებით წარმოაჩინა. დაუკვირდით სურათს „გალაკტიონ ტაბიძის მზერა სამყაროდან“ – ორიგინალურზე ორიგინალური. ეს ნერტილად არ უნდა აღიქვა, ეს არის კოსმოსი და ამ კოსმოსში ჩანს გალაკტიონის დაკავშირება ნიშანდობლივი შტრიხისა ბატონი რეზოსათვის. მისი ღრმა რწმენით გალაკტიონი მხოლოდ მიწიერი არ არის. დაუკვირდით სურათს „სამყარო და გალაკტიონის სახე“, ან თუნდაც მეორე ბრწყინვალე ნამუშევარს გალაკტიონის ამგვარი გახელებული ემოციებით ინერებოდა მგოსნის „ლუჯრა ცხენები“. ისევ კოსმოსი. „ხშირად მგოსანს უცნაური და უცხო ფორმას დემონი სტუმრობდა“. და აი, ბატონი რეზო ცდილობს ჩანვდეს ამ საიდუმლოებებს. ალბათ დამთვარიელებელი გაცდებოდა უჩვეულო ნახატი „სამყარო: ტრაგედია და წმინდა სისხლი“. მიაქციეთ ყურადღება სათაურს – გალაკტიონი წმინდა სისხლით უკავშირდება სამყაროს. ის სწორედ იმით არის განუმეორებელი და ერთადერთი, რომ მას თავისებურად ესმის ზეციდან ზარების რეკვა. მადლობა უნდა ვუთხრათ ბატონ ემელიანეს ასეთი ხედვისა და მოვლენების ფილოსოფიური გააზრებისათვის. ალბათ



ნებისმიერი, ფერწერასთან ახლოს მყოფი პიროვნება, დიდხანს შეჩერდება ტილოსთან „სამყარო, პირამიდა, გალაკტიონის მზერა და იდუმალეობა.“ შემთხვევითი არ არის, მზერა და იდუმალეობა რომ კონტექსტშია მოქცეული. ესაა გალაკტიონის პოეზიის უმთავრესი შტრიხი და ეს კარგად შეამჩნია ბატონმა რეზომ.

დასკვნის სახით უნდა მოგახსენოთ, რომ გალაკტიონისადმი მიძღვნილი არაერთი სურათით დავმტკბარვარ, არ გამომიტოვებია საქართველოს სახალხო პოეტისადმი მიძღვნილი არც ერთი გამოფენა და შემოქმედის თამამად ვთქვა, რომ ასეთი ორიგინალური, როგორც ბატონ ემელიანე ადამიას ნამუშევართა წარმოჩენაა, არც ერთი არ ყოფილა. რომ ვინმეს არ დარჩეს დაჟინებით და პრინციპულად მოვთხოვო ბატონ რეზოს ამ ნამუშევართა თუნდაც პატარა ალბომად გამოცემა. მას არა აქვს უფლება, ფართო საზოგადოებას ეს შედეგები დაუმალოს!

ჩვენ აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ მხატვარი ხშირად ესიტყვება და ეკამათება პოეტს. ამ უცნაურ დიალოგში კარგად მუდავნდება ფერმწერის მსოფლმხედებელობა და ესეთიკური მისწრაფებანი. ურიგო არ იქნება ერთხელ კიდევ შეავლოთ თვალი უბრწყინვალეს ნახატს „მთავარანგელოზიც დაამწუხრა გალაკტიონის უდანაშაულო სისხლმა“, რატომ? რატომ დაასწარი, მგოსანო, ზეციურ კანონებს? ალბათ გალაკტიონის პასუხი ასეთი იქნებოდა: „მე მაქვს უფლება, როგორც კოსმიური სამყაროს ერთ-ერთ წარმომადგენელს, თვალი გავუსწორო ყველა მოვლენას.

გამოფენაზე წარმოდგენილი სურათებიდან ყურადღებას ვამახვილებ მთვარიანი ღამეების ციკლზე.

შემდეგ სოფელი ჭყვიში, გალაკტიონის სახლ-მუზეუმის მიმზიდველ სურათებზე. ასე მგონია, ის თოვლი, რომელიც პატარა ქოხის ირგვლივ არის, სისპეტაკის გადმოფრქვევაა; ასე მგონია, ის გაშიშვლებული ხეები გალაკტიონის სულის ამოხვრაა ასე მგონია, ის უცნაური მთვარე გალაკტიონის კოსმიურ საიდუმლოებას უმხელს; ასე მგონია, მაკრინე, გალაკტიონის დედა, მიწიდან ამოზრდილი სიკეთე და სათნოება და კიდევ რამდენი ასოციაცია იბადება, რამდენი საგულისხმო დასკვა ჩნდება.

აღბათ ეს გამოფენა არა მხოლოდ თბილისელებმა, არამედ სრულიად საქართველოს უნდა გაითავისოს, უფრო მეტიც, ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ბევრი ტილო ევროპისა და ამერიკის სახელგანთქულ მუზეუმებს დაამშვენებს. თავს ვხრი ბატონი ემელიანეს ნიჭის წინაშე და ეჭვი არ მეპარება, რომ ყოველ წელიწადს იგი ახალი შედეგებით გაგვანებივრებს.

რა თქმა უნდა, საბოლოოდ ყველაზე მნიშვნელოვანია ბატონი რეზოს შესრულების ტექნიკა, ორიგინალურზე ორიგინალური. უფრო მეტიც, მსგავსი მანერით შესრულებული ნახატები მე ჯერ არ მინახავს. აღბათ სპეციალისტები დაინტერესდებიან მისი ფერწერის მანერით, ხატვისა და გააზრების ორიგინალობით და შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენ მივიღებთ ბრწყინვალე ნაშრომს ამ ბრწყინვალე ფერწერაზე.

რა თქმა უნდა, ეს მიმოხილვა სრული არ იქნება, თუ მხედველობიდან გამოგვრჩა პარიზული ციკლი. სხვათა შორის, ბატონი რეზოსათვის მშობლიური ხელოვნების დიდი აკვანია. პარიზში მან არაერთი წელი გაატარა, საფრანგეთში ეზიარა დიდი მხატვრების ხელოვნებას, ესენი გახლავთ მოდილიანი, ვან-გოგი, სეზანი, გოგენი, რენუარი, რუო, დურენი, ვლამინკი, მარკე, მატისი, პიკასო, ვან-დონგენი, კანდინსკი, ხუან-მირო, შაგალი, ლეჟე, ლარიონოვი, ვერა ფალავა,

პრადე, სუტინი და სხვა მრავალი დიდი მხატვრის, როგორც კლასიკოსებს, ასევე ანტიკური პერიოდის შედეგები, მათ გენიალური შემოქმედება. თავადაც არაერთი გამოფენა მოუწყვია პარიზსა, მარსელში, შერბურგში, კარტერეში თუ პორტბალიში (ნორმანდია). ვაგრძელებ საუბარს პარიზზე. აქ, ამ გამოფენაზე წარმოდგენილ პარიზის ხედებს – პეიზაჟებს აქვს ძალიან დიდი დატვირთვა. აბა დააკვირდით სურათს „გალაკტიონი პარიზში“ – სან-მიშელის მოედანთან მზე ჩადის, გალაკტიონი ჩამომჯდარა მარმარილოს სკამზე და გაოგნებული შედევი დაიბადა ან ჩაისახა მაშინ და ბატონი რეზო ამ ფერწერული სურათის გვერდით ფენს პარიზული მშვენიერების პეიზაჟებს, ესენია: „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, „მზის ჩასვლა მდინარე სენასთან“, შორს მოჩანს მოცისფრო, ია-იას ფერებში, ლუერის ხედი; აგერ, ჩვენს წინ თავს იწონებს „შემოდგომა პარიზში და სხვა მრავალი სურათი.

კარგია ბატონი რეზოს ერთ-ერთი ჩანაფრიქრი, როგორც ყოველთვის, მას ტრადიციად აქვს, გამოფენაზე ქართული ხატების კუთხე წარმოადგინოს, თავისივე შექმნილი. ის ხომ ხატმწერიც გახლავთ. – ეს კუთხე ჩემი სულიერი მფარველიაო, – მეუბნება.

ბოლოს მინდა დავძინო – ასეთი ფართომასშტაბიანი პერსონალური გამოფენა, მიძღვნილი რომელიმე მგოსნისადმი, მე არ მახსოვს. ბატონი რეზო მეუბნება, ეს სურათები მე გალაკტიონის დიდმა გენიამ და სიყვარულმა შემაქმნევინაო. მინდა გავიმეორო, ქართველ საზოგადოებას მომავალში ენახოს ბატონი რეზოს მიერ გალაკტიონზე შექმნილი კოსმოსური სურათების ალბომი. ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმზეც, რომ ეს ურთულესი საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. ბატონი რეზოს ამოცანა იყო შეექმნა, ჩვენი ამოცანაა პოპულარიზაცია.

ბატონი რეზო ადამიას გამოფენის შტაბეჭდილების ქვეშ მყოფნი და გამზიარენენლი:

ნოდარ ტაბიძე
 ჯუმბარ ლომინაძე
 რევაზ მიშველაძე
 მაყვალა გონაშვილი
 რეზო ესაძე
 ნუგზარ ნაღარაია
 ვაჟა ებრისელი
 ჯუმბარ ლეჟავა
 გულნაზ ხარაიშვილი



ღამე, მთვარე და ამღერებული ღრუბლები, გალაკტიონის სახლის დუმილიან ქყვიშში



სამყარო: დაბადება და სიკვდილი. 1959 წელი გალაკტიონის სულმა დედამინაზე იმოგზაურა სოფელ ქყვიშის დავლით და....



ნათელზე-ნათელი მთვარიანი ღამე, გალაკტიონის სახლთან.



ნიკო ხერკელაძე

ამ წიგნში საინტერესოდ და შინაარსიანად არის ჩართული დიდი ქართველი პოეტის ვაჟა ეგრიისელის შექმნილი ლექსები „დიდ მოურავზე“, ყურადსაღებია, ნ. ხერკელაძის მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოძიებული ხალხური ლექსები და გამოთქმები გიორგი სააკაძეზე, ეს მაშინ როცა იგი თვრამეტიცხრამეტი წლის ყოფილა.

ყოველივე ეს მაძლევს საფუძველს, რეკომენდაცია მივცე უშუამდგომლო ნ. ხერკელაძეს, გამოცემულ იქნას მისი ნაწარმოები „ცრემლში ნალესი ხმალი“ ანუ გიორგი სააკაძე.

გერონტი გასვიანი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი
თბილისი, 17.04.2010 წელი

ქართლის და კახეთის სამეფოთა პოლიტიკური ურთიერთობა ირანთან და ოსმალეთთან XVI ს. მე-2-ე ნახევარში

საუკუნეთა მანძილზე საქართველოს საზღვრებისაკენ, უმეტესად სამხრეთის მხრიდან, სხვადასხვა მტრული ტომები მოემართებოდნენ ომით, გმინვით, წვითა და აოხრებით.

ქართველებს ტანთგაუხდელად ეცვათ ჯაჭვის პერანგები, როგორც სხვა საუკუნეები, განსაკუთრებით მძიმე იყო XVI-XVII საუკუნე. საქართველოსაკენ ირანიდან და ოსმალეთიდან მოიწვედა დაგეშილი, შეუბრალებელი ჯარები, მუხას მუმლის ნისლი ეხვეოდა, ჟამი ბინდით იყო მოცული, ქართლ-კახეთში ყიზილბაშთაგან და ოსმალთაგან სხივი ქრებოდა მზისა.

მზრუნველი ხელით ნაშენ-ნასათუთარი ტაძრების ჩუქურ-თმებში ჩასვენებული სული გარინდებულიყო.

ქართველ გმირთა შეუპოვრობით ხმალი ბრწყინავდა, მაგრამ მამული მაინც ვერ გადაურჩა მრავალსაჭირსა.

ცეცხლის კვერი ბრუნავდა საქართველოს მიწაზე, აღარ ჭიკჭიკებდა თეთრგულა მერცხალთა გუნდი, ტოროლები ცის სიღრმეში მიილტვოდნენ, რომ უფლისათვის ქართველთა ვარამი შეეჩივლათ.

შორს, ირანისაკენ მიმავალი ბედკრულთა რიგები, ხახამომშრალნი, ზეცას შეჰკვნესოდნენ; გადატყაული, ნასისხლარი მარჯვენით მაინც პირჯვარს ისახავდნენ.

დღეს კი დროს ნაუშლია მათი კვალი, მაგრამ მათი ვარამის მომხრე ისევ გლოვობს გონიოს გაღავანი.

ირანულ დამაშრულ გზას წყალი სწყუროდა, ცალკე ხორმაკი დასნიოდა და ლტოლვილთაგან ნადენი ცრემლით ინამებოდა მიწა. ფერეიდანში ჩა-

ისტორია

სულ ქართველ სახეამოხოკილ დედათა ცრემლებით გუბები დგებოდა აკვნებთან.

უთვალავ შავ დღეებად მოიჩქაროდნენ საქართველოს გულისაკენ ნასიცხარი არაბები და მონღოლები, რომელთაგანაც ილენებოდა ქართველ ბავშვებით მოფენილი სისხლიანი კალონი.

სამყაროს გაცნობიერების დღიდან ფიქრებით ვეხვევით ჩვენს მდუმარე ტაძარ-ციხეთა ნანგრევებს, მაგრამ წარსულით მარად კაემანში ვართ ჩარჩენილნი.

საქართველოში ნაომარ-ნამებულ მიწაზე მოედინებოდა სისხლიანი წყალი და ჩვენი ხალხის ტრაგედიითა და ვარამით დამგლოვიარებულ ცასაც ელვით ებზარებოდა ლურჯი გული.

ხშირად სასოებაჩამქრალ ჩვენს ხალხს ჩუმიად უტირია თავისი დამბადებელი დედის საფლავზე. ასე დაღვრილი ცრემლებია დღეს ტბებად დარჩენილი.

სხვადასხვა ქვეყნების ისტორიული წარსული ხშირად ემსგავსება ერთმანეთს; ამ მხრივ არც საქართველოს ისტორიული წარსულია გამონაკლისი. ამის დასტურად მოვიყვანთ მეთექვსმეტე საუკუნის მოვლენებს, რომელიც თითქმის გაგრძელებაა მეჩვიდმეტე საუკუნის მოვლენებისა, როგორც შიდა პოლიტიკური მდგომარეობისა, ასევე გარე სამეზობლო ქვეყნებთან, სამოკავშირეო თუ სამტრო მდგომარეობის ასახვისა.

ყიზილბაშური თუ ოსმალური გარემოცვა გავლენას ახდენდა საქართველოში არსებულ, პოლიტიკურ თუ სოციალურ მდგომარეობაზე. თვითმყოფადობის შენარჩუნება უძნელდებოდა აღმოსავლეთ საქართველოსაც და დასავლეთ საქართველოსაც, რომელნიც ხშირად ასეთ მდგომარეობაში მყოფნი, ურთიერთ-თანადგომასაც ვეღარ ახერხებდნენ; ან თუ ახერხებდნენ მას მხოლოდ ეპიზოდური ხასიათები ჰქონდა. მტრებთან დაპირისპირება და მათზე გამარჯვების მოპოვების აუცილებლობა საქართველოში შიდა რესურსების გაერთიანებასა და სიმტკიცეს ითხოვდა. მაჰმადიანური სამყარო ხშირად ახერხებდა ქართულ ფსიქოლოგიაში თავის საიმედო დასაყრდენის მოპოვებას, რაც პირდაპირ ღალატის საფუძველი ხდებოდა. რადგან საქართველოს მეზობელი ორი დიდი ქვეყანა, ირანი და ოსმალეთი, ერთი აღმოსავლეთ და მეორე დასავლეთ საქართველოს ჩემულობდა და ხანდისხან თითოეული – ცალცალკე მთლიან საქართველოს, ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენი ქვეყნის მაშინდელ საზოგადოებას ან საზოგადოების ნაწილს უხდებოდა ერთ ქვეყანასთან დაპირისპირება და მეორე ქვეყანასთან კი სამოკავშირეო წესების აღსრულება. ასეთ მოვლენებს ჩვენ ვნახავთ მეთექვსმეტე საუკუნეში, როცა მოღვაწეობდნენ სიმონ I „დიდი“, მისი ძმა დაუდ-ხანი, ალექსანდრე II, კახთა მეფე, მისი ძმა იესე „ისა-ხანი“ ბარძიმ ამილახორი, ვახტანგ-მუხრან-ბატონი და ელიოზ ერისთავი სამცხის მთავრები მანუჩარ-(მუსტაფა)-ათაბეგი და ირანში მოღვაწე ირანელი ქართველები. ჩვენი მიზანია, სწორი ორიენტაცია მივიღოთ გ. სააკაძის ეპოქისა, რაც პირდაპირ გაგრძელებაა მეფე სიმონ I დიდის სამამულიშვილო გზისა, როგორც საომარი საბრძოლო სტრატეგიისა, ისე ცხოვრებისეული ყოფის ავი ბედისწერისა. ჩვენ, ამ შემთხვევაში, კახე-

თის მოვლენების ასახვით დავიწყებთ და შევეცდებით ობიექტური სიჯანსაღით წარმოვაჩინოთ ის დრო.

კახეთის მეფეს, ლევანს, გარდაცვალების (1576წ.) შემდეგ ხუთი ვაჟი დარჩა. თინათინისგან – იესე და ალექსანდრე, ლეკი შამხალის ქალისგან კი დავითი, ქაიხოსრო და ელიმირზა. ტახტი ალექსანდრეს ეკუთვნოდა, მაგრამ მამამისი, მეფე ლევანი, მას არა სანდო თვალთ უყურებდა. ეს ვითარება იცოდა ლეკის ასულისაგან გაჩენილმა ელიმირზამ და ძმების დახმარებით გადაწყვიტა კახეთის ტახტის დაკავება, რაც მიუღებელი შეიქნა ალექსანდრესათვის. ის, თავის გარემოცვასთან ერთად, სწრაფად გაეშურა ბოძებს ტაძარში და წმინდა ნინოს საფლავთან კახეთის მეფედ ეკურთხა. როგორც კი ეს ამბავი ელიმირზამ და მისმა ძმებმა შეიტყვეს, თორღას ციხეში გამაგრდნენ; თავიანთი მომხრეების დასტურით, დედის სამშობლოდან ლეკეთიდან ჯარი გადმოიყვანეს საომარი თადარიგისათვის. კახეთის სამეფოს მოსახლეობა ორად გაიყო, ერთი ნაწილი ალექსანდრეს ემხრობოდა, მეორე ნაწილი ელიმირზას. ალექსანდრეს მომხრეთა რიგებში იყვნენ ქართლის გავლენიანი დიდებულები, ბარძი ამილახორი, ელიოზ ერისთავი და ვახტანგ-მუხრან-ბატონი. მათი აზრის გამზიარებელი იყო სიმონ მეფის ძმაც, დაუდ-ხანი. მისი მიზანიც გასაგებია, იგიც ხომ ძმას, სიმონს, ეცილებოდა ქართლის ტახტის დაკავებაში. ასეთი ვითარებები ერთგვარი წინაპირობაა ბაზალეთის ომისა. თანამოდმეთა შეტაკებაში ალექსანდრეს მომხრეებმა გაიმარჯვეს. ელიმირზა და თავისი ძმები ბრძოლაში დაიღუპნენ. მოწინააღმდეგეთა განადგურებით უპირატესობა-მოპოვებულმა ალექსანდრემ კახეთის ტახტი დაიკავა (1574-1605 წწ). იმ დროს სიმონ მეფე ირანში, ალამუთის ციხეში სამშობლოზე დარდით დნებოდა. მისი მეუღლე ნესტან-დარეჯანი, თავის მცირეწლოვან შვილთან, გიორგისთან ერთად კავთისხევში იმყოფებოდა. ძმებდახოცილს, ქმარდატყვევებულს, გამკითხავიც აღარავინ ჰყავდა. ეს ვითარება ავად გამოიყენეს ალექსანდრეს მომხრეებმა, ბარძი ამილახორის თაოსნობით. კავთისხევში მყოფ დედოფალს ღამით თავს დაესხნენ, აიკლეს, გაძარცვეს, რაც კი წასაღები იყო წაიღეს და დიდ სირცხვილშიც ჩაიგდეს თავი. მათ ენალვლებოდათ სიმონ I-ის ბედი, ან ქართლისა და მისი მოსახლეობისა?! სატანისაგან გადაბირებულის გარდა ვინ გაბედავდა მიუსაფარ დედოფალზე თავდასხმას, თან ქალზე. ასეთი საქმის მომხდენი ეს დიდებულები, ალექსანდრეს, როგორც მეფის, დაუკითხავად მოახდენდნენ ამ ვერავ საქმეს, მით უმეტეს, როცა დაუდ-ხანიც მათთანაა?! მათ არ უნდა განესაზღვრათ, სიმონ მეფე ალამუთის ციხეში დამდულრებული გმინავს. აქ მყოფი ძმა დაუდ-ხანი მისი ცოლ-შვილისთვის მფარველობის მაგიერ, ავის წამქეზებელია, ასეთი კაცი სამშობლოს დაინდობდა? რაში ენალვლებოდათ სხვა სამეფო ან სხვა სამეფოს დედოფლის სვე-გამწარებელი ყოფა. თითქოს ქართლი საქართველოს ნაწილი არ ყოფილიყო. მაშინ იქ შადიმანი ხომ არ იყო. მაგრამ, როგორც ჩანს, შადიმანსაც ჰყოლია წინამორბედები ამ დიდებულთა სახით.

იკვეთება ისეთი აზრი, რომ მეფე ალექსანდრეს სიმონ მეფე სძულდა, რომელიც ერთიანი სამშობლოს დამცველი იყო. ამ მხრივ, მათი ურთიერთ საწინააღმდეგო პოზიციები დაპირისპირების წინა პირობებს ქმნიდნენ. რადგან მათი საზრუნავი კრედო სხვადასხვა

იყო, ამიტომ პოზიციებიც განსხვავებული ჰქონდათ; ალექსანდრეს მხოლოდ კახეთის სამეფოს ბედი ედარდებოდა, სიმონ I-ს კი მთლიანი საქართველოს მომავალი აწუხებდა. როცა სიმონ მეფე ყიზილბაშებს ებრძოდა, იმ დროს ალექსანდრე მათ მოკავშირედ აცხადებდა თავს.

როდესაც სიმონ მეფე 1569 წელს, ფარცხისთან, ყიზილბაშებთან ომში, ავი ბედისწერისაგან, ლალატიანი გზით, ტყვედ ჩავარდება, და ირანის გზას გაუყენებენ ცხრა წლიანი ტყვეობის შემდეგ, მაშინდელი ირანის შაჰის, შაჰ-ისმაილის ინტერესებიდან გამომდინარე, შემდეგ ხუდაბენდეს ინტერესებიდან გამომდინარეც, რომ აღმოსავლეთ საქართველო ოსმალეთს დაუპირისპირონ, სიმონ I-ს ციხიდან გამოიყვანენ, დიდ პატივშიც ამყოფებენ, ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილს საქართველოსაკენ გამოუშვებენ. მაშინ იმ ეტაპზე, ალექსანდრე, რომელიც ირანის მოკავშირე იყო, განუდგება მათ და სიმონ მეფის საწინააღმდეგოდ ოსმალეთის მოკავშირე გახდება.

ალექსანდრე მეფის პოზიცია გასაგებია, ოღონდ მან თავისი კერძო კახეთის სამეფო გადაარჩინოს, და თან მეფობა შეინარჩუნოს. მის გვერდით ხომ არის დაუდ-ხანიც, ისიც ხომ ბაგრატიონია, თან ლუარსაბ I-ის შვილია. თვითონაც ამოუდგება მხარში დაუდ-ხანს და ქართლში მეფობის საქმეში მიეხმარება. ამ დაძმობილებულ დიდებულებს სიმონ მეფე რაღას დააკლებს, რადგან ქართლი იმ დროს დასუსტებული ჩანს. სიმონ მეფის მიზანი იყო ერთ მტერთან მოკავშირეობით მეორე მტერი დაემარცხებინა, ეს კი ქვეყანას ამოსუთქვის საშუალებას მისცემდა.

ის მდგომარეობანი ცხადად გვიჩვენებს სააკაძის დროის მოვლენების მსგავსებას. როცა სააკაძემ სიღრმით დაინახა, საქართველოსთვის შაჰ-აბას I – ის დამლუპველი გეგმები, განუდგა ირანს და კონსპირაციულად მოამზადა მარტყოფის ომი, სადაც ირანული ჯარები დაამარცხა. შემდეგ თეიმურაზ I, სააკაძესთან ერთად, შაჰ-აბასის ჯარების წინააღმდეგ იბრძვის მარაბდის ომში. იმ ხანებში განვითარებული და ჩვენთვის ცნობილი მოვლენებიდან საქართველოს მდგომარეობა ითხოვდა მოკავშირის მოძიებას, მოკავშირედ კი მეზობელი ოსმალეთი მიიჩნიეს, და სააკაძემაც დახმარებისთვის მიმართა ოსმალეთს. ასეთმა ვითარებამ და უფრო სააკაძის იდეამ, რომ მას აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანება ეწადა, ქართლ-კახეთში თეიმურაზ I-ის მეფობის პოზიცია კითხვის ქვეშ დააყენა. ამ საშიშროებამ თეიმურაზ I ისევ ირანის მოკავშირეობის მოსურნე გახადა. უფრო ადრე, 1618 წელს, შაჰ-აბასისაგან უკმაყოფილო თეიმურაზ I, რომელმაც ოსმალეთთან მოკავშირეობა ამჯობინა, ირანის წინააღმდეგ იბრძოდა.

1578 წელს, მეფე სიმონ I ირანიდან საქართველოში დაბრუნდა. ქართველ მოსახლეობას დიდი იმედი დაუბრუნდა, სიხარულმა მოიცვა მთელი ერი და ბერი. მეფის საზრუნავ ქვეყნის საკეთილდღეო გეგმებს, ისე როგორც შემდეგ გ. სააკაძის გეგმებს, დიდებულთა ნაწილი ხელს უშლიდა. აქაც ხაზს ვუსვამთ, მხოლოდ ნაწილი თავადებისა იყო წინააღმდეგი სიმონ მეფის იდეებისა, მათი დიდი ნაწილი მის გვერდით იდგა. მეფის პირადი მტრობა ვინც გამოამჟღავნა, ის სამშობლოს მოლაღატეც აღმოჩნდა. სიმონის

დაბრუნებისთანავე მისი მტრები გაუჩინარდნენ. ესენი იყვნენ: ბარძიმ ამილახორი, ელიოზ ერისთავი და მათი წამქეზებელი დაუდ-ხანი. გავისხენოთ, სიმონ მეფის მეუღლეს თავს, რომ დაესხნენ კავთისხევში ღამით და გაძარცვეს. შემდეგ საქართველოსთან არა მოკავშირე ოსმალეთის დიდ ვეზირს – ლალა-ფაშას რომ ეახლნენ და მის მოკავშირედ გამოაცხადეს თავი. შემდეგ ოსმალეთთან მოკავშირეობა მიღებულნი, ეს სიმონ მეფის მტრები, უკან დაბრუნდნენ და თავიანთ თანამოაზრე ვახტანგ-მუხრან-ბატონთან შეაფარეს თავი, რომელიც ლალა-ფაშას ყურმოჭრილი მორჩილი იყო. ვახტანგის თავგამოდება თავისი თანამზრახველებისადმი სიმონმა ერთგული ხალხისაგან შეიტყო, იგი შეიპყრო და კეხვის ციხეში ჩასვა. ვახტანგის მფარველობიდან გაქცეულმა ბარძიმ ამილახვარმა იფიქრა, რახან სიმონ მეფემ სიკვდილით არ დასაჯა მათი შემფარებელი ვახტანგი, როგორც სამეფო საქმეების მოწინააღმდეგე, სულთანის მოკავშირე და აქედან გამომდინარე, სიმონ მეფის მოლაღატეც, მას მხოლოდ ციხეში ჩასმა ამყოფინა, გადაწყვიტა მუხლებზე დაჩოქილი ხლებოდა სიმონს, პატიების სათხოვნელად. ამილახვარის აზრის გამზიარებელი აღმოჩნდა ელიოზ ერისთავიც. მათ კავთისხევიდან წაღებული ნაძარცვი წინ წაიძღვარეს და მეფეს ეახლნენ. დავაკვირდეთ სიმონ მეფის მეუღლის, ნესტან-დარეჯანის მალალ ზნეობას. იგი მეუღლე მეფის წინაშე წარსდგა, რათა მძიმე სასჯელით არ დაესაჯა ისინი. მოწინააღმდეგე მხარისაგან შეურაცხყოფილმა მეფის მეუღლემ ისევ პირადი მტრების შეწყალება სთხოვა, ეს გაითვალისწინა სიმონ მეფემ. მეუღლის დიდსულოვნებას პატივი მიაგო. ამით ქართველი მოსახლეობის თვალშიც დიდსულოვანი ბუნება გამოხატა. როგორც მეფეს, მას ხომ შეეძლო გამოეყენებინა თავისი აღმატებული პოზიცია და დასასჯელნი მართლა დაესაჯა, თავიანთი უღირსი საქციელის გამო.

პარალელ მოვლენად გავიხსენოთ 1615 წელი, როცა გ. სააკაძე დაბრუნდა ქართლში. ეს რომ შეიტყვეს ქაიხოსრო ჯავახიშვილმა და ფარსადან ციციშვილმა, იმერეთისაკენ გაქცევა სცადეს, სააკაძემ ისინი შემოაბრუნა და შერიგების ხელი გაუწოდა. დიდსულოვანი ბუნება თვითონაც არ აკლდა სააკაძეს, მაგრამ სიმონ მეფის და მისი მეუღლის, ნესტან-დარეჯანის საქციელსაც უნდა მოეხდინა მასზე გავლენა, როგორც ქვეყნის ინტერესების დაცვისათვის სამაგალითო ნაბიჯს.

სიმონ მეფე დიდბუნებოვანი, მაღალი ღირსებებით სავსე პიროვნება იყო. სრულიად საკმარისი გახდა მეუღლის შუამდგომლობა, რომ მას პირადი და იგივე საქვეყნო იდეების მტრები შეენწყალებინა. სიმონ მეფის მოქმედების მსგავსია შემდგომში სააკაძის საქციელი, როცა იგი 1620 წელს სასამართლოს აწყობს თავისი სამტრო მხარის შესარიგებლად. აბა, გავსინჯოთ და ვთქვათ, რომელიმე დიდებულს სხვა დიდებულისათვის ისეთი შეურაცხყოფა რომ მიეყენებინა, როგორც მეფის ოჯახს მიაყენეს, აპატიებდნენ ან შეინყნარებდნენ ერთმანეთს? იმ დროის და შემდგომი დროის მრავალი მაგალითი ვიცით ჩვენი ისტორიიდან, არამართებული საქციელის გამო როგორ დაუსჯია ერთ მხარეს მეორე მხარე, სიკვდილით ან სახლ-კარის გადანვით. ასეთი ვითარებები იყო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოშიც. სიმონ მეფემ ამ სამ

დიდებულს მამულების ნაწილი ჩამოართვა და გაუშვა. მეფემ ეს ჩამორთმეული მამულის ნაწილები სვეტიცხოველის ტაძარს გადასცა, მეორე ნაწილი სამეფო ხაზინაში შეინახა, ღირსეული ადამიანების დასასაჩუქრებლად.

სიმონ მეფისაგან შეწყნარებულ დიდებულთა გვერდით, ცხადია, შეწყნარებულნი იქნებოდნენ მათი იდეოლოგებიც, ალექსანდრე მეფე და დაუდ-ხანიც.

ახლა შემდეგი მოვლენა განვიხილოთ, თუ რაზე ფიქრობენ და მოჩურჩულებენ სიმონ მეფისაგან შეწყნარებული ეს დიდებულები.

1678 წელს სიმონ მეფე ქართლში დაბრუნდა და მთელი ენერგიით შეუდგა ოსმალთა განდევნას ქართლის ციხეებიდან, იმ ხანებში მისი დაბრუნებიდან და თავის სამტრო მხარის შეწყნარებიდან წელიწადზე მეტი იყო გასული, მაგრამ შეწყნარებულნი არ დანყნარებულან. მათ შეიტყვეს სოფელ დილოში სიმონ მეფის ყოფნა თავის ოჯახთან ერთად, რომელსაც არც ჯარი ახლდა თან და თვითონაც უიარალოდ ყოფილა. ისმება კითხვა: რა გზებით შეიტყვეს სიმონ მეფის ასეთი მდგომარეობა, თუ არა მოთვალთვალის საშუალებით? სწორედ ამაშია საქმე, მეფის უჯაროდ და უიარალოდ ყოფნა მის ხელში ჩაგდების ადვილ საშუალებას იძლეოდა. სამტრო მხარემ სასწრაფოდ თადარიგი დაიჭირა, სიჩქარით იარეს, ღამით მიადგნენ დილომს და თავს დაესხნენ სიმონ მეფის ოჯახს. უიარალო მეფემ, პერანგის ამარა, ძლივს გაასწრო განსაცდელს. ეჭვსგარეშეა სიმონ მეფის სამტრო მხარისაგან რომ იყო შემზადებული შეთქმულება.

ახლა გავიხსენოთ 1612 წელი, სააკაძის წინააღმდეგ მოწყობილი წაკისური შეთქმულება. ეს მოვლენები არა ჰგავს ერთმანეთს? სააკაძემაც პერანგის ამარა, უბელო ცხენით ძლივს გაასწრო სიკვდილს და მეფე სიმონმაც დილოში ძლივს გაასწრო განსაცდელს. რა ჰქონდათ მეფის სამტრო მხარეს გუმანში, როცა მალულად, თან ღამით, თავს დაესხნენ? სიმონ მეფეს იარაღი თან რომ ჰქონოდა, იგი აუცილებლად წინააღმდეგობას გაუწევდა თავდამსხმელებს; ასეთ შემთხვევაში ისინი ბევრიც იქნებოდნენ. შესაძლოა, მეფისაგან წინააღმდეგობა იმ მოვლენებში მისთვის საბედისწეროც გამხდარიყო, რადგან მეფეს არც იარაღი ჰქონდა და არც ჯარი ახლდა თან. ამ მდგომარეობამ განაპირობა, გასხლტომოდა განსაცდელს. გადაჭრით ვერ ვიტყვით იმას, რომ თავდამსხმელებს სიმონ მეფის მოკვლა ენადათ, თუმცა, მეფე ამისაგან დაზღვეულიც არ იყო. მაგრამ მის სამტრო მხარეს სიმონ მეფის დატყვევება აუცილებლად ენდომებოდა. ისინი დატყვევებულ სიმონ მეფეს ოსმალეთს გაგზავნიდნენ სულთანის წინაშე თავიანთი მათდამი ერთგულების დასამტკიცებლად. ამ აზრის თქმის საშუალებას გვაძლევს ის, რომ როცა სიმონ მეფე ირანიდან ქართლში დაბრუნდა და შეუდგა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას, ამ დროს დაუდ-ხანი და ალექსანდრე ოსმალეთის მოკავშირენი გახდნენ. მათი მიზანი სიმონ მეფის დატყვევება და ოსმალეთს გაგზავნა, ოსმალეთის მოკავშირეობა და ქვეშევრდომობის ერთგულების დასტური იქნებოდა. სიმონ მეფის სამტრო მხარე ასეთი მიზნით ორ საქმეს გააკეთებდა, – ოსმალეთში სულთანის გულს მოიგებდნენ და სიმონ მეფის გარეშე დარჩენილ ქართლში ოპონენტები დაუდ-ხანს ქვემო და ცენტრალურ ქართლში სრულუფლებიან მეფედ გამოაცხადებდნენ.

სიმონ ზაქარაია

ქრისტიანული სარწმუნოების დამკვიდრება მოსახლეობაში და სახელმწიფო რელიგიად აღიარება ებრისის სამეფოში



როგორც ბერძნულ-რომაულ, ისე სამამულო ლიტერატურულ წყაროებიდან ცნობილია, რომ იესო ქრისტე სიცოცხლეში იმდენ სიკეთით აღავსე სასწაულებს ახდენდა ხალხის თავლწინ, იგი წამებამდე ამაღლდა ღმერთის დონეზე. ყველაზე ადრე ქრისტე ღმერთად პატიოსანმა ადამიანებმა აღიარეს, რომელთა შორის იყვნენ მდიდრებიც, სახელმწიფო და სამხედრო მოხელეებიც და მეფეებიც თავიანთი ოჯახებით.

იესო ქრისტეს ყოვლისმომცველი ძალა იმაში გამოიხატებოდა, რომ მისდამი რწმენა, სიყვარული და იმედი, მისი წამებისა და სიკვდილიდან აღდგომის შემდეგ, პირველსავე საუკუნეშივე ძალიან სწრაფად ვრცელდებოდა, როგორც თვით რომის იმპერიის თავაღუნვდენელ ტერიტორიებზე, ისე მის საზღვრებს გარეთაც.

როგორც ირკვევა, წარმართული ღვთაებები იმდენად მძიმე, არასრულყოფილი და ტრაგიკული იყო მოსახლეობისათვის (მაგ, ჩვენში - კოლხეთში, წარმართული ღვთაება ჭყონდიდი და მისი თავყანისცემა), რომ ქრისტიანული სარწმუნოების გაცნობამ, მასში ღრმად გარკვევამ, მისმა შემწყნარებლობამ, მიუხედავად ეროვნებისა, ხალხი ცალსახად განაწყო ამ სარწმუნოების მისაღებად და სამერმისოდ მის დასამკვიდრებლად.

...და მაინც რა ობიექტური და სუბიექტური პირობები უწყობდა ხელს, წმინდა მინაზე დაბადებულ ჭეშმარიტი სარწმუნოების - ქრისტიანობის გავრცელებას უპირველეს ყოვლისა რომის იმპერიის ტერიტორიაზე, შემდეგ კი მის საზღვრებს გარეთაც?

ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველი გახდა ის ჭეშმარიტი ისტორიული ფაქტი, რომ სპარსეთისა და რომის იმპერიებს შორის ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომების შემდეგ, 298 წელს ნისიბისში დაიდო ზავი, რომლის საფუძველზე მათ შორის ომი არ უნდა განახლებულიყო 40 წლის (298-338წწ.) განმავლობაში. ამ ზავის საფუძველზე ჩვენი, ქართველური სახელმწიფოები - კაპადოკია, პონტო, ქართლი, ასევე სომხეთი შევიდა რომის იმპერიის გამგებლობაში. რომის იმპერიის გამგებლობის ქვეშ იმყოფებოდა შემდგომ აღმოსავლეთში ქრისტიანობის მძლავრი ცენტრები - ალექსანდრია (ეგვიპტე) და ანტიოქია (სირია).

რაც შეეხება ეგრისის სახელმწიფოს, იგი აღნიშნულ ზავამდეც იმყოფებოდა რომის გავლენის სფეროში. ხანგრძლივი (40წ.) პერიოდის განმავლობაში რომის იმპერიის სივრცეში ამიერკავკასიის ქვეყნების ყოფნამ, ხელსაყრელი პირობები შეუქმნა მათ პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებას, მათ შორის ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ რელიგიად დაკანონებას. რომ არა რომსა და ირანს შორის მშვიდობიანი ზავი, ირანის ძლიერი ისლამური

სარწმუნოების პირობებში, ქრისტეს რწულის დამკვიდრება ქართულ სივრცეებში შეუძლებელი გახდებოდა.

მეორე მნიშვნელოვანი პირობა იყო იმპერიაში, იმპერატორებისა და სხვა გავლენიანი მმართველების მიერ სპეციალური ედიქტების (ბრძანებების) გამოცემა, რომლის საფუძველზე საშუალება ეძლეოდა ხალხს შეზღუდვების გარეშე ერწმუნა ქრისტე ღმერთი.

ლიტერატურული წყაროებიდან ცნობილია, რომ რომის ერთ-ერთი იმპერატორი დიოკლიტიანე -(284-305 წწ.) განსაკუთრებით 303-305წწ. უსასტიკესი მეთოდებით ებრძოდა ქრისტიანობას, იგი უმონყალოდ აწამებდა მათ, ხოლო თავგანწირულ მორწმუნეებს, როგორც წმინდა გიორგი იყო, თავებს აჭრიდა ხოლმე. მაგრამ ვერც მან აღმოფხვრა ჭეშმარიტი სარწმუნოების ღვთიური ძალა ხალხში, სასტიკი იმპერტორი 305 წელს გადადგა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ქრისტე ღმერთისადმი სიყვარული და თავყანისცემა. იესო ქრისტესადმი ხალხებში საყოველთაო აღიარებას მოჰყვა იმპერიის აღმოსავლეთ ტერიტორიების გამგებლების, ჯერ გალერიუსის 311 წელს, ხოლო 313 წელს ლიცინიუსის ედიქტები (ბრძანებები), რის საფუძველზე სარწმუნოებაზე შეზღუდვები აღარ ვრცელდებოდა ხალხში.

რომის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა საჭიროდ ჩათვალა 325 წელს გამოეცა ყოვლისმომცველი ედიქტი, რითაც ქრისტიანობა აღიარებულ იქნა სახელმწიფო რელიგიად, ამით წარმართთა ყველა ქონება, სარწმუნოების გარდა გადაეცა ქრისტიანული იდეოლოგიის წარმმართველებს. კონსტანტინე დიდის ბრძანება კიდევ უფრო გამტკიცდა 325 წელს ბითონიის ქალაქ ნიკეაში მისი ინიციატივით მოწვეულ I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, სადაც დაგმობილ იქნა მწვალებლური (არიანული, მონოფიზიტური და სხვა) მიმართულებები და გამარჯვებულად გამოცხადდა მართლმადიდებლური სარწმუნოება.

ასე ჩამოყალიბდა მე-4 საუკუნის დამდეგიდან, წინა და მცირე აზიაში მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე შექმნილი ისეთი დიდი საეპისკოპოსოები, რომლებიც იყვნენ: ტარსისა - ილიკიაში, კესარიისა-კაპადოკიაში, ეფესოსი-აზიაში, ტვიროსისა-

ფინიკიაში, ედისისა-მესოპოტამიაში, ბოსტრისა-არაბეთში, ნეოკესარისა-ლიკაონიაში და სხვა.

ეგრესის სამეფოში ქრისტიანული სარწმუნოების შეღწევისა და მის დამკვიდრებას ბევრი ხელშემწყობი ფაქტორები განაპირობებდნენ. პირველი ფაქტორი ის იყო, რომ რომის იმპერიის ერთ-ერთი დასაყრდენი აზიაში, პონტო-კაპადოკიის ქვეყნები წარმოადგენდა, რომლის ძირითადი მოსახლეობა ქართველური იყო - ლაზები, ჭანები, გუგარქები და ქალდაველები. ასე, რომ კესარიდან და ტრაპიზონიდან ბიჭვინთის ჩათვლით მთელი შავი ზღვის სანაპიროს მოსახლეობა ქართველური იყო.

გურამ ლორთქიფანიძის წიგნის - „ბიჭვინთის ნაქალაქარი“ (იგი დაიბეჭდა ვ. გოილაძის წიგნის - „ქართული ეკლესიის სათავეებთან“ გამოსვლის შემდეგ) შესავალში რედაქტორი რისმაგ გორდეზიანი წერს - „დამტკიცებულია, რომ პიტიუნტი, რომელიც რომაულ ეპოქაში (I-VI საუკ.) წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების ანალიზის საფუძველზე, შედიოდა პროვინცია კაპადოკიის შემადგენლობაში და მისი თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობაში მონაწილეობდა“... შემდეგ განაგრძობს გორდეზიანი, „IV საუკუნის პირველ მეოთხედში აქ არსებობდა (ბიჭვინთაში, ს.ზ) საეპისკოპოსო კათედრა, რაც მხოლოდ ქალაქებისათვის იყო დამახასიათებელი“. ასევე საინტერესოა, მკვლევარი არსენ სუხანოვის მიერ 1655 წელს ივერთა მონასტრიდან ჩამოტანილი ერთი „გეოგრაფიული ტექსტის“ შესახებ, სადაც ასახულია 360-386 წლის ამბები: „კოლხეთი, იბერია, პოლემონის პონტო, ქ. ტრაპიზონით, კაპადოკიის პონტო, ქ. ამისოთი და სხვ. ერთ ევროპის (ალბათ რომის იმპერიას გულისხმობს) ეპარქიაში შემავალ მხარეებად არიან დასახელებულნი. ამდენად ლიტერატურულ წყაროებში შეხვდებით ხშირად, სადაც წერია: „პონტო, კაპადოკია და ეგრისი ერთიანი კულტურული და პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრობდა“.

მკვლევარი ა. ჰარნაკის გამოკვლევების საფუძველზე IV საუკუნეში მცირე აზიის მოსახლეობის ნახევარი ქრისტიანი იყო, ხოლო ეგრისის უშუალო მოსაზღვრე პონტოში კი მთლიანად ქრისტიანი. პონტო-კაპადოკიის ქვეყნების მოსახლეობაში ქრისტიანული სარწმუნოების დამკვიდრების სიძლიერეზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებას ნიკეაში 325 წლის აღნიშნული სივრციდან ესწრებოდნენ: - ლეონტი კესარიელი, ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე, ევტიხი თიანელი, ერითრიოს კოლონიელი, გორგონიოს ქორესპისკოპოსი და თეოფანე.

325 წლისათვის, წერს აკად. სიმონ ყაუხჩიშვილი, - „ქრისტიანობა ეგრისში საფუძვლიანად უნდა ყოფილიყო გავრცელებული, რადგან აღნიშნულ წელს ნიკეის მსოფლიო კრებას დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ეკონომიური და კულტურული მხარე - ბიჭვინთიდან ეპისკოპოსი სტრატოფილე ესწრებოდა“. ეს მოვლენა საეჭვოც არ უნდა იყოს, რადგან ეგრისის სა-

მეფო თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, რომის იმპერიის ინტერესთა სფეროში მოექცა, ამდენად იგი იმპერიაში მიმდინარე კულტურულ და პოლიტიკურ პროცესებში უშუალოდ იყო ჩართული.

საინტერესოა ბიზანტიის აღიარებული საეკლესიო ისტორიკოსის გელასი კვიზიკელის თხზულებაში მოყვანილი ცნობა, აი ისიც - „პონტოს გასწვრივ მდებარე მინა-წყალზე მცხოვრებ იბერებისა და ლაზების მიერ ქრისტიანობის მიღება უნდა მოხდარიყო კონსტანტინე დიდის დროს“. ეს ცნობა გელასი კვიზიკელს, გელასი კესარიელისგან უნდა ჰქონდეს აღებული, თუმცა კესარიელის ნაშრომი ჩვენამდე არაა მოღწეული. ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში მე-5 საუკუნემდე უფრო ადრე უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

ასევე სარწმუნოა დღემდე გამოუყენებელი სომეხი ისტორიკოსის აზათანგელოზის ისტორიული წყარო - „გრიგოლ პართელის ცხოვრებაში“ შემონახული ცნობები, სადაც ეგრისის, აფხაზეთის (არა აბსუბის, არამედ ლაზი მეგრელების) და ბასიანის (სამხრეთ-დასავლეთი საქართველო) ეკლესიათა პირველი საჭეთმპყრობელების (ეპისკოპოსების) დანიშვნა ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების წინ - 325 წლამდე უნდა მოხდარიყო.

გრიგოლ სომეხთა განმათავისუფლებელი გაიზარდა კაპადოკიაში, იგი „იზრდებოდა წესითა ქრისტიანესათა“, სადაც ეზიარა ქრისტეს მცებას. იგი კაპადოკიის კეისარიის ეპისკოპოსის ლეონტის მიერ იქნა ხელდასხმული სომეხთა ეპისკოპოსად. რა თქმა უნდა გრიგოლის ხელდასხმა სომეხთა ეპისკოპოსად გაზიარებული იყო მეფე თრადტთან, რომელმაც წერილი გამოატანა ლეონტისთან, ეს ტექსტი დაცულია „ცხოვრებაში“, მეფე თრადტი ლეონტის უწოდებს ბატონს: „ჩვენს ბატონს, კაპადოკიისა და პონტოს (ეკლესიათა) თავთა თავს.“

ახლა უშუალოდ იმ ცნობების შესახებ „ცხოვრებაში“, რომელიც ეხება ჩვენში ქრისტიანობის დამკვიდრებას და მის ორგანიზაციულ პროცესებს დასავლეთ საქართველოში. იმის შემდეგ რაც ლეონტი კესარიელმა გრიგოლი სომეხეთის ეპისკოპოსად აკურთხა, მას სთხოვა წასულიყო კაპადოკიის მე-2 ქალაქ სებასტიაში, სადაც მას ელოდებოდა სებასტიის ეპისკოპოსი პეტრე. მას პეტრესთან ერთად დავალებული ჰქონდა დასავლეთ საქართველოში ეპისკოპოსების ხელდასმა. იგი ჩადის სებასტიაში, სადაც პეტრესთან ერთად ხდვება „კაცი სახელად იბირ-ბ-ზ-ხუა, ის იყო ცხოვრების წესით სამაგალითო ღვთის მოსავი, საეკლესიო წიგნთა მცოდნე, იგი დიაკონი იყო. ეს ღვთისმოსავი კაცი ორმოც წამებულთა ნეშთის მოპოვების მონაწილეთა შორის, იმყოფებოდა სებასტიაში.“, როგორც ცნობილია, ქრისტიანთა დიდი დევნის დროს - 305 წლის მარტს, კესარიიდან სებასტიაში ჩავიდა დუქსი, რომლის ბრძანებით სებასტიელი ქრისტიანები, სულ 40 მორწმუნე ყინვიან ღამეს ტბაში შიშვლები შერეკეს (წამების საშინელი ფორმა), შემდეგ მათი გვაგები

დანვეს, ნარჩენებიც დამალეს. სამი დღის შემდეგ ქრისტიან წამებულთა ნარჩენები (ყველა ისინი ქართველური ტომებიდან იყვნენ) იპოვეს და „დაკრძალეს ლუსკუმსა - „სწორედ ამ ამბის თვითმხილველად იხსენიება ეგრისელთა პირველი ეპისკოპოსი იბირ-ბ-ზ-ხუა. ნიკო მარის განმარტებით იბირ - არის იბერი, ხოლო ბ-ზ-ხუა მეგრულად ნიშნავს სკუას - ე.ი. იბერ-სკუა ანუ იბერის ძე. ეს ცნობა „ცხოვრების“ არაბულ თარგმანში ასეა ფიქსირებული - ეს მიტროპოლიტი ქართველი იყო! სწორედ ლეონტი კესარიელმა ეს „იბერის - ძე“ გააგზავნა ეგრისში ეპისკოპოსად, მას გრიგოლთან და პეტრესთან ერთად უნდა დაესვა ეპისკოპოსები დასავლეთ საქართველოში. ასეც მოხდა აფხაზეთის პირველ ეპისკოპოსად ხელდასმული იქნა კაპადოკიელი მღვდელი სოფრონიუსი, ბასიანის (სამხრ. საქართველო) ეპისკოპოსად ევთალიოსი, ალბანეთისა - თომასი.

მრავალი ლიტერატურული წყაროების შეპირისპირების საფუძველზე ეგრისის სამეფოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად აღიარებულ იქნა 318 წელს ან ორი სამი წლით ადრე ან გვიან.

ლიტერატურულ წყაროებში ზუსტად არაა მინიშნებული ეგრისის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სად

უნდა განთავსებულიყო ქვეყნის ეკლესიათა პირველი საჭეთმპყრობელის „იბერის-ძე“. ან კიდევ ეს პირველი ეკლესია თუ ვისი სახელობის იქნებოდა. ზოგიერთი მკვლევარის ვარაუდით, რადგან „მარტვილი“ სამეგრელოს წმინდა ადგილად ითვლება, თან „მარტვილი“ მა რყვილი, მე მოგკალი, უსათუოდ მძიმე წამებას ასახავს, (დედის მიერ ჩვილი ბავშვი შეწირვა წარმართა ღვთაებაზე), ამდენად „იბერის-ძეს“ ტაძარი მარტვილში უნდა აეგო, ისიც იმ 40 წამებულ ქრისტიანთა სახელობის, რომლის უშუალო თვითმხილველი იყო, თუმცა შემდეგი კვლევებით ეს არ დადასტურდა.

უფრო რეალურადაა მიჩნეული ეგრისის მთავარეპისკოპოსის „იბერის-ძეს“ აერჩია ქვეყნის სახალხო ქალაქი - ციხე-გოჯი (არქეოპოლისი). მართლაც ეს დადასტურებული იქნა ციხე-გოჯის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების დროს, სადაც ნაპოვნია დიდი ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევები, რომელიც აგებული იყო მე-4 საუკუნის შუა ხანებში. ასევე ეგრისის სხვა ქალაქებშიც ამავე პერიოდში იქნა (აფხაზეთი, ალბანეთი, ბასიანი) ხელდასმული ზემოთ ნახსენები ეპისკოპოსები.



მედიცინა



**ნაილი სარაიშვილი-სეთაქელიძე
სეთაქელიძის ბუნებრივი
სამკურნალო საშუალება**

დარეგისტრირებულია საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროში, როგორც პარასამ-კურნალოპრეპარატები (№N°00256-8-8). დაპატენტებულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების დეპარტამენტში (P-267-8-9). სასაქონლო ნიშანი დაპატენტებულია სამ ენაზე: ქართულად, რუსულად, ლათინურად. გამოკვეთული და აპრობირებულია პროგრესულ სამედიცინო კლინიკებში. გამოგონებები დაჯილდოებულია მთავრობის მიერ. სერთიფიცირებულ კაბინეტ “ქსენონში” კეთდება სახის ბუნებრივი ნიღბები მწვანე, ცისფერი და ლურჯი ქართული თიხებით.

ბუნებრივი დამამშვიდებელი ბალზამი

ფარმაკოლოგიური თვისებები: სედატიური, სპაზმოლიტური.

გამოყენება: ნევროზები, უძილობა, შფოთი, წინაკლიმაქსურ და კლიმაქსურ პერიოდში, ჭირვეულობა – ბავშვებში და გარდატეხის ასაკში. სახეს უნარჩუნებს მშვიდ გამომეტყველებას.

შემადგენლობა: სვიის გირჩები, კატაბალახას ძირები, თავშავა, შავბალახა, ნატურალური თაფლი.

უკუჩვენება: გამოვლენილი არ არის.

მიღების წესი და დოზირება: ბავშვებისათვის დღეში 3-ჯერ, თითო ჩ.კ. დიდებისათვის დღეში 3-ჯერ, თითო ს.კ.

ტელ: 232 54 43; 599 32 54 43 – “ქსენონი”

უნივერსალური სამკურნალო თიხათა კომპოზიცია “ნაილენოლი”

სამკურნალო თიხათა კომპოზიცია “ნაილენოლი” აღადგენს, აჯანსაღებს და აძლიერებს ორგანიზმს. ის ასუფთავებს, კურნავს, იცავს და აახალგაზრდავებს სახის კანს.

გამოყენების წესი: - ოჯახურ პირობებში მზადდება წყალ-მინერალური ხსნარი: 2 ლიტრ გადაუღებულ ცივ წყალში, რომელიმე მცენარეულ ნაყენში ან მინერალურ წყალში, მინის ჭურჭელში ჩაყრიან 8 ს.კ. თიხათა კომპოზიციურ ფხვნილს. აამღვრევენ ხის კოვზით. დალექვის შემდეგ გადანურავენ ნალექამდე. მიიღება დღეში 200 მლ-დან 2 ლიტრამდე. გამოიყენება ყოველგვარი დაავადებების დროს. სახეზე იკეთებენ ნიღბებს კვირაში 2-ჯერ.

ხეთერელის მალამო
/Inguentum Chetereli/

ჩვენებები: ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებანი: ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი, იშიასი, საჯდომი ნერვის ანთება, ნალრძობი, პოდაგრა, დაჟეჟილობა, კუნთის სპაზმი, სასუნთქი გზების ანთებები, ასაკობრივი ქავილი, ლორწოვანი გარსების მწვავე და ქრონიკული ჩირქოვანი ანთებები, დიაბეტური და ტროფიკული წყლულები, დამწვრობა.

სახის კანის მოსავლელად ეფექტურია როგორც მკვებავი.

გამოყენება: ყოველგვარი მკურნალობის დაწყების წინ, ჯერ შეიზილება მთლიანი ხერხემალი, ცხვირის, პირის, ყბის ღრუები და საზარდულები, შემდეგ დაიტანება კანის დაზიანებულ უბანზე ბუნებრივი ქსოვილის საფენით. იცვლიან დღეში 3-5-ჯერ.

წყლულოვანი კოლიტების, ბუასილის, პროსტატის, გინეკოლოგიური ანთებების დროს, გამდნარი, თბილი მალამო შეჰყავთ სწორი ნაწლავიდან 10-10 მლ. დღეში 3-5-ჯერ მიკროოცინით (შესაძლებელია უნემსო 10 გრამიანი შპრიცის ბუნიკზე დაეცოს ბავშვის რეზინის გაზგამყვანი მილი 3 სმ). სასურველია ამავდროულად საფენები სწორ ნაწლავზე ან საშოში. გრიპის ან სხვა ვირუსული დაავადებების თავიდან ასაცილებლად, ცხვირისა და პირის ღრუებში რეგულარულად იზელენ მალამოს.

უკუჩვენებები: გამოვლენილი არ არის.

გვერდითი მოვლენები: შეკრულობისადმი მიდრეკილები მკურნალობის პროცესში მიიღებენ საჭირო მცენარეულ ნაყენს. მაგ. თავშავა, ხეჭრელი და სხვ.

ინახება – გრილ ადგილას 3 წელი.

მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას II კვარტალი, კორპ. 31, სართული I, ბინა-40. ვაჟა-ფშაველას მეტროს (დელისის შემდეგი M) მარჯვნივ “ჯი-პი-სის” აფთიაქთან შესახვევი (ძეგლამდე 150 მ-ში). მიღება ყოველ დღე 12⁰⁰-დან 17⁰⁰-სთ-მდე. შაბათ-კვირას წინასწარი დარეკვით. 232 54 43; 599 32 54 43. ნაილი-მარიამ ხეთერელი. კოსმეტიკური კაბონეტი “ქსენონი”.

მალამოს და სამკურნალო თიხათა კომპოზიციის შექმნა შეიძლება აგრეთვე:

თბილისში: წმინდა სამების საკათედრო ტაძარში (ავლაბარი), ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარში (დიდუბე), წმინდა სამების ტაძარში (ვაკე, ჭავჭავაძის გამზირი), წმ.ბარბარეს ტაძარში და მის წინ მდებარე საეკლესიო მაღაზიაში(ვაჟა-ფშაველას გამზ. №67). სიონის ტაძრის წინ მდებარე მაღაზიებში – “სიონში” ლესელიძის ქ. №30. ბახტრიონის ქ. №8, “ანჩისხატის” ტაძარში, საქართველოს საპატრიარქოს საბითუმოსა და წყნოში.

ქუთაისში: წმინდა გიორგისა და წმ. სამების ტაძრებში (ავანგარდის დასახლება).

ხეთერელის მალამო სახსრებისათვის – თხევადი – (Linimentum) (Rectal)

ფარმაცოლოგიური თვისებები: ანალგეზური, ანთების საწინააღმდეგო, იმუნური სისტემის და რეგენერაციის გამაძლიერებელი.

შემადგენლობა: უნივერსალური სამკურნალო თიხათა კომპოზიცია “ნაილენოლი”, სამკურნალო მცენარეთა ზეთები და გამონაწვლილები: ბრტყელეკალა – Татарник колючий – *Onopordum acanthium oleum*, აბზინდა – Полынь горькая – *Artemisia absinthium*, ცხოველური ცხიმები – Говяжий жир – *Oleum Bubulus*.

ჩვენებები: კოქსართროზი (I-II ხარისხი), გონართროზი, ართრიტები, ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი, მენისკი, პოდაგრები, ნალრძობი, მოტეხილობის შემდგომი რეაბილიტაცია. აქვს სახის კანის გამაჯანსაღებელი ეფექტი.

უკუჩვენებები: გამოვლენილი არ არის.

გამოყენების წესი და დოზირება:

I-რექტალური: თხევადი მალამო შეიყვანება სწორი ნაწლავიდან 10-10 მლ. სახსრების ძლიერი ტკივილისას დოზის გაზრდა დასაშვებია დღეში 4-6-ჯერაც.

გვერდითი მოვლენები: იშვიათ შემთხვევაში შესაძლოა ტკივილის მცირე ხნით გამწვავება, რომელიც მალე გაივლის.

საფენები: გამზადებულ, ნატურალურ-მინერალური თიხა “ნაილენოლის” კომბინირებულ (მრავალკომპონენტურ) საფენებს (კოკრებს) იღებენ მტკივნეულ უბანზე, დააფენენ პოლიეთილენს და შეიხვევენ. იცვლიან 8 ან 12 სთ-ში ერთხელ.

თხევადი მალამოს და მინერალური საფენების შექმნა: –

“ქსენონი” – 232 54 43; 599 32 54 43

მკურნალობის ერთი კურსი 20-25 დღე. იმეორებენ წელიწადში რამდენჯერმე.

ავტორის რეკომენდაცია: თხევადი მალამოს (რექტალური) კარგი ეფექტი აქვს აგრეთვე კუჭნაწლავის, გინეკოლოგიური და შარდსასქესო სისტემის მკურნალობაშიც.

ნაილი-მარიამ ხეთერელი: ქ. თბილისი. 380068. ტელ: 232 54 43; მობ. 599 32 54 43

მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი, II კვ. 31 კორპ. IV სად. ბ.40.

დაბადების ადგილი და თარიღი: საქართველოს რესპუბლიკა. საჩხერე, 1948 წ. I მაისი.

პროფესია: პედაგოგი, ხალხური მეთოდებით მკურნალი.

ეროვნება: ქართველი.

სოციალური მდგომარეობა: ქმარშვილიანი.

სწავლა:

1. სკოლა – საჩხერე 1957-67
2. ივ.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, დიპლომი №173968. რეგისტრაციის №01/433
3. მოსკოვის ხალხური მედიცინის ცენტრი. დიპლომის №259, რეგისტრაციის №158.

გამოგონებები:

1. მალამო “ხეთერელი” – პატენტის № P₂₆₉ და თხევადი მალამო სახსრებისათვის.
2. დამამშვიდებელი ბალზამი “სპაზმოფილინი” – პატენტი P₂₆.
3. გულის სამკურნალო სიროფი “ქართული ფლორა” (კარდიომარი).
4. სამკურნალო თიხების კომპოზიცია “ნაილენოლი” – პატენტი №P352.
5. ცხოველურ ბენჯზე დამზადებული სამკურნალო დამატბუნებელი აქსესუარები.
კოქსართროზის სამკურნალო გადასახვევი აქსესუარი.

მეცნიერული შრომები:

1. წიგნი “მორწმუნე მენამლეობა” – ხალხური სნეულთათვის – 1988 – “სარკმელი საქართველოსი”.
2. პრაქტიკული სახელმძღვანელო “პროსტატის მკურნალობა ბუნებრივი მეთოდებით”, 1999 წ.
3. ფიტოთერაპია და რელიგიის საკითხები – 2000 წ.
4. ხეთერელის მალამოს შეყვანა ორგანიზმში ფინოფორების მეთოდით, 2003 წ.
5. კლასიკური მედიცინისა და ტრადიციული მედიცინის ურთიერთკავშირი, კონფერენცია – კურატორი, 2004 წ.
6. ქართული სამკურნალო თიხების კომპოზიცია “ნაილენოლი”, წიგნი, 2008 წ.

საქმიანობა:

1. ქუთაისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი – უცხო ენების კათედრა – პედაგოგი, 1973-1995 წ.
2. სპეციალიზირებული გერმანული სკოლა, 1985-1996 წ.
3. გელათის სასულიერო აკადემია – პედაგოგი – 1992-1996 წ.
4. სატაძრო მედიცინის ცენტრი – ხელმძღვანელი – 1990-1996 წ.
5. საქართველოს საპატრიარქო – სამონასტრო მედიცინის აღდგენის განყოფილების გამგე, 1996-2005 წ.
6. ფიტოთერაპიული კლინიკა – ხალხური მეთოდებით მკურნალი – 2000-2005 წ.
7. საქართველოს საპატრიარქო – სამედიცინო კაბინეტი, ხალხური მეთოდებით მკურნალი, 1996 წლიდან დღემდე.

თარგმანები

თარგმნა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა

მარიამ ნახუცრიშვილმა

H. W. Longfellow “The Brook And The Wave”

The brooklet came from the mountain,

As sang the bard of old,

Running with feet of silver

Over the sands of gold.

Far away in the mighty ocean

There rolled a turbulent wave,

Now singing along the sea beach,

Now howling along the cave.

And the brooklet has found the billow,

Though they flowed so far apart,

And has filled with its freshness and sweetness

That turbulent bitter heart!

ჰ. ჰ. ლონგფელოუ “ტალღა და ნაკადული”

მთაში ნაკადული რაკრაკებდა,

წინათ მომღერალი რომ სიმღერას იტყოდა, ისე რაკრაკებდა,

ოქროს ქვიშაზე მოდიოდა,

ვერცხლისწყალივით გამორბოდა, ვერცხლივით კამკამებდა.

ოკეანეში ტალღა ზვირთებოდა,

ყოვლისმძლეველ წყალში შმაგად ბობოქრობდა,

ხან ნაპირს აწყდებოდა, სიმღერას უმღეროდა,

ხან გამოქვაბულთან მხეცივით ღრიალებდა.

სად ტალღა იყო, სად ნაკადული - კამკამა, კრიალა,

მაინც იზოვა ნაკადულმა ის ტალღა ღრიალა,

შავბნელი გული სიტკბოთი დაუტკბო, სინორჩით დაუთბო

ჩაქუფრულ ტალღას შეერია, შეეხმინა.

W.H. Davies “The Example”

Here’s an example from a Butterfly;

That on a rough, hard rock happy can lie;

Friendless and all alone

On this unsweetened stone.

Now let my bed be hard no care take I;

I’ll make my joy like this small Butterfly,

Whose happy heart has power

To make a stone a flower.

ჰ. ჰ. დევისი “მიგაქვა”

პეპელას მივბაძავ, დღედაღამ სალ კლდეზე შვევით რომ ფარფატებს;

პეპელას მივბაძავ, მარტო რომ დამჯდარა სიპ ქვაზე და მაინც რაღაც ახარებს.

დე, იყოს ჩემი სასთუმალიც ქვასავით მაგარი, აღარ დავლონდები;

პეპელას მივბაძავ, გავხდები ფარფატა, მასავით ავლადდები.

პეპელას მივბაძავ, პატარა, გულმართალ პეპელას.



იუნესკოს მსოფლიო დესპანი / მსოფლიოს სპორტსმენი / გაეროს ბუნების დაცვის ელჩი / გინესის მრავალგზის რეკორდსმენი / მსოფლიო ველომოგზაური / მოგზაური დიპლომატი / სახელმწიფო პრემიის ლაურეატი / ვახტანგ

ლუარა სორდია

სიყვარულის სასწაულები

XXI საუკუნეში, როგორც არასდროს, განსაკუთრებული გამბედაობა სჭირდება მწერალს, მეცნიერს, ვისაც გაუჩნდება პრეტენზია ჭეშმარიტების თუნდაც მილიგრამი მარცვლის მოხელთების. მაგრამ ჩვენი კულტურის თვალუწვდენი მწვერვალები მაინც ხდება ბიძგი ფსიქოლოგიური ბარიერების გადალახვისთვის, რადგან დიად საქმეებს, დიად ქმნილებებს აქვთ საოცარი თვისება, ზეგავლენის სფეროში მოიყოლიონ თაობები.

ბ-ნი ჯუმბერ ლეჟავა ბედისწერამ მოავლინა ისეთი დიდი მისიით, რომელიც გულისხმობს მსოფლიოს ხედვის არეალში მოქცევას მრავალნაირი პარამეტრებით. მას წილად ხვდა ჩვენი ქვეყნის ყოფნა-არყოფნის ზღვარზე ყოფნის პერიოდში საერთაშორისო არენაზე გაეტანა ქართული ეროვნული ფენომენი, გაეკეთებინა განაცხადი, როგორც მეცნიერს, მოგზაურს, სპორტსმენს, ერვენებინა იგავმიუწვდომელი მაგალითი ადამიანის შესაძლებლობების განუსაზღვრელობის, მისი ზეკაცური პოტენციის.

ჯუმბერ ლეჟავა არა მარტო გამოჩენილი მოგზაური, 11 გზის მსოფლიო ჩემპიონი, პრემირებული მეცნიერია, არამედ, ამავე დროს, პირველხარისხოვანი მწერალი, მხატვარი, კიბერნეტიკოსი, ფსიქოლოგი, საღვთო ზნეობის პიროვნება.

ჩვენ, ყველანი, განსაცდელში მყოფი საქართველოს შვილები, აფხაზეთის, სამაჩაბლოს, ახალგორის, ლიახვის ხეობების, კოდორის გამო მგლოვიარენი, ისევ და ისევ ვეძებთ პასუხს კითხვაზე, როგორ გადაურჩება ეს ქვეყანა გლობალურ კატაკლიზმებს და “ხმათა ხავერდების ენაში”, რწმენაში, სულიერებაში, ეროვნულ იდეოლოგიაში ვეძებთ ნუგეშს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს თავზე ისევ ჰკიდია დამოკლეს მახვილი, გვეიმედებიან ეპოქის ნიშანსვეტებად ქცეული ერისკაცები.

ჯუმბერ ლეჟავა

გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი / მსოფლიო 2009 წლის ადამიანი / საქართველოს 2002 წლის ადამიანი / სპორტის დამსახურებული მუშაკი / მსოფლიოს მრავალი ქალაქის, მათ შორის თბილისის საპატიო მოქალაქე / ნიკო ნიკოლაძისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლების მფლობელი / ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის თავისუფლების ოქროს მედლის მფლობელი / ევროპის ბიოგრაფიული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე / 5 აკადემიის აკადემიკოსი / შეყვნილია ევროპის ბიოგრაფიული ცენტრის 400 წარჩინებულში / ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ კი – მსოფლიოს 500 წარჩინებულთა სიაში და სხვ.

ქართველი მწერლები ბიბლიურ წინასწარმეტყველთა დონეზე აზროვნებენ, ამიტომ ვეძებთ ამ რჩეული ერის ენაში, ქართველის გენეტიკურ კოდებში გადარჩენის პოტენციას.

გადარჩენის ერთ-ერთი დიდი გარანტიაა ბ-ნ ჯუმბერ ლეჟავას პიროვნება, მისი საქმეები და სიტყვა, სიტყვა მწერლისა, პუბლიცისტისა.

ცნობილია, ადამიანი იბადება სახედ და ხატად ღვთისა, ანუ განუსაზღვრელი სულით და უნარით, ხოლო რამდენად ინარჩუნებს იგი სახიერებას, დამოკიდებულია მისი საუფლო გულის სინმინდებზე, რადგან სიბრძნეს, სულიერ წვდომას არსთავანმრიგე მხოლოდ სულით უბინოთ მიჰმადლებს.

ბიბლიამ გვიანდერძა სამი უმთავრესი ფენომენის ერთგულება, ესენია “რწმენა, სასოება, სიყვარული”, ხოლო მათ შორის “სიყვარულია უმეტესი” (პავლე მოციქული).

“...ღმერთი სიყვარულია” (I იოანე, 4,8), თავად სიბრძნე.

ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში განასხვავებდნენ სხვადასხვაგვარ სიყვარულს, გამოიყოფოდა მინიერი და ციური ეროსი და ადამიანის არსებობის მიზნად ითვლებოდა ამაღლება სიყვარულის უმაღლეს, ეპოპტიკურ სტატიაზე, ერთადერთ ჭეშმარიტ მოძღვრებაზე, აბსოლუტურ, მარადიულ მშვენიერებაზე, რომელიც მხოლოდ ღვთის საუფლოში არსებობს (პლატონი, “ნადიმი”, თბ. 1964, გვ.17).

ღმერთი არის “დიადი სიყვარული, რომლითაც სამყარო ბრწყინავს, ვითარცა მარადიული შუვა დღე” (ნეტარი ავგუსტინე, “აღსარება”).

“სიყვარული ღვთაებრივი ანიჭებს ძალას და ამოძრავებს ამ მშვენიერ, ციურ ცდომილებს” (დანტე, “ღვთაებრივი კომედია”).

ღმერთი – სიყვარული განაპირობებს მზის სუფევას ცაზე, სამყაროს არსებობას, “უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ” (გალაკტიონი, “უსიყვარულოდ”).

ბ-ნი ჯუმბერ ლეჟავას წინამძღვარი იყო ორი სიყვარული – მიწიერი და ციური.

მსოფლიო გზებზე გასვლამდე და შემდგომშიც მის მარადიულ თანამდევად იქცა ქართული ბიბლია – “ვეფხისტყაოსანი” და სამება, ხატი უზენაესისა.

სულიწმიდით გაბრძნობილი, მიწიერ ეროსსაც მიაგებდა პატივს, რადგანაც მოციქულებრივი სიყვარულის მიბაძვა (მაღალი გაგებით) მიწიერი მიჯნურობაც, როცა იგი ვლინდება მაღალი ზნეობით, გვასწავლის დიდი რუსთაველი.

მხოლოდ ეს სულიერი ძალები ანიჭებს ადამიანს სრულყოფილებას.

“სიყვარულის და სიბრძნის ნიჭს” შესთხოვენ უზენაესს მაღალი იდეალებისთვის მოწოდებულნი, როგორც დანტეს “ღვთაებრივ კომედიაში”.

ამ ორი სიყვარულით, ორი ნიჭით გამოარჩია უზენაესმა ჯუმბერ ლეჟავა. მისი ფენომენალური მსოფლიო რეკორდები და მსოფლიო მოგზაურობა ადამიანის შესაძლებლობათა განუსაზღვრელობის დასტურია. იგი მსოფლიო კაცია, კოსმიური პიროვნებაა, კაცობრიობის მარადიული მიზნის ხორცშესხმა და ალბათ ამიტომაც, განსაკუთრებულია მისი სულიერი სამყარო.

238 სახელმწიფოში ყარიბობა-ხეტიალი იყო მისი იდეა-ფიქსი, რათა ანტიკური და შუასაუკუნეობრივი პოემების რაინდი პერსონაჟების (იაზონის, ოდისეის, ენეასის, ტარიელის, ავთანდილის) მსგავსად გაეფართოებინა თვალსაწიერი, ზიარებოდა მარადიულ სიბრძნეს და ქართული ეროვნული ბუნება გაეცნო მსოფლიოსთვის.

მართლაც, ინიციატივამწილი დაბრუნდა დიდი მოგზაური თავისი უმაგალითო, იგავმიუნჯდომელი ოდისეიდან და შეიმეცნა დიდიეზოტერულსიბრძნე, რაც დღესდღეობით მხოლოდ მის დღიურებშია გამჟღავნებული და ქვეყნის მესვეურთა უყურადღებობა-გულგრილობის გამო ვერ ეღირსა დღის სინათლეს.

თავიანთი ფიზიკური თუ სულიერ-ასტრალური გზებით სვლისას გამოჩენილ პიროვნებებს ჰყავდათ წარმოსახული, ნამდვილი თუ მზეგადასულთა სულები – დანტეს –ბეატრიჩე, პეტრარკას – ლაურა, ბაირონს – მერი, ფაუსტს – გრეტხენი, ბლოკს – მერი, რუსთაველს – თამარი, გალაკტიონს – მერი... საყოველთაოდ ცნობილია მათთვის აგებული სულიერი ტაძრები.

ბ-ნი ჯუმბერ ლეჟავასთვის ჯერ გაუკვალავი ჰორიზონტების გზამკვლევეები იყვნენ ქრისტიანული სამება, ჩვენი სახარება, “ვეფხისტყაოსანი” და მეუღლის – ლიანა ალიბეგაშვილის ლამაზი სული, მეგობრის, დის, დედის სათნოებათა შემკრების სახით მოვლენილი მის ცხოვრებაში.

ყოველთვის სიყვარული ყოფილა ზეკაცთა, აღმატებულ პიროვნებათა დიადი საქმეების სტიმული.

დიადი ტაჯ-მაჰალის ნაკვალევზე მავალი ჩვენი თანამედროვე ქართველი თავის დღიურებში, მოგონებებში მრავალგზის გვესაუბრება ლიანა ალიბეგაშვილის შესახებ, მის კეთილისმყოფელ გავლენაზე, წარმატებებში სტიმულისმომცემ იმპულსებზე.

თავისი ცხოვრების მარადიულ თანამგზავრს “ანგელოზს” უწოდებდა მსოფლიო ადამიანი და ცდილობდა “მის მშვენებას თავისი პოპულარობით მიახლებოდა” (დღიური, გვ. 26).

მათი შვილები სიყვარულის ნაშიერები იყვნენ და ამიტომაც ლიკას და მაიკოს “სიცოცხლეს” ეძახდა, უფროს შვილს – ხათუნას – “სიყვარულს”.

მოგზაურის სამსახურში, მის სამუშაო კაბინეტში შესვლისთანავე შემოგანათებთ სახეგაცისკროვნებული მშვენიერების თითქმის ხორცშესხმული ხატება – ლიანა ალიბეგაშვილის ფერადი პორტრეტი, რომელიც შექმნილია ბ-ნი ჯუმბერ ლეჟავას ფუნჯით და... სულით...

აქვე გვინდა განსაკუთრებით შევახსენოთ მკითხველს, რომ დიდი მოგზაური პროფესიონალი მხატვრის დონეზე აცოცხლებს სამყაროს, ბუნებას, ადამიანებს და დროს, ამ ასპექტითაც მივაპყროთ მის ძალზე ფასეულ შემოქმედებით მემკვიდრეობას ყურადღება.

სამწუხაროდ, შეუცნობელმა ბედისწერამ თუ უბედურმა შემთხვევითობამ ძალიან ადრე ჩამოაცილა ბ-ნი ჯუმბერს თავისი უერთგულესი თანამგზავრი, მაგრამ ამით არ შეწყვეტილა მათი სულიერი თანაცხოვრება, ყოფის ყოველ მომენტში, შინ თუ გარეთ, დიდ გზებზე, გზაჯვარედინებზე თუ სულიერ აღმართებზე, ყველგან, ყოველთვის სდევდა და სდევს ქართველ ოდისეისს, ეცხადება მისი სული, აფრთხილებს მოსალოდნელ საფრთხეებზე...

ამ გასაოცარი ფაქტის გამო დაუნერა პოეტმა გულნაზ ხარაიშვილმა ასეთი სტრიქონები: “...ცოლის სულმა გზებზე სანამ გდიოს, სურს მას გახდეს ტკივილების მოზიარე, სატრფიალო გრძნობის უწყვეტ სუნთქვად... სიყვარული შეინახა ვარდმა, სურნელებას ალბათ გზაში მისდევ” (დიდ მოგზაურს).

სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოებათა პრობლემით დაინტერესებული მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ამ სოფელსა და ზესთასოფელს შორის არ არის გადაულახავი კედელი, მიცვალებულები ევლინებიან ცოცხლებს და პირიქით, ხორცშესხმულთ ხელენიფებათ განჭვრიტონ სულეთის სიღრმე, შავეთის ველი, ხოლო სიცოცხლეშივე სიკვდილის განცდა, სიმბოლური სიკვდილის გაცნობიერება ხაზს უსვამს ამქვეყნიური არსებობის წამიერებას, ტრანსცენდენტური ყოფის მშვენიერებას, ყოველივე ეს ხელს უწყობს სულიერ განახლებას, ზნეობრივ ამაღლებას, ახალი ჭკმმარტების მიგნებას, ჩვენთვის მიწაზე განკუთვნილი დროის გონივრულად გამოყენების იმპულსია.

გოეთე ბრძანებდა: “სულთა სამეუფო არ არის კარდახშული”.

ბიბლიაში მეფე საულმა მესულთანე ქალის მემკვიდრეობით საფლავიდან გამოიხმო სამეულის სული, რომელმაც მომავალი უწინასწარმეტყველა.

“გილგამეშიანში” გილგამეში ენქიდუს სულთან ამყარებს კავშირს და მისგან ისმენს აჩრდილთა სამეფოს საიდუმლოებებს.

მერაბ კოსტავას ენადა თავის სიცოცხლეშივე შეხვედროდა ნაადრევად დაღუპულ შვილს (ირაკლის). როგორც სულის უკვდავების რწმენას ნაზიარები ადამიანისთვის, მისთვის “გარდაცვლილები არ არსებობენ”.

მიცვალებულთა სულებს ხშირად საგმირო საქმეები ჩაუგონებიათ ცოცხლებისთვის და განსაცდელის დროს ფარად მოვლენიან.

ომისქარცეცხლში მტრის სამიზნედ ქცეულ აშოტ კურაპალატს თან სდევდა მიჯნურის – შუქიას სული

და იფარავდა (ვასილ ბარნოვი, “ტრფობა წამებული”).
ორ სამყაროს შორის გამუდმებული კონტაქტია ვ. ბარნოვის ნაწერებში (“აჩრდილი სიკვდილისა”).

იტალიელი გენიოსი დანტე საიქიოდან მოევლინა შვილს სიზმარში და აცნობა თავისი “ღვთაებრივი კომედიის” მეცამეტე თავის ადგილსამყოფელი.

ღალატით განწირულთა აჩრდილებს შურისძიებაც ახასიათებთ. ამის მაგალითია იულიუს კეისრის გამოცხადება მუხანათი ბრუტუსისთვის და იმ დამარცხების წინასწარმეტყველება, რაც მოლაღატე სარდალს და მის მომხრეებს ხვდათ წილად.

ბ-ნ ჯუმბერ ლეჟავასა და ლიანა ალიბეგაშვილის ურთიერთობა დიდი სიყვარულის შიშითაც იყო მოცული, რასაც განსაკუთრებული ინტუიცია და მომავლის წინასწარი ხილვა მოსდევდა ხოლმე. თითქოს მომავალზე მიმანიშნებელი იყო ლიანას განაცხადი: “ჯუბა, შენ რაც უფრო პოპულარული ხდები, ჩვენ მით უფრო ვშორდებით ერთმანეთს” (დლიური, გვ. 26).

1990 წლის 9 თებერვალი და მოსკოვი ჯუმბერ ლეჟავას ცხოვრებაში პირველი მსოფლიო რეკორდით იქცა ღირსსახსოვრად, ერთსაათიან მკლავებზე აზიდვებში გაუგონარ შედეგებს მიაღწია.

გამარჯვებულ სპორტსმენს თბილისში თვითმფრინავით დაბრუნებისას ჰქონდა საოცარი ხილვა, რომელსაც ასე იხსენებს: “ჩაფიქრებული დაცეკეროდი იატაკს, უეცრად ჩემს წინ წარმოსახვაში დაინთო ცეცხლი და მის ალს ამოჰყვა ჩემი მეუღლე ლიკა, რომელიც გაფრინდა ჩემგან მარცხნივ მფრინავი ფრინველივით განელილ მდგომარეობაში და გაქრა”.

სახლში აეროპორტიდანვე დარეკა და ლიკას ჯანმრთელობა იკითხა. პასუხი დამამშვიდებელი იყო. ბედნიერი ოჯახი ხარობდა სიყვარულით, უჩვეულო წარმატებებით, მომავლის გეგმებს ადგენდა.

მაგრამ სულ მალე ლიანა ალიბეგაშვილი ტვინში სისხლის ჩაქცევამ შეინირა. საბედისწერო თარიღი იყო 1990 წლის 3 ივნისი.

“თავი ცოცხალი ლეში მეგონა, რადგან თავის მოკვლა ვერ გავბედე”, წერს ბ-ნი ჯუმბერი.

მაგრამ ამ ტრაგედიამ სიცოცხლის სურვილი და მაღალი მიზნების აღსრულების განზრახვა ვერ ჩაუკლა, გადაწყვიტა, ეცოცხლა ლიკას სახელის უკვდავყოფისათვის: “გადაწყვიტე რეკორდების დამყარება, რომლებსაც მივუძღვნიდი ლიკას, რითაც გავიხანგძლივებდი მისი ჩემთან არსებობის დროს”.

უფლისგან ხელდასხმულმა პიროვნებამ ამჯერადაც ვაჟკაცურად გაუძლო მისთვის მოვლენილ განსაცდელ-გამოცდას, სიკვდილის პირისპირ დგომამ კიდევ უფრო გაუღვიძა წინსვლის, მისთვის განკუთვნილი დროის გონივრულად გამოყენების ნყურვილი.

თავის მარადიულ სიყვარულს განშორებული ვარჯიშობდა, ხატავდა, მონაწილეობდა ეროვნულ მოძრაობაში.

თავის დაბადების დღეზეც ლიკას სასაფლაოზე დადიოდა, უხმო აღსარებას ეუბნებოდა და ცრემლიანი დუმილით შორდებოდა.

“ლიკას გარდაცვალების შემდეგ მას მივუძღვინი I რეკორდი 1990 წ. 29-30 სექტემბერს. მიხარია, რომ იგი ჩემთან ერთად ცოცხლობს. ჩვენ კიდევ ბევრჯერ გავაოცებთ სამყაროს”, წერს რეკორდსმენი (დლიური, გვ. 30).

გამარჯვების შემდეგ, მოსკოვის სატუმროს ნო-

მერში მარტოდ დარჩენილს, არც უვასშია, უპირველესად, მეუღლის სურათთან მივიდა, რომელიც ყოველთვის თან დაჰქონდა, ამჯერად კი საწოლზე ედო, პირველი გადაინერა და მიმართა: “კიდევ მრავალ გამარჯვებას მოგიძღვნი, ჩემო ლიკა” (გვ. 31).

ეს იყო შემთხვევა, როცა ერთისთვის ერთი არსებობის მხოლოდ.

ინდოეთში ინდური ხუროთმოძღვრების უშესანიშნავესი ძეგლი ტაჯ-მაჰალი რომ იხილა, მისი შექმნის ისტორია მოიგონა, რასაც საკუთარი მუზის ასოცირება მოჰყვა და გულისტკივილი ვერ დამალა: “ხუროთმოძღვრების ეს შედევრი დიდი სიყვარულით არის შექმნილი, იგი მეუღლის ხსოვნისადმი პატივისცემის დადასტურებაა. ჩემი ლიანა გამახსენდა და თვალები ცრემლით ამევსო. სულთან შაჰ-ჯაჰანს ჰყოლია ახალგაზრდა უმშვენიერესი მეუღლე მუმთაზ მაჰალი, რომელიც ახალგაზრდა გარდაცვლილა. დიდხანს უგლოვია სულთანს საყვარელი მეუღლე და მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად ეს დიდებული მავზოლეუმი აუგია. ცოლ-ქმარი ერთად განისვენებს ამ მავზოლეუმში.

“ეს ამბავი რიქმამ მომიყვა: სულთანმა პირველად რომ დაინახა ხელოვნების და სიყვარულის უკვდავი ქმნილება, მშენებლებს ხელები დააჭრა, არქიტექტორი კი სიკვდილით დასაჯა, რათა სხვაგან ასეთი ტაძარი არ აეშენებინა”.

“საღმრთო წერილი ხომ ჩემი მეგზურია, მუდამ ჯიბით დავატარებ და ვლოცულობ, არ ვიცი, შეუნდობს თუ არა ღმერთი სულთან შაჰ-ჯაჰანს დიდ ცოდვას, რომელიც დიდმა სიყვარულმა ჩაადენინა. არადა, პირიქით არ უნდა მოქცეულიყო? დიდმა სიყვარულმა დიდი სიკეთე უნდა გაკეთებინოს” (ჯუმბერ ლეჟავას ჟურნალი, 2004 წ. №1, ივლისი).

მოგზაურს ინდოეთში, უასვალტო, ღორღიან, გუბურებიან გზაზე ნადირების, ქვენარმავლების, მწერების გარემოცვაში ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა შინაურ სპილოზე ამხედრებული ადამიანები, ის კი გარეულ სპილოს ეძებდა ტყეში.

ღამით უღელტეხილზე ასული პატარა თივის სხვენზე ათევედა ღამეს. ტყიდან ნადირის კივილის მსგავსი ხმები ესმოდა. როგორც იქნა, ჩაეძინა. სიზმარში ლიანას ხმამ გამოაღვიძა. იგი მაშინ ესიზმრებოდა, როცა უჭირდა. “ფრთხილად იყავი, ჯუმბერ”, ჩაესმა მისი სევდიანი ხმა.

ამასობაში თავლასთან ორი ახალგაზრდა შეამჩნია და კითხვაზე, ვის ელოდებიო, სპილოსო, უპასუხა, რაზედაც უცნობებს გაეღიმათ. მათ თავიანთ სახლში დაჰპატიჟეს, რაც ბედის წყალობად მოეჩვენა, გადააფიქრებინა ტყეში სპილოს ძიება და ცოლის გაფრთხილება გაახსენდა. უცნობების კარგი მიღების გამო დააფიქსირა: “უვას პროვინციის შუა ჯუნგლში სოფელ მორეტოტამი ცხოვრობს ერთი კეთილი მრავალშვილიანი მშრომელი ოჯახი, რომელთაც უცხო სტუმრის პატივისცემა იცინან”. მასპინძლებმა დილაუთენია გამოაცილეს, გზა ასწავლეს და თავიანთ ეზოში მონეული ხილი და ბოსტნეული გამოატანეს (ჟ. მსოფლიო მოგზაური, 2004 წ. №1, გვ. 17).

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრესა ეხმაურებოდა ჯუმბერ ლეჟავას მოგზაურობას, რადიო და ტელევიზიები ინვესტირებდნენ, ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი მისი სურათები პატივით ეკიდათ კედელზე, უცნობი მანდილოსნები სიყვარულით, ქორწინებით, ბინით,

ბიზნეს-სამსახურებით ცდილობდნენ მის მოხიბლვას, მაგრამ შეუვალი, უცვლელი იყო მისი გადაწყვეტილება, ლიანა ალიბეგაშვილის შემდეგ არავისთვის დაეკავშირებინა სიცოცხლე, არც ამურული თავგადასავლები დაეყენებინა წინა პლანზე, არ გამოეყენებინა მრავალჯერ გაჩენილი შანსები, არ აპყოლოდა ცდუნებებს...

ახალ წელს რეკორდსმენი ლიკას სურათთან და ხატებთან ერთად შეხვდა.

“ჩემი და ლიკას ურთიერთობით დავრწმუნდი, რომ სიყვარული რეალურია. მე და ლიკამ დავლოცეთ მაკას და ხათუნას ოჯახები, სიძეები და ლაშა, ბექა, გვანცა და ლიკა. ჩვენ ხომ ესენი გვაცოცხლებენ, ამათი ბედნიერებით თუ გავივლებთ ჩვენს გონებაში ხანდახან აზრს, რომ ჩვენც ბედნიერები ვართ, თორემ რა ბედნიერებაა, როდესაც მე და შენ სამუდამოდ დავცილდით ერთმანეთს. ჩვენ ხომ უერთმანეთოდ არ შეგვეძლო ყოფნა. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ბედნიერება როგორც მოდის, ისე მიდის, იგი ხომ დროებითი მოვლენაა” (გვ. 32).

...პირობითად (რადგანაც არ ვსვამ) დავლოცე... სამშობლო, ჩემიანები და სხვისიანები... (გვ. 32).

შემდეგი მესამე და მეოთხე რეკორდებიც ლიკას შთაგონებული იყო. ფენომენალური წარმატების დროსაც ლიკაზე ფიქრობდა: “ნეტავი ლიკას ენახა გუშინ ტელევიზორში “ვრემია” რას ამბობდა ჩემზე. ჩემო ლიკა, კიდევ ბევრჯერ გასახელებს. სხვა აღარაფერი დანიშნულება აღარ მაქვს”.

მეუღლის სურათს ასეთ რამეს უყვება მსოფლიო რეკორდსმენი: “ლიკა, მინდა ერთი შემთხვევა მოგიყვე, რადგანაც შვილიშვილზე ჩამოვარდა საუბარი. ვაკეში მე, ბარდლუ, გვანცა და ზაირა მივდიოდით ჩვენი მანქანით. შენს სამსახურს რომ ჩავუარეთ, გვანცა შეცბა, მან ყველას გადახედა, არაფერი არ უთქვამს, წამოუვიდა ცრემლები და თავი დახარა ისე, რომ არავის შეემჩნია მისთვის ეს ცრემლები... მის დანახვაზე მეც მომადგა ცრემლები, მაგრამ ხმამალა ვერ გამოვხატე ჩემი დარდი. აი, ასე დადარდიანებული დატოვე ყველა, ჩემო ლიკა, ვინც შენ გიცნობდა. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალია, ნუთუ დადგება ისეთი ჟამი, როდესაც შენ ჩემთვის სულერთი იქნები? მე მგონი, არა!” (გვ. 37).

შემდეგ ორ დღეში ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

1991 წ. 2 ივნისს, მეუღლის დაბადების დღეს გაიმარჯვა: “მე ჩემს ლიკას მივუძღვენი ეს რეკორდი საჩუქრად მის დაბადების დღეზე”.

ორი მანქანით ახლო ნათესავები და რამდენიმე მეგობარი ლიკას საფლავზე ავიდნენ. “უხმოდ ვიდექით მის ლამაზ სულთან. ვგრძნობდი მიწის ბორცვას, თითქოს აგერ ახლა ვულკანივით ამოიფრქვევა და ლიანა მას ამოჰყვება, რომ მომილოცოს ეს გამარჯვებაც. მას ხომ ყველაზე მეტად უხაროდა ჩემი წარმატებები. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი და თვალცრემლიანებმა დავტოვეთ სასაფლაო. გამარჯვებით გახარებულები უფრო მეტად დალონებულები დავბრუნდით სახლში და არც კი ვიცო, გამარჯვების პატარა სუფრას ავლენიშნავდით, თუ ჩემი ლიკას დაბადებისა და გარდაცვალების დღეს” (გვ. 39).

“ლიკას დაბადების დღეა 2 ივნისი. იგი დღეს გახდებოდა 46 წლის. მე მის კიდევ ერთხელ აღიარების-

თვის ვინცებ უჩვეულო მარათონს, რადგანაც ასეთი სირთულის გზა ჯერ არავის გაუვლია” (გვ. 40).

შეჯიბრება დაიწყო 2 ივნისს და დამთავრდა 9 სექტემბერს, 100 დღეში. რეკორდი ემთხვეოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას. 100 დღის განმავლობაში აიზიდა 1730000-ჯერ.

ამჯერადაც ისევ და ისევ მეუღლის სული სდევდა სტიმულის მიმცემად, გამარჯვების რწმენის შთამაგონებლად.

1993 წელს ჯუმბერ ლეჟავამ მსოფლიო რეკორდების დამყარების შემდეგ გადაწყვიტა სხვა სახის ექსტრემალურ პირობებშიც გამოეცადა საკუთარი ძალა. ამისთვის მოიფიქრა ურთულესი მოგზაურობა მსოფლიოში ველოსიპედით ყველა კონტინენტის ყველა ქვეყანაში მარტოდმარტო.

ეს მოგზაურობა მიუძღვნა თავის გარდაცვლილ მეუღლეს ლიანა ალიბეგაშვილს და აფხაზეთში 1992 წლის 30 აგვისტოს საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში გამირულად დაღუპულ რატი კიკაჩიევილს.

ცხრანლიან მოგზაურობაში გამგზავრების წინ სიონის ეკლესიაში სანთლები დაუნთო საქართველოს ყველა დაღუპულ გმირს, მეუღლეს ლიანა ალიბეგაშვილს და მოგზაურობის იდეის ავტორს – რატი კიკაჩიევილს, საერთოდ ყველა გარდაცვლილს, ქართველ ხალხს და მის სახელმწიფოებრივ მომავალს.

მეუღლის კეთილი სული გამუდმებით დიდი წარმატებებისკენ მოუწოდებდა. ავსტრალიაში მოგზაურობისას კანბერაში ავსტრალიის უმაღლესი მწვერვალი “კოსკიუსკო” დაიპყრო, რაც მეუღლის ხსოვნის პატივისცემით იყო შთაგონებული.

კანბერა-სიდნეის გზა მიუძღვნა ლიანა ალიბეგაშვილს, რომელიც 2 ივნისს დაიბადა და გარდაიცვალა 3 ივნისს. სიცოცხლესა და გარდაცვალებას შორის სხვაობა ორი საათია. სიცოცხლის ეს დრო ჩემს ლიკას აჩუქა ჩემმა მაიკომ. ჩემს ლიკას მხოლოდ ჩვენი უფროსი ქალიშვილის – მაიკოს სისხლი ესხმებოდა, წერს მოგზაური.

სიდნეიში ნ. მაისურაძის ოჯახში გადაუხადა მეუღლეს დაბადების დღე.

იმთავითვედა ამიერიდანმისი ყველა მიღწევის სტიმული ლიანა ალიბეგაშვილის მფარველი სული იყო.

1991 წ. 26 ივნისს მსოფლიო რეკორდი დაამყარა მკლავებზე აზიდვებში (5011 აზიდვა საათში).

ამავე წლის 27 იანვარს მიაღწია ერთსაათიან რეკორდს მუცლის პრესის ვარჯიშში (2806 აზიდვით).

ორ დღეში ორი მსოფლიო რეკორდი ფენომენალური იყო, მაგრამ ნუხდა, რომ ლიანა ვერ გაიგებდა, როგორ აფასებდა “ვრემია” მის გასაოცარ შედეგებს.

ნაურუს რესპუბლიკაში მოიგო შეჯიბრი 1500 დოლარიანი პრიზით, გადაეცა ძვირფასი ფერწერული ნამუშევარი.

იმოგზაურა ბერმუდის სამკუთხედის კუნძულებზე, რომელთა რიცხვი 200-ია, დასახლებული კი მხოლოდ 20-ია. 10 ხიდი გადაიარა. იქ მოგზაურის გვარი დაფიქსირდა ოქროს წიგნში.

ღმერთი და სიყვარული იფარავდა იმ საშიშარ ადგილებში, სადაც ადამიანები უკვალოდ ქრებიან.

გადარჩენას მუდამ ამ ორ ძალას უმაღლოდა და მათ სადიდებელს აღავლენდა.

ნორჩი ათინათელები

ართურ კონან დოილი

ინგლისელი რომანისტი

წიგნები...

დე იყოს თუნდაც ღარიბი თქვენი წიგნების თარო, ასედაც დაამშვენებს თქვენს უბრალო სავანეს. შიგნიდან ჩაკეტეთ კარები, დაუტოვეთ გარე სამყაროს მთელი თავისი საზრუნავი, მინიერი შფოთის უარყოფელმა დაისვენეთ დიად მიცვალებულთა შორის – ჯადოსნურ კარიბჭეს რომ გასცდებით, თქვენ აღმოჩნდებით მშვენიერ ქვეყანაში, სადაც ვერ აღწევს ბრაზი და მოუსვენრობა. ყველაფერი მდაბალი და უხამსი უკან დაგრჩათ. აქ თქვენს მოლოდინში დგანან თქვენი კეთილშობილი მდუმარე მეგობრები...

ირაკლი ჯიგანია

თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე



მეფანდურა ბიჭი

(ზღაპარი)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ობოლი, ლატაკი ბიჭი. იგი ნიჭიერი, ჭკვიანი და მოხერხებული იყო. დედ-მამა ბავშვობაში გარდაეცვალა. მამისგან შემორჩა ფანდური. მთელ არემარეს ატკობდა, ყველგან, თავისი წკრიალა ხმით, აჟღერებდა, ხალხს ბურძღვავდა. ბიჭმა ფანდურზე დაკვრისა და სიმღერის გარდა არაფერი იცოდა. ჩამოჯდებოდა ხის ქვეშ და ჰარი-ჰარალეს გასძახოდა. გვერდით მეგობარი არავინ ჰყავდა, ფანდურის გარდა. ერთ დღეს მოინდომა ქალაქში გასვლა, ბაზარში ფანდურზე დაიწყო დაკვრა. ხალხმა ყური მოჰკრა ხმას და ყველა მასთან მიცვივდა. სულგანაბული უსმენდნენ, მერე სიმღერაც წამოიწყო, ყველა აცეკვდა. ნახა ერთმა კაცმა შორიდან ბიჭი, ჩემს გუნდს ერთი კაცი როგორ უნდა სჯობდესო. წავიდა, დაუძახა თავის ბიჭებს და იქიდან წამოიწყო რაჭული სიმღერა. ადრე რაჭული ყველასთვის სასაცილო და სახუმარო სიმღერა იყო: „ჩამოდექი, განი განიო“ და ხალხიც იქით გადაადგილდა. ზოგი ფანდურზე, დოღზე, გიტარაზე, გარმონზე უკრავდა და ყველანი ერთად ერთობოდნენ. ბიჭიც მათთან მივიდა და ახლა მან სიმღერა გააგრძელა, ხალხი ახლა მისკენ წავიდა.

იმ დღეს ბიჭმა ბევრი იმღერა, ხალხში პოპულარული გახდა, ჩაეძინა და დედ-მამა დაესიზმრა. სიზმარში, მათ თავისი წარმატების შესახებ უამბო. დედ-მამამ გაიხარა და ბიჭს რჩევა-დარიგება მისცა: ადამიანი ქვეყანას კეთილი საქმეების ჩასადენად მოევიწიე, ამიტომ, მოვალე ხარ, აქტიურობდე, სწავლობდე და შრომობდეო.

ბიჭმა რომ გამოიღვიძა, დედ-მამას ხატებამ კიდევ ერთხელ უბიძგა, რომ უკეთესი გამხდარიყო, გარდა ფანდურზე დაკვრისა და სიმღერისა, სხვა საქმეებიც უხმოდა.

ქრისტინე იზორია

თბილისის 167-ე საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე



ხავსი

(მინიატურა)

მე მოგიყვებით ერთ ხავსზე, რომელიც სხვა ხავსებისაგან განსხვავებით, ცხოვრობდა ნასახლარზე, იყო სრულიად მარტო და ფიქრობდა ადამიანებზე, რომლებსაც არ უყვარდათ იგი... მისი აზრით, ის, მავნე და დაუნდობელი, ანადგურებდა ყველაფერს... ხალხი ნაწილობრივ სიმართლეს ამბობსო, წუხდა საკუთარ თავზეც და მათზეც... ხავსი ხედავდა, როგორ აგებდა, ოდესღაც, საცხოვრებელს კაცი... თვითონ იარა, მოედო ირგვლივ ყოველივეს... ებრძოდნენ, თხრიდნენ, მაინც მრავლდებოდა... მერე დაიღუპნენ ადამიანები და აქ ახლა ნასახლარია...

ხავსს სწყინს მარტოობა, ენანება, რომ ადამიანები წავიდნენ ამ ქვეყნიდან, მაგრამ იმედი აქვს, რომ სხვები მოვლენ, დასახლდებიან... თვითონ?.. თვითონ სამყაროს, ლალი ბუნების შვილია... და ის დიდხანს დარჩება, როგორც მემამათიანე, რომელიც აღწერს კარგსაც და ცუდსაც...

ახლა კი, მარტოა ხავსი და ფიქრობს...

ზღვარზე

არის წუთები, როცა გვეუფლება სიმარტოვის განცდა, არავინაა შენ გვერდით და გავიწყდება, რომ ცოცხალი ხარ...

ასეთ ადამიანებს არ ტოვებს იმედი. როცა არსება შფოთვის ზღვარზეა, მაშინ მოდის იგი ღრმად აღწევს გონების სხეულებში და გაფიქრებს: „რა მოხდა... ამით არ დამთავრებულა ყველაფერი... ლამაზია ცხოვრება...“ „იმედი ყველაზე ბოლოს კვდებაო“... და ეს მართალია...

ქეთევან სხირტლაძე

თბილისის 167-ე საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე



ჯადოსნური სურათი

(ზღაპარი)

ერთ ქვეყანაში, აქედან ძალიან შორს, არსებობდა ერთი დიდი, ჯადოსნური სურათი, რომელიც ძალიან ძველი იყო. სურათი ყოველ საათში იცვლიდა ნახატს მაგ: ჯერ მდინარე იყო, შემდეგ მთა და ა.შ. მეორე ის, რომ ადამიანს შეეძლო მასში შესვლა და ზუსტად იმ ადგილზე აღმოჩნდებოდა, ნახატზე რომ იყო გამოსახული. ეს სურათი კი იყო დაცული იმ ქვეყნის ყველაზე დიდ და სახელგანთქმულ მუზეუმში. ადამიანებს ჯადოსნური სურათი ძალიან უყვარდათ და შეეძლოთ საათობით ეცქერათ მისთვის. იყო ერთი 10 წლის გოგონა, სახელად ანასტასია. ერთხელ, ღამით, ის შეიპარა მუზეუმში. მონახა ჯადოსნური სურათი, რომელზეც, იმ დროს ხშირი ტყე, მდინარე და ჩანჩქერი იყო. მგელი, დათვი, მელია და სხვა. ანასტასიამ დაიწყო სეირნობა, მდინარეში იბანავა კიდევაც, მერე ტყეშიც გავიდა ვაშლის მოსაკრეფად და ამ დროს გამოჩნდნენ ერთად მელიები, დათვები და მგლები, რომელთაც უნდოდათ ანასტასიას დაგლეჯა, ისინი დამშეულები იყვნენ. ანასტასიამ გაქცევით უშველა თავს. ის მთელი ძალით გამოექანა, რომ გაქცეულიყო, მაგრამ სურათის ჩარჩო არ უშვებდა, მუზეუმის კედელზე ჩამოკიდებული სხვა სურათიდან გადმოვიდა კაფანდარა გოგონა, მოჰკიდა ხელი და გადმოახტუნა. ანასტასიამ იატაკზე მოადინა ბრაგვანი. დარაჯი თვალებს არ უჯერებდა, ის შეესწრო უცნაურ მომენტს, ერთი გოგონა, ანასტასია, როგორ გადმოიყვანა სურათიდან მეორემ, კაფანდარა გოგონამ, თვითონ კი სხვა სურათისკენ ასკუპდა, შიგ მოთავსდა და დარაჯს იქიდან გაუღიმა.

ნატა პირველი

167-ე საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

ბურკბლა

(ზღაპარი)

ქვეყნად ყველაზე ლამაზი გოგონა ცხოვრობდა, დედა გარდაცვლილი ჰყავდა, მამამ ცოლი შეირთო. გოგონას მარია ერქვა. დედინაცვალი იმდენად ბოროტი იყო, რომ თავისი გერისა შურდა. გოგონას უნდოდა, ჰქონოდა სათამაშო, მამას დააბარა, რაიმე გასართობი ნამოელო მისთვის. მარიამს მამამ დაპირება შეუსრულა, მაგრამ სათამაშოს ნაცვლად უცნაური ცხოველი მოუყვანა, ბურძგლა ერქვა. მარიამ ჰკითხა, ასეთი სახელი რატომ ჰქვიაო. პასუხი ცხოველმა გასცა: ეშმაკის შვილი ვარ, სიკეთე ჩავიდინე და ახლობლებმა გამომადგესო, მარიას ძმაც ჰყავდა. ერთ დღეს ბავშვებმა გადაწყვიტეს ნავით გასეირნება, თან ბურძგლაც დაპატიჟეს. ცხოველს ძალიან ეშინოდა

წყლის, ამიტომ ნავიდან ადევნებდა თვალს, თუ როგორ თამაშობდნენ ბავშვები. საშინელმა ჭექა-ქუხილმა დასცხო, ლელვამ ნელ-ნელა იმატა, იმ ღამეს სახლიდან ვერავინ გამოდიოდა. ბავშვები ნაპირზე იწვნენ, ბურძგლა არსად ჩანდა. როცა ბავშვებმა გაიღვიძეს, ნახეს, რომ ხალხს მათ ირგვლივ წრე შეეკრა, ცხოველი კი არ ჩანდა. მარიამმა იკითხა: სად არის ბურძგლა? და თვალზე ცრემლი მოადგა, მაგრამ უეცრად ყურში ვილაც ლამაზმა ბიჭმა ჩასჩურჩულა, მე ბურძგლა ვარ! კიდევ ერთხელ ჩადენილი სიკეთე დამიფასდა, ღმერთმა ბიჭად გადამაქცია!

მარია და ბურძგლა დღესაც მეგობრობენ და ბედნიერად ცხოვრობენ.

თამარ მოთიაშვილი

თბილისის 167-ე საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე

მხატვარი და ჯადოსნური ფუნჯები

(ზღაპარი)

იყო ერთი ლამაზი, ნიჭიერი, კეთილი და თავმდაბალი ბიჭი, რომელსაც უყვარდა ხატვა. ბიჭი საშუალო ფენის ოჯახიდან იყო. თბილი, მოსიყვარულე და მშვიდი მშობლები ჰყავდა. ყოველთვის უკვირდა, რატომ დაარქვეს უცნაური სახელი ჯეკო. დედისერთას ყველანაირად ხელს უწყობდნენ. ცხოვრობდნენ სოფელში, რომელსაც ბოროტი გუბერნატორი განაგებდა, მზაკვრული მიზნების მქონე არავის იბრალებდა და მცირეოდენ დანაშაულზეც კი ყველას სიკვდილით სჯიდა. გუბერნატორმა იცოდა, რომ ერთ დროს მისი აღსასრულის დროც დადგებოდა და ცდილობდა, ეპოვა უკვდავების წყარო, რომელსაც შეეძლო მისი სიცოცხლე მარადიული გაეხადა. ეს წყარო ძნელად მისაგნებ ადგილას მდებარეობდა. მისი მოძებნა და პოვნა მხოლოდ განსაკუთრებული ძალის მქონეს შეეძლო და ამიტომაც, სოფლის გუბერნატორი დიდი მონდომებით ეძებდა ადამიანს, ვინც ამას შეძლებდა. სულ მალე, ჯეკოს დაბადების დღეც დადგა. ბიჭი, როგორც ყოველთვის, მხიარული იყო. ისევე როგორც სხვა ჩვეულებრივი დღე, ესეც ხატვით დაიწყო. ამის შემხედვარე მშობლებს ბევრი აღარ უფიქრიათ და საჩუქრად ახალი ფუნჯები მიართვეს, ერთი ბოშა მეძველმანე ქალისგან იყიდეს, მასზე ამბობდნენ ჯადოსნურ ნივთებს ყიდისო. როცა ჯეკომ მშობლებისაგან ეს საჩუქარი მიიღო, ძალიან გაუხარდა, დიდხანს აღარ უყოყმანია და მაშინვე ხატვას შეუდგა. დაღამებამდე ხატავდა, მშვენიერი გამოუვიდა. ნახატზე ასახული იყო შოტლანდია და იქ მცხოვრებთა წეს-ჩვეულებები. დაღლილ ბიჭს დაეძინა. ყველაზე საოცარი და გამაოგნებელი რამ მეორე დღეს მოხდა, როცა გამოეღვიძა, თავის სახლში აღარ იყო, დიდხანს ათვალთვარა ახალი ადგილსამყოფელი და თავის ნახატს გაჭრილი ვაშლივით მიამსგავსა. აი, სწორედ მაშინ გაუნათდა ჯეკოს გონება და მიხვდა, რომ მის ფუნჯებში იყო მთელი ჯადოსნობა დამალული, ბიჭი თავის ნახატში მოხვდა. დიდი ძიების შედეგად, იქიდან გამოსასვლელი იპოვა,

ესეც ისევე ფუნჯების საშუალებით მოახერხა. ბიჭი ძალიან გახარებული იყო, ხატავდა და მერე ყოველ თავის ნახატში მოგზაურობდა. სწორედ აქედან დაიწყო მთელი უბედურება. ჯეკოს ოჯახიდან, ჯადოსნური ფუნჯების შესახებ, ამბავი სწრაფად გავრცელდა. ამ ამბავმა გუბერნატორის ყურამდე მიაღწია და ბიჭის შეპყრობა ბრძანა. ჯეკო შეიპყრეს. მან ბიჭს იძულებით დაახატვინა ის ადგილი, რომელზეც ერთი ლეგენდა არსებობდა უკვდავების წყაროზე. სხვა გზა არ ჰქონდა და აუსრულა გუბერნატორს სანუკვარი ოცნება. ჯეკო და გუბერნატორი მალე ნახატში მოხვდნენ, იარეს და დათქმულ ადგილას მივიდნენ. ბიჭს ფუნჯებით ღრმულიც ჰქონდა დახატული, რომლის მეშვეობითაც იგი გამოქცევას მოახერხებდა, გუბერნატორი კი შიგ ჩარჩებოდა, მაგრამ ის დაეჭვდა, ჯადოსნური ფუნჯები წაართვა და გადაუტეხა შუაზე. ფუნჯებიდან უეცრად შვიდი ფერი ამოვიდა და ცაზე ცისარტყელად აისახა. გუბერნატორმა სურვილი ჩაუთქვა უკვდავების წყაროს, მაგრამ მინამ შთანთქა იგი, წყაროდან კი პატარა ელფი ამოხტა, ბიჭს უთხრა, სურვილი მხოლოდ იმას აუსრულდებოდა, ვისაც წმინდა სული ჰქონდა. ასეთი კი ჯეკო იყო. ჯეკომ წყაროს ახალი ფუნჯები სთხოვა, სურვილი უცებ აუხდა. ამის შემდეგ, ის სახლში გახარებული დაბრუნდა. ჯეკო დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობდა.

თამარ თედიაშვილი

თბილისის 160-ე საჯარო სკოლის
XII კლასის მოსწავლე

„ნიგნიდან „ქალდას ქალაქები““

ესე

ჰაფეზი, ბოდლერი, ბესიკი, პრუდომი ნუთუ, მართლაც, შესაძლებელია რაიმე საერთო ჰქონდეთ ან ერთ სულიერ მთლიანობას წარმოადგენდნენ? რა შეიძლება აკავშირებდეთ მათ თუ არა სიმბოლიზმი, სრულყოფილებისაკენ სწრაფვა, ბოჰემური ცხოვრება, ღამის პოეზია, მივიწყებული ადგილები, წარმოსახვა... და სხვას ვის, თუ არა ტიცინი ტაბიქეს, ვის შეეძლებოდა ასე ღამაზად გადმოეცა სიმბოლიზმის არსი, დაენახებინა დიდი და ამავდროულად საოცრად მიმზიდველი ზღვარი ჩვენსა და წარმოსახვით სამყაროს შორის.

ტიცინამა შესანიშნავად მოახერხა მთელი ამ გრძნობების ერთ ლექსში თავის მოყრა. „LART POETIQUE“ სწორედ ასე უწოდა მან ამ ხელოვნების ნიმუშს. ეს ლექსი გახლავთ ნიგნიდან „ქალდას ქალაქები“, რომელშიც გაცხადებულია იმდროინდელი ესთეტიკური მრწამსი, როდესაც ის ჯერ კიდევ სიმბოლისტურ ლექსებს წერდა. მას ერთგვარ სიმბოლურ მანიფესტსაც უწოდებენ, რადგანაც, ფრანგული სათაური ქართულად პოეტურ ხელოვნებას ნიშნავს.

სიმბოლისტი პოეტების მიზანი, რომ პოეზიაში განხორციელებულიყო ევროპისა და აზიის სინთეზი, შესანიშნავად გამოხატა ტიცინი ტაბიქემ ლექსის პირველ ორ ტაქსში:

„გაფიზის ვარდი მე პრუდომის
ჩავდე ვაზაში.

ბესიკის ბალში ვრგავ ბოდლერის
ბოროტ ყვავილებს.“

გასაკვირი ნამდვილად არ არის ის ფაქტი, რომ ტიცინი თავის სათქმელს კვლავაც სიმბოლოების სახით გადმოგვცემს. ლექსის პირველივე სტროფიდან, ირანელ პოეტ ჰაფეზს, ბესარიონ გაბაშვილს, ფრანგ სიულ პრუდომს, ბოდლერს გვახსენებს ამით ისევე და ისევე იმ სინთეზის ჰარმონიას უსვამს ხაზს, რასაც სიმბოლიზმი ეწოდება. ტიცინი იმაშიც გვარწმუნებს, რომ რასაც თავის შორეულ გზაზე გადააწყდება ყველაფერი მის ლექსში დაივანებს და არაფერი დააბრკოლებს. პოეტის აზრით: „გრძნობის სიჭარბე მომეტებით გრძნობას ამკრთალებს“. ტიცინი ყოველთვის მიპყრობდა თავისი თითქოს უმნიშვნელო ქმედებებითა და, ალბათ, ეს სიტყვებიც ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი აღმოჩნდა ჩემი სულისკვეთებისა, აქ საშუალება ეძლევა თითოეულ მკითხველს, ფრთები შეასხას საკუთარ ფანტაზიას და გადაეშვას ირეალობის მორევეში. პოეტი ეტრფის ყოველგვარ სილამაზეს და უცქერს ჩამავალ მზეს, რომელიც გვაბრწყინებს თავისი ხიბლით, თავისი სიძველით. ამით გვეუბნება, რომ სილამაზე სიძველეში, კარგად დავიწყებულ ნივთებშია. ჩვენ კი ისინი უნდა დავაფასოთ და მივილოთ ისევე და ისევე ჩვენი ნეტარებისთვის.

ტიცინი გულგრილად უცქერს ცხოვრებას, როგორც წარმოდგენას, თეატრალურ დადგმად მიუჩნევია ნუთისოფელი და ტირის ანტრაქტების გამო. შესაძლოა, ცხოვრება მუდამ შეუსვენებელი, მართლაც, თავგადასავლებით აღსავსე ყოფილიყო მისთვის და, არავითარ შემთხვევაში, ანტრაქტისანი: „დავიწყებული ძველი სიტყვების ვგრძნობ ანდამატებს“, იგი ხედავს როგორ იზიდავს, ძველი სიტყვები. ლექსის ბოლო სტროფი პოზიტიური განწყობითაა გამსჭვალული. პოეტი გულს არ იტეხს და გვეუბნება:

„და თუ არ ამყვა ხმას,
გაშლილი, ლალი,
უხმო ბულბულსაც დამაფასებს
ქართული ბალი“...

ამით გვიცხადებს ტიცინი, რომ, მართლაც, ბევრი ეცადა აზიური - ევროპულთან ისევე ოსტატურად შეერწყა, როგორც მისი თანამედროვეები ცდილობენ ამას: პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდამვილი, კოლაუ ნადირაძე და სხვები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც, თუ პოლ ვერლენსა და სტეფან მალარმეს ვერ გაუტოლდებოდა მისი შემოქმედება და მსოფლიო ვერ ჩასწვდებოდა მის ნაშრომებს, ქართველ ერზე ამყარებდა იგი მთელ იმედებს, ტიცინი ლექსის ბოლო ტაქსის მიხედვით „უხმო ბულბულია“, რომელსაც დააფასებს „ქართული ბალი“. მტკიცედ სჯეროდა და მგონი, სრულიად ნათელიცაა, რომ ტიცინი ტაბიქემ მოწოდების მწვერვალს მიაღწია, მართლაც, დიდი ადგილი დაიკავა მისმა ლექსებმა თითოეული ჩვენგანის გულში და, საერთოდ, ცისფერყანწელთა ლიტერატურულმა მოძრაობამ ფართოდ გაუხსნა გულის კარი უკლებლივ ყველას, დიდსა თუ პატარას, სრულყოფილებისაკენ მიმავალ გზაზე.

ანი ჩიტაია

თბილისის 167-ე საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე

მარიას სიზმარი

(ზღაპარი)

იყო ერთი გოგონა, სახელად მარია, მას ძალიან უყვარდა კითხვა. ერთ დღეს, წაიკითხა, რომ მალე დედამიწის ალსასრული დადგებოდა. მიიღბინა დედასთან და ამის შესახებ უამბო. სამზარეულოში მოფუსფუსე ქალმა გაუღიმა შვილს და მიუგო: მარია, რაც წაიკითხე, მხოლოდ ზღაპარია და ამაზე ფიქრს შეემვიო. გოგონა დალონდა, თუმცა, ფიქრობდა, რომ მამა დაუჯერებდა, მაგრამ ამაოდ. ტყიდან დაბრუნებულმა, დალილმა მამამ, მარიას იგივე პასუხი გასცა.

გადიოდა დრო, მარიას ეშინოდა დედამიწის ალსასრულის დადგომისა, სულ ცდილობდა ვინმეს დაეჯერებინა მისი ნათქვამი, თუმცა ყურადღებას არავინ აქცევდა.

ერთ ღამეს, როდესაც გოგონას მშვიდად ეძინა, სიზმარში ნახა ანგელოზი, რომელსაც ხელში დედამიწა ეკავა, იგი მარიას აჩუქა, თან უთხრა: მსოფლიო შენ უნდა გადარჩინო – როგორ? ჰკითხა შეშფოთებულა, ანგელოზმა კი მიუგო – სიყვარულით! მარიას გამოელვინა, წამოხტა, გარეთ გაიხედა, ცაზე არც მთვარე იყო, არც ვარსკვლავები. გოგონამ სანთლის შუქით განათებულ საათს შეხედა, თენდებოდა, მზე ჯერ არ ამოსულიყო. დედ-მამასთან მიიღბინა, მათ უამბო სიზმრისა და უცნაური დილის შესახებ. მალე კაშკაშა მზემ გაანათა ქვეყანა. ყველანი გარეთ გამოცვივდნენ, გაკვირვებულები იყვნენ. ცა უფრო და უფრო ნათდებოდა. მერე ყველამ დაინახა, თუ როგორ მოემართებოდა ზეციდან უზარმაზარი ქვა, რომელსაც შეედლო დედამიწა მთლიანად გაენადგურებინა. ამ დროს მარია მშობლებს დაუსხლტა ხელიდან, ქვის პირდაპირ დადგა და მთელი ძალით შესძახა: „მე მიყვარს დედამიწა!!!“ მოულოდნელად, ქვა, უკან, ზევით დაბრუნდა, მერე ღრუბლად გადაიქცა, მალე-წვიმად.

ყველა მარიას ეხვეოდა, რადგან მან სიყვარულით შეძლო მსოფლიოს გადარჩენა. მარიას მშობლები ამაცობდნენ მამაცი შვილით.

ლუკა შედანი

თბილისის 167-ე საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე

პატარა გამომგონებელი

(ზღაპარი)

იყო ერთი ბიჭი, რომელიც კარგად სწავლობდა, განსაკუთრებით უყვარდა მეცნიერება და უამრავი გამოგონება ჰქონდა. მამამისიც გამომგონებელი იყო, ბიჭს ტომი ერქვა, იგი ხშირად აკვირდებოდა მამამისის საქმიანობას და ბევრი მცდელობის შემდეგ, ერთ დღეს, დროის მანქანა გამოიგონა, რითაც მოგზაურობდა ხშირად და ეხმარებოდა ღარიბ ხალხს, უამრავი ადამიანი იხსნა განსაცდელისგან. ერთ-ერთი მოგზაურობისას პორტალში ჩარჩა და მოულოდნელად უცხო პლანეტაზე აღმოჩნდა, სადაც სტუმართმოყვა-

რე არსებები დახვდა, ისინი ძალიან წააგავდნენ ადამიანებს და თივის სახლებში ცხოვრობდნენ, შუაგულ ტყეში. მათ საქმელ-სასმელი არ აკლდათ, მაგრამ არც მანქანა, არც თვითმფრინავი არასოდეს ენახათ, ჰყავდათ ლომები, რომლებსაც გადასაადგილებლად იყენებდნენ. ბიჭის მანქანამ ისინი ძალიან გააოცა და გაახალისა.

მანქანა მზის შუქით იმუხტებოდა და, ამგვარად, მხოლოდ ორ დღე-ღამეს ძლებდა. ბიჭმა დროს გადააცილა, ველარ მოახერხა მისი დაძვრა და შინ დაბრუნება.

იგი დარდობდა, ახლობლებს ვერასოდეს ნახავდა, ალბათ, მაგრამ მოხდა სასწაული და ერთ დღეს ხომალდი გამოჩნდა, ეს ტომის მამა იყო, ის შვილს დაეძებდა, თურმე, მასაც გამოეგონებინა დროის მანქანა, უფრო ძლიერი და დიდი. იმ დღიდან ეს ხალხი ტომის მამის მეგობარიც გახდა.

მას შემდეგ მამა-შვილი ხშირად სტუმრობდნენ ახალ მეგობრებს, აცნობდნენ თანმედროვე ტექნიკის მიღწევებსა და სიახლეებს.

ადამიანის მსგავსი არსებებიც ცდილობდნენ გამოეგონებინათ დროის მანქანა, ოღონდ სიკეთის მთესველი და ოცნებობდნენ, სიკეთის მანქანებით, სამყაროს ირგვლივ, ემოგზაურათ, რომ არა ტომის დროის მანქანა, სიკეთის მანქანაზე ფიქრსაც კი ვერ შეძლებდნენ ისინი.

ანი მელაძე

თბილისის 167-ე საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე



ჯადოსნური ხე

(ზღაპარი)

ერთ ტყეში იდგა დიდი ხე. ამბობდნენ, რომ თუ ვინმე მასთან მივიდოდა, შეედლო სურვილი ჩაეფიქრებინა, რომელიც მერე აუხდებოდა. ამიტომ, მას ზოგიერთმა ჯადოსნური ხე უწოდა. ხალხს არ სჯეროდა მისი ძალისა. სოფელში ცხოვრობდა პატარა გოგო, სახელად ლოლა. ის დარწმუნებული იყო ხის ჯადოსნურობაში. გოგონა მდიდარ ოჯახში ცხოვრობდა. ჰყავდა ორი და. უფროსს რენატა ერქვა, უმფროსს კი დიანა. ერთ დღეს ლოლა წავიდა სასეირნოდ, ერთი მოხუცი შეხვდა, ორივეს ერთი გზა ჰქონდა, ლაპარაკს შეჰყენენ. ლოლა ჯადოსნურ ხეზე ესაუბრებოდა. მოხუცმა რუკა აჩუქა, სადაც ჯადოსნურ ხესთან მისასვლელი გზა იყო მითითებული. ლოლას ძალიან გაუხარდა. მოხუცმა სთხოვა ეს არავისთვის გაემხილა. შეთანხმდნენ და დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში. რამდენიმე დღის შემდეგ მოთოვა. ლოლას სოფელში ზამთარი ძნელი გადასატანი იყო. იმიტომ, რომ იქ ბევრი ღარიბი ცხოვრობდა, მათ არც შეშა და არც საქმელი არ ჰქონდათ. შიმშილის გამო ხალხმა ქურდობა დაიწყო. ლოლას სახლიც გაქურდეს. მალე მისმა ოჯახმაც დაიწყო შიმშილობა. გოგონას მამა სიკვდილის პირას იყო, დებიც ავად გახდნენ. ლოლა წუხდა, უნდოდა თავის ოჯახს დახმარებოდა, მაგრამ როგორ? ჯადოსნური ხე გაახსენდა და გადანყვიტა მის საძებნელად წასულიყო. მან მოხუცის ნაჩუქარი რუკა აიღო. გზას

გაუდგა, მივიდა ხიდთან, იქ ძალიან შეშინდა, იმიტომ, რომ ცხელი ლავა მიედინებოდა, მაინც გაბედა გადასვლა, მერე რუკას დახედა, მაგრამ იქ მეტი მინიშნება ვერ აღმოაჩინა. მაინც გააგრძელა გზა. ბევრი იარა, უზარმაზარი, უცნაური ქვებიც დაინახა, რომლებიც დაშორებული იყვნენ ერთმანეთისგან და ჰაერში დაფრინავდნენ. ლოლა ყველაფერს ათვალთვლებდა. სხვა ქვები სადღაც გაუჩინარდნენ. მან დაინახა, რომ ერთ დიდ ჩიტს ეძინა მასთან ახლოს. ლოლას შეეშინდა და გაიქცა. გოგონას ფეხის ხმაზე და ხმაურზე, ჩიტსაც გაეღვიძა და დაინახა, როგორ მირბოდა ერთი გოგონა და დაენია. ლოლა შეშინებული მიიწვედა, ისინი დიდი ხანი უცქეროდნენ ერთმანეთს, ლოლა ხედავდა, რომ ეს ჩიტი არაფერს უშავებდა და თანდათანობით უქრებოდა შიში. დაუმეგობრდა ფრინველს და მას ერა დაარქვა. ერთ ლოლა ჯადოსნურ ხესთან მიიყვანა. გოგონა თვალს არ უჯერებდა, თავისი ოჯახი გაახსენდა და სურვილი ჩაიფიქრა. მას სურდა ახლობლები კარგად ყოფილიყვნენ და ყველა ღარიბს კარგად ეცხოვრა. უცებ ხე განათდა და გაქრა. მერე ის მოხუცი კაცი გამოჩნდა რუკა რომ აჩუქა. მან უთხრა, ეს ხე ასი წლის მერე დაუბრუნდებოდა ძველ ადგილს. ისიც უცებ გაუჩინარდა ლოლა და ჩიტი დაბრუნდნენ სახლში. ლოლას მეშვეობით სოფელში სიღარიბე გაქრა, ქურდობა მოისპო, გოგონამ და ერთამ, რომელიც დღესაც მასთან ცხოვრობს, ყველას დაუმტკიცეს, რომ სურვილის ასახდენად ჯადოსნური ხე მართლაც არსებობდა და ის კეთილ ადამიანებს ყოველ ას წელიწადში ერთხელ მოეწვინებოდა ხოლმე მხსნელად.

ხანთაძე შმაგი

თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
XI კლასის მოსწავლე

მე მეზიზღება ეგ შენი მზერა,
ლამაზი თვალის ხამხამი შენი,
და მეზიზღება ეგ შენი სახე,
სულ მომლიმარი და ბედნიერი.
მე მეზიზღება ეგ შენი ტუჩი,
რომელიც ნაზად ეხება სხვას,
და მეზიზღება ეგ შენი ტანი,
რომელიც ახლაც ნებივრობს კვლავ.
შენ შეგიყვარდი, მაგრამ ეს გრძნობა
ვერ გასძლებს, ვიცი, დიდი ხანია,
შენ შეგძულდები და მაშინ მეტყვი,
რომ სიყვარული ცუდი რამეა.
და მერე მოხვალ, გამომიცხადებ,
რომ შენი გრძნობა გაქრა უკვალოდ,
და ისევ მეტყვი, რომ შენი გული,
დაიპყრო მხოლოდ ერთმა, უბადლომ...

ლექსს ხომ ველარ ვწერ,
მუზა არ მოდის...
და თვალებიდან ცრემლი გადმომდის,
ეს ის ცრემლია,
ეს ის ცრემლია,

გულზე რომ სანთლად ჩამომდენია,
მაგრამ რად გინდა ტყუილუბრალოდ
მუზა არ მოდის ღმერთი არ მწყალობს,
წუთისოფელი რალას დამინდობს,
ჩემზე უფალიც კი აღარ დარდობს...

აჩიკო ნიკლაური

თბილისის 89-ე საჯარო სკოლის
VII₂ კლასის მოსწავლე



ჩემი დაიკო

მიყვარს ჩემი დაიკო,
იმიტომ რომ ნაზია
მინდა ყველამ გაიგოს
ნახონ რა ლამაზია.

ირემთა სახტომელა

მთიდან მორბოდნენ ისრმები,
მოსდევდნენ მელა მგლებია...
ვხედავ და მივწვდი ფიქრებით,
სირბილში უშლით რქებია.
ვნატრობ, - მთა გადაატარათ,
ეგებ არ მისწვდეს მელაო,
მერე იმ მთას კი დაერქვას
ირემთა სახტომელაო.

ჯერ რომ ცველქობ
ნუ მიწყრებით
დამაცადეთ გაზრდა
ქარიშხალო არ წამლეკო
ლექსის წერა ვცადე

ეკატერინე ქადაგიძე

რა ბედნიერებაა, როცა დედიკო იავნანას მიმღერის. ჩემს ბებოს სახლი აქვს გონიოში, ბათუმთან ახლოს. იქ ცნობილი გონიოს ციხეა. გასულ ზაფხულს ჩემ ბებოსთან, დედიკოსთან და მამიკოსთან ერთად ვისვენებდი. ჩვენი სახლი ზღვიდან 100 მ-ში მდებარეობს. საღამოობით ზღვის ნაზ შრიალში იკარგება ყველაფერი. არაჩვეულებრივი სანახავია მზის ჩასვლა. ტალღები ნაპირისაკენ მოინევენ და კენჭებს ებლაუჭებიან, თითქოს უკან დაბრუნება არ სულთ, მაგრამ ბუნების ძალა უკან აბრუნებდა, რომ კვლავ გახურობულ კენჭებს მოფერებოდა. თვალს ვადევნებთ, აივნიდან, მთვარის შუქს, რომელიც ტალღებზე ტივტივებს, ძალიან ლამაზი და შთამბეჭდავია ბუნების ეს პეიზაჟი და მახსენდება ჯერ კიდევ პატარაობისას, მე, ჩემი დედიკო და მამიკო ბათუმში რომ ვისვენებდით, მაშინ ჩემი დედიკო ზღვის ნაპირას მასეირნებდა და სიმღერებსაც მიმღეროდა, ყველაზე საყვარელი სიმღერა დედის იავნანა იყო. ეხლა უკვე დიდი ვარ, მაგრამ ზღვის შრიალმა გამახსენა იავნანის ჰანგები და მივხვდი, რომ ძალიან მომენატრა. დედას კალთაში ჩავუჯექი და ვთხოვე, ვითომ კვლავ პატარა ვიყავი, ემღერა ჩემთვის „იავნანა“. თავი მკერდზე მივადე და დედამ დაიწყო ნაცნობი მელოდის სიმღერა. ტალღების შრიალში დედას ნამღერმა ბავშვობიდან ბევრი რამ გამახსენა. ვიცი, რომ დედა ყველას თავისებურად უყვარს. ჩემთვის ჩემი დედიკო ყველაზე საყვარელია. ბედნიერი ვარ, რომ ვიცი ჩემი არსებობით დედას რომ სიხარული მივანიჭე, ისიც მახარებს დედაჩემის შვილად რომ და-



ვიბადე. მეც ვუმღერი ჩემს შვილებს დედაჩემის „იავნანას“, გავიფიქრე უცებ და დედას უფრო ჩავეხუტე. დარწმუნებული ვარ ჩემი შვილებიც ისე შემეყვარებენ, როგორც მე მიყვარს ჩემი მშობლები. ჩემი დედიკოს და მამიკოს ალერსს მათ გადავცემ. ჩემი საყვარელი ბებიას ნაჩუქარ სიტბოს მათ მივუძღვნი. იმ საღამოს ვფიქრობდი, რა სხვანაირად ჟღერს ჩემი დედიკოს ნამღერი „იავნანა“: ისე მიყვარს დედიკო სულ მის სახელს ვიფიციებ, ყველამ იცის რომ დედა მიყვარს ძალზე ძალიან... მის სიყვარულს ვიცი, რომ ვერ შევადრი ვერაფერს. ერთი ვიცი რომ დედა ჩემთვის ქვეყნის თვალია.



წეტარე ნიგულოზები

დიდი მოგზაური ახალ წელს ულოცავს საქართველოს პატარებს




ნინო ნადარია
ფაზისის საერო აკადემიის
ნუგზარ ნადარიას
შვილიშვილი



დიდი მოგზაური შუმბარ ლეჟავა
და გია კვაშილავას მეუღლე
ელისაბედ ცანავა პატარა
საბა კვაშილავასთან ერთად



ვასტანზ სსირტლაძე
პოეტ გულნაზ ხარაიშვილის შვილიშვილი
ვასტანგის მამიკო ცათა სასუფეველშია და კოცნას
უგზავნის



გობსაძე ლევანიკო
ვაჟა აზარაშვილისა და პოეტ მანანა დანგაძის
შვილიშვილი

მიტროპოლიტ თაღოზის უპილიუპილები



ერეკლე იორამაშვილი



საბა ნამორაძე



მარია იორამაშვილი



**ლუკა ჭუმბურიძე, საბა და ერეკლე
შატბერაშვილები
ჩვენ გადავწყვიტეთ სამშობლოს დაცვა...**



**სოფია და ნინო ტალახაძეები
ჩვენ დედის და მამის პრანჭია
გოგონები ვართ**

გახსენებ

ანზორ შონიამ ლამაზი ისტორიის კვალი დატოვა

კლიმენტი შელია

კაცურ-კაცობის ქურუმი

(სიტყვა ანზორ შონიაზე)

ბატონი ანზორი – ინჟინერი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი მრავალი წიგნისა და სტატიის ავტორი, დიდი ერუდიტი, ღირსეული მამულიშვილი, ქველმოქმედი, მრავლამხრივი საზოგადო მოღვაზე, ათეული წლების მანძილზე უანგაროდ, მაღალი ნიჭიერებით, ამოუწურავი ენერჯით ემსახურება მისთვის სიცოცხლეზე უფრო საყვარელი სამშობლოს – ქართველი ერის ინტერესებს. ის თავისი შეძახილებით ამხნეებს დიდს თუ პატარას და სწორი, მართალი გზით სიარულისკენ, სამშოლოს უმაღლესი სიყვარულისკენ მოუწოდებს მათ. მისთვის უმაღლესი პრინციპია დიდი ვაჟას სიტყვები: ღმერთო შეაყვარე ქართველებს საქართველო და საქართველო უპირველეს ყოვლისა! ერო ქართველო – გამრავლდით, გაძლიერდით, ამაღლდით – ეს არის მისი ოცნება. მისი ნაშრომების ლაიტმოტივია ეროვნული ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების, ადათ-წესების დაცვა, სამშობლოს სიყვარული, უბრალოება, პატიოსნება, მოყვასის სიყვარული, ურთიერთპატივისცემა.

ბატონი ანზორი – სიტყვით, მრავალრიცხოვანი წიგნითა და სტატიით, საქმით – კუთხურობის, ურთიერთდაპირისპირების, ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობისათვის დაუდალავი მებრძოლია. ის სამართლიანად ამტკიცებს, რომ საქართველო განათლებით, კულტურით, ცივილიზაციით, ჩვენი სამყაროს ერთ-ერთი უპირველესი და უძველესი ქვეყანაა.

ბატონი ანზორის გამოსვლას, მრავალრიცხოვანი აუდიტორია ყოველთვის სიყვარულით ხვდება. ის შესანიშნავი ორატორია, უტყუარია მეგობრობაში, ერთგულია ყველა კარგ საქმეში.

ანზორ შონიას ნაშრომებიდან ჩამოვთვლი ზოგიერთს: „წერილი აფხაზ შონიებს, ანუ ვაი ჩვენს თავს“, „როვნული მნიშვნელობის საბედისწერო შეცდომა“, „ერის დიდი ტკივილი“, „გვარები მეტყველებენ“, „დიდი საქართველოს ტრაგედია“, „აფხაზეთი – დანაშაულის ტოლფასია უთქმელობა“, „ეგრისის სამთავრო და ქართული სახელმწიფოებრიობა“ და სხვა.

ერთი პატარა ადგილ-აბზაცი ანზორ შონიას წიგნიდან „დიდი საქართველოს ტრაგედია“: „საქართველოს ისტორია უწყვეტი ჯაჭვია ჩვენი წინაპრების მიერ გადახდილი ომებისა დედასამშობლოს დასაცავად, ჯიშის? ენის, მამულისა და სარწმუნოების გადასარჩენად“. აქ ნათლად ჩანს შესანიშნავი მკვლევარ-ისტორიკოსის, მრავალ მაღალ თანამდებობაზე გამოცდილება მიღებული პიროვნების, საქართველოს ეროვნული და სოციალური ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსის, ბატონ ანზორ შონის შეხედულებანი, მრწამსი.

ანზორ შონიას მოსაგონებლად

გამორჩეულად სანდომიანი, ულვეი ფიქრით, მართალი სიტყვით, ჩუმად გვათბობდი სიკეთის კმევით და მომხიბვლელი ღიმილით მშვიდით.

მამულისათვის იღვენებოდი, გტკიოდა მისი მინის ტკივილი, რადგან წუთითაც არ გასვენებდა ამაყი სულის ბორგვა-ყივილი.

ნახვედი ჩუმად, გაუჩინარდი, მზეც აატირე ცხარე ცრემლებით, მაგრამ ზეციურ საქართველოდან გვჯერა, რომ მეტად მოგვეფერები.



თინიკო ხაზურიძეანია, ანზორ შონია, ნანა ყალიჩაშვილი. ეს სურათი გადაღებულია რუსთაველი ნიგნის პრეზენტაციის დროს

ნუგზარ ნადარაია

ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტი

სულმნათი, ღვანლით უკვდავი მამულიშვილი...

ბატონი ანზორი წლების განმავლობაში უღალატოდ ხელმძღვანელობდა ფაზისის საერო აკადემიის სამეგრელოს რეგიონალურ ორგანიზაციას, არჩეული იყო აკადემიის პრეზიდენტის წევრად, აკადემიკოსად, ჟურნალ „ცოტნეიდელის“ სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს წევრად.

დაუფინყარია ვაჟკაცური პირდაპირობით, აკადემიური ლოგიკითა და ღრმა ცოდნით, კოლხური კულტურისა და ისტორიის გარშემო მისი პასუხი „ჩასაფრებული“ ოპონენტების უსაფუძვლო ღვარძლის მიმართ, ქვეყნის, ერისა და დედა-ეკლესიის ისტორიის შუქ-ჩრდილებზე გამოცემულ პუბლიკაციურებს, რომ მოჰყვებოდა ხოლმე. საზოგადოებისთვის ისიცაა ცნობილი, რომ, თუ განმეორებით სუბიექტური მიზეზებით კვლავ შეედავებოდნენ – პასუხის-პასუხს არ დააყოვნებდა...

ნათელში ამყოფოს ღმერთმა, ზეციურ სასუფეველში გარდასახული, ვალმობილი, ჭეშმარიტი პატრიოტის, მისაბაძი მამულიშვილის ღვანლით გაბრწყინებული სულმნათ ანზორ შონიას უკვდავი სული.

ნუნუკა გურალია

ანზორ შონიას ხსოვნას

ხშირად ცხოვრებაზე ბედნიერსაც უბნელებს სარკმელს და მწუხარება შემოსული ცრემლიან სათქმელს, ტოვებს და ხსოვნა ქვითინს იწყებს გაუთავებლად თითქოს წამ-წუთი მოიღუნა დროში დაბერდა.

ოი სიცოცხლე ყოფილიყავ ჯერ კიდევ დროში, მიქელ-გაბრიელ რად დანისლე დრო შენი მოსვლით და ლამაზ ფიქრთა მოაზროვნე რად მიგყავს ეხლა ცრემლი ხმაურობს სიბნელეში სურვილი წახდა.

გლოვამ გაალო მოაზროვნის მზიანი ბინა და მრისხანებამ გახელებით შემოირბინა, სული ლამაზი სად გაფრინდა აზრი ნათელი წვეთავს და წვეთავს უნუგემოდ წმინდა სანთელი.

/ვ ნციოყ8760ოკპ ბვჯყ06

ყოფნა-არყოფნა, კდკმნრემ ბპ; ზ სვამს დიდ წერტილს და ჩნდება ბზარი, ეს ოქტომბერი შემოვიდა სახით საზარით. ისევ სანთლები ლოცვიანი სახეთა წყება, მწუხარებისგან შეკვივლება, თავდავიწყება.

როს სიჩუმეში შემოჭრილი ქვითინი ისმის, ყოფნა-არყოფნა მრავალწერტილს ისევ სვამს რისხვით, დიდბუნებოვანს მივაცილებთ სამარის კართან, ანზორ შონიავ მარად ცხონდი, იქ იყავ კარგად.

29.X 2012 წ.

ლამზირა შეყილაძე

ბატონ ანზორ შონიას

გამოსათხოვარი

დადიოდი ფიქრით სავსე,
 კაცი ერის ერთგული...
 გულით დარდებს ატარებდი,
 ვით მტკვარი და ენგური.
 სამშობლოსთვის გულზვიადი,
 ვაჟკაცობით ქებული...
 მამულისთვის მებრძოლი და
 სიმართლისთვის გვემული...
 საქართველოს სიყვარულის,
 მზე გთუთქავდა თაკარა...
 დაუთმენელს ვერ იტევდა.
 შენი სული ანკარა...
 ნახვედი და მიგყვებოდა,
 უთვალავი დარდები.
 გაცილებდა ყვავილები,
 ცრემლით სავსე თვალები.
 სიკეთე და სიყვარული,
 იყო შენი ტაძარი...
 ამ ქვეყნიდან ზეყანაში,
 მიგავს სულის საგზალი.

ვაზი ვითარცა გადასანიდნი.
 საუკუნიდან – საუკუნემდე,
 თუ მოვადგოვებთ გაფანტულ ხიზანს,
 და ხვაშიადი ერთურთს თუ ვანდეთ,
 აუცილებლად მივალნვეთ მიზანს.
 აფხაზი, სვანი, მესხი, მეგრელი,
 გენეტიკურად ყველა ერთია,
 ქართლის, კახეთის და იმერეთის,
 ერთიან სისხლს და ძარღვებს ერთვიან.
 ღმერთმა არა ქნას მუდამ ითოვოს,
 სხვასთან მიფრინდეს ჩემი თოლია,
 მაშინ მეც ბადე უნდა ვითხოვო,
 ჩემი იმედი წყალს გაჰყოლია.
 შენი კალამით დაინერება,
 ისევ ნაღველი, ისევ ტკივილი,
 ეს საუკუნეც დაიკეცება
 ცრემლით, გოდებით, დარდით, ტირილით.
 ეჰ! ქარიშხალი მძვინვარებს ისევ,
 და აღარ გვწყალობს ღვთაება – არდი.
 დღეები ათას საფიქრალს გისევს,
 მოურჩენელი სამშობლოს დარდი.
 კვლავ ისტორია გვიშველის ალბათ,
 წარსულისა და წინაპრის ცოდნა.
 დედათ თვალეები ცრემლებით დალბა,
 ღმერთო შენ იცი, ვის ადევს ცოდვა.

გულნაზ ხარაიშვილი

ანზორ შონიას

დაგნათის ბადრი კოლხური მთვარე,
 და კოლხი კაცი წარსულს იხსენებ,
 ისევ ომია და არემარე,
 წუხილს ვერ მალავს, ვედარ ისვენებს.
 შენც ცრემლნარევი ლაბირინთებით,
 გულს გაგისერავს ომების წიგნი,
 და მეცნიერი იწვი, ინთები,

ეს ლექსის სტროფები სიცოცხლეში მოგიძღვენი.
 ახლა კი, ცათა სასუფეველში ხარ. შენ ჩემს შვილს
 ნახავდი... როცა სამძიმარზე მოვედი ქალბატონ დია-
 ნასთან, მან მითხრა: შენი შვილის გახსენების გაზე-
 თი თავითი ედო ჩემს მეუღლესო. მე თქვენ პატივს
 მცემდით, გიყვარდათ ჩემი შემოქმედება, ჩემი შვილი
 ყველას მიმფერებელი იყო. მჯერა, როცა თქვენი
 სული ტოვებდა მინიერ სამყაროს და უერთდებოდა
 ზეცას იქ გელა შეგეგებებოდათ და იკითხავდა ჩემს
 ამბავს. მე ისიც მჯერა, რომ ჩემს ცრემლებს დამალა-
 ვდით და ეტყვოდით დედაშენი კაჟივით მაგარი ყოფი-
 ლაო. მართლაც და ეს სიმართლეა...

**ჯუმბარ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
 მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია და
 ფაზისის საერო აკადემიის ნავრუბის უმაღლესობა
 სამძიმარს უცხადებს, საქართველოს მწარალთა,
 მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია
 „ქალდეას“ პრეზიდენტის, პოეტ-აკადემიკოსის ძმის
 ვალოდია დოღბაიას გარდაცვალებას.**

რუსთავეში გაიხსნა

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ახალი ფილიალი

ახალი ფილიალი

პოეზიისა და სიყვარულის ნავთსაყუდარი

2012 წლის 15 დეკემბერს ქალაქ რუსთავეში ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ფილიალი გაიხსნა. ფილიალისათვის ფართი გამოყო ქალბატონმა ნათია მოსიძემ მის მიერ დაფუძნებულ მოსამზადებელ ცენტრში, რომელიც განთავსებულია ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის “პირიმის” შენობაში. ფილიალი, რომელიც ჟურნალ “ათინათის” რედაქციის გაფართოებასაც ისახავს მიზნად, დალოცა თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტმა, მეუფე თადეოზმა (მირიან იორამაშვილი). აქვე ქართველ მწერალთა სულიერი მეგობრისა და ქართული მწერლობის მოამაგის, მეუფე თადეოზის წიგნების “აღთქმული გაზაფხული” და “იცნოს სოფელმან” წარდგინება მოხდა. აკადემიის წევრები, რუსთავის საჯარო სკოლების წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები... რაოდენობრივად შეზღუდული პოეზიის მოყვარულნი, უაღრესად შინაარსიანი სალამოს მომსწრენი გახდნენ.

ყოველი მართლმორწმუნის და პოეზიის მოყვარულთათვის უსაყვარლესი მეუფე თადეოზის გულთბილ სიტყვებს, მსოფლიო მოქალაქის, მოგზაურისა და სპორტსმენის, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ბატონი ჯუმბერ ლეჟავას სიტყვები ერთვოდა.

ერთმანეთს ეპაექრებოდნენ პოეტები მეუფე თადეოზის ლექსად თქმული საგალობლების კითხვაში. მთელს სალამოს ლეიტმოტივად გასდევდა უნიჭიერესი მომღერლის, აკადემიის წევრის, ექვსი ვაჟიშვილის აღმზრდელი, ქალბატონი მარინა კოლხიდაშვილის სულში ჩამწვდომი სიმღერები. ფესტოსის დისკოს მკვლევარი, მსოფლიოში ცნობილი და სახელგანთქმული მეცნიერი, აკადემიკოსი გია კვაშილავა მისალმა კიდევ ერთი კულტურის კერის გახსნას.

ნიჭიერი პოეტი მანანა დანგაძე ლექსად თქმული აღსარებით მიეფერა მეუფე პოეტს. მანანა დანგაძე და დალი აბესაძე სიმღერითაც წარსდგნენ მსმენელთა წინაშე. “ზღვარის” ბიჭების კახა ბაციკაძისა და სერგი ლომაძის ხმამ შეაფრიალა დარბაზი. პოეტმა ლამზირა შეყილაძემ რამდენიმე ლექსი მიუძღვნა მეუფე თადეოზს. პოეტმა თინიკო ხაბურზანიამ, ხოლო ნიკო ჯაბუამ ნახატების გამოფენა მოაწყო ამ დღისათვის.

პოეზიის სიყვარულის და სიმღერის ფონზე ჩატა-

რებული სალამოს ყველა დამსწრეს სურდა მიფერებოდა ერთმანეთს, მეუფეს, პოეზიას, სიმღერას... სიტყვით გამოვიდნენ რუსთავის მე-18 საჯარო სკოლის დირექტორი: მაია გაჩეჩილაძე. მე-7 საჯარო სკოლის დირექტორი: ლია ჯღარკავა. მათ თანამშრომლობა და სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარებაში დახმარება შესთავაზეს ფილიალს.

სალამოს სტუმრობდნენ თავად მასპინძლები, კოლეჯი “ლაზარეს” პედაგოგები: ნათია მისიძე, ეკა კეკეხაძე, მაია ყუშიტაშვილი, მანანა ბასილიძე, მაკა ბუზალაძე.

ფილიალის გახსნას დაესწრნენ “ქართული ოცნების” წარმომადგენლები: თამაზ ბერიძე, იუზა გვენეტაძე, გემიკო დარსალია, მუხრან თაბაგარი. თამაზ ბერიძემ, მომავლის იმედით აღვსილი, საკუთარი ლექსი წაიკითხა.

სალამოს უძღვებოდა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ჟურნალ “ათინათის” მთავარი რედაქტორი: გულნაზი ხარაიშვილი. მან ფილიალის ხელმძღვანელად დაასახელა პოეტი თამარ ჯაჭვაძე და ბოლოს თავმჯდომარე მოშლილ რუსთაველ მწერლებს თანამშრომლობა და აკადემიის ფილიალის ფართით სარგებლობა შესთავაზა.



პოეტი ელგუჯა სხირტლაძე და ფესტოს დისკოს მკვლევარი გია კვაშილავა



გულნაზ ხარაიშვილი და მეუფე თადეოზი



ქეთი თუთბერიძე, ელგუჯა სხირტლაძე, გულნაზ ხარაიშვილი, ჯუმბერ ლეჟავა და ქ. რუსთავის II საჯარო სკოლის დირექტორის ლალი ნაზლაძის შვილიშვილი პატარა გიორგი.



ელგუჯა სხირტლაძე და მეუფე თადეოზი.



მე-9 არხის თანამშრომლები: რუსუდან გოგოლაძე და სოფო ჯიქია გულნაზ ხარაიშვილთან ერთად.



მიჯობვა

ალიოშა კვაშილავა

დიდ მაცნიერ გია კვაშილავას და მის მეუღლეს ელისაბედ ცანავას მათი დაქორწინების დღისადმი მიძღვნილი

სიყვარული ძლიერია,
 ის წარმოშობს ენერჯიას,
 დაქორწინებას ვულოცავ
 ელისაბედსა და გიას.
 გისურვებთ, რომ კარგად იყოთ,
 აძლიეროთ სიყვარული.
 ერთმანეთსა პატივი სცეთ,
 მუდამ გქონდეთ სიხარული.
 დრო რომ მოვა, მოიხადეთ
 მშობლისა და ქვეყნის ვალი,
 გააჩინეთ და გაზარდეთ
 თქვენისთანა მომავალი.
 კაცი თუკი კაცი არის,
 კაცურად დატრიალდება,
 დურუმ ეს რომ ოდნავ იგრძნობს
 ნაღდში გადატრიალდება.
 მუდამ სიკეთე აკეთეთ,
 თუნდაც იგი იყოს ძნელი,
 გამრავლდით და გაიხარეთ,
 სიცოცხლეცა გქონდეთ გრძელი.
 ჩვენმა გიამ ის გაშიფრა,
 რაც ვერავენ – ასი წელი.
 ამოცანა რთული იყო,
 ამოხსნა კი ძნელზე ძნელი.
 ამოცანის ამოხსნისკენ
 ისწრაფოდა ყველა ერთი,
 არაფერს აღარ ზოგავდა
 ქვეყანა და მეცნიერი.
 მინიშნების ფარგლებს იქით



გზა აებნათ მეცნიერებს
 და სიკეთე ვერ მიართვეს
 მათ საკუთარ ხალხს და ერებს.
 მსოფლიოში მხოლოდ ერთმა
 გაახარა მისი ერი
 და ეს არის ჩვენი გია
 ღვანლმოსილი მეცნიერი.
 იქნებ ზოგმა ისიც კი თქვა,
 ვერ გაშიფრავს დისკოს ღმერთი,
 მაგრამ დისკოს გაშიფრავი
 გახლავთ გია ერთადერთი.
 იქნებ ნიჭით ამარაგებს
 ჩვენს საყვარელ გიას ღმერთი,
 მაგრამ მაინც მიღწევების
 მფლობელია გია – ერთი.
 10.09.11



რანა გოროზია თავის საყვარელ ელენესთან ერთად

ჩემო ძვირფასო რანა – ბილოცავ
 დაბადების დღეს 12-იანვარს,
 გზარავდეს უფალი ყველგან შენი
 ლამაზი ქმარ-შვილით.
 გახარებდეს ყოველი დღე,
 ბქონდეს მხრები გაშლილი.
 100 წელი გელუღნოს
 შენს ლამაზ ქმარ-შვილში.

ეთერი ფირცხალავა



გორის სუბიშვილის უნივერსიტეტს
შობა-ახალწელს ყლოტავს
ეყრნება „ათინათის“ რედაქციას



სარჩევი

უფლის საგალობელი.....	2-6
რედაქტორი	9

მხატრული განყოფილება

რევაზ მიშველაძე	10-15
მაია ბუილიაშვილი	16-19
ლიანა მიქელაძე-ოსიაშვილი.....	20-22
ლიკა ოხანაშვილი	22-24
გვანცა ხარაიშვილი.....	25

პოეზია

ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლი	
მეუფე თადაოზი (მირიან იორაგაშვილი)	26-28
მაყვალა გონაშვილი.....	29-30
ტარიელ ხარხარაული.....	31-32
მანანა დანგაძე.....	33-36
დავით ტიგინაშვილი.....	37-39
ვაჟა აქიმიშვილი	40-41
ზაურ ნოზაძე.....	42
მედეა მჭედლიშვილი.....	43-44
კახა ბაციკაძე	45-46
სერგი ლომაძე.....	47
ლამზირა შეყილაძე.....	48-49
თინათინ ხაბურზანია	50-51
გულნაზ ხარაიშვილი	52-54
ბეჟან ხარაიშვილი	55-56
ნუნუკა გურალია	56
ელგუჯა სხირტლაძე	57
ჯემალ ჯიქია.....	58-59
ციური ხეთერელი	60-61
თამარ (იამზე) ქელიძე.....	62
ნათელა ხარაიშვილი	63
სიმონ ჯაფარიძე	64-67
ზაურ მოლაშხია	68-69
ალინა კუპრავა	69

საბავშვო ლექსები

მთავარი ეპისკოპოსი თადაოზი (მირიან იურმაშვილი).....	70
ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე	71-72

წერილები

ლუარა სორდია (ჰომეროსი და ვაჟა-ფშაველა)	73-75
თეა ჯღარკაბა (ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის ცნება და მისი შინაგანი კავშირი ველის ცნებასთან)	75-77
ლიანა წურნუმია (მამუკა ბარათაშვილის ესთეტიკური შეხედულებები).....	77-79
ირა დანელია	80-82
სერგი ლომაძე (პოეზია როგორც გული)	82-84
ლალი რატიანი.....	84-86
სეგი ლომაძე (ერთი ლირიკული შედევერის შესახებ).....	86-88
მანანა კვატია („ეს განწირული სულისკვეთება“)	88-90
ჯემალ ჯიქია (ლა-ზარე)	90-94
მარიამ ნახუცრიშვილი (ექლვნება რ. ჰენრის დაბადებიდან 150 წლის იუბილეს.).....	95
ციალა ხაჭალია-ანდრიაძე (ჭაბუა ამირეჯიბი)	96-97

ხელოვნება

ნოდარ ტაბიძე (გალაქტიონი ფერწერაში).....	98-100
--	--------

ისტორია

ნიკო ხერკელაძე — (ცრემლში ნალესი ხმალის გაგრძელება)	101-103
სიმონ ზაქარია (ქრისტიანული სარწმუნოების დამკვიდრება).....	104-106

მედიცინა

ნაილი ხარაიშვილი-ხეთერელისა (ხეთერელების ბუნებრივი სამკურნალო საშუალებები)	107-109
---	---------

თარგმანები

მარიამ ნახუცრიშვილი ჰ.ვ. ლონგფელოუ – „ტალღა და ნაკადული“	110
--	-----

ჯუმბარ ლეჟავა

ლუარა სორდია (სიყვარულის სასწაულები) 111-114

ნორჩი ათინათელები

ირაკლი ჯიგანაია (მეფანდურე ბიჭი) 115
 ქრისტინე იზორია (ხავსი (მინიატურა) ზღვარზე) 115
 ქეთევან სხირტლაძე (ჯადოსნური სურათი) 116
 ნატა პირველი 116
 თამარ მოთიაშვილი (მხატვარი და ჯადოსნური ფუნჯები) 116-117
 თამარ თედიაშვილი წიგნიდან, ქალდეას ქალაქები 117

ესე

ანი ჩიტაია (მარიას სიზმარი) 118
 ლუკა შედანია (პატარა გამომგონებლები) 118
 ანი მელაძე ჯადოსნური ხე 118
 ხანთაძე შმაგი 119
 აჩიკო წიკლაური 119
 ეკატერინე ქადაგიძე 120
 პატარა ანგელოზები 121-122
 გახსენება 123-125
 რუსთავში გაიხსნა 126-128

მილოცვა

ალიოშა კვაშილავა მედეა მჭედლიშვილი 136

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სიტბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE51 TB73 1333 6080 1000 01

ტელ: 593657921;
0341227287.

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო“ მხატვარი ემელიანე (რეზო) ადამია.

გარეკანის პირველი გვერდის მეორე გვერდზე, ნახატები ეკუთვნის ცნობილ ფეხბურთელს სახელმწიფო მოღვაწესა და მეცნიერს მანუჩარ მაჩაიძეს.

გარეკანის პირველ გვერდზე – „წმინდა ნინო“
გარეკანის მეორე გვერდზე – „მთავარანგელოზი მიქაელი“
მხატვარი **ემელიანე (რეზო) ადამია.**

ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი: გულნაზ ხარაიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია

რელიგიის განყოფილების რედაქტორები: მეუფე თადეოზი (იორამაშვილი) და ნუგზარ ნადარაია - ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტი
გამომცემელი რედაქტორი: დავით კაპანაძე-პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.
საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:

ჯუმბერ ლეჟავა – მსოფლიო მოგზაური

ვანო შუშტაკაშვილი – პროფესორი

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორი: ლუარა სორდია – პროფესორი.

თარგმანების განყოფილების რედაქტორი: ირა დანელია – პროფესორი.

საბავშვო განყოფილების რედაქტორი: ლამარა გერგედავა

რედკოლეგიის წევრები:

ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) - მოგზაური

იური მამედოვი(აზერბაიჯანი) - მოგზაური

სიმონ ზაქარაია: ტექნიკურ-მეცნიერებათა დოქტორი

ლიანა მელიქიძე: პოეტი

მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.

ლამზირა შეყილაძე-პოეტი

მანანა დანგაძე-ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიასთან არსებული შემოქმედთა გაერთიანების ხელმძღვანელი

თამრიკო ჯაჭვაძე – კორექტორი

ციური ხეთერელი – კორექტორი

კომპიუტერული უზრუნველყოფა – ნანა სხირტლაძე

ჟურნალი დაკაბადონდა გამომცემლობა „უნივერსალში“
რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი I,
ხელოვნების აკადემია, IV სართული
ტელ: 593657921; 08341227287.
ფასი სახელშეკრულებო
ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა, არ ემთხვეოდეს რედაქციისას

მეძინა მჭერლიშვილი

vi nc uangar o d
si keT es T esavs!

*ჩემს ყველა მეზობელს,
ჩემს ყველა მეგობარს,
ჩემს ყველა ნაცნობს და
ჩემს ყველა ნათესავს,
ვინც ამ ქვეყნად უანგაროდ,
მხოლოდ სიბნელს და სიკეთეს თესავს.
ვინც გაჭირვებულს გვერდს აწ აუვლის,
და რა ხმაზე ბნელს უწვიმის გურიით,
ყველას უფლის რთვად ფარავრეს,
მშვიდი სიწყობით და სიყვანჯრით.*



